

ენა და კულტურათაშორისი კომუნიკაცია

სვეტლანა  
ტერ-მინასოვა

ენა და  
კულტურათაშორისი  
კომუნიკაცია

სვეტლანა ტერ-მინასოვა

# ენა და კულტურათაშორისი კომუნიკაცია

ნაწილი I



გამომცემლობა „ანიკარსალი“  
თბილისი, 2017

მთარგმნელები:

**ხათუნა ამალლობელი**

*პროფესორი, ფილოსოფიის დოქტორი*

**ირმა ზაქარაია**

*ფილოლოგიის დოქტორი*

**გვანცა ჯიჩოშვილი**

*ფილოლოგი*

რედაქტორი

**ინდირა ძაგანია**

*პროფესორი, ფილოლოგიის*

*მეცნიერებათა დოქტორი*

თარგმანი შესრულებულია

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში

© ს. ტერ-მინასოვა, 2017

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2017

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის რაზმ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30

E-mail: universal505@ymail.com; universal@internet.ge

ISBN 978-9941-26-127-5

## წინათქმა

1996 წლის ივლისში რუსეთის ფედერაციის უმაღლესი და პროფესიული განათლების სამინისტრომ გამოსცა ბრძანება №1309 – „უმაღლესი პროფესიული განათლების მიმართულებებისა და სპეციალობების კლასიფიკატორში დამატებებისა და ნაწილობრივი ცვლილებების შესახებ“, რომლითაც სპეციალობა „უცხოური ენები“ შეიცვალა სპეციალობით „ლინგვისტიკა და კულტურათაშორისი კომუნიკაცია“ (022600).

ამ ბრძანების გამოცემის შემდეგ მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის უცხოური ენების ფაკულტეტზე ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან მოდიოდა წერილები, ფაქსები, ელექტრონული წერილები, მოდიოდნენ კოლეგები ერთი და იმავე კითხვებით: რა არის კულტურათაშორისი კომუნიკაცია? სად მივიღოთ ინფორმაცია? არსებობს თუ არა მასალები?

ჩვენ გავხსენით კვალიფიკაციის ასამაღლებელი ყოველწლიური კურსი, რომელზეც მოთხოვნილება დიდი იყო. ჩვენ გვეკონდა სათქმელი მათთვის, ვინც შეკითხვებით მოგვმართავდა, რადგანაც ერთ-ერთი პირველები დავინტერესდით კულტურათა და ხალხთა ურთიერთობის პრობლემებით. 1992 წლიდან წარმატებით ფუნქციონირებს კულტურათა ურთიერთქმედების შემსწავლელი ცენტრი, სადაც ერთად მუშაობენ ლინგვისტები, ისტორიკოსები, ფილოსოფოსები, ლიტერატურათმცოდნეები, ფსიქოლოგები, სოციოლოგები.

1994 წლიდან, ცენტრის ინიციატივით, უცხოური ენების ფაკულტეტზე ყოველწლიურად ტარდება კონფერენცია „რუსეთი და დასავლეთი: კულტურათა დიალოგი“, რომელმაც ფართო აღიარება პოვა როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთ. ამ კონფერენციის მასალების მიხედვით გამოცემულია სამეცნიერო შრომების თერთმეტი კრებული. 1993-1994 წლებში ფაკულტეტზე გაიხსნა ენების შეპირისპირებითი შესწავლის, ნაციონალური ლიტერატურებისა და კულტურების შედარებითი შესწავლის კათედრა.

1996 წლიდან მუშაობს კულტუროლოგიაში ხარისხების მიმნიჭებელი სამეცნიერო საბჭო. რეგულარულად გამოდის სტუ-

დენტური ნაშრომების კრებული – „რუსეთი და მსოფლიო“. დასასრულ, 1997 წელს გამოიცა „კულტურათაშორისი კომუნიკაციის“ სასწავლო პროგრამები.

ამ სტრიქონების ავტორს ბოლო წლების განმავლობაში მიჰყავს სალექციო კურსები კულტურათაშორისი კომუნიკაციაში, კულტურულ ანთროპოლოგიაში და სპეცკურსი „ენა და კულტურა“. მუშაობის შედეგები ასახულია წარმოდგენილ წიგნში, რომელიც განკუთვნილია ურთიერთობის პრობლემებით დაინტერესებულთათვის, განსაკუთრებით – უცხოური ენების პედაგოგებისა და უცხოური ენების შემსწავლელთათვის.

ცხოვრების ახალმა პირობებმა რადიკალურად შეცვალეს უცხოურ ენაში სპეციალისტების მომზადების ამოცანები. თანამედროვე საზოგადოებას სჭირდება არა უბრალოდ პედაგოგები ან მთარგმნელები, არამედ უფრო მეტი – საერთაშორისო და კულტურათაშორისი ურთიერთობების სპეციალისტები. ეს სცილდება ენის ცოდნის ჩარჩოებს, რომლითაც ადამიანებს შორის ურთიერთობა სრულებითაც არ ამოიწურება.

წიგნზე მუშაობისას აღმოჩენილი დახმარებისთვის მინდა მადლიერება გამოვხატო რუსი, ბრიტანელი, ამერიკელი, ავსტრალიელი კოლეგების მიმართ. განსაკუთრებული მადლიერების სიტყვები ეკუთვნით ოფიციალურ და არაოფიციალურ რეცენზენტებს: ვიტალი გრიგოლის ძე კოსტომაროვს, ვიქტორია ვლადიმერის ასულ ომჩეპკოვას, ევგენია ბორისის ასულ იაკოვლევას, იგორ გროგოლის ძე მილოსლავსკის, ნინა მიხეილის ასულ კრისტესენს, ელენა ლუბნინას, ანა ვალენტინის ასულ პავლოვსკაიას, ანდრეი ვალენტინის ძე ფატუშჩენკოს, მარია ვალენტინის ასულ პერეპელკინას. პატივისცემა სტუდენტებს, რომლებიც ჩემს ლექციებს ისმენდნენ.

## შესავალი

საქმე იმაშია, რომ ერთი და იმავე ენის  
მატარებელი ადამიანებიც კი ყოველთვის ვერ  
ახარხებენ ერთმანეთის სწორად გაგებას, რისი  
მიზეზიც ხშირად კულტურათაშორისი განსხვავებაა.  
*ე.მ. ვერემჩაგინი, ბ.გ. კოსტომაროვი, „ენა და კულტურა“*

ერთხელ, გარდაქმნის გარიჟრაჟზე, საქმიანი ვიზიტით ამერიკაში ყოფნისას, ერთ ამერიკელ ექიმს დავუკავშირდი, რათა ჩემი მეგობრის ქალიშვილის ავადმყოფობის ისტორია ენახა. პროფესორი, ამერიკული მედიცინის ცნობილი წარმომადგენელი, ძალიან გულისხმიერი აღმოჩნდა. უცებვე დამთანხმდა და დაინტერესდა, ვინ ვიყავი და რატომ ჩავვედი ამერიკაში. „მე ფილოლოგი ვარ, – ვუპასუხე მოკრძალებული სიამაყით, – ჩამოვედი კონფერენციაზე“. – „ფილოლოგი? – მკითხა გაოცებულმა, – ეს მედიცინის რომელი დარგია?“. მე დავიბენი. არ იცის ფილოლოგია რა არის? ხუმრობს? დამცინის? თუმცა პროფესორის ხმაში სერიოზული დაინტერესება იგრძნობოდა. „რას ნიშნავს ფილოლოგი?“ – იკითხა მან გაჭიანურებული პაუზის შემდეგ. – „ეს ნიშნავს, – ნავიბუტბუტე მე, – ეს ნიშნავს, რომ მე მიყვარს სიტყვები“. – „აი, თურმე რა, – თქვა მან აშკარად იმედგაცრუებულმა, – თქვენ გიყვართ ლაქლაქი და ამიტომ გამოგგზავნეს კონგრესზე“. მე ავირიე, ავიწუნე, შევწუხდი. რალაც სულელურად გამოვიდა. ვერ ავუხსენი, რას ვსაქმიანობ. მე მიყვარს სიტყვები, მათ კი მე, როგორც ჩანს, არ ვუყვარვარ. ინგლისური ენაც ვიცი, ყველა წინდებულის გამოყენებაც, ხმოვან-თანხმოვნებსაც სწორად წარმოვთქვამ, ურთიერთობა კი არ შედგა.

ეს ეპიზოდი მაშინ გამახსენდა, როცა ვფიქრობდი, თუ რა დამენერა წიგნის შესავალში: რას ვსაქმიანობ, რატომ ვცდილობ წიგნის დაწერას, როცა უკვე ამდენი დაწერილა ენაზეც, კულტურაზეც და ურთიერთობაზეც. ახლა, როცა შეშფოთებულები ვართ ჩვენი სამყაროს ეკოლოგიური მომავლით, ახალი წიგნის გადაშლისას, უნებურად ფიქრობ: აი, კიდევ ერთი კორომი აქ-

ციეს ქალაქად. შევეცდები, თავი გავიმართლო და ავხსნა, თუ რატომ შეენირა მორიგი პატარა ხევნარი ქალაქს.

მე განათლებით, მონოდებით, სულით, გონებით ფილოლოგი ვარ. მე მიყვარს სიტყვები. მე მიხარია, რომ ჩემი სპეციალობის სახელწოდებაში დევს არა **აღწერა** (*grapho*), არა **სიტყვა** (*logos*), არა **ცოდნა/ხედვა**, არამედ **სიყვარული** - *philo*. სიყვარული სიტყვებისადმი. რატომ უნდა გვიყვარდეს ისინი? როგორ ვიმართლოთ თავი იმ ადამიანის წინაშე, რომელიც მარტივად ახსნის, თუ რას საქმიანობს: კურნავს, უნარჩუნებს სიცოცხლეს და უხანგრძლივებს საქმიანობის შესაძლებლობას. მე კი მიყვარს სიტყვები და ეს სიყვარულია სწორედ ჩემი სპეციალობა. ეს შესაფერისი შემთხვევაა, ახსნა სიტყვებით, თუ რისთვის არის ისინი, რატომ უნდა გვიყვარდეს, როგორ ვაქციოთ ეს სიყვარული პროფესიად.

პასუხი მარტივი და ნათელია: სიტყვები საჭიროა ურთობისთვის. მათ გარეშე ურთიერთობა, მართალია, შესაძლებელია, მაგრამ რთულია და უფერული. მათშია ურთიერთობისა და კომუნიკაციის ფუფუნება და თავისუფლება.

ადამიანი სოციალური არსებაა. ის ცხოვრობს საზოგადოებაში და, შესაბამისად, შეუძლია და უნდა იურთიერთოს კიდევაც ამ საზოგადოების სხვა წევრებთან. სიტყვები აკავშირებენ ადამიანებს, აერთიანებენ მათ ურთიერთობის საფუძველზე. ურთიერთობის გარეშე არ არის საზოგადოება, საზოგადოების გარეშე კი ადამიანი ვერ სოციალიზირდება, ვერ ყალიბდება კულტურულ, გონიერ არსებად, *homo sapiens*-ად. სიტყვები, ენად შემდგარი, გამოჰყოფენ ადამიანს ცხოველთა სამყაროსგან. როგორ შეიძლება ისინი არ გვიყვარდეს?! როგორ შეიძლება ისინი არ ვისწავლოთ ყურადღებით, დაჟინებით, ყველა თვალსაზრისით და მისი ყველა გამოვლინებით? სიტყვებს იყენებს მეცნიერების ყველა დარგი და სპეციალობა. ისინი საჭიროა თუნდაც იმისთვის, რომ მოვახდინოთ ცოდნისა და გამოცდილების ფორმულირება, შენახვა და მომავალი თაობისთვის გადაცემა. გამოჩენილი ექიმიც სიტყვების მეშვეობით ურთიერთობს სხვა ექიმებთან, პაციენტებთან, საზოგადოების წევრებთან.

მისი უდიდებულესობა **ურთიერთობა** (ან მისი უდიდებულესობა **კომუნიკაცია**) მართავს ადამიანებს, მათ ცხოვრებას, განვითარებას, ქმედებებს, მათ მიერ სამყაროსა და საკუთარი თავის, როგორც ამ სამყაროს ნაწილის, შეცნობას. ადამიანებს შორის კომუნიკაციის გააზრების ყოველი მცდელობა, იმის გაგება, თუ რა უშლის და რა განაპირობებს მას, მნიშვნელოვანი და გამართლებულია იმდენად, რამდენადაც ურთიერთობა – ეს არის ადამიანის არსებობის ბურჯი, ღერძი და საფუძველი.

წინამდებარე წიგნის მიზანია ადამიანური ურთიერთობების პრობლემატიკის განხილვა ენაზე, ურთიერთობის მთავარ, მაგრამ არა ერთადერთ საშუალებაზე, განსაკუთრებული აქცენტებით.

ასეთი მცდელობა უმნიშვნელოვანესია დღეს, როცა ხალხთა, ენათა, კულტურათა დიფუზიამ არნახულ მასშტაბებს მიიღწია; როცა უმწვავესად იჩინა თავი სხვათა კულტურისადმი შემწყნარებლობის, ინტერესის გაღვივებისა და პატივისცემის, საკუთარ თავში განსხვავებული კულტურის მიმართ გაღიზიანების დაძლევის პრობლემამ. სწორედ ამითაა განპირობებული საყოველთაო ყურადღება კულტურათაშორისი და საერთაშორისო კომუნიკაციის საკითხებისადმი.

რომელი ფაქტორები უწყობენ ხელს კომუნიკაციას, რომელი აბრკოლებს მას და ართულებს სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელთა ურთიერთობას?

როგორია თანაფარდობა ენასა და კულტურას შორის?

როგორ ასახავს ენა ადამიანის ცნობიერებაში გარდატეხილ სამყაროს?

რა გავლენას ახდენს ენა პიროვნების ფორმირებაზე?

როგორ აისახება ენაში და, ამავდროულად, როგორ ფორმირდება ენით ინდივიდუალური და კოლექტიური მენტალიტეტი, იდეოლოგია, კულტურა?

რა არის ნაციონალური ხასიათი და როგორ ფორმირდება ის ენის მეშვეობით?

როგორია სოციოკულტურული ფაქტორის როლი უცხოური ენების შესწავლისას?

როგორ იქმნება ენისა და კულტურის მეშვეობით სამყაროს

სურათი – პირველადი, მშობლიური ენიდან გამომდინარე და მეორადი, უცხოური ენების შესწავლით?

რატომაა მთელი სამყარო შეშფოთებული კულტურათაშორისი ურთიერთობებისა და კულტურათაშორისი კონფლიქტების პრობლემებით?

რამ უბიძგა ცნობილ ამერიკელ პოლიტოლოგ სემუელ ჰანტინგტონს ენინასწარმეტყველებინა მესამე მსოფლიო ომი როგორც ომი კულტურათა და ცივილიზაციათა შორის და არა როგორც ომი პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემებს შორის?

რა იგულისხმება კომპანია „ფორდის“ ყოფილი დირექტორის ლი იაკოკის სიტყვებში: „მთელი ჩემი კარიერის მანძილზე დროის მხოლოდ 20%-ს ვუთმობდი ყველაფერს, რაც დაკავშირებულია კომუნიკაციასთან და 80%-ს – დანარჩენ სამუშაოს. ყველაფრის თავიდან დაწყება რომ შემეძლოს, პირიქით გავაკეთებდი“?

წარმოდგენილ ნაშრომში შევეცდები ამ კითხვებზე პასუხის გაცემას.

## §1. საკვანძო სიტყვა-ცნებების განსაზღვრა

**უპირველეს ყოვლისა, განვსაზღვროთ წიგნში გამოყენებული საკვანძო სიტყვა-ცნებები.**

**დავინწყოთ ცნება „ენის“ განმარტებით.**

**ენა** არის ხალხის ყველა სიტყვის ერთობლიობა და მათი სწორი შესამება საკუთარი აზრების გადმოსაცემად.<sup>1</sup>

**ენა** არის ინდივიდებს შორის ურთიერთობის საშუალებად გამოსადეგი ყოველგვარ ნიშანთა სისტემა.<sup>2</sup>

**ენა** არის ერთი თვითმყოფადი სემიოლოგიური სისტემათაგანი, რომელიც ადამიანთა კოლექტივის წევრებს შორის ურთიერთობის, აზროვნების განვითარების, კულტურულ-ისტორიული ტრადიციების

---

<sup>1</sup> В. И. Даль. Толковый словарь живого великорусского языка. Т. 1-4. М., 1978-1980.

<sup>2</sup> Ж. Марузо. Словарь лингвистических терминов. М., 1960.

თაობიდან თაობაზე გადაცემის და ა.შ. ძირითადი და უმნიშვნელოვანესი საშუალებაა.<sup>3</sup>

**ენა** არის ადამიანთა საზოგადოებაში სტიქიურად წარმოქმნილი და განვითარებული დისკრეტული ბგერითი ნიშნების სისტემა, რომელიც კომუნიკაციის მიზნებს ემსახურება და გამოხატავს სამყაროზე ადამიანის ცოდნისა და წარმოდგენების მთელ ერთობლიობას (1).

**ენა** არის ისტორიულად ჩამოყალიბებული ბგერითი, ლექსიკური და გრამატიკული ნიშნების სისტემა, აზროვნების ობიექტივაციისა და საზოგადოებაში ადამიანთა შორის ურთიერთობის, აზრთა გაცვლისა და ურთიერთგაგების საშუალება.<sup>4</sup>

**Language** – A vocabulary and way of using it prevalent in one or more countries (DEAD ~); (transf.) method of expression (*finger*~, talk by conventional signs with fingers); words and their use; faculty of speech; person's style of expressing himself (*bad* ~, or || vulg. ~, oaths and abusive talk; *strong* ~, expressing vehement feelings; professional or sectional vocabulary; literary style, wording; ~ *master*, teacher of (usu. mod. foreign) ~ or ~ s.<sup>5</sup> **ენა** არის ლექსიკური მარაგი და მისი გამოყენების საშუალება, პრევალირებული ერთ ან მეტ ქვეყანაში (მკვდარი ~); (გადატ.) გამოხატვის საშუალება (*ყესტების* ~, საუბარი პირობითი ნიშნების მეშვეობით); სიტყვები და მათი გამოყენება; მეტყველების უნარი; ადამიანის უნარი, გამოხატოს საკუთარი თავი (*ცუდი* ~ ან // *ვულგ.* ~, სალანძღავი და შეურაცხმყოფელი გამონათქვამები; *ძლიერი* ~, ძლიერი გრძნობების გამოხატვა; პროფესიული და ადგილობრივი ლექსიკა; ლიტერატურული სტილი, გამოხატვის ფორმა; *პედაგოგი* ~, მასწავლებელი (ჩვეულებრივ, უცხოურის, თანამედროვესი) ~ ან ~ ები.

**Language** – A system of communication consisting of a set of small parts and a set of rules which decide the ways in which these parts can be combined to produce messages that have meaning. Human language consists of words that are usually spoken or written.<sup>6</sup> **ენა** ურთიერთობის სისტემაა, რომელიც შედგება პატარ-პატარა ფრაგმენტებისა და აზ-

<sup>3</sup> О. С. Ахманова. *Словарь лингвистических терминов*. М., 1966.

<sup>4</sup> С. И. Ожегов. *Словарь русского языка*. М., 1972.

<sup>5</sup> *The Concise Oxford Dictionary*. Oxford University Press, 1964.

<sup>6</sup> *Cambridge International Dictionary of English*. Cambridge University Press, 1995.

რის შემცველი გამონათქვამების შესადგენად ამ ფრაგმენტების გამოყენების წესების ნაკრებისგან. ადამიანური ენა შედგება სიტყვებისგან, რომლებიც ზეპირი ან წერილობითი ფორმით გამოიყენება.

**A language** is a system of sounds and written symbols used by the people of a particular country, area, or tribe to communicate with each other. *Many have English as a first or second language.*

**Language** is the ability to use words in order to communicate. *This research helps teachers to understand how children acquire language.*

You can refer to the words used in connection with a particular subject as the language of that subject. *...the language of sociology.*

The **language** of a piece of writing or a speech is the style in which it is written or spoken. *I admire the directness of the language.*

**Language** is also used to refer to other means of communication such as sign language, computer languages, and animal language. *The way that they usually communicate with others is by using sign language.*<sup>7</sup> ენა არის ბგერითი და წერილობითი ნიშნების სისტემა, რომელიც კომუნიკაციის მიზნით გამოიყენება განსაზღვრული ქვეყნის, რაიონის მოსახლეობის ან ტომის მიერ. ბევრისთვის პირველი ან მეორე ენა არის ინგლისური.

ენა არის კომუნიკაციის მიზნით სიტყვების გამოყენების შესაძლებლობა. ეს გამოკვლევა დაეხმარება მასწავლებლებს გაიგონ, თუ როგორ იძენენ ბავშვები ენის ფლობის უნარებს.

კონკრეტულ დისციპლინასთან დაკავშირებული სიტყვების გამოყენებას შეიძლება ვუწოდოთ ამ დისციპლინის ენა. ... სოციოლოგიის ენა.

წერიითი ან ზეპირი მეტყველების ფრაგმენტის ენა – ეს არის სტილი, რომლითაც ის არის დანერილი ან გამოთქმული. მე აღფრთოვანებული ვარ ენის პირდაპირობით.

ენა გამოიყენება კომუნიკაციის სხვა საშუალებების აღსანიშნავადაც – ნიშნების ენა, კომპიუტერული ენა, ცხოველების ენა. ჩვეულებრივ, ამ ენებში ურთიერთობა ნიშნების დახმარებით ხორციელდება.

**Language.** 1. The system of human expression by means of words.  
2. A particular system of words, as used by a people or nation.<sup>8</sup> ენა.

---

<sup>7</sup> BBC English Dictionary. Harper Collins Publishers, 1992.

<sup>8</sup> Longman Dictionary of Contemporary English. Longman Group Ltd., 1995.

1. ადამიანის მიერ სიტყვების დახმარებით აზრის გამოხატვის საშუალება. 2. სიტყვების განსაკუთრებული სისტემა, გამოყენებული ხალხის ან ერის მიერ.

ამრიგად, სხვადასხვა ეპოქის, ქვეყნისა და სკოლის წარმომადგენელთა ყველა განსაზღვრება თანხვედრა მთავარში: ენა ურთიერთობისა და აზრის გამოხატვის საშუალებაა. რა თქმა უნდა, მას სხვა ფუნქციებიც აქვს, მაგრამ ეს ორი ყველაზე ძირითადია. ენა ემსახურება კომუნიკაციას, ის მთავარი, ყველაზე ექსპლიციტური, ოფიციალური და სოციალურად აღიარებულია კომუნიკაციური ქმედების სახეებს შორის. „ენა ყველა ჩვენთვის ცნობილ საზოგადოებაში კომუნიკაციური პროცესია“ (2).

**კომუნიკაცია** არის ურთიერთობის აქტი, კავშირი ორ ან მეტ ინდივიდს შორის, რომელიც ურთიერთგაგებაზეა დამყარებული; ინფორმაციის გადაცემა ერთი პირის მიერ მეორე ან რამდენიმე ადამიანისთვის.<sup>9</sup>

**კომუნიკაცია** – ეს არის შეტყობინება, ურთიერთობა.<sup>10</sup>

**Communication.** Act of imparting (esp. news); information given; intercourse.<sup>11</sup>

**კომუნიკაცია.** გაცვლის აქტი (განსაკუთრებით, სიახლეებით); მოცემული ინფორმაცია; ურთიერთობა.

**Communication** is the activity or process of giving information to other people or living things. *Insects such as ants have a highly effective system of communication... There was poor communication between officers and crew.*

**Communications** are the systems and processes that are used to communicate or broadcast information. *Communications inside the country have also been seriously disrupted...*

**A communication** is a letter or telephone call; a formal use. *...a secret communication from the Foreign Minister.*<sup>12</sup> **კომუნიკაცია** არის ინფორმაციის სხვა ადამიანებზე ან ცოცხალ არსებებზე გადაცემის აქტი ან პროცესი. *ჭიანჭველებსა და მის მსგავს მწერებში ძალიან განვითარებულია*

<sup>9</sup> *Словарь иностранных слов. Изд. 7-е. М., 1979.*

<sup>10</sup> *С. И. Ожегов. Словарь русского языка. М., 1972.*

<sup>11</sup> *The Concise Oxford Dictionary. Oxford University Press, 1964.*

<sup>12</sup> *BBC English Dictionary. Harper Collins Publishers, 1992.*

რებულია კომუნიკაციის ეფექტური სისტემა... ოფიცრებსა და გუნდს შორის ცუდი კავშირი იყო (სიტყვასიტყვით კომუნიკაცია).

**კომუნიკაციები** არის სისტემები და პროცესები, რომლებიც ურთიერთობისთვის ან ინფორმაციის გადასაცემად გამოიყენება. ქვეყანაში კომუნიკაციის სისტემაც სერიოზულად იყო მოშლილი ...

**კომუნიკაცია** არის წერილი ან სატელეფონო ზარი; ფორმალური გამოყენება. ... საიდუმლო გზავნილი (სიტყვასიტყვით საიდუმლო კომუნიკაცია) საგარეო საქმეთა მინისტრისგან.

**Communications** are the various methods of sending information between people and places, esp. official systems such as post systems, radio, telephone, etc.: *Less than 2% of all overseas aid is going to improve communications.*

**Communications** are also the ways which people use to form relationships with each other and understand each other's feelings: *Communications between parents and children are often difficult.*<sup>13</sup> **კომუნიკაცია** არის ადამიანებისთვის ინფორმაციის გადაცემის სხვადასხვა მეთოდი, განსაკუთრებით, ოფიციალური სისტემები – ფოსტა, რადიო, ტელეფონი და ა.შ.: *კომუნიკაციის გაუმჯობესებაზე საერთაშორისო დახმარების 2%-ზე ნაკლები დაიხარჯება.*

**კომუნიკაციები** არის მეთოდები, რომელთა დახმარებითაც ადამიანები ერთმანეთთან ურთიერთობებს აწყობენ და ესმით ერთმანეთის გრძნობები: *ურთიერთობები (სიტყვასიტყვით კომუნიკაციები) მშობლებსა და შვილებს შორის ხშირად ძალიან რთულია.*

გაცილებით რთულია სიტყვა-ცნება „კულტურის“ განსაზღვრა.

სიტყვა „კულტურა“, სამწუხაროდ, მრავალი მნიშვნელობის შემცველია ყველა ევროპულ ენაში. „სამწუხაროდ“ – ეს ეხება მხოლოდ ამ სიტყვის ტერმინოლოგიურ გამოყენებას (ტერმინი უნდა იყოს ცალსახა. წინააღმდეგ შემთხვევაში, რთულდება სამეცნიერო ინფორმაციის გადაცემა), რადგანაც სიტყვების პოლისემიურობა ენის ნაკლი კი არაა, არამედ მისი სიმდიდრეა. სწორედ ამის წყალობითაა შესაძლებელი სტილისტური თამაშე-

---

<sup>13</sup> *Cambridge International Dictionary of English. Cambridge University Press, 1995.*

ბი, ენობრივი პოლიფონია და, შესაბამისად, ენობრივი გამოხატვის უფრო ფართო დიაპაზონი.

ამრიგად, განვმარტოთ **კულტურა**.

რუსული ენის აკადემიური ლექსიკონი ამ სიტყვის შვიდ მნიშვნელობას გვთავაზობს, რომელთაგან ჩვენთვის მნიშვნელოვანია პირველი ოთხი (სამი დანარჩენი – სოფლის მეურნეობის, ბაქტერიოლოგიური და მსგავსი სპეციალური ტერმინებია):

1. წარმოებით, საზოგადოებრივ და სულიერ ცხოვრებაში კაცობრიობის მიღწევების ერთობლიობა. *მატერიალური კულტურა. სულიერი კულტურა. კულტურის ისტორია გვამცნობს, რომ ადამიანთა შრომით შექმნილი და მეცნიერების მიერ დაგროვილი ცოდნა სულ უფრო იზრდება... და წარმოადგენს ჩვენი შემეცნებითი უნარების შემდგომი მუდმივი განვითარების საფუძველს. მ. გორკი, პასუხი.//განსაზღვრულ ეპოქაში რომელიმე ხალხის ან კლასის ასეთი მიღწევების ერთობლიობა. სოციალისტური კულტურა... გორკი იყო რუსული კულტურის დიდი მოღვაწე. პავლენკო, ა. მ. გორკი.*

2. სამეურნეო ან გონებრივი საქმიანობის რომელიმე დარგის განვითარების დონე, ხარისხი. *მინათმოქმედების კულტურა. მეტყველების კულტურა. ბრძოლა მაღალი შრომითი კულტურისთვის.*

3. განვითარებული ადამიანის მოთხოვნილებების შესაბამისი ცხოვრების პირობების არსებობა. *ყოფითი კულტურა. {მემამულე გუდელკინმა} დაიწყო კულტურის დანერგვა... მან ააშენა საავადმყოფო, დაიქირავა ფერმალი, მოაწყო სკოლა. ერტელი, სტეპნიაკის ჩანანერები.<sup>14</sup>*

4. განათლებულობა, წიგნიერება. *თუ დამწყები მხატვარი ნიჭიერია, აქვს პროფესიული უნარები, გემოვნება, მაშინ სრულყოფისკენ სწრაფვას ჭეშმარიტ დაოსტატებამდე მივყავართ. ვ. იაკოვლევი, ფერწერის შესახებ.<sup>15</sup>*

აქ ჩამოთვლილი განმარტებებიდან სიტყვა *კულტურის* ანთროპოლოგიურ ან ეთნოგრაფიულ მნიშვნელობასთან ყველაზე ახლოსაა მხოლოდ პირველი. კულტუროლოგიის თვალსაზრისით, მასში სიზუსტეს მოკლებულია სიტყვა *მიღწევები*, რომე-

---

<sup>14</sup> ა.ი. ერტელი (1855-1908) – რუსი მწერალი – მთარგმნ. შენიშვნა.

<sup>15</sup> *Словарь русского языка. Под ред. А. П. Евгеньевой. Т. 1-4. М., 1981-1984.*

ლიც რომელიღაც წარმატებული შედეგების დადებით შეფასებას გულისხმობს. კულტუროლოგია, როგორც ყოველი ფუნდამენტური მეცნიერება, მაქსიმალური ობიექტურობისკენ ისწრაფვის და შეფასებებისგან თავს იკავებს. ამიტომაც ამ თვალსაზრისით, მართებული იქნებოდა გვეთქვა არა „მიღწევების ერთობლიობა“, არამედ – „მოღვაწეობის შედეგების ერთობლიობა“.

ინგლისური სიტყვის *culture* განმარტება:

**Culture** – the way of life, especially general customs and beliefs of a particular group of people at a particular time. Youth/working-class/Russian/Roman/mass culture.<sup>16</sup>

**კულტურა** – ეს არის განსაზღვრულ დროში ადამიანების განსაზღვრული ჯგუფის ცხოვრების წესი, საერთო წეს-ჩვეულებები და რწმენა. ახალგაზრდული/მუშათა/რუსული/რომაული/მასობრივი კულტურა.

**Culture.** 1) Culture or a culture consists of the ideas, customs, and art that are produced or shared by a particular society (e.g. *He was a fervent admirer of Roman and Greek culture ... the great cultures of Japan and China*). 2) A culture is a particular society or civilization, especially one considered in relation to its ideas, its art, or its way of life (e.g. *the rich history of African civilizations and cultures*).<sup>17</sup> **კულტურა.** 1) კულტურა იდეების, წეს-ჩვეულებებისა და ხელოვნების ერთობლიობაა, რომელიც გადანაწილებულია განსაზღვრულ საზოგადოებაში (მაგ., *ის იყო მგზნებარე თავყვანისმცემელი რომაული და ბერძნული კულტურების ... იაპონიისა და ჩინეთის დიდებული კულტურების*). 2) კულტურა – ეს არის განსაზღვრული საზოგადოება ან ცივილიზაცია, განსაკუთრებით ის, რომელიც თავისი იდეების, ხელოვნების, ცხოვრების წესის გამო აღიქმება (მაგ., *აფრიკული ცივილიზაციისა და კულტურის მდიდარი ისტორია*).

**Culture** – 1) the customs, civilization, and achievements of a particular time or people (*studied Chinese culture*).<sup>18</sup> **კულტურა** – 1) განსაზღვრული ეპოქის ან ხალხის წეს-ჩვეულებები, ცივილიზაცია და მიღწევები (*ვსნავლობდი ჩინურ კულტურას*).

---

<sup>16</sup> *Cambridge International Dictionary of English. Cambridge University Press, 1995.*

<sup>17</sup> *Collins COBUILD English Dictionary. Harper Collins Publishers, 1995.*

<sup>18</sup> *The Concise Oxford Dictionary. Oxford University Press, 1964.*

**Culture** – the customs, beliefs, art, music, and all the other products of human thought made by a particular group of people at a particular time (*ancient Greek culture, a tribal culture, pop culture*).<sup>19</sup> **კულტურა** – განსაზღვრულ დროში ადამიანთა განსაზღვრული ჯგუფის წეს-ჩვეულებები, რწმენა, ხელოვნება, მუსიკა და ადამიანური აზროვნების სხვა პროდუქტი (*ძველბერძნული კულტურა, ტომის კულტურა, პოპ კულტურა*).

The term **culture** is taken from the technical vocabulary of anthropology, wherein it embraces the entire way of life of members of a community insofar as it is conditioned by that membership (3). ტერმინი **კულტურა** ნასესხებია ანთროპოლოგიის ტექნიკური ლექსიკონიდან, რომლის მიხედვითაც, ის საზოგადოების წევრების ცხოვრების წესს მოიცავს იმდენად, რამდენადაც ამას ითხოვს საზოგადოება.

**ტერმინ კულტურის ყველა ინგლისურენოვან განმარტებაში მეორდება სიტყვა *customs* – წეს-ჩვეულებები, ტრადიციები; არაერთგზის არის გამოყენებული სიტყვა *beliefs* – რწმენა, ასევე სიტყვათშეთანხმება *the way of life* – ცხოვრების წესი.**

**კულტურათაშორისი კომუნიკაციის მნიშვნელობა** თავად ტერმინში ჩანს: ეს არის სხვადასხვა კულტურის ადამიანთა ურთიერთობა.

ე.მ. ვერეშჩაგინისა და ვ.გ. კოსტომაროვის წიგნში „ენა და კულტურა“ მოცემულია შემდეგი განმარტება:

**კულტურათაშორისი კომუნიკაცია.** ამ ტერმინით აღინიშნება კომუნიკაციური აქტის იმ მონაწილეთა ადეკვატური ურთიერთგაგება, რომლებიც განსხვავებულ ნაციონალურ კულტურებს წარმოადგენენ (4).

## **§2. ენა, კულტურა და კულტურული ანთროპოლოგია**

შევჩერდეთ ენისა და კულტურის, მოცემული ნაშრომის ორი საკვანძო სიტყვისა და ცნების, თანაფარდობაზე. მათი მჭიდრო კავშირი აშკარაა.

ენა კულტურის სარკეა, რომელშიც აისახება არა მხოლოდ

---

<sup>19</sup> *Dictionary of English Language and Culture. Longman Group Ltd., 1993.*

ადამიანის გარემომცველი რეალური სამყარო, არა მხოლოდ მისი ცხოვრების რეალური პირობები, არამედ ხალხის საზოგადოებრივი თვითშეგნება, მისი მენტალიტეტი, ნაციონალური ხასიათი, ცხოვრების წესი, ტრადიციები, წეს-ჩვეულებები, მორალი, ფასეულობათა სისტემა, მსოფლგანცდა, სამყაროს ხედვა.

ენა კულტურის საგანძური და ყულაბაა. ის კულტურულ ფასეულობებს ინახავს ლექსიკაში, გრამატიკაში, იდიომებში, ანდაზებში, ფოლკლორში, მხატვრულ და სამეცნიერო ლიტერატურაში, წერით და ზეპირ მეტყველებაში.

ენა კულტურის გადამცემი და მატარებელია, ის თაობიდან თაობას გადასცემს ნაციონალური კულტურის საგანძურს. ბავშვები მშობლიური ენის დაუფლებასთან ერთად წინა თაობების კულტურულ გამოცდილებას ითვისებენ.

ენა კულტურის იარაღია, ის აყალიბებს ადამიანის პიროვნებას, ენის მატარებელს ამ ენაში ჩადებული სამყაროს ხედვით, მენტალობით, ადამიანებთან ურთიერთობით და ა. შ., ე.ი. იმ ხალხის კულტურის მეშვეობით, რომელიც ამ ენას ურთიერთობის საშუალებად იყენებს.

ამრიგად, ენა არ არსებობს კულტურის გარეშე როგორც „ჩვენი ცხოვრების წესისთვის დამახასიათებელი სოციალური მემკვიდრეობით მიღებული პრაქტიკული უნარებისა და იდეების ერთობლიობა“ (5). როგორც ადამიანური მოღვაწეობის ერთ-ერთი სახე, ენა კულტურის შემადგენელი ნაწილია. ის განისაზღვრება როგორც ცხოვრების სხვადასხვა სფეროში (წარმოებითი, საზოგადოებრივი, სულიერი) ადამიანის საქმიანობის შედეგების ერთობლიობა. თუმცა ენა, როგორც აზროვნებისა და ურთიერთობის საშუალება, კულტურასთან კავშირში განიხილება (6).

თუ ენას (როგორც მშობლიურს, ისე უცხოურს) მისი სტრუქტურის, ფუნქციონირებისა და დაუფლების მეთოდების ასპექტით განვიხილავთ, მაშინ სოციოკულტურული ფენა ან კულტურის კომპონენტი ენის ნაწილი ან მისი რეალური არსებობის ფონი აღმოჩნდება.

ამავდ დროს, კულტურის კომპონენტი – ეს არის არა მხოლოდ ენის მეშვეობით გადაცემული გარკვეული სახის კულტუ-

რული ინფორმაცია, არამედ ენის ყველა დონისა და დარგისთვის დამახასიათებელი განუყრელი თვისებაც.

**ენა მძლავრი საზოგადოებრივი იარაღია, რომელიც ახდენს ადამიანური ენერჯის ფორმირებას ეთნოსში, აყალიბებს ერს მოცემული ენის მატარებელი კოლექტივის კულტურის, ტრადიციების, საზოგადოებრივი თვითშეგნების შენახვითა და გადაცემით.**

„კულტურის ნაციონალურ-სპეციფიკურ კომპონენტებს შორის ენა პირველ ადგილზეა. კულტურა ენის მეშვეობით არა მხოლოდ ხელს უწყობს ადამიანთა შორის ურთიერთობას, არამედ მათ გათიშვასაც განაპირობებს. ენა მისი მატარებლის გარკვეული სოციუმისადმი მიკუთვნებულობის ნიშანია.

ენას, როგორც ეთნოსის ძირითად სპეციფიკურ მახასიათებელს, შეიძლება ორი მხრიდან შევხედოთ: „შიგნიდან“, როცა ის ეთნიკური ინტეგრაციის მთავარი ფაქტორი ხდება; და „გარედან“, ამ შემთხვევაში ის ეთნოსის ეთნომადიფერენცირებელი თვისებაა. საკუთარ თავში ამ ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ფუნქციის დიალექტიკური გაერთიანებით, ენა ეთნოსის თვითშენახვისა და „ჩემებად“ და „სხვებად“ განცალკევების ინსტრუმენტი“ ხდება“ (7).

ამრიგად, ენისა და კულტურის თანაფარდობა რთული და მრავალასპექტიანია. ეს ნიგნი ადამიანთა ურთიერთობის პროცესში ენისა და კულტურის ურთიერთობის, ურთიერთკავშირის, ურთიერთგავლენისა და ურთიერთქმედების პრობლემებს ეძღვნება. ვიდრე უშუალოდ ამ პრობლემების განხილვაზე გადავიდოდეთ, აუცილებელია რამდენიმე მეთოდოლოგიური და მეთოდური განმარტების გაკეთება.

ადამიანის კულტურის ჩამოყალიბებისა და განვითარების საკითხები კულტურულ ანთროპოლოგიას განეკუთვნება. ანთროპოლოგია, როგორც სახელწოდებიდან ჩანს, არის მეცნიერება ადამიანის შესახებ. თუმცა ადამიანის შემსწავლელ მეცნიერებებს (რაც ასევე ასახულია სახელწოდებაში) ყველა ჰუმანიტარული და ზოგიერთი საბუნებისმეტყველო (მედიცინა, ნაწილობრივ – ბიოლოგია) მეცნიერებაც მიეკუთვნება. ადამიანს მეცნიერების მრავალი დარგი შეისწავლის და ეს გასაგებიცაა, რადგან, პირველ რიგში, ადამიანი ძალიან რთული, მრავ-

ვალმხრივი და მრავალასპექტიანი არსებაა; მეორე მხრივ, ყველა ეს დარგი ვითარდება საზოგადოებაში, სადაც, ბუნებრივია, სწორედ ა დ ა მ ი ა ნ ი არის წამყვანი ფიგურა.

რაც შეეხება მეცნიერების სხვა დარგებს, რომლებიც უშუალოდ ადამიანზე არ არიან კონცენტრირებული, მათი შესწავლის საგანია სამყარო, ბუნება, ადამიანისგან დამოუკიდებლად არსებული ობიექტური რეალობა. თუმცა ეს არის ადამიანის გარემომცველი სამყარო, რომელსაც ა დ ა მ ი ა ნ ი ა დ ა მ ი ა ნ უ რ ი თვალსაზრისით სწავლობს ა დ ა მ ი ა ნ ი ს თ ვ ი ს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადამიანური ფაქტორი ყველაზე უფრო არაჰუმანიტარულ დარგებშიც გვხვდება.

ამრიგად, ადამიანის შესახებ მეცნიერებათა უმრავლესობა შეისწავლის მისი ცხოვრების, ფიზიკური (ბიოლოგია, მედიცინა) და სულიერი (ფსიქოლოგია, ფილოსოფია, ფილოლოგია) რაობის, საქმიანობის (ეკონომიკა, სოციოლოგია), ჩამოყალიბებისა და განვითარების (ისტორია) სხვადასხვა მხარეს. ყველა ეს დისციპლინა ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია, რადგანაც შესწავლის ობიექტი ერთია – ადამიანი, რომელშიც სხვადასხვა დისციპლინას შორის გაფანტული ასპექტები თავმოყრილია როგორც ერთი მთლიანობა.

რას სწავლობს ანთროპოლოგია?

**ანთროპოლოგია** ადამიანის შემსწავლელი მეცნიერებებისგან იმით განსხვავდება, რომ ცდილობს ერთ მთლიანობად შეკრიბოს ყველა დანარჩენი ასპექტი და **ადამიანის ფიზიკური თუ კულტურული განვითარების საერთო პროცესი გლობალურად და ყოველმხრივ შეისწავლოს**. შესაბამისად, ანთროპოლოგია იყოფა:

1) ფიზიკურ ანთროპოლოგიად, რომელიც შეისწავლის სხვადასხვა რასის ადამიანის ბიოლოგიურ წარმოშობასა და მისი ფიზიკური ორგანიზაციის ევოლუციას; 2) კულტურულ ანთროპოლოგიად, რომელიც შეისწავლის ადამიანური კულტურის ფორმირებასა და განვითარებას.

ამრიგად, **კულტურული ანთროპოლოგია** განსაკუთრებულად ფართო ფუნდამენტური მეცნიერებაა, რომელიც სწავლობს კაცობრიობის კულტურული განვითარების საერთო

პრობლემებს, იმ უნიკალურ და არსებით ასპექტებს, რომლებიც ადამიანს ადამიანად აქცევს და მას ცხოველთა სამყაროსგან განასხვავებს. ცხოველებს აქვთ ქცევის განსაზღვრული სისტემები, მაგრამ არ აქვთ კულტურა.

კულტურა – როგორც კულტურული ანთროპოლოგიის შესწავლის საგანი – ეს არის ცხოვრების ყველა სფეროში ადამიანური საქმიანობის შედეგებისა და ყველა იმ ფაქტორის (იდეები, რწმენა, წეს-ჩვეულებები, ტრადიციები) ერთობლიობა, რომლებიც დროის განსაზღვრულ პერიოდში მცხოვრები ერის, კლასისა თუ ადამიანთა ჯგუფების ცხოვრების წესს განაპირობებენ. კულტურული ანთროპოლოგია კულტურას განვითარებას ყველა ასპექტში იკვლევს: ცხოვრების წესი, სამყაროს ხედვა, მენტალიტეტი, ნაციონალური ხასიათი, ადამიანის სულიერი, საზოგადოებრივი და წარმოებითი საქმიანობის შედეგები. კულტურული ანთროპოლოგია სწავლობს ადამიანის უნიკალურ უნარს განავითაროს კულტურა ურთიერთობის, კომუნიკაციის გზით და განიხილავს ადამიანური კულტურების მრავალფეროვნებას, მათ ურთიერთქმედებასა და კონფლიქტებს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ენისა და კულტურის ურთიერთობას.

კულტურული ანთროპოლოგიის კურსის ძირითადი ამოცანებია:

1) ახსნას ის უდიდესი როლი, რომელსაც კულტურა ასრულებს ადამიანის ცხოვრებაში, მის ქცევასა და ურთიერთობაში სხვა ადამიანებთან და სხვა კულტურებთან;

2) გაგვაცნოს მეცნიერების ამ დარგის იდეები და მეთოდები;

3) განსაზღვროს კულტურების განვითარების, ცვლილებების, შეჯახებისა და ურთიერთქმედების გზები;

4) გამოააშკარაოს ენისა და კულტურის ურთიერთკავშირი, ურთიერთგავლენა და ურთიერთქმედება;

5) აჩვენოს, თუ როგორ მოქმედებს კულტურა ადამიანის ქცევაზე, მის მსოფლალქმაზე, სამყაროსეულ სისტემაზე, პირად ცხოვრებაზე, პიროვნების ფორმირებაზე და ა.შ.

თანამედროვე რუსეთისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კულტურული ანთროპოლოგიის განვითარებას, რადგანაც ქვეყანა რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში მოწყვეტილი იყო მსოფლიოს, სხვა კულტურებს. ჩვენ ან საერთოდ არაფერი ვიცოდით ზოგიერთ კულტურაზე, ან მათზე დამახინჯებული წარმოდგენა გვქონდა. ამჟამად თანხვედრაშია სხვა კულტურების შესწავლის აუცილებლობა და შესაძლებლობა. ეს აუცილებლობა რუსეთის მცხოვრებლებისთვის განპირობებულია საერთაშორისო და კულტურათაშორისი ურთიერთობების ახალი შესაძლებლობებით.

წარმოდგენილი კურსი და ცოდნის ეს სფერო განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უცხოური ენების შემსწავლელთათვის, რადგანაც უცხოური ენების გამოყენება რეალური ურთიერთობების სივრცის სახით (არა ისე, როგორც წინათ: წერილობითი ტექსტების პასიური კითხვისთვის) შესაძლებელია მხოლოდ კულტურული ანთროპოლოგიის ცოდნის პირობებში.

ბოლო დროს ფართო გავრცელებას პოულობს **ლინგვო-კულტუროლოგია**, როგორც ენის შემსწავლელი სამეცნიერო დარგი, უშუალოდ დაკავშირებული კულტურის შესწავლასთან.

პროფესორ ვ. ვ. ვორობიოვის სიტყვებით (ხალხთა მეგობრობის რუსეთის უნივერსიტეტი), „დღეს შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ლინგვოკულტუროლოგია – ეს არის ახალი ფილოლოგიური დისციპლინა, რომელიც სწავლობს კულტურული ღირებულებების გამორჩეულ და ორგანიზებულ ერთობლიობას, იკვლევს მეტყველების წარმოშობისა და აღქმის ცოცხალ კომუნიკაციურ პროცესებს, ენობრივი პიროვნების გამოცდილებას და ნაციონალურ მენტალიტეტს, იძლევა ენობრივი „სამყაროს სურათის“ სისტემურ აღწერას და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო, აღმზრდელობითი და ინტელექტუალური სწავლების ამოცანების შესრულებას...“

ამრიგად, ლინგვოკულტუროლოგია სინთეზური ტიპის კომპლექსური მეცნიერული დისციპლინაა, რომელიც სწავლობს ენის ფუნქციონირებაში კულტურისა და ენის ურთიერთკავშირსა და ურთიერთქმედებას; ამასთან, სისტემური მეთოდების დახმარებითა და თანამედროვე პრიორიტეტებსა თუ კულტუ-

რულ განწყობებზე (ნორმათა სისტემებსა და საზოგადოებრივ ღირებულებებზე) ორიენტაციით, ასახავს ამ პროცესს როგორც ერთეულების მთლიან სტრუქტურას მათ ენობრივ და არაენობრივ (კულტურულ) შინაარსთან ერთობაში“ (8).

### **§3. კულტურათაშორისი კომუნიკაციის აქტუალური პრობლემები თანამედროვე პირობებში**

თანამედროვე ეპოქაში კულტურასთან დაკავშირებულმა ყველა პრობლემამ კიდევ უფრო მეტი აქტუალობა შეიძინა. სხვადასხვა კულტურის შესწავლისადმი გაძლიერებული ინტერესი, კულტუროლოგიის წინა პლანზე წამოწევა (არცთუ ისე შორეულ წარსულში ისტორიის, ფილოლოგიისა და ფილოსოფიის შემდეგ უბადრუკი არსებობისთვის განიწვავა); რუსეთის უმაღლესი საატესტაციო კომისიის მიერ მისი მეცნიერულ სპეციალობად გამოყოფა; კულტუროლოგიაში ხარისხის მიმნიჭებელი სპეციალიზირებული სამეცნიერო საბჭოების შექმნა; პუბლიკაციების ნაკადი დიალოგების და განსაკუთრებით, კულტურათა კონფლიქტის თაობაზე; კულტურის პრობლემების მკვლევართა გამაერთიანებელი საზოგადოებების, ასოციაციების ჩამოყალიბება; კულტურის საკითხებზე უსასრულო კონფერენციები, სიმპოზიუმები, კონგრესები; კულტუროლოგიისა და ანთროპოლოგიის ჩართვა ყველა ჰუმანიტარული მიმართულების სასწავლო გეგმაში და უფრო მეტიც, სკოლის საგანმანათლებლო პროგრამაში; და ბოლოს, ზემოთ ნახსენები ს. ჰანთინგტონის ცნობილი წინასწარმეტყველება მესამე მსოფლიო ომზე როგორც კულტურათა და ცივილიზაციათა ომზე – ყველაფერი ეს მოწმობს კულტურის პრობლემებით განსაკუთრებულ დაინტერესებას.

სამწუხაროდ, განსხვავებული კულტურების მიმართ ამ დაინტერესების უკან იმალება არა მხოლოდ და არა იმდენად კეთილშობილური და შემოქმედებითი მოტივები, სხვათა გამოცდილებითა და თვითმყოფადობით საკუთარი კულტურის გამდიდრების-

კენ სწრაფვა, არამედ სრულიად სხვა, შემამფოთებელი მიზეზები. ბოლო წლებში მსოფლიო მასშტაბის სოციალურმა, პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ძვრებმა არნახულ მიგრაციამდე, ხალხთა გადასახლებებამდე, შეჯახებამდე, აღრევამდე მიგვიყვანეს, რაც, რასაკვირველია, კულტურათა კონფლიქტს იწვევს.

იმავედროულად, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგად და კაცობრიობის გონიერი თუ მშვიდობისმოყვარე ნაწილის ძალისხმევით, ურთიერთობის ახალი შესაძლებლობები, სახეები და ფორმები ჩნდება. ამ ურთიერთობების ეფექტურობის ძირითადი პირობაა ურთიერთგაგება, კულტურათა დიალოგი, შემწყნარებლობა და პატივისცემა კომუნიკაციის პარტნიორთა კულტურის მიმართ.

ყველაფერმა ერთად აღებულია – შემამფოთებელმაც და დამაიმედებელმაც – კულტურათაშორისი ურთიერთობების საკითხების მიმართ ყურადღება გაამძაფრა. თუმცა ეს მარადიული კითხვებია, უძველესი დროიდან რომ აწუხებდა კაცობრიობას. ამის საილუსტრაციოდ ერთი ანდაზა გავიხსენოთ. ანდაზებს ხომ სამართლიანად უწოდებენ ხალხური სიბრძნის მარგალიტებს, იმ ხალხურ კულტურულ გამოცდილებას, რომელიც შენახულია ენაში და თაობიდან თაობას გადაეცემა.

რუსული ანდაზა, ცოცხალი, გამოყენებადი (დღემდე აქტუალური), გვასწავლის: *«В чужой монастырь со своим уставом не ходят»* („სხვის მონასტერში საკუთარი წესდებით არ დადიან“).<sup>20</sup> ინგლისურ ენაში იგივე აზრი გადმოცემულია შემდეგნაირად: *When in Rome, do as Romans do* (რომში მოიქეცი ისე, როგორც რომაელი). ამ ენებში ხალხური სიბრძნე ცდილობს დაგვიცვას იმისგან, რასაც დღეს გამოხატავს ტერმინი *კულტურათა კონფლიქტი*.

სამწუხაროდ, ეს სიტყვათშეთანხმება დღეს „მოდაშია“ ზემოთ ნახსენები მიზეზების გამო: სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური კონფლიქტების პირობებში მრავალი დევნილი,

---

<sup>20</sup> ქართული შესატყვისი – „სადაც წახვიდე, იქაური ქუდი დაიხურეო“ – მთარგმნ. შენიშვნა.

იმიგრანტი, რეპატრიანტი იტანჯება „სხვის წესებთან“ კონფლიქტისგან ეკონომიკური კეთილდღეობის სიტუაციაშიც კი.

რა არის კულტურათა კონფლიქტი? რატომ გახდა შესაძლებელი საუბარი კულტურათა ომზე?

როგორც ცეკვის მასწავლებელი ფილმში „კონკია“ ყველა კითხვასა და ცხოვრებისეულ პრობლემაზე პასუხობდა: „მოდით, ვიცეკვოთ“, ასევე, მეც, ფილოლოგი, „სიტყვების მოყვარული“, გთავაზობთ, პასუხები ვეძებოთ ენაში.

პირველად იყო სიტყვა, არის და იქნება...

ტერმინ *კულტურათა კონფლიქტის* არსის გასაგებად დავუკვირდეთ სიტყვას *უცხოური*. მისი შინაგანი ფორმა აბსოლუტურად გამჭვირვალეა: სხვა ქვეყნებიდან. მშობლიური, არა სხვა ქვეყნების, კულტურა აერთიანებს ხალხს და ამავე დროს, გამოჰყოფს მათ სხვა კულტურებისგან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მშობლიური კულტურა ფარიცაა, ხალხის ნაციონალური თავისებურების **დამცველი** და ყრუ ჭიშკარიც, სხვა ადამიანებისა და კულტურებისგან **გამმიჯვნელი**. ამ ასპექტით მთელი სამყარო დაყოფილია ჩვენებად – ენითა და კულტურით დაკავშირებულ ხალხად და სხვებად – ჩვენი ენისა და კულტურის არმცოდნეებად (სხვათა შორის, უდავო ფაქტია, რომ სხვადასხვა სოციალურ-ისტორიული მიზეზის გამო, სწორედ ინგლისური ენა გახდა ურთიერთობის ძირითადი საერთაშორისო საშუალება და ამჟამად ამ ენით მილიონობით ადამიანი სარგებლობს, რომელთათვის ინგლისური მშობლიური არ არის. აღნიშნულმა ფაქტმა ინგლისურენოვან სამყაროს არა მხოლოდ პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა სახის სარგებელი მოუტანა, არამედ ეს სამყარო თითქოს ფარის გარეშე დატოვა: მისი კულტურა გახდა ღია, დანარჩენი სამყაროსთვის ადვილად ხელმისაწვდომი. ჩაკეტილობისადმი ინგლისელების ნაციონალური სიყვარულის – „ჩემი სახლი ჩემი ციხე-სიმაგრეა“ – ფონზე ზემოაღნიშნული ვითარება გარკვეულ პარადოქსსა და ბედის ირონიას წარმოადგენს. მათი ნაციონალური სახლი სამყაროსთვის სწორედ ინგლისური ენით გაიღო).

ძველი ბერძნები და რომაელები სხვა ქვეყნებისა და კულტურების ხალხებს ბარბაროსებს უწოდებდნენ – ბერძნული

სიტყვიდან *barbaros* „უცხო“. ძველ რუსულში ყველა უცხოელს *немец-ს* (გერმანელს) ეძახდნენ. შემდგომში ეს სიტყვა განიდევენა სიტყვით *უცხოქვეყნელი*, ხოლო სიტყვა *немец-ის* მნიშვნელობა დავიწროვდა და მხოლოდ იმ უცხოელს აღნიშნავდა, რომელიც გერმანიიდან ჩამოდიოდა. *უცხოელის* განმარტებას საფუძვლად ედო მის მიერ მშობლიური ენის არცოდნა, მოცემულ შემთხვევაში – რუსული ენის, ასევე, საკუთარი თავის სიტყვიერად გამოხატვის უუნარობა. *უცხოქვეყნელმა* უცხო მიწიდან და შემდგომ *უცხოელმა* სხვა ქვეყნიდან, დამკვიდრებული *немец-ის* ნაცვლად, ენის ფლობიდან (უფრო სწორად, არცოდნიდან) აქცენტი წარმომავლობაზე გადაიტანა: უცხო მიწელი, სხვა ქვეყნელი. ამ სიტყვის არსი ნათელი ხდება დაპირისპირებისას: მშობლიური, საკუთარი – უცხოური, ანუ უცხო, გარეშე, მიღებული ს ს ვ ა ქვეყნებში. ამ ოპონირებაში უკვე ჩადებულია შეჯახება **ჩემს** და **სხვის** წესდებას შორის, ანუ კულტურათა კონფლიქტი, ამიტომ ყველა შეხამება სიტყვებით *უცხოური* თუ *უცხოელი*, ამ კონფლიქტს გულისხმობს.

კულტურათა დაპირისპირების ყველაზე ნათელ მაგალითებს იძლევა **რეალური ურთიერთობა უცხოელებთან** როგორც მათ ქვეყანაში, ისე საკუთარში. ასეთი სახის კონფლიქტები წარმოშობენ უამრავ კუროზს, ანეკდოტს, სასაცილო სიუჟეტს („ჩვენები საზღვარგარეთ“, უცხოელები რუსეთში და ა. შ.), უსიამოვნებას, დრამას და ტრაგედიასაც.

იტალიურმა ოჯახმა იშვილა ბიჭი ჩერნობილიდან. ღამით, რომში, უკრაინის საელჩოში, ზარის ხმა გაისმა: აღელვებული ქალი დახმარებას ითხოვდა: „ჩქარა მოდიტ, ჩვენ ვერ ვაძინებთ ბიჭს, ის ყვირის, ტირის, მეზობლებს აღვიძებს“. ადგილზე მისვლისას საელჩოს თარჯიმანს ბიჭმა ტირილით აუხსნა: „მე დაძინება მინდა, ისინი კი კოსტიუმს მაცმევენ“. ბიჭისთვის დაძინება ნიშნავდა გახდას. მის კულტურაში არ იყო პიჟამა, მით უფრო, რომ ამ პიჟამას სავარჯიშო კოსტიუმის სახე ჰქონდა.

ლათინურ ამერიკაში „არ მუშაობს“ „მაღბოროს“ სიგარეტის რეკლამა: კოვბოი ცხენზე – ეს უღატაკესი წრის წარმომადგენელია, რომელსაც შეუძლია მხოლოდ ყველაზე იაფიანი და ამიტომ ცუდი სიგარეტის მოწვევა.

ესპანურმა ფირმამ მექსიკასთან მოლაპარაკებით მიაღწია შეთანხმებას შამპანურის ბოთლის საცობების დიდი პარტიის შესყიდვაზე. თუმცა გაუფრთხილებლობით საცობები ბორდოს ფერში შეღება, ეს უკანასკნელი კი მექსიკურ კულტურაში გლოვასთან ასოცირდება და გარიგებაც ჩაიშალა.

ქალაქ დელიში დაშვების დროს ყაზახური კომპანიის თვითმფრინავის დაღუპვის ერთ-ერთ ვერსიად კულტურათა კონფლიქტი განიხილება: ინდოელმა ავიადისპეტჩერებმა სიმაღლე განსაზღვრეს არა მეტრებში, არამედ ფუნტებში, როგორც ეს მიღებულია ინგლისურ კულტურასა და ინგლისურ ენაში.

უკრაინულ ქალაქ უმანში, 1966 წელს, ხასიდების<sup>21</sup> ტრადიციული თავყრილობის დროს არეულობები დაიწყო იმის გამო, რომ ერთ-ერთმა ხასიდმა ქუჩაში გამვლელ ქალბატონს ცრემლსადენი გაზი შეასხურა. ხასიდების ადათ-წესების თანახმად, ქალბატონები არ უნდა იმყოფებოდნენ მამაკაცების ახლოს, როდესაც ისინი რელიგიურ წეს-ჩვეულებას ასრულებენ. ალბათ, უკრაინელი ქალბატონი ძალიან ახლოს მივიდა – უფრო ახლოს, ვიდრე ეს რელიგიური ტრადიციით იყო დასაშვები. მღელვარება რამდენიმე დღეს გაგრძელდა. მილიციონერებს, რომლებიც უკრაინის სხვადასხვა ქალაქიდან ჩამოვიდნენ წესრიგის დასამყარებლად, კულტურული კონფლიქტის მიზეზი განუმარტეს და მათ დისტანციის ფხიზლად გაკონტროლება დაიწყეს – ქალბატონებს უკრძალავდნენ რელიგიური რიტუალების ჩატარების ტერიტორიაზე შეჭრას (9).

ცნობილი მოგზაური და ანთროპოლოგი სოლ შულმანი კულტურათა ტიპურ კონფლიქტს ავსტრალიის ემიგრანტებში ასე აღწერს: „ჩამოდის ბერძნული ან იტალიური ოჯახი – მამა, დედა და ათი წლის ვაჟი. მამამ გადანყვიტა მდიდარ ქვეყანაში ფულის შოვნა, შემდეგ კი – სახლში დაბრუნება. გადის ხუთი-ექვსი წელი, ფული დაგროვილია, შეიძლება დაბრუნება. „რომელ სამშობლოში? – გაკვირვებით კითხულობს ბიჭი, – მე ავსტრალიელი ვარ“. მისი ენა, კულტურა, სამშობლო უკვე აქ

---

<sup>21</sup> ხასიდები – ებრ. *chasid* „სათნო“ – ებრაული რელიგიური მიმდინარეობის წარმომადგენლები – მთარგმნ. შენიშვნა.

არის და არა იქ. ინყება დრამა, რომელიც ზოგჯერ ოჯახის დანგრევით მთავრდება. მოცემულ სიტუაციაში „მამებისა და შვილების“ მარადიულ პრობლემას სხვადასხვა თაობას შორის კულტურული გაუცხოება აღრმავებს. ტყუილად კი არ უწოდებენ ავსტრალიას „ოქროს გალიას“ (10).

პროფესიონალი მთარგმნელი ინდონეზიური ენიდან ი. კამ-მაძე, რომელიც თითქმის ნახევარი საუკუნე მუშაობდა საბჭოთა კავშირის პოლიტიკოსთა და დიპლომატთა მალალ წრეებში, ასე აღწერს ინდონეზიის კრიმინალური პოლიციის ხელმძღვანელის ვიზიტს საბჭოეთში: „სალამოს დასასრულ გენერალმა კალინინ-მა გადანყვიტა, ინდონეზიელი სტუმრის მიმართ „ძმური გრძნობები“ გამოეხატა და შეეცადა მისთვის ტურებში ეკოცნა, რამაც პოლიციის უფროსის ძალიან დიდი გაკვირვება გამოიწვია“ (11).

რუსული წარმოშობის ინგლისელი მწერალი, მსახიობი, რეჟისორი, საზოგადო მოღვაწე პიტერ უსტინოვი აღწერს კულტურათა კონფლიქტს, რომელსაც ადგილი ჰქონდა იტალიაში იტალიელ და ინგლისელ მუშებს შორის ინგლისური ფილმის გადაღებისას. ინგლისელი მუშები შეეცადნენ, უცხო სამყაროს პირობებში შეესრულებინათ საკუთარი კულტურის და პროფკავშირის მოთხოვნები. პრობლემა იმაში იყო, რომ ინგლისელი მუშების პროფკავშირი, ინგლისის კულტურული ტრადიციების შესაბამისად, მათ ჩაის სმისას მუშაობის შეჩერების ნებას რთავდა.

„აი, იტალიაში, წინასწარ დადგენილ საათებში, მიუხედავად ორმოცი გრადუსი სიცხისა, მუშაობას ვწყვეტდით ჩაი რომ დაგველია. გამაგრილებელი სასმელები მუდმივად გვექონდა. იტალიელი მუშები გაოცებულები გვიყურებდნენ. ისინი, წელამდე შიშვლები, თავიანთი პოლიტიკური შეხედულებების დემონსტრირებას კომუნისტური გაზეთის, „უნიტასგან“, გაკეთებული პილოტურით ახდენდნენ.

თავდაპირველად ჩვენი გადამღები ჯგუფის ინგლისელი მუშები ითხოვდნენ, რომ მე იტალიელი მუშებისთვის ჩაის დალევა დამეძალებინა. თუმცა ამის გაკეთებას იტალიელებს ვერანაირი ძალა ვერ აძულებდა. მაშინ ინგლისელებმა გადანყვიტეს, იტალიელებზე მორალური ზემოქმედება მოეხდინათ. მე მათ ავუხ-

სენი, რომ იტალიაში ვიმყოფებით და რომ არანაირი ხერხი არ არსებობს ვაიძულოთ იტალიელები დალიონ ჩაი. ბრიტანელები განაწყენდნენ, რადგანაც ჩათვალეს, რომ მათ უსამართლო წინააღმდეგობას უწევენ. ბოლოს და ბოლოს ჩემთან გამოცხადდა მათი დელეგაცია: ისინი მზად იყვნენ, უარი ეთქვათ ჩაის სმაზე იმ პირობით, თუ ყველა ანგარიშში მითითებული იქნებოდა, რომ მათ ჩაი დალიეს. ცხადი იყო – რეჟიმიდან გადახრა ლონდონის ცივ კაბინეტებში გაუგებრობას გამოიწვევდა. თავისუფლების სისხლძარღვში ათეროსკლეროზი იწყებოდა: პრივილეგიების გულგრილი დიქტატი წესების შემანუხებელი დიქტატი შეიცვალა. კეთილი ნების ადამიანებს ხსნის ერთადერთი გზა დარჩათ – მორჩილება“ (12).

ტაილანდელმა სტუდენტებმა რუსული ლიტერატურის ლექციებზე დასწრება შეწყვიტეს. „ის ჩვენ გვიყვირის“, – განაცხადეს მათ პედაგოგზე, რომელიც, რუსული პედაგოგიური ტრადიციის შესაბამისად, ხმამაღლა, მკაფიოდ და ცხადად საუბრობდა. სწავლების ეს ფორმა მიუღებელი აღმოჩნდა სტუდენტებისთვის, რომლებიც სრულიად სხვა ფონეტიკურ და რიტორიკულ პარამეტრებს იყვნენ შეჩვეულები.

რუს სტუდენტებს, რომლებიც ამერიკული პროგრამით სწავლობდნენ, კულტურული კონფლიქტი მოუვიდათ ამერიკელ პედაგოგებთან. მათ შეამჩნიეს, რომ რამდენიმე სტუდენტი ინერდა და ამიტომ არადაამაკმაყოფილებელი შეფასება მთელ ნაკადს დაუწერეს, რაც რუსი სტუდენტებისთვის მორალურ შოკსაც ნიშნავდა და დიდ ფინანსურ დანაკარგსაც. ამერიკელები იმათი ქმედებით უფრო იყვნენ აღშფოთებულები, ვინც აწერინებდა და ვინც ამის თაობაზე დაუყოვნებლივ არ განაცხადა. გამოთქმები – „ვინც დაჭერილი არ არის, ის ქურდი არ არის“ და „დამსმენი პირველი დაისჯება“ არ გამართლდა. ყველა, ვინც აღნიშნულ წერით გამოცდას აბარებდა, იძულებული იყო თავიდან ჩაებარებინა და ფულიც თავიდან გადაეხადა. რუსი სტუდენტების ნაწილმა, შექმნილი სიტუაციით აღშფოთებულმა, უარი განაცხადა პროგრამის გაგრძელებაზე.

კულტურათა ურთიერთქმედების პრობლემებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სიმპოზიუმზე (ჩატარდა 1998 წლის აპ-

რილში, ქალაქ ბატში) გერმანელი საქმიანი ქალბატონი საუბრობდა რიგაში რუს პარტნიორებთან ერთად კონსალტინგური ფირმის შექმნის სამსუხარო გამოცდილებაზე: „აღმოჩნდა, რომ ჩემი რუსი მეგობრისთვის მეგობრობა ბიზნესზე უფრო მნიშვნელოვანი იყო. ერთ წელიწადში ჩვენ ის თითქმის დაკარგეთ“. სწორედ ამ ქალბატონს ეკუთვნის კულტურათა კონფლიქტისთვის დამახასიათებელი ორი გამონათქვამი: 1) „რუსეთში ბიზნესის კეთება – ეს იგივეა, რომ ჯუნგლები მაღალ ქუსლებზე გაიარო“; 2) „რუსეთი, ძირითადად, რუსული ენის მასწავლებლებს უყვართ; სძულთ რუსეთი მათ, ვინც ბიზნესითაა დაკავებული“.

„სასაჩუქრე“ კონფლიქტი ხშირად აფუჭებს საქმიან და პირად ურთიერთობებს. რუსეთში უფრო, ვიდრე დასავლეთში, მიღებულია საჩუქრების, ყვავილების, სუვენირების ჩუქება. დასავლეთელი სტუმრები ამას აღიქვამენ არა როგორც მდიდარი სულისა და სტუმართმოყვარეობის გამოხატულებას, არამედ როგორც ექსცენტრიულობას, როგორც დაფარულ მატერიალურ კეთილდღეობას („ისინი არც ისე ღარიბები არიან, თუ ასეთ საჩუქრებს ჩუქნიან“ – მათი რუსი პარტნიორები შეიძლება უფრო ღარიბები იყვნენ, ვიდრე გამოიყურებიან: ისინი, უბრალოდ, თავიანთი კულტურის მოთხოვნებს იცავენ) ან როგორც მოქრთამვის მცდელობას, ანუ ამ ქმედებაში ხედავენ უანგაროდ მოქმედი რუსებისთვის შეურაცხმყოფელ მოტივებს.

მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში კურსდამთავრებულებისთვის დიპლომების გადაცემის ცერემონიაზე ინგლისური ენის ამერიკელმა პედაგოგმა საჩუქრად მიიღო ალბომები რუსულ ხელოვნებაზე და რუსული ფაიფური; თავად კი გადასცა გამოსამშვიდობებელი საჩუქარი – უზარმაზარი ყუთი ლამაზი „დასავლური“ შეფუთვით და ლენტით. ის პირდაპირ სცენაზევე გახსნეს. მასში აღმოჩნდა... უნიტაზი. ასეთი „ორიგინალური“, მაგრამ მასპინძლების კულტურის თვალთახედვით, აბსოლუტურად მიუღებელი მეთოდით ამერიკელ პედაგოგს, ალბათ, უნდოდა ეჩვენებინა, თუ როგორ არ მოსწონს უნივერსიტეტის საპირფარეშოების მდგომარეობა. ყველა შოკირებული იყო. მომდევნო წელს ის სამუშაოდ არ მიიწვიეს.

იგივე კანონი მოქმედებს ისეთ სრულიად განსხვავებულ სფეროში, როგორც მედიცინა: სხვის ორგანიზმში საკუთარი წესდებით/მკურნალობით, სასურველია, არ შეხვიდე. რადგანაც სამკურნალოა არა ავადმყოფობა, არამედ ავადმყოფი, ამიტომ მკურნალობისას აუცილებელია როგორც პაციენტის ინდივიდუალური თავისებურებების, ასევე მისი ქმედების, ფსიქოლოგიის, მსოფლალქმის, ყოველდღიური ყოფითი სივრცის და მსგავსი ნაციონალურ-კულტურული მახასიათებლების გათვალისწინება. ჯერ კიდევ ათასი წლის წინათ დიდი ავიცენა (იბნ სინა) გვასწავლიდა – „ინდიელს რომ სლავის ნატურა შემატო, ის ავად გახდება, შეიძლება მოკვდეს კიდევ. იგივე დაემართება სლავს“ (13). ცხადია, რომ „ნატურის“ ქვეშ ნაციონალური კულტურა იგულისხმება.

აი, თვალსაჩინო მაგალითი. ცნობილი რუსი მსახიობი ევგენი ევსტიგნევი გულით დაავადდა. საზღვარგარეთის კლინიკაში მას კორონოგრაფია გაუკეთეს და, როგორც ეს მიღებულია დასავლეთელ ექიმებში, მოუტანეს გულის გრაფიკული გამოსახულება, ყველაფერი დაწვრილებით და პირდაპირ აუხსნეს: „ხედავთ, თქვენი რამდენი სისხლძარღვი არ მუშაობს, აუცილებელია სასწრაფო ოპერაცია“. ევსტიგნევემა თქვა „გასაგებია“ და გარდაიცვალა. რუსული მედიცინის ტრადიციით მიღებულია ავადმყოფთან უფრო რბილი, დამდობი საუბარი; მის გადასარჩენად – ნახევარსიმართლე და ტყუილიც კი. ყველა ამ მეთოდს თავისი ძლიერი და სუსტი მხარე აქვს – საუბარია არა მათ შეფასებაზე, არამედ იმაზე, რა არის ჩვეული და მისაღები და რა – ახალი, უჩვეულო და ამიტომ – შიშისმომგვრელი. შიშისგან წნევა მატულობს და გულიც ცუდად მუშაობს. ასეთ დროს გახსოვდეთ (memento!) კულტურათა კონფლიქტი და სიფრთხილე გამოიჩინეთ სხვა ქვეყანაში მკურნალობისას.

ერთდროულად მკითხველის გართობა და შეშინება კულტურათა კონფლიქტის მაგალითებით შეიძლება უსასრულოდ და დიდხანს. ეს პრობლემა ადამიანური ცხოვრებისა და ქმედების ყველა სფეროს ეხება სხვა კულტურებთან ნებისმიერი კონტაქტისას, მათ შორის, „ცალმხრივისას“: უცხოური ლიტერატურის კითხვისას, უცხოური ხელოვნების, თეატრის, პრესის, რადიოს,

ტელევიზიის, სიმღერების გაცნობისას. კულტურათაშორისი ურთიერთობის სახეები და ფორმები სწრაფად ვითარდება (მხოლოდ ინტერნეტი რად ღირს!).

უცხოელებთან რეალური ურთიერთობისას წარმოქმნილი კულტურათა პირდაპირი, უშუალო კონფლიქტისგან განსხვავებით, უცხოურ კულტურასთან ცალმხრივ კონტაქტებსა და კონფლიქტებს (ნიგნები, ფილმები, ენა და ა.შ.) შეიძლება ვუნოდოთ ირიბი, გაშუალებული. ასეთ შემთხვევაში კულტურული ბარიერი უფრო ცხადი და გაცნობიერებულია, რაც მას კიდევ უფრო საშიშს ხდის.

ასე, მაგალითად, უცხოური ლიტერატურის კითხვას უცილობლად თან ახლავს უცხო, სხვა კულტურის გაცნობა და მასთან კონფლიქტი. ადამიანი ამ კონფლიქტის პროცესში სიღრმისეულად აცნობიერებს საკუთარ კულტურას, საკუთარ მსოფლმხედველობას, ცხოვრებისა და ადამიანებისადმი საკუთარ მიდგომას.

ამერიკელ ანთროპოლოგ ლორა ბოჰენენს, რომელმაც დასავლეთ აფრიკის აბორიგენებს შექსპირის „ჰამლეტის“ ადაპტირებული ტექსტი მოუყვა, უცხოური ლიტერატურის გაცნობისას კულტურათა კონფლიქტის მკაფიო მაგალითი მოჰყავს. აბორიგენებმა სიუჟეტი თავიანთი კულტურის პრიზმაში აღიქვეს: კლავდიუსი ყოჩაღია, რომ დაქორწინდა თავისი ძმის ქვრივზე. ასე უნდა მოიქცეს წესიერი, კულტურული ადამიანი, მაგრამ ეს უნდა გაეკეთებინა ქმრისა და ძმის გარდაცვალებიდან მალევე და არა ერთ თვის თავზე. ჰამლეტის მამის აჩრდილი კი საერთოდ ვერ გააცნობიერეს: თუ ის მკვდარია, როგორ შეუძლია სიარული და საუბარი? მოწონება ვერ დაიმსახურა პოლონიუსმა: რატომ დაუშალა ქალიშვილს გამხდარიყო ბელადის ვაჟის საყვარელი – ეს ღირსებაც არის და, რაც მთავარია, ბევრი ძვირფასი საჩუქარია. ჰამლეტის მიერ მისი მოკვლა გამართლებულია და შესაბამისობაშია აბორიგენების სამონადირეო კულტურასთან: გაიგონა ფაჩუნის და დაიყვირა – „რაო, ვირთხავ?“, პოლონიუსმა კი არ უპასუხა, რისთვისაც მოკლეს. სწორედ ასე იქცევა ყოველი აფრიკელი მონადირე: ფაჩუნის გაგებისას გამოეხმაურება და ადამიანის მხრიდან პასუხის არმი-

ლების შემთხვევაში, ფაჩუნის წყაროს კლავს და, შესაბამისად, საფრთხეს იმორებს (14).

ამა თუ იმ პოლიტიკური რეჟიმის მიერ აკრძალული (კოცონზე დამწვარი) ნიგნები იდეოლოგიათა კონფლიქტის, კულტურათა შეუთავსებლობის (მათ შორის, ერთი ნაციონალური კულტურის შიგნით) ნათელი დადასტურებაა.

უცხოელი ავტორების კითხვა, რა თქმა უნდა, ეს არის სხვის მონასტერში შეჭრა. ამ სხვა სამყაროს ჩვენ ვხედავთ და, რაც მთავარია, საკუთარი კულტურის პრიზმაში ვაფასებთ, რაც, შესაბამისად, კულტურათა კონფლიქტს წარმოადგენს.

ასეთ ფეთქებად სიტუაციაში მეცნიერებისა და განათლების წინაშე მწვავედ დგას რთული და კეთილშობილური ამოცანები: უპირველეს ყოვლისა, განსხვავებული ხალხებისა და მათი კონტაქტების ფესვების, გამოვლინებების, ფორმების, სახეების, განვითარების კვლევა და, მეორე მხრივ, აუცილებელია ადამიანებს ვასწავლოთ სხვისი კულტურის მოთმენა, პატივისცემა, გაგება. ამ ამოცანების შესასრულებლად ტარდება კონფერენციები, იქმნება მეცნიერებისა და პედაგოგების გაერთიანებები, ინერება ნიგნები, ზოგადი და უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო გეგმებში შეაქვთ კულტუროლოგიური დისციპლინები.

სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კულტურათაშორისი კომუნიკაციის პრობლემების გადაწყვეტას (ან თუნდაც, მათ გაცნობიერებას) უცხოური ენების სწავლებისას.

#### **§4. კულტურათაშორისი კომუნიკაცია და უცხოური ენების შესწავლა**

კულტურათაშორისი კომუნიკაციასა და უცხოური ენების სწავლებას შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულება იმდენად ცხადია, რომ ვრცელ განმარტებებს არ საჭიროებს.

უცხოური ენის ყოველი გაკვეთილი – ეს არის კულტურათაშორისი კომუნიკაციის პრაქტიკა, რადგანაც ყოველი უცხოური სიტყვა უცხო სამყაროს

და უცხოურ კულტურას ასახავს: ყოველი სიტყვის უკან დგას ნაციონალური თვითშეგნებით განპირობებული (ისევე უცხოური თ, თუ სიტყვა უცხოურია) წარმოდგენა სამყაროზე.

რუსეთში უცხოური ენების სწავლება, როგორც სოციალური ცხოვრების ყველა დანარჩენი სფერო, ამჟამად ძირეული გარდაქმნის (რომ არ ვთქვათ – რევოლუციის), ღირებულებათა გადაფასების, მიზნების, ამოცანების, მეთოდების, მასალების და ა.შ. გადახედვის უმძიმეს და ურთულეს პერიოდს გადის. აზრი არა აქვს საუბარს ამ სფეროში უდიდეს გარდაქმნებზე, საზოგადოებრივი ინტერესის ბუმზე, მოტივაციის აფეთქებაზე; სრულიად განსაზღვრული სოციალურ-ისტორიული მიზეზებით აღნიშნული საგნისადმი ძირეულად შეცვლილ მიდგომაზე – ეს ყველაფერი ცხადზე ცხადია.

ახალმა დრომ უცხოური ენების სწავლების როგორც საერთო მეთოდოლოგიის, ისე კონკრეტული მეთოდების დაუყოვნებლივი და ძირეული გადახედვა მოითხოვა. ახალმა პირობებმა – რუსეთის „აღმოჩენამ“, მსოფლიო თანამეგობრობაში მისმა სწრაფმა შესვლამ, პოლიტიკის, ეკონომიკის, კულტურის, იდეოლოგიის გიჟურმა რბოლამ, ხალხებისა და ენების აღრევამ და გადაადგილებამ, რუსებსა და უცხოელებს შორის კავშირების ცვლილებამ, ურთიერთობის სრულიად ახალმა მიზნებმა – შეუძლებელია უცხოური ენების სწავლების თეორიასა და პრაქტიკაში ახალი პრობლემები არ წარმოშვას.

ახალმა გამოწვევებმა ახალი პასუხები მოითხოვა. უცხოური ენების მასწავლებლები, მათთვის მოულოდნელად, საზოგადოებრივი ყურადღების ცენტრში აღმოჩნდნენ: სპეციალისტების მოუთმენელმა ლეგიონებმა მეცნიერების, კულტურის, ბიზნესის, ტექნიკისა და ადამიანური საქმიანობის ყველა სხვა სფეროში მოითხოვეს უცხოური ენის, როგორც წარმოების იარაღის, დაუყოვნებლივი შესწავლა. მათ არ აინტერესებთ არც ენის თეორია და არც ენის ისტორია – უცხოური ენა, პირველ რიგში, ინგლისური, მათ სჭირდებათ მხოლოდ ფუნქციურად, როგორც უცხო ქვეყნების მოქალაქეებთან რეალური ურთიერთობის საშუალება სოციალური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში.

შექმნილ ვითარებაში საზოგადოების სოციალურ-ისტორიული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1988 წელს გაიხსნა ახალი – უცხოური ენების ფაკულტეტი და ახალი სპეციალობა – „ნეოფილოლოგია“ (რომელსაც სრულიად სხვაგვარად იაზრებდნენ და, შესაბამისად, არც სპეციალისტებს ამზადებდნენ). ამ მიმართულების ძირითადი პრინციპებია:

1) ენის შესწავლა ფუნქციურად, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში – მეცნიერებაში, ტექნიკაში, ეკონომიკაში, კულტურაში და ა.შ. – გამოსაყენებლად;

2) უცხოური ენების სწავლების პრაქტიკული და თეორიული გამოცდილების განზოგადება სპეციალისტებისთვის;

3) ენის, როგორც პროფესიონალებს შორის ურთიერთობის საშუალების, როგორც წარმოების იარაღის კულტურასთან, ეკონომიკასთან, სამართალთან, გამოყენებით მათემატიკასა და მეცნიერების სხვა დარგებთან (რომლებიც ითხოვენ ინგლისური ენის ცოდნას) შეთავსებით, შესწავლის მეთოდების შემუშავება და მეცნიერული დასაბუთება;

4) ენების შესწავლა სინქრონულ ჭრილში, ამ ენებზე მოლაპარაკე ხალხების სოციალური, კულტურული, პოლიტიკური ცხოვრების ფონზე, ე.ი. შესასწავლი ენის სამყაროსთან მჭიდრო კავშირში;

5) უცხოური ენების პედაგოგების, საზოგადოებასთან, კულტურათაშორისი და საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტების მომზადების მოდელის შემუშავება.

ამრიგად, სრულიად შეიცვალა ენის შესწავლის მოტივები (ენა წარდგა სხვა რაკურსით, არა როგორც თვითმიზანი), რასთან დაკავშირებითაც აუცილებელი გახდა უცხოური ენების სწავლების შეცვლა, „ლინგვისტიკისა და კულტურათაშორისი კომუნიკაციის“ სპეციალობის შემოღება და ახალი ტიპის პედაგოგების მომზადების დაწყება.

თანამედროვე პირობებში რუსეთში უცხოური ენების სწავლების ძირითადი ამოცანაა ენის, როგორც ურთიერთობის რეა-

ლური და სრულფასოვანი საშუალების, სწავლება. ამ პრაქტიკული, გამოყენებადი ამოცანის გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ ფუნდამენტურ თეორიულ ბაზაზე დაყრდნობით. ასეთი ბაზის შესაქმნელად აუცილებელია:

1) უცხოური ენების სწავლების პრაქტიკას დაერთოს ფილოლოგიაში თეორიული ნაშრომების შედეგები;

2) თეორიულად გააზრებულ იქნეს და განზოგადდეს უცხოური ენების სწავლების უდიდესი პრაქტიკული გამოცდილება.

რუსეთში უცხოური ენების სწავლების ტრადიცია დაყვანილი იყო ტექსტების კითხვამდე. ამასთან, უმაღლეს სასწავლებლებში ფილოლოგების განსწავლა ხდებოდა მხატვრული ლიტერატურის კითხვის საფუძველზე; არაფილოლოგები კითხულობდნენ თავიანთი მომავალი პროფესიის შესატყვის სპეციალურ ტექსტებს. რაც შეეხება ყოველდღიურ ურთიერთობას, თუ ამისთვის მასწავლებლებსა და სტუდენტებს დრო და ენთუზიაზმი ჰყოფნიდათ, ის წარმოდგენილი იყო ე.წ. ყოფითი თემებით: სასტუმროში, რესტორანში, ფოსტაში და ა.შ.<sup>22</sup>

სრული იზოლაციისა და შესასწავლი ენის სამყაროს რეალურად გაცნობის შეუძლებლობის ფონზე, ამ ცნობილი თემების შესწავლა და მიღებული ცოდნის პრაქტიკული გამოყენება იყო, უკეთეს შემთვევაში, რომანტიკული, უარეს შემთხვევაში – უსარგებლო და საზიანოც კი (თემა „რესტორანში“ სასურსათო დეფეციტის პირობებში, ხოლო თემები – „ბანკში“, „როგორ დავიქირაოთ მანქანა“, „ტურისტული სააგენტო“ და ა.შ. დაწერილი იყო დასავლური ნიმუშების მიხედვით).

ამრიგად, რეალიზდებოდა ენის მხოლოდ ერთი ფუნქცია – ურთიერთობის, საინფორმაციო ფუნქცია, ისიც ძალიან შეკუმშული სახით, რადგანაც ენის ცოდნის ოთხი უნარიდან (კითხვა, წერა, საუბარი, მოსმენა) ვითარდებოდა მხოლოდ ერთი, პასიური – კითხვა.

---

<sup>22</sup> ერთიანი საგანმანათლებლო სივრცის გამო ანალოგიური ვითარება იყო საქართველოშიც – მთარგმნ. შენიშვნა.

ეს იყო საყოველთაო პრობლემა. მას საკმაოდ ნათელი მიზეზები და ღრმა ფესვები ჰქონდა: სხვა ქვეყნებთან და ხალხებთან ურთიერთობა, რბილად რომ ვთქვათ, შეზღუდული იყო, ქვეყანა მონყვეტილი იყო დასავლური ენების სამყაროს. ეს ენები ისწავლებოდა როგორც მკვდარი ენები – ლათინური და ძველი ბერძნული.

უცხოური ენების სწავლებას მხოლოდ წერილობითი ტექსტების საფუძველზე ენის საკომუნიკაციო შესაძლებლობები დაჰყავდა ვილაციის მიერ შექმნილი ტექსტების გაგების პასიურ უნარამდე და არამეტყველების უნარის ჩამოყალიბებამდე. ამის გარეშე კი რეალური ურთიერთობა შეუძლებელია.

რუსეთის სოციალური ცხოვრების უცაბედმა და რადიკალურმა შეცვლამ, მისმა „აღმოჩენამ“ და სწრაფვამ გამხდარიყო მსოფლიოს, პირველ რიგში, დასავლური თანამეგობრობის წევრი, ენას სხვა ფუნქციებიც დაუბრუნა. ის გახდა ურთიერთობის სხვადასხვა სახის რეალური საშუალება, რომელთა რაოდენობა, კავშირების სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების ზრდასთან ერთად, დღითი დღე მატულობს.

სწორედ ამიტომაც, დღევანდელ დღეს უმაღლეს სასწავლებლებში უცხოური ენის, როგორც სხვადასხვა ქვეყნის სპეციალისტებს შორის ურთიერთობის საშუალების, სწავლებას ჩვენ არ განვიხილავთ როგორც წმინდა გამოყენებით ან ვინრო, სპეციალურ ამოცანას, მაგ., ფიზიკოსებს – ფიზიკური ტექსტები, გეოლოგებს – გეოლოგიური ტექსტები და ა.შ. უნივერსიტეტის კურსდამთავრებული სპეციალისტი – ეს არის ფართოდ განათლებული ადამიანი, რომელსაც აქვს ფუნდამენტური საფუძველი. შესაბამისად, ასეთი სპეციალისტის უცხოური ენა წარმოების იარაღიცაა, კულტურის ნაწილიც და ჰუმანიტარული განათლების საშუალება. ყველაფერი ეს გულისხმობს ფუნდამენტურ და მრავალმხრივ მომზადებას ენაში.

სტუდენტის მიერ უცხოური ენის ცოდნის დონე არ განისაზღვრება მხოლოდ პედაგოგთან უშუალო კონტაქტით. უცხოური ენის, როგორც ურთიერთობის საშუალების, დასაუფლებლად უნდა შეიქმნას რეალური ურთიერთობის სივრცე, დამყარ-

დეს კავშირი სწავლებასა და ცხოვრებას შორის, აქტიურად გამოვიყენოთ უცხოური ენა ცოცხალ, ბუნებრივ სიტუაციებში. ეს შეიძლება იყოს მეცნიერული დისკუსიები უცხოელი სპეციალისტების ჩართულობით, ან მათ გარეშე, უცხოური სამეცნიერო ლიტერატურის რეფერირება და განხილვა, ცალკეული კურსების უცხოურ ენებზე წაკითხვა, საერთაშორისო კონფერენციებში სტუდენტების მონაწილეობა, მთარგმნელთან მუშაობა, რაც თავისთავად გულისხმობს ურთიერთობას, კონტაქტს, გაგების უნარსა და ინფორმაციის გადაცემას. აუცილებელია ურთიერთობის კლასგარეშე ფორმების განვითარება: კლუბები, წრეები, საჯარო ლექციები უცხოურ ენებზე, ინტერესების შესაბამისი სამეცნიერო საზოგადოებები, სადაც სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტები შეიკრიბებიან.

ამრიგად, ენის როგორც ურთიერთობის, კომუნიკაციის საშუალების ფლობა არ გულისხმობს მხოლოდ წერილობითი ტექსტების მეშვეობით ვიწრო სპეციალურ ურთიერთობას. კომუნიკაციური უნარების მაქსიმალური განვითარება – ეს არის უცხოური ენების პედაგოგების წინაშე მდგარი ძირითადი, პერსპექტიული, თუმცა საკმაოდ რთული ამოცანა. მის გადასაჭრელად აუცილებელია ენის ფლობის ოთხივე უნარის გასავითარებლად მიმართული სწავლების ახალი მეთოდების ათვისება და პრინციპულად ახალი სასწავლო მასალების შემუშავება, რომელთა დახმარებითაც შესაძლებელი გახდება ადამიანებისთვის ეფექტური ურთიერთობის სწავლება. მართებული არ იქნებოდა ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადავარდნა და ყველა ძველ მეთოდზე უარის თქმა: მათგან ფრთხილად უნდა შევარჩიოთ ყველაზე საუკეთესო, სასარგებლო და სწავლების პრაქტიკით შემოწმებული.

მთავარი პასუხი კითხვაზე უცხოური ენების, როგორც სხვადასხვა ხალხისა და კულტურის წარმომადგენლებს შორის კომუნიკაციის საშუალების, სწავლების აქტუალური ამოცანების გადაჭრის თაობაზე, მდგომარეობს იმაში, რომ **ენების სწავლება უნდა განხორციელდეს ამ ენებზე მოსაუბრე ხალხების კულტურულ სამყაროსთან ერთიანობაში.**

ასწავლო ადამიანებს ურთიერთობა (ზეპირად და წერილობით), ასწავლო აწარმოოს, შექმნას და არამხოლოდ გაიგოს უცხოური მეტყველება – ეს რთული ამოცანაა, რომელიც კიდევ უფრო რთულდება იმით, რომ ურთიერთობა არ არის უბრალოდ ვერბალური პროცესი. მისი ეფექტურობა, ენის ცოდნის გარდა, მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული: ურთიერთობის პირობებსა და კულტურაზე, ეტიკეტის წესებზე, გამოსხატვის არავერბალური ფორმების (მიმიკები, ჟესტები) ცოდნაზე, ღრმა ფონური ცოდნის არსებობასა და მრავალ სხვაზე.

ენობრივი ბარიერის დაძლევა სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელთა შორის ეფექტური ურთიერთობის უზრუნველსაყოფად, საკმარისი არ არის. ამისთვის საჭიროა კულტურული ბარიერის გადალახვაც. ი.უ. მარკოვინასა და უ.ა. სოროკინის საინტერესო გამოკვლევებიდან ქვემოთ მოყვანილ ნაწყვეტში წარმოდგენილია კულტურის ნაციონალურ-სპეციფიკური კომპონენტები, სწორედ ისინი, რომლებიც პრობლემებს ქმნიან კულტურათაშორის კომუნიკაციაში: „სხვადასხვა კულტურის (ლინგვოკულტურული გაერთიანებების) წარმომადგენელთა კონტაქტის დროს ენობრივი ბარიერი – ეს არ არის ერთადერთი დაბრკოლება ურთიერთგაგების გზაზე. კულტურა-კომუნიკანტების ყველაზე განსხვავებული კომპონენტების ნაციონალურ-სპეციფიკურ თავისებურებებს (თავისებურებებს, რომლებიც ამ კომპონენტებით შესაძლებელს ხდიან ეთნომადიფერენცირებული ფუნქციის რეალიზებას) კულტურათაშორისი ურთიერთობის პროცესის გართულება შეუძლიათ.

ნაციონალურ-სპეციფიკური შეფერილობის მქონე კულტურის კომპონენტებს, როგორც მინიმუმ, შეიძლება მივაკუთვნოთ შემდეგი:

ა) ტრადიციები (ან კულტურის მდგრადი ელემენტები), ასევე ადათები (რომლებიც განისაზღვრება როგორც ტრადიციები კულტურის „სოციონორმატიულ“ სფეროში) და წეს-ჩვეულებები (რომელთა ფუნქციაა ადამიანის გაუცნობიერებელი მიკუთ-

ვნებულობა ნორმატიული მოთხოვნების მოცემულ გაბატონებულ სისტემასთან);

ბ) ტრადიციებთან დაკავშირებული ყოფითი კულტურა, რის შედეგადაც მას, არცთუ ისე იშვიათად, ტრადიციულ ყოფით კულტურას უწოდებენ;

გ) ყოველდღიური ქცევა (ზოგიერთი კულტურის წარმომადგენელთა ჩვევა, ზოგიერთ სოციუმში მიღებული ურთიერთობის ნორმები), ასევე, მასთან დაკავშირებული მიმიკური და პანტომიმური (კინესიკური) კოდები, გამოყენებული ზოგიერთი ლინგვოკულტურული ერთობის მიერ;

დ) „სამყაროს ნაციონალური სურათები“, რომლებიც გამოხატავენ გარემომცველი სმყაროს აღქმის სპეციფიკას და ამა თუ იმ კულტურის წარმომადგენელთა აზროვნების ნაციონალურ თავისებურებებს;

ე) ამა თუ იმ ეთნოსის კულტურული ტრადიციების გამომხატველი მხატვრული კულტურა.

ნაციონალური ენისა და კულტურის მატარებელ ადამიანს სპეციფიკური თავისებურებები ახასიათებს. კულტურათაშორის ურთიერთობაში აუცილებელია კომუნიკანტების ნაციონალური ხასიათის თავისებურებების, მათი ემოციური წყობის სპეციფიკის, აზროვნების ნაციონალურ-სპეციფიკური მახასიათებლების გათვალისწინება“ (15).

ახალ პირობებში, უცხოური ენების სწავლების პრობლემების ახლებურად გააზრებისას, ცხადი გახდა, რომ კომუნიკაციის, სხვადასხვა ეროვნების ადამიანებს შორის ურთიერთობის სწავლების დონის რადიკალურად ამალლება მიიღწევა სოციო-კულტურული ფაქტორის ნათლად გაგებითა და რეალურად გათვალისწინებით.

ცოცხალი ენების როგორც მკვდარი ენების სწავლების მრავალწლიანმა პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ენის ეს ასპექტები ჩრდილში დარჩა, გამოუყენებელი აღმოჩნდა. ამრიგად, უცხოური ენების სწავლებაში არის არსებითი ხარვეზი.

ამ ხარვეზის გამოსწორების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და რადიკალური პირობაა კომუნიკაციური უნარების განვითარებისას სოციოკულტურული კომპონენტის გაფართოება და გაღრმავება.

ე. სეპირის სიტყვებით, „ყოველი კულტურული სისტემა და საზოგადოებრივი ქმედების ყოველი ცალკეული აქტი, ღიად ან ფარულად, გულისხმობს კომუნიკაციას“ (16).

საუბარი უკვე შეეხება ენის მატარებლების სამყაროს (არა ენის, არამედ ს ა მ ყ ა რ ო ს), მათი კულტურის, ფართო ეთნოგრაფიული თვალსაზრისით, მათი ცხოვრების წესის, ნაციონალური ხასიათის, მენტალიტეტის და ა.შ. უფრო სიღრმისეულად და დეტალურად შესწავლის აუცილებლობას, რადგანაც საუბრის დროს, სიტყვების რეალურად გამოყენება, ძირითადად, განისაზღვრება მოცემულ ენაზე მეტყველი კოლექტივის სოციალური და კულტურული ცხოვრების ცოდნით. „ენა არ არსებობს კულტურის გარეშე, ე.ი. არ არსებობს ჩვენი ცხოვრების წესისთვის დამახასიათებელი სოციალურად მემკვიდრეობით მიღებული პრაქტიკული უნარებისა და იდეების ერთობლიობის გარეშე“ (17). **ენობრივი სტრუქტურების საფუძველია სოციოკულტურული სტრუქტურები.**

ენის ურთიერთობის საშუალებად გამოსაყენებლად სიტყვების მნიშვნელობისა და გრამატიკის წესების ცოდნა საკმარისი არ არის. აუცილებელია შესასწავლი ენის სამყაროს სიღრმისეული ცოდნა.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, სიტყვების მნიშვნელობისა და გრამატიკის წესების გარდა უნდა ვიცოდეთ: **1) როდის ითქვას/დაინეროს, როგორ, ვისთან, სად, ვის უნდა უთხრა; 2) მოცემული მნიშვნელობა/ცნება, აზროვნების მოცემული საგანი როგორ არსებობს შესასწავლი ენის რეალურ სამყაროში.** სწორედ ამიტომაც, დღევანდელ დღეს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში უცხოური ენების ფაკულტეტის სასწავლო გეგმაში დროის მესამედი, რომელიც უცხოური ენების შესწავლას ეთმობა, გამყარებულია ჩვენ მიერ ახლად შემოღებული საგნით –

„შესასწავლი ენის სამყარო“. ეს ცნება-ტერმინი უკვე გამოიყენება რუსეთის ბევრი სასწავლო დანესებულების მიერ.

როგორ თანაფარდობაშია ერთმანეთთან ისეთი ცნებები, როგორებიცაა სოციოლინგვისტიკა, ლინგვოქვეყანათმცოდნეობა და შესასწავლი ენის სამყარო?

**სოციოლინგვისტიკა** – ეს არის ენათმეცნიერების დარგი, რომელიც სწავლობს ენობრივი მოვლენებისა და ენობრივი ერთეულების სოციალური ფაქტორებით განპირობებულობას: ერთი მხრივ, კომუნიკაციის პირობებით (დროით, ადგილით, მონაწილეებით, მიზნებით და ა.შ) და, მეორე მხრივ, კოლექტივის წეს-ჩვეულებებით, ტრადიციებით, კულტურული და საზოგადოებრივი ცხოვრების თავისებურებებით.

**ლინგვოქვეყანათმცოდნეობა** – ეს არის სოციოლინგვისტიკის დიდაქტიკური ანალოგი, რომელიც უცხოური ენის, როგორც გამოხატვის ფორმების ერთობლიობის, სწავლებისა და ენის მატარებლების საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების სწავლების შერწყმის აუცილებლობის იდეას ავითარებს.

ე.მ. ვერემჩაგინმა და ბ.გ. კოსტომაროვმა, რუსეთში ლინგვოქვეყანათმცოდნეობის მამებმა, ენების სწავლების ეს უმნიშვნელოვანესი ასპექტი შემდეგნაირად ჩამოაყალიბეს: „ორი ნაციონალური კულტურა ერთმანეთს სრულად არასოდეს ემთხვევა, – ეს იქიდან გამომდინარეობს, რომ თითოეული მათგანი ნაციონალური და ინტერნაციონალური ელემენტებისგან შედგება. თანმხვედრი (ინტერნაციონალური) და განმასხვავებელი (ნაციონალური) ერთეულების ერთობლიობა შესაძარებელი კულტურების ყოველი წყვილისთვის განსხვავებული იქნება... ამიტომ გასაკვირი არაა, რომ დრო და ენერგია უნდა დაიხარჯოს არა მხოლოდ ზოგიერთი ენობრივი მოვლენის გამოსახატავად, არამედ მის შინაარსზეც. ეს იმას ნიშნავს, რომ ენის შემსწავლელებს ცნობიერად უნდა გამოვუმუშაოთ ცნებითი აპარატი იმ ახალ საგნებსა და მოვლენებზე, რომლებსაც არა აქვთ ანალოგი მათ მშობლიურ კულტურასა და მშობლიურ ენაში. ასე და ამგვარად, საუბარი შეეხება ენის სწავლებისას ქვეყანათმცოდნეობის ელემენტების ჩართვას, მაგრამ ეს ჩართვა სა-

ერთო ქვეყანათმცოდნეობასთან შედარებით ხარისხობრივად სხვა სახისაა. იმდენად, რამდენადაც ჩვენ ვსაუბრობთ სასწავლო პროცესში ენისა და ნაციონალური კულტურის სფეროდან მონაცემების შეერთებაზე, სწავლების ამ სახეს შეიძლება ვუწოდოთ ლინგვოქვეყანათმცოდნეობითი სწავლება“ (18).

**შესასწავლი ენის სამყარო**, როგორც დისციპლინა, განუყოფლად არის დაკავშირებული უცხოური ენების სწავლებასთან და ორიენტირებულია არა ენობრივი ფაქტების ერთობლიობის (განსხვავებით წინარე ორი ცნებისგან) სწავლებაზე; ე.ი. იმ სოციოკულტურული სტრუქტურებისა და ერთეულების ერთობლიობაზე, რომლებიც საფუძვლად უდევს ენობრივ სტრუქტურებს, ერთეულებს და გამოხატულია მათში.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სამეცნიერო დისციპლინას „შესასწავლი ენის სამყარო“ საფუძვლად უდევს **სამყაროს სოციოკულტურული სურათის** კვლევა, რომელიც თავის გამოხატულებას სამყაროს ენობრივ სურათში პოულობს.

ენის მატარებლის გარემომცველი სამყაროს სურათი არა მხოლოდ აისახება ენაში, არამედ ის აყალიბებს ენას და მის მატარებელს და განსაზღვრავს მეტყველების თავისებურებებს. აი, რატომ არის შეუძლებელი შესასწავლი ენის სამყაროს ცოდნის გარეშე ენის, როგორც ურთიერთობის საშუალების, შესწავლა. ის შეიძლება შეისწავლო როგორც კულტურის ყულაბა, კულტურის შენახვისა და გადაცემის საშუალება, ე.ი. როგორც მკვდარი ენა. ცოცხალი ენა ამ ენის მატარებლების სამყაროში ცხოვრობს და მისი შესწავლა ამ სამყაროს ცოდნის გარეშე (იმის გარეშე, რაც სხვადასხვა სამეცნიერო სკოლაში სხვადასხვაგვარად იწოდება: ფონური ცოდნა, ვერტიკალური კონტექსტი და სხვ.) ცოცხალ ენას მკვდარ ენად აქცევს, ე.ი. შემსწავლელებს ართმევს შესაძლებლობას ისარგებლონ ამ ენით, როგორც ურთიერთობის საშუალებით. როგორც ჩანს, სწორედ ამით აიხსნება ხელოვნურ ენასთან დაკავშირებული ყველა წარუმატებლობა. ყველაზე ცნობილი მათ შორის – ესპერანტოც კი – ვერ გავრცელდა და კვდომისთვის იყო განწირუ-

ლი, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ არ ჰქონდა მასაზრდო-  
ებელი წყარო – ენის მატერებლის კულტურა.

ლინგვოქვეყანათმცოდნეობისა და ზემოთ ნახსენები (§2)  
ლინგვოკულტუროლოგიის ურთიერთობას განმარტავს რუსუ-  
ლის, როგორც უცხოური ენის, სწავლების სპეციალისტი, პრო-  
ფესორი ვ.ვ. ვორობიოვი. ის ინტენსიურად ავითარებს ლინგვო-  
კულტუროლოგიის იდეას: „ცნებების – „ლინგვოკულტუროლო-  
გიისა“ და „ლინგვოქვეყანათმცოდნეობის“ თანაფარდობა დღეს  
საკმაოდ რთულად წარმოგვიდგება, ხოლო მისი თეორიული გა-  
აზრება, პრინციპულად მნიშვნელოვანი მთელი რიგი მიზეზების  
გამო (პირველ რიგში, „ენისა და კულტურის“ პრობლემისადმი  
მზარდი ინტერესი), აუცილებელს ხდის ტერმინოლოგიური ინ-  
ვენტარის სფეროში შემავალი წყაროების, პარამეტრების,  
კვლევის მეთოდებისა და ცნებების დაზუსტებას. ლინგვოკულ-  
ტუროლოგიისადმი მიმართება არ არის რუსული ენის სწავლე-  
ბის უკვე ტრადიციად ქცეული ლინგვოქვეყანათმცოდნეობითი  
ასპექტის ლალატი, არამედ ის გამოწვეული და განპირობებუ-  
ლია, პირველ რიგში, „ენისა და კულტურის“ პრობლემის ზოგი-  
ერთი ლინგვომეთოდოლოგიური ღირებულების გადაფასებით“  
(19).

ენის მატარებლის სამყაროს შესწავლის მიზანია, დაგვეხმა-  
როს ენისა და მეტყველების დამატებითი აზრობრივი დატვირ-  
თვების, პოლიტიკური, კულტურული, ისტორიული და მისი  
მსგავსი კონოტაციების გააზრებაში. განსაკუთრებული ყურად-  
ღება ეთმობა რეალიებს, რადგანაც მათი სიღრმისეული ცოდნა  
აუცილებელია ამ ენაზე მოსაუბრე ხალხების ყოველდღიურო-  
ბისთვის თანამდევი მოვლენებისა და ფაქტების სწორად გასა-  
გებად.

ნებისმიერ კომუნიკაციას, ე.ი. მეტყველებით ურთიერთო-  
ბას როგორც ასეთს, საფუძვლად უდევს „ორმხრივი კოდი“  
(shared code), რეალიების ორმხრივი ცოდნა, ურთიერთობის მო-  
ნანილეთა – მოსაუბრე/დამწერი და მსმენელი/მკითხველი –  
მხრიდან კომუნიკაციის საგნის ცოდნა.

აი, მაგალითები ვ. კოლიხალოვის<sup>23</sup> ნარკვევიდან, რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალში «Сибирские Афины»:

„დაბის კანტორისკენ მიდიოდა სპეცგადასახლებულთა ცხოვრების ყველა გზა.

ბურღვის კანტორამ ადგილობრივი ახალგაზრდა სპეციალისტი, ძლიერი სისხლის რუსი გერმანელი, სიხარულით აიყვანა საბრძოლო შტატში.

რუტინული შრომის ნაცვლად, საქმე დუღდა, გაცისკროვნებული იმ პირველყამირელობის წლების შუქით, რომელიც დღემდე ათინათივით თამაშობს მისი საამაყო ბიოგრაფიის კრისტალებზე.

ტომსკის, ნოვოსიბირსკის, იურგის მედაზგე-მევახტეები – რკინის საქმის პროფესიონალები, სიზუსტის ოსტატები არიან, რადგან „მოშლილი“ დაზგის ფლოტილიაში დეტალების მაღალი სიზუსტით დამუშავება შესაძლებელია მხოლოდ ლესკოვისეული ხელმარჯვე ცაციას მონაცემებით“ (20).

იმისათვის, რომ გავიგოთ ამ ნაწყვეტის ენობრივი ფაქტები (არა მხატვრული ნაწარმოების, ავტორისეული ინერპრეტაციისა და ზემოქმედების ფუნქციაზე ორიენტაციით), აუცილებელია რეალიების, სოციოკულტურული ფონის ცოდნა. სხვაგვარად რთულდება ტექსტის გაგება და ე.ი. კომუნიკაცია.

როგორ გავიგოთ სპეცგადასახლებულთა ცხოვრება, რა არის ბურღვის კანტორა და რატომ აქვს მას საბრძოლო შტატი, როგორია, ზოგადად, რუსი გერმანელის და კონკრეტულად – ძლიერი სისხლის მქონეების სოციოკულტურული თავისებურებები, რითი განსხვავდება არარუტინული შრომა რუტინულისგან, რა არის პირველყამირელობის წლების შუქი, რატომ არის ბიოგრაფია საამაყო, რას ნიშნავს მედაზგე-მევახტეები, რატომ დაზგის ფლოტილია და ისიც – მოშლილი? დასასრულ, ლესკოვის<sup>24</sup> მოთხრობის „ცაცია“ («Левша») ცოდნის გარეშე შეუძლებელია გავიგოთ, რა ადამიანები არიან მედაზგეები. ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად აუცილებელია ისტორიის, ლი-

<sup>23</sup> ვ. კოლიხალოვი (დაბ. 1938) – რუსი მწერალი – მთარგმნ. შენიშვნა.

<sup>24</sup> ნ. ლესკოვი (1831-1895) – რუსი მწერალი; მოთხრობა „ცაცია“ («Левша») გამოქვეყნდა 1881 წელს – მთარგმნ. შენიშვნა.

ტერატურის, ცხოვრების წესის, ღირებულებათა სისტემისა და ბევრი სხვა სოცოკულტურული მომენტის გათვალისწინება, რომელთა გარეშეც მშობლიური ენის სიტყვების მხოლოდ „მნიშვნელობების“ ცოდნა, რომ არაფერი ვთქვათ რუსულზე, როგორც უცხოურ ენაზე, კომუნიკაციას ნაკლებად დაეხმარება.

დ. ჰ. ლოურენსის<sup>25</sup> მოთხრობის ქვემოთ მოყვანილი ნაწყვეტის გასაგებად აუცილებელია ფართო ფონური ცოდნა: კერძოდ, უნდა იცოდეს, თუ რას გულისხმობს მოცემულ საზოგადოებაში გამოთქმა „ქალური ქალები“, უნდა ერკვეოდეს ლიტერატურულ და ბიბლიურ ალუზიებში (მოცემული მეტყველი კოლექტივის კულტურით განპირობებულობა):

He imagined to himself some really **womanly woman**, to whom he should be only “fine and strong”, and not for one moment “the poor little man”. Why not some **simple uneducated girl**, some **Tess of the D’Urbervilles**, some **wistful Gretchen**, some humble Ruth gleaning an aftermath? Why not? Surely the world was full of such! (ხაზგასმა – ს.ტ.). ის თავისთვის წარმოიდგენდა ნამდვილად **ქალურ ქალს**, რომლისთვისაც ის ყოველთვის იქნებოდა მშვენიერი და ძლიერი და არა „ღარიბი პატარა კაცი“. რატომ არა რომელიმე **უბრალო, გაუნათლებელი გოგონა**, რომელიმე **ტესი დ’ერბერვილების** გვარიდან, რომელიმე **მინაზებული გრეთჰენი** ან თავთავების შემგროვებელი მორცხვი რუფი? რატომაც არა? უთუოდ, სამყარო სავსეა ასეთებით!

ამრიგად, ენობრივ მოვლენებში ასახვას პოულობს მოცემული მეტყველი კოლექტივის საზოგადოებრივი ცხოვრების ფაქტები. უცხოური ენის, როგორც ურთიერთობის საშუალების,

---

<sup>25</sup> დევიდ ჰერბერტ ლოურენსი (1885-1930) – ინგლისელი მწერალი. ილაშქრებს ვიქტორიანული მორალის წინააღმდეგ, თუმცა მისთვის მიუღებელია ბურჟუაზიული სამყაროს „მექანისტური ცივილიზაცია“, რადგან ის, მწერლის აზრით, აჩლუნგებს ადამიანის ინსტიქტურ სანყისს. ფონად ხშირად იყენებს სოციალურ ელემენტებს – მთარგმნ. შენიშვნა.

სწავლების ამოცანები განუყოფლად ერწყმის ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხებისა და ქვეყნების საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების შესწავლის ამოცანებს.

## **§5. ენებისა და კულტურების შეპირისპირების როლი მათი არსის უფრო სრულად გასააზრებლად**

The sum of human wisdom is not contained in any one language, and no single language is capable of expressing all forms and degrees of human comprehension.

*Ezra Pound*

არც ერთი ენა არ მოიცავს ადამიანურ სიბრძნეს მთელი მოცულობით და არც ერთ ენას არ ძალუძს გამოხატოს ადამიანური აღქმის ყველა ფორმა და დონე.  
*ეზრა პაუნდი*<sup>26</sup>

ენებისა და კულტურების ურთიერთკავშირი, მათი შესწავლის აუცილებლობა საკამათო არ არის. თუმცა აქ აუცილებელია მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური შენიშვნა გავაკეთოთ.

საქმე იმაშია, რომ ენის და მით უფრო, კულტურის არსებითი თავისებურებები თვალსაჩინო ხდება მათი შეპირისპირებისას, ენების (21) და მით უფრო, კულტურების შედარებითი შესწავლისას. ეს დაჟინებული „მით უფრო“ ხაზს უსვამს განსაკუთრებულ ბუნდოვანებას, კულტურული ბარიერის უჩინარობას ერთი კულტურის დონეზე. თუ ენობრივი ბარიერი აბ-

---

<sup>26</sup> *ეზრა ვესტონ ლუმის პაუნდი (1885-1972) – გამოჩენილი ამერიკელი პოეტი, კრიტიკოსი და ინტელექტუალი, XX საუკუნის პირველი ნახევრის მოდერნისტული მოძრაობის წარმომადგენელი. მას დიდი წვლილი მიუძღვის თანამედროვე პოეზიაში მოდერნისტული ესთეტიკის წარმოჩენაში. პაუნდის მოღვაწეობამ გავლენა იქონია მის თანამედროვეებზე, განსაკუთრებით, უილიამ ბატლერ იეიტსა და ჯეიმზ ჯოისზე – მთარგმნ. შენიშვნა.*

სოლუტურად ამკარაა, კულტურათა ბარიერი ცხადი ხდება მხოლოდ მშობლიური კულტურის სხვა, მისგან განსხვავებულ კულტურასთან შეჯახებისას (ან შეპირისპირებისას): საუკეთესო შემთხვევაში – საკვირველთან, ხოლო ჩვეულებრივ – უბრალოდ, უცნაურთან, არასასიამოვნოსთან, შოკისმომგვრელთან (აქედან მომდინარეობს კულტურული შოკის ცნება). საკუთარი კულტურის ჩარჩოებში იქმნება სამყაროს ხედვის, ცხოვრების წესის, მენტალიტეტის და ა.შ., როგორც ერთადერთი შესაძლებლის და, რაც მთავარია, ერთადერთი მისაღების მყარი ილუზია. უცნაურია, მაგრამ ადამიანების უმრავლესობა თავის თავს არ აცნობიერებს როგორც საკუთარი კულტურის პროდუქტს იმ იშვიათ შემთხვევებშიც კი, როდესაც მათ ესმით, რომ სხვა კულტურების წარმომადგენელთა ქცევა განპირობებულია მათი, სხვა კულტურით. მხოლოდ საკუთარი კულტურის ჩარჩოებს მიღმა, ე.ი. განსხვავებულ მსოფლმხედველობასთან, მსოფლშეგრძნებასთან და ა.შ. შეჯახებისას შეიძლება გაიგოს საკუთარი საზოგადოებრივი ცნობიერების სპეციფიკა, შეიძლება „დაინახოს“ კულტურათა განსხვავება ან კონფლიქტი (22).

ამრიგად, კულტურული ბარიერი, ენობრივთან შედარებით, უფრო საშიში და არასასიამოვნოა. ის თითქოს გაკეთებულია აბსოლუტურად გამჭვირვალე მინისგან და შეუმჩნეველია მანამ, სანამ შუბლით არ შეეჯახები ამ უჩინარ დაბრკოლებას. ის საშიშია იმიტაც, რომ კულტურული შეცდომები უფრო მტკივნეულად აღიქმება, ვიდრე ენობრივი შეცდომები, მიუხედავად იმისა, რომ პირველი უფრო შესაწყნარებელია: კულტურათა სხვადასხვაობა, ენებისგან განსხვავებით, წესების კრებულში არ არის განზოგადებული, არც გრამატიკა მოიპოვება და არც კულტურათა ლექსიკონები. თუმცა საკუთარი გამოცდილებიდან ყველამ ვიცით, როგორი გაგებით ხვდებიან უცხოურ ენაში დაშვებულ შეცდომებს ამ ენების მატარებელი ადამიანები. კულტურულ შეცდომებს კი, როგორც წესი, ასე მარტივად არ პატიობენ და ეს შეცდომები ნეგატიურ შთაბეჭდილებას ახდენენ.

ენათაშორისი და კულტურათაშორისი კომუნიკაციების პრობლემების მთელი სიღრმე და სიფაქიზე განსაკუთრებით

თვალსაჩინო ხდება (ზოგჯერ კი – მარტივად გასაცნობიერებელი) **უცხოური ენების მშობლიურთან და სხვა კულტურის მშობლიურ, ჩვეულ კულტურასთან შეპირისპირებისას**. აი, რატომ არის, რომ შესაძლებლობის შემთხვევაში, სასურველია, საგანი „შესასწავლი ენის სამყარო“ ნაკითხულ იქნეს, ასე ვთქვათ, ორმხრივად, პარალელური კურსების სახით: ერთი – შესასწავლი ენის კულტურისა და ენის მატარებლის მიერ, ხოლო მეორე – მშობლიური ენისა და მშობლიური კულტურის მატარებლის მიერ. სწორედ ასე დგება ეს კურსები ჩვენს ფაკულტეტზე (შესაძლებლობის მიხედვით. ეს დამოკიდებულია კომპეტენტური ლექტორების არსებობაზე).

ასეთი მიდგომა საშუალებას იძლევა უფრო სრული და მრავალმხრივი ცოდნა მივიღოთ შესასწავლი ენის მატარებლის კულტურაზე, რამდენადაც მათი სამყარო წარმოდგენილია, ერთი მხრივ, მათი თვალთახედვით, მეორე მხრივ, შემსწავლელთა მშობლიური კულტურის პრიზმაში, ამ კულტურათა შეჯახებით. ეს შესაძლებლობას იძლევა უფრო ნათლად გავაცნობიეროთ კულტურათა განსხვავებულობა და თავიდან ავიცილოთ კულტურული შოკი სხვა კულტურის წარმომადგენლებთან რეალური ურთიერთობისას.

ასეთივე სახით ისწავლება რუსული ენის სამყარო: მეცადინეობებს ატარებენ როგორც რუსეთის ისტორიის, კულტურის და ა.შ. რუსი სპეციალისტები, ისე უცხოელებიც, რომლებიც ყვებიან მათ მიერ რუსეთისა და რუსების აღქმაზე.

ანდრეი მაკინი<sup>27</sup> თავის წიგნში „Le testament français“ („ფრანგული ანდერძი“) იმაზე საუბრობს, რომ მისი ყველა რუსი ნათესავი განსაკუთრებული ყურადღებითა და ინტერესით ისმენდა მისი ბებუის, ფრანგი შარლოტას, შეხედულებებს, რადგანაც ის საფრანგეთიდან რუსეთში ნებაყოფლობით, საკუთარი არჩევანის საფუძველზე ჩამოვიდა, რუსულ ცხოვრებას სხვა კულტურის პრიზმიდან უყურებდა, რითაც მსმენელებს საშუა-

---

<sup>27</sup> ანდრეი მაკინი – ფრანგი პროზაიკოსი, გონკურის პრემიის ლაურეატი – მთარგმნ. შენიშვნა.

ლებას აძლევდა დაენახათ თავიანთი ცხოვრების მოულოდნელი ასპექტები:

C'est que Charlotte surgissait sous le ciel russe comme une extra-terrestre. Elle n'avait que faire de l'histoire cruelle de cet immense empire, de ses famines, revolutions, guerres civiles... Nous autres, Russes, n'avions pas le choix. Mais elle? A travers son regard, ils observaient un pays meconnaissable, car juge par une étrangere, parfois naive, souvent plus perspicace qu'eux-memes. Dans les yeux de Charlotte s'était reflète un monde inquietant et plein d'une verite spontanee – une Russie insolite qu'il leur fallait decouvrir (23). საქმე იმაშია, რომ შარლოტა თითქოს რუსული ცის ქვეშ ინახავდა თავის ექსტერიტორიულობას. უდიდესი იმპერიის მკაცრ ისტორიას – შიმშილით, რევოლუციებით, სამოქალაქო ომებით – მასთან არანაირი კავშირი არ ჰქონდა... ჩვენ, რუსებს, არჩევანი არ გვქონდა. მაგრამ ის? უყურებდნენ რა რუსეთს შარლოტას თვალებით, ისინი ვერ ცნობდნენ საკუთარ ქვეყანას, რადგანაც ეს იყო უცხოელის ხედვა, ზოგჯერ მიამიტის, მაგრამ ხშირად – უფრო გამჭრიახის, ვიდრე თავად არიან. შარლოტას თვალებში ირეკლებოდა მღელვარე, სტიქიური აღმოჩენებით სავსე სამყარო – უჩვეულო რუსეთი, რომელიც უნდა შეემეცნათ (ა. მაკინი, „ფრანგული ანდერძი“<sup>28</sup>).

და კიდევ ერთი ციტატა, ამჯერად უდიდესი მოაზროვნის ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტისგან: „ჩვენთვის ენების მრავალფეროვნებით იხსნება სამყაროს სიმდიდრე და მრავალგვარობა იმისა, რისი წვდომაც გვინდა მასში; და ადამიანური ყოფიერება ჩვენთვის ხდება უფრო ფართო, რადგანც ენები მკაფიო და მოქმედ ხაზებში გვაძლევენ აზროვნებისა და აღქმის განსხვავებულ მეთოდებს“ (24). ენის მატარებლები, რომლებიც არ ფლობენ უცხოურ ენას, ჩვეულებრივ, ვერ ამჩნევენ ვერც კულტურათა და ვერც ენათა კონფლიქტს.

ეს კონფლიქტი სხვადასხვა დონეზე ვლინდება. მისი შესწავლა უმნიშვნელოვანესია, განსაკუთრებით, როცა ეს სიძნელეები დაფარულია კომუნიკაციის მონაწილეებისგან, მათ შორის, უცხოური ენების სწავლების პროცესის მონაწილეებისგან (მასწავლებელი და მოსწავლე). უფრო მეტად კონფლიქტი ვლინდება

---

<sup>28</sup> რუსული თარგმანი დაიბეჭდა ჟურნალში «Многостранная литература», 1996, №12 – თარგმნ. შენიშვნა.

ლექსიკაში, რადგანაც ენის ეს ნაწილი შესაძლებლობას იძლევა ლექსიკური მნიშვნელობით პირდაპირ და უშუალოდ გავიდეთ რეალურ სამყაროში, არაენობრივ რეალობაში.

სიფრთხილვა საჭირო მშობლიური სიტყვის ეკვივალენტი ახალი უცხოური სიტყვის გამოყენებისას: სიტყვის უკან დგას ცნება, ცნების უკან – რეალური სამყაროს საგანი ან მოვლენა; ეს სამყარო კი უცხოა, განსხვავებული. მიაქციეთ ყურადღება სიტყვას *გამოყენება*: მეტყველების პროცესში, ე.ი. ენის გამოყენების აქტიური უნარების რეალიზაციისას (საუბარი, წერა), განსაკუთრებით მწვავედ დგება კულტურული ბარიერის, კულტურული კომპონენტის, შესასწავლი ენის სამყაროს კულტურული ფონური ცოდნის არსებობის პრობლემა. მართლაც, იმისთვის, რომ არა მხოლოდ გავიგოთ ვიღაცის მიერ შექმნილ ტექსტში სიტყვის მნიშვნელობა, არამედ თავადვე შევქმნათ ეს ტექსტი, აუცილებელია არა მარტო საკუთრივ ამ სიტყვის მნიშვნელობის ცოდნა, არამედ უფრო მეტი – უნდა ვიცოდეთ, თუ რა დგას სიტყვის უკან, უნდა გავიგოთ მეტი საგანზე-ცნებაზე (*thing meant*), მის ადგილსა და ფუნქციაზე იმ სამყაროში, სადაც მოცემული ენა ურთიერთობის რეალურ საშუალებად გამოიყენება.

ენის ფლობის ყველაზე აქტიური უნარების – წერისა და საუბრის, ე. ი. მეტყველების წარმოქმნის – სწავლების ყველაზე რთული პრობლემები აშკარა ხდება მხოლოდ ორი და მეტი ენის დონიდან. ეს არის მეტყველებაში სიტყვების ლექსიკური შეწყობის და, შესაბამისად, ლექსიკოგრაფიის, კომუნიკატიური სინტაქსის და ბევრი სხვა პრობლემა.

აი, რატომ უნდა დაეფუძნოს რუსეთში უცხოური ენების სწავლება მშობლიურ ენასა და კულტურასთან შეპირისპირებას და, აქედან გამომდინარე, მჭიდრო კავშირში იყოს რუსისტიკასთან. ეს არის უცხოური ენების, რუსული ენისა და რუსულის, როგორც უცხოური ენის, სწავლების განვითარებისა და ოპტიმიზაციის უმნიშვნელოვანესი პირობა.

განცხადება იმის თაობაზე, რომ მინიმუმ ორი ენის და ორი კულტურის ცოდნის დონიდან ხდება თვალსაჩინო (როგორც მთის მწვერვალიდან იმლება ახალი სივრცეები და ჰორიზონტე-

ბი) ის ფარული თვისებები და, შესაბამისად, ფარული სიძნელეები, რომლებიც არ ჩანს ერთი ენის დონიდან, შესაძლებლობას გვაძლევს გავაკეთოთ ერთი უმნიშვნელოვანესი პრაქტიკული დასკვნა: **ენის მატარებლები, რომლებიც ასწავლიან მშობლიურ ენას როგორც უცხოურს და ამ დროს არ იციან შემსწავლელთა მშობლიური ენა, ვერ ხედავენ ვერც ამ ფარულ თვისებებს და ვერც ამ ფარულ სიძნელეებს.** ამაშია – სიურპრიზი, სიურპრიზი! – უცხოური ენების უცხოელი პედაგოგების დიდი უპირატესობა ამ ენის მატარებელ პედაგოგებთან შედარებით.

ენებსა და კულტურებს შორის ყველა განსხვავება მათი შეპირისპირებისას ვლინდება. თუმცა სამყაროს ენობრივი სურათის დონეზე ეს განსხვავება არ ჩანს და სხვადასხვა ენის სიტყვები მაცდუნებლად ეკვივალენტურად გამოიყურება, რაც დიდ სიძნელეებს ქმნის უცხოური ენების სწავლების პრაქტიკაში. კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ყველა ეს პრობლემა თავს იჩენს მინიმუმ ორი ენის (და, შესაბამისად, კულტურის) – უცხოურისა და მშობლიურის – შეპირისპირებითი სწავლებისას. ამრიგად, უცხოური ენების სწავლების პრაქტიკაში ისინი ფარულ მხარეს წარმოადგენენ, რომლის დანახვა სტუდენტის მშობლიური ენის არმცოდნე უცხოური ენის მატარებელ პედაგოგებს არ შეუძლიათ.

## შენიშვნები

1. Н. Д. Арутюнова, Г. В. Степанов. Русский язык. М., 1979, с. 410.
2. Э. Сепир. Коммуникация//Избранные труды по языкознанию и культурологии. М., 1993, с. 211.
3. R. H. Robins. General Linguistics. An Introductory Survey. London, 1971, p. 27.
4. Е. М. Верещагин, В. Г. Костомаров. Язык и культура. М., 1990, с. 26.
5. Э. Сепир. Язык. Введение в изучение речи//Избранные труды по языкознанию и культурологии, с. 185.
6. Ю. В. Бромлей. Этнос и этнография. М., 1975, с. 48.
7. Г. А. Антипов, О. А. Донских, И. Ю. Марковина, Ю. А. Со рокин. Текст как явление культуры. Новосибирск, 1989, с.75.
8. В. В. Воробьев. О статусе лингвокультурологии//IX Международ ный Конгресс МАПРЯЛ. Русский язык, литература и культура на рубеже веков. Т. 2. Братислава, 1999, с. 125-126.  
დაზვრილებითი თბ.: В. В. Воробьев. Лингвокультурология. Теория и методы. М., 1997.
9. Moscow News, Sept. 21, 1996, p. 14.
10. Гео, 1998, №71, сентябрь, с. 66-67.
11. И. И. Кашмадзе. Вожди глазами переводчика//Аргументы и факты, 1996, №18, с. 9.
12. П. Устинов. О себе любимом. Пер. Т. Л. Черезовой. М., 1999, с. 188.
13. О. Чечин. Лишь узел смерти я не развязал//Врач, 1996, август, с. 45-46.
14. L. Bohannan. Shakespeare in the Bush. Applying Cultural Anthropology. Ed. By A. Podolefsky/Peter Brown. Mayfield Publishing Company, 1991, p. 38-39.
15. Г. А. Антипов, О. А. Донских, И. Ю. Марковина, Ю. А. Со рокин. Указ. соч., с. 77.

16. Э. Сепир. Коммуникация//Избранные труды по языкознанию и культурологии, с. 211.
17. Э. Сепир. Язык. Введение в изучение речи//Там же, с.185.
18. Е. М. Верещагин, В. Г. Костомаров. Указ. соч., с. 30.
19. В. В. Воробьев. Лингвокультурология. Теория и методы. М., 1997.
20. В. Колыхалов. Проточные годы//Сибирские Афины, 1997, №3, с. 38.
21. „ორი ენის შედარებითი აღწერა თავლსაჩინოს ხდის ყოველ ენაში არსებულ ლექსიკურ პრობლემებს, „თეთრ ლაქებს“ ენის სემანტიკურ რუკაზე, რომლებიც შიგნიდან შეუმჩნეველია მხოლოდ ერთი ენის მცოდნე ადამიანისთვის“ (Ю. С. Степанов. Французская стилистика. М., 1965, с. 120).
22. „ეთნიკური სიმბოლოების სახით შეიძლება შეგვხვდეს როგორც მატერიალური, ისე ხმოვანი კულტურის ელემენტები. ეს ფუნქცია სრულებითაც არ არის მათი შინაგანი ფუნქცია. ის ვლინდება მხოლოდ და მხოლოდ ეთნოსებს შორის კონტაქტის პირობებში. ამიტომაც კულტურის ერთსა და იმავე ელემენტს ერთ შემთხვევაში შეუძლია გამოხატოს ეთნიკური სპეციფიკა, მაგრამ მოკლებული იყოს ამ ფუნქციას მეორეში“ (Ю. В. Бромлей. Этнос и этнография. М., 1973, с. 66).
23. A. Makine. Le testament francais. [Paris], Mercure de France, 1997, p. 102.
24. В. фон Гумбольдт. Язык и философия культуры. М., 1985, с. 349.

# ენა როგორც კულტურის სარკე

## თავი 1. რეალური სამყარო, კულტურა, ენა. ურთიერთობა და ურთიერთქმედება

Cultures are chiefly transmitted through spoken and written languages. Encapsulated within a language is most of a community's history, and a large part of its cultural identity.

*David Crystal*

კულტურა, ძირითადად, წერილი და ზეპირი მეტყველებით გადაიცემა. ენა მოიცავს საზოგადოების ისტორიასა და მისი კულტურული იდენტობის დიდ ნაწილს.  
*დევიდ კრისტალი*<sup>29</sup>

### §1. საკითხის დასმისთვის. ენითა და კულტურით შექმნილი სამყაროს სურათი

დანვრილებით შევხვით ენისა და რეალობის, ენისა და კულტურის ურთიერთობასა და ურთიერთქმედებას. ეს პრობლემები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ როგორც ურთიერთობის ფორმების სრულყოფასა და ეფექტურობაში, ასევე უცხოური ენების სწავლებაში; მათი იგნორირებით აიხსნება ბევრი წარუმატებლობა საერთაშორისო კონტაქტებსა და პედაგოგიურ პრაქტიკაში.

ამ თემის განხილვისას ყველაზე გავრცელებული მეტაფორებია: ენა – გარემომცველი სამყაროს ს ა რ კ ე, ის ა ს ა ხ ა ვ ს სინამდვილეს და ქმნის ყოველი ენისთვის, შესაბამისად, ხალ-

<sup>29</sup> დევიდ კრისტალი (დაბ. 1941) – ბრიტანელი ფილოლოგი, ენათმეცნიერი. ის ინტერნეტის ლინგვისტიკაში კვლევების წარმართვის ოთხ, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ, პერსპექტივას ასახელებს: სოციოლინგვისტურს, სტილისტურს, გამოყენებითსა და პედაგოგიურს – მთარგმნ. შენიშვნა.

ხისთვის, ეთნიკური ჯგუფისთვის, მეტყველი კოლექტივისთვის (რომლებიც მოცემულ ენას ურთიერთობის საშუალებად იყენებენ) სამყაროს სპეციფიკურ და უნიკალურ სურათს.

მეტაფორებს მხატვრულობა ახასიათებს და, რამდენადაც ეს უცნაური არ უნდა იყოს, ისინი განსაკუთრებულად სამეცნიერო ტექსტებშია სასარგებლო. არ შევჩებებით მხატვრული ტექსტის მაგიურობას, სადაც მეტაფორებისთვის სამოთხე და მათი ბინადრობისთვის ბუნებრივი გარემოა, მაგრამ მეტაფორების მისაღებობა და ეფექტი დამოკიდებულია მეცნიერებას დაუქვემდებარებელ, უფაქიზეს მომენტებზე: ენობრივ გემოვნებასა და სიტყვის ოსტატის ნიჭზე. დავუტოვოთ კეისარს კეისრის, ხოლო მხატვარს – მხატვრის. სამეცნიერო ტექსტში ყველაფერი შედარებით მარტივი და განსაზღვრულია: აქ მეტაფორები სასარგებლოა, როდესაც ისინი რთული სამეცნიერო მოვლენის, ფაქტის, დებულების (სხვათა შორის, გემოვნება და ზომიერების გრძნობა ისევე აუცილებელია სამეცნიერო ტექსტის ავტორისთვის, როგორც მხატვრული ტექსტის შემქმნელისთვის) გაგებასა და აღქმას აადვილებენ.

ენის სარკესთან შედარება მართებულია, მასში ნამდვილად აისახება გარემომცველი სამყარო. ყოველი სიტყვის უკან რეალური სამყაროს საგანი ან მოვლენა დგას. ენა ასახავს ყველაფერს: გეოგრაფიას, კლიმატს, ისტორიას, ცხოვრების პირობებს.

გავიხსენოთ ცნობილი, ლინგვისტური ფოლკლორის ქრესტომატიულ მაგალითად ქცეული, სიტყვა *თეთრის (белый)* მრავალი (სხვადასხვა წყაროს მიხედვით, 14-დან 20-მდე) სინონიმი, რომლებიც ესკიმოსების ენაში თოვლის სხვადასხვა სახისა და იერის აღსანიშნავად გამოიყენება. ანალოგიურად, სიტყვა *აქლემის (верный)* აღსანიშნავად არაბულ ენაში სხვადასხვა მნიშვნელობის შემცველი სიტყვები არსებობს (ცალკე სახელეობია დაღლილი აქლემისთვის, სხვადასხვა ასაკის აქლემისთვის და ა.შ.).


რუსულ ენაში, სავსებით გასაგები მიზეზების გამო, თოვლთან და ზამთართან დაკავშირებული, ძირითადად, ქარბუქის

მნიშვნელობის გამომხატველი, შემდეგი სიტყვები გვხვდება: *пурга, метель, буря, снежная буря, вьюга, поземка*, ხოლო ინგლისურ ენაში ეს მრავალფეროვნება გამოხატულია სიტყვით *snowstorm*, რომელიც სრულიად საკმარისია თოვლთან დაკავშირებული ყველა პრობლემის აღსაწერად ინგლისურენოვან სამყაროში.

ასეთივე სახის საინტერესო მაგალითია ჰინდის ენაში კაკლის განსაზღვრული სახის აღსანიშნავად გამოყენებული მრავალი სახელწოდება. ეს ადვილად ასახსნელია, „თუ გავაცნობიერებთ, რა როლს ასრულებს ინდოსტანის ნახევარკუნძულის საერთო კულტურასა და სუბკულტურებში არეკის პალმების<sup>30</sup> (*areca catechu*) ნაყოფი – ბეტელის კაკალი.

ინდოეთი ყოველწლიურად მოიხმარს 200 ათას ტონა ასეთ კაკალს: არეკის პალმები ცხელი ნოტიო კლიმატის პირობებში იზრდება, პირველ რიგში, არავის ზღვის სანაპიროს გასწვრივ. ნაყოფს აგროვებენ მოუმწიფებელს, მწიფეს და გადამწიფებულს; აშრობენ მზეზე, ჩრდილში ან ქარში; ხარშავენ რძეში, წყალში ან სხვა კაკლიდან გამონურულ ზეთში წვავენ. ტექნოლოგიის შეცვლა დაუყოვნებლივ ინვესტს გემოს შეცვლას. ყოველ ახალ ვარიანტს კი თავისი სახელწოდება და დანიშნულება აქვს. ინდუსურ რეგულარულ, კალენდარულ და ექსტრაორდინალურ ხალხურ რიტუალებში აქტიურად გამოიყენება არეკის პალმის ნაყოფები“ (1).

რეალური სამყაროსა და ენის თანაფარდობა შეიძლება შემდეგი სახით წარმოვიდგინოთ:



თუმცა სამყაროსა და ენას შორის ენის მატარებელი მოაზროვნე ადამიანი დგას.

<sup>30</sup> იგივე ფუფალა პალმების – მთარგმნ. შენიშვნა.

ენასა და მის მატარებელს შორის არსებული მჭიდრო კავშირი და ურთიერთდამოკიდებულება აშკარაა და ეჭვს არ იწვევს. ენა ადამიანებს შორის ურთიერთობის საშუალებაა და ის განუყოფლად არის დაკავშირებული იმ მეტყველი კოლექტივის ცხოვრებასა და განვითარებასთან, რომელიც ამ ენით, როგორც ურთიერთობის საშუალებით, სარგებლობს.

ენის საზოგადოებრივი ბუნება ვლინდება როგორც მოცემულ საზოგადოებაში მისი ფუნქციონირების გარე პირობებში (ბი- ან პოლილინგვიზმი, ენების სწავლების პირობები, საზოგადოების, მეცნიერებისა და ლიტერატურის განვითარების ხარისხი და ა.შ.), ასევე თვით ენის სტრუქტურაში, მის სინტაქსში, გრამატიკაში, ლექსიკაში, ფუნქციურ სტილისტიკაში და ა. შ. ქვემოთ ამ საკითხებს უფრო მეტი ყურადღება დაეთმობა: რუსული და ინგლისური ენების მასალაზე დაყრდნობით ნაჩვენებები იქნება ადამიანის გავლენა ენაზე, ენის როლი როგორც პიროვნების, ასევე ინდივიდუალური და ნაციონალური ხასიათის ჩამოყალიბებაში.

ამრიგად, ენასა და რეალურ სამყაროს შორის დგას ადამიანი. სწორედ ადამიანი აღიქვამს და შეიმეცნებს სამყაროს გრძნობის ორგანოების მეშვეობით და ამის საფუძველზე ქმნის სამყაროზე წარმოდგენების სისტემას. ამ აღქმის შედეგების გააზრებისა და საკუთარი ცნობიერების პრიზმაში გატარების შემდეგ, ის მათ ენის მეშვეობით თავისი ენობრივი კოლექტივის სხვა წევრებს გადასცემს. სხვანაირად რომ ვთქვათ, **რეალობასა და ენას** შორის დგას **აზროვნება**.


ენა, როგორც აზრის გამოხატვისა და მისი ადამიანიდან ადამიანზე გადაცემის საშუალება, მჭიდროდ უკავშირდება აზროვნებას. ენისა და აზროვნების თანაფარდობა ენათმეცნიერებისა და ფილოსოფიის მარადიული, ურთულესი საკითხია. თუმცა არ არის აუცილებელი წარმოდგენილ ნაშრომში სიღრმისეულად განვიხილოთ ამ ფენომენების პირველადობის თუ მეორადობის საკითხი; ასევე, არ არის აუცილებელი ჩაფუღრმავდეთ დიდი ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტის იდეას იმის თაობაზე, რომ ენა როგორც ნაციონალური სულის გამომხატველი – ეს არის აზროვნებასა და გარე სამყაროს შორის არსებული შუალედური

სამყარო. ამ წიგნის მთავარი მიზანია, აჩვენოს ენასა და აზროვნებას შორის არსებული მჭიდრო ურთიერთკავშირი თუ ურთიერთდამოკიდებულება და მათი თანაფარდობა კულტურასა და სინამდვილესთან.

სიტყვა ასახავს არა თავად რეალობის საგანს, არამედ ენის მატარებლისთვის მის შემეცნებაში ამ საგანზე არსებული წარმოდგენითა და ცნებით თავსმოხვეულ ხედვას. ცნება იქმნება ამ ცნების ზოგიერთი ძირითადი თვისების განზოგადების დონეზე და ამიტომ წარმოადგენს აბსტრაქციას, კონკრეტული თვისებებიდან ყურადღების გადატანას. **სხვადასხვა ხალხში გზა რეალური სამყაროდან ცნებისკენ და შემდგომ მის სიტყვიერ გამოხატვამდე, განსხვავებულია**, რაც განპირობებულია ამ ხალხების განსხვავებული ისტორიით, გეოგრაფიით, ცხოვრების თავისებურებებით და, შესაბამისად, მათი საზოგადოებრივი ცნობიერების განსხვავებულობით. რადგანაც ჩვენი ცნობიერება განპირობებულია როგორც კოლექტიურად (ცხოვრების წესით, წეს-ჩვეულებებით, ტრადიციებით და ა.შ., ე.ი. ყველაფერი იმითი, რაც ზევით განისაზღვრა სიტყვით *კულტურა* თავისი ფართო, ეთნოგრაფიული გაგებით), ასევე ინდივიდუალურად (მოცემული კონკრეტული ინდივიდისთვის დამახასიათებელი სამყაროს სპეციფიკური აღქმით), ამიტომ ენა სინამდვილეს ასახავს არა პირდაპირ, არამედ ორი ზიგზაგით: რეალური სამყაროდან აზროვნებისკენ და აზროვნებიდან ენისკენ. სარკესთან დაკავშირებული მეტაფორა უკვე არც ისე ზუსტია, როგორც ეს დასაწყისში ჩანდა, რადგანაც ს ა რ კ ე აღმოჩნდა მ რ უ დ ი: მისი სიმრუდე განპირობებულია მეტყველი კოლექტივის კულტურით, მისი მენტალიტეტით, სამყაროს ხედვით ან მსოფლმხედველობით.

ამრიგად, **ენა, აზროვნება და კულტურა** ისე მჭიდროდ უკავშირდებიან ერთმანეთს, რომ პრაქტიკულად წარმოადგენენ ამ სამი კომპონენტისგან შემდგარ ერთ მთლიანობას. არც ერთ მათგანს არ შეუძლია ფუნქციონირება (და, შესაბამისად, არც არსებობა) ორი დანარჩენის გარეშე. ისინი ყველა ერთად თანაფარდობაშია **რეალურ სამყაროსთან**, უპირისპირდებიან მას,

დამოკიდებული არიან მასზე, ასახავენ და ახდენენ მის ფორმირებას. ზემოთ მოყვანილი სქემა ზუსტდება შემდეგი სახით:



ამრიგად, ადამიანის გარემომცველი სამყარო წარმოდგენილია სამი ფორმით:


- სამყაროს რეალური სურათი;
- სამყაროს კულტურული (ან ცნებითი) სურათი;
- სამყაროს ენობრივი სურათი.

**სამყაროს რეალური სურათი** – ეს არის ობიექტური, ადამიანის მიღმა არსებული მოცემულობა, ადამიანის გარემომცველი სამყარო.

**სამყაროს კულტურული (ცნებითი) სურათი** – ეს არის რეალური სურათის ასახვა, გარდატეხილი ცნებითი აპარტის პრიზმაში, მიღებული წარმოდგენების საფუძველზე და გატარებული როგორც კოლექტიურ, ისე ინდივიდუალურ ცნობიერებაში.


სამყაროს კულტურული სურათი სპეციფიკურია და განსხვავებული სხვადასხვა ხალხში. ეს განპირობებულია მთელი რიგი ფაქტორებით: გეოგრაფიით, კლიმატით, ბუნებრივი პირობებით, ისტორიით, სოციალური მოწყობით, რწმენით, ტრადიციებით, ცხოვრების წესით და ა.შ. მოვიყვანოთ მაგალითები.

საერთაშორისო კონგრესზე SIETAR ფინეთში, 1994 წელს, ნორვეგიელმა კოლეგებმა კულტურათაშორისი კომუნიკაციების ცენტრიდან, წარმოადგინეს მათ მიერ შემუშავებული ევროპის კულტურული რუკა. რუკა ასახავს ევროპული ქვეყნების არა რეალურ გეოგრაფიულ და პოლიტიკურ თავისებურებებს, არამედ ამ ქვეყნების აღქმას, რომელიც ნორვეგიელებისთვის დამახასიათებელი კულტურული წარმოდგენების სტერეოტიპებს ეფუძნება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არის ევროპის კულტურული სურათი, დანახული ნორვეგიის მცხოვრებლების თვალთ. აი, როგორ გამოიყურება აღნიშნული რუკა:




Europas navle [ევროპის ჭიპი]; Volvo [„ვოლვო“]; sauna & vodka [საუნა და არაყი]; Russere [რუსები]; nesten Russere [თითქმის რუსები]; badestrand [პლაჟი]; nyttårs-konsert [საახალწლო კონცერტი]; fri hastighet [სიჩქარე არ იზღუდება]; svarte bankkonti [ჩრდილოვანი საბანკო ანგარიშები]; mafia [მაფია]; flatt [ბრტყლად, სწორად]; godt kjøkken [კარგი სამზარეულო]; billig [იაფად]; billigere [უფრო იაფად]; IRA [ირა (ირლანდიის რესპუბლიკური არმია)]; nesten IRA [თითქმის ირა]; Charles & Di [ჩარლზი და დიანა]; Vigdis [ვიგდისი (ისლანდიის პრეზიდენტი)]; Tivoli & Legoland [ტივოლი და ლეგოლენდი].

შედარებისთვის მოვიყვანოთ ევროპის ანალოგიურ კულტურულ რუკებს, რომლებიც მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის უცხოური ენების ფაკულტეტის სტუდენტებმა შეადგინეს. ევროპული სამყაროს ეს სურათები თანამედროვე რუსეთის მცხოვრებლების კულტურული წარმოდგენების სტერეოტიპებს ასახავენ.



Enjoy your meal! [გემრიელად მიირთვით!]; Unknown „cuisine“ [უცნობი „სამზარეულო“]; I've never been in the UK [არასდროს ვყოფილვარ გაერთიანებულ სამეფოში]; Salmon [ორაგული]; Olives [ზეთისხილი]; Red wine [წითელი ღვინო]; Pork [ღორის ხორცი]; Beer and sausages [ლუდი და სოსისი]; Cheese [ყველი]; Pizza [პიცა]; Spaghetti [სპაგეტი]; Potato [კარტოფილი]; Beet & carrot [ჭარხალი და სტაფილო]; Grape [ყურძენი]; Sea food [ზღვის პროდუქტი]; Oranges [ფორთოხლები].



Herrings [ქაშაყები]; W.B. Yeats [უ. ბ. იეიტსი]; 5 o'clock [ფაივ ოქლოქ]; Vikings [ვიკინგები]; Mermaid [ქალთევზა]; Peter the Great [პეტრე დიდი]; Santa Claus [სანტა კლაუსი]; Russian language [რუსული ენა]; Cigars [სიგარები]; Salvador Dali [სალვადორ დალი]; Revolution [რევოლუცია]; Chocolate [შოკოლადი]; Drugs [ნარკოტიკი]; Sausages [სოსისები]; Swatch [„სვოთჩი“]; Carnival [კარნავალი]; Pan [პანი]; Beer [ლუდი]; The Alps [ალპები]; Balaton [ბალატონი]; Dracula [დრაკულა]; War [ომი]; Red pepper [წითელი წინკა]; Sirtaki [სირტაკი].

## **ავსტრია**

ვალსი  
ალპები  
მშვიდობიანი ქვეყანა  
მებრძოლი დამოკიდებულება  
ნარსულში  
მუსიკის სამყარო  
თხილამურებზე სრიალი  
მეჯლისები  
ოპერა  
მოცარტი  
ვენური ვალსი  
ყავა ნაღებით

## **ბელგია**

მაქმანები  
ძროხები  
რუბენსი  
შარლ დე კოსტერი  
ძალიან უმნიშვნელო, შეუმ-  
ჩნეველი  
ლუდი

## **ბულგარეთი**

მეზობლები  
ნინაკა

## **გერმანია**

ლუდი და სოსისი  
ლუდი  
პუნქტუალურობა  
ჰიტლერი  
„მერსედესი“  
ხარისხი

## **სიზუსტე**

ნორდიული რასის უპირატე-  
სობა  
რომანტიზმი  
პრუსიელი ჯარისკაცები  
ბავშვები, სამზარეულო,  
ეკლესია  
ომი  
ბერლინის კედელი  
უნივერსიტეტები  
გოეთე  
თანამედროვე ხელოვნება

## **დანია**

ჰამლეტი  
ზღაპრები  
დანიური ორცხობილა  
ბრტყელი, სწორი  
ბევრი კუნძული  
ალი  
ანდერსენი  
საძაგელი იხვის ქუკი

## **დიდი ბრიტანეთი**

ნისლი  
შექსპირი  
ჩაის სმა  
მონარქია  
მშრალი იუმორი  
განსაკუთრებული ჩაი  
რობინ ჰუდი  
ოქსბრიჯი [ოქსფორდი - კემ-  
ბრიჯი]  
წვიმა  
ჯენტლმენები

კარგი მანერები  
5 საათი [ჩაის სმის დრო]  
უცნობი სამზარეულო  
ბეიკერ-სტრიტი  
მწვანე მდელობები  
ციხე-სიმაგრეები  
მოჩვენებები  
ფეხბურთი

### **ესპანეთი**

კორიდა  
ფლამენგო  
გოია  
ელ გრეკო  
ხარები  
მზე  
ტემპერამენტი  
ნვეულება [fiesta]  
შესვენება [siesta]  
დასვენება  
ზეთისხილი  
სალვადორ დალი

### **ირლანდია**

ირა  
მეომარი ქვეყანა  
ბრტყელი, სწორი  
მწვანე გნომები  
კონფლიქტი  
ვისკი  
სიყვარული თავისუფლებისა  
და დამოუკიდებლობისადმი  
იეიტსი

### **იტალია**

სპაგეტი  
პიცა  
ალორძინება  
რომი  
რომის პაპი  
ვენეციური კარნავალი  
ოპერა  
მაკარონი  
არხები  
იმპერია  
კათოლიციზმი  
ყველი

### **იუგოსლავია**

ომი  
დრაკულა (ვამპირი)

### **ნორვეგია**

ვიკინგები  
ფორდები  
კლდეები  
თხილამურებზე სრიალი  
თოვლი  
სიცივე  
თავზი და მეთევზეები  
ქაშაყი  
ნავთობი  
გაზი

### **პოლონეთი**

სლავები  
მაზურკა

## **პორტუგალია**

კოლუმბი  
მეზღვაურები  
პორტუგეინი  
ბევრი კოლონია წარსულში –  
სიღარიბე ახლა  
გრაალი  
სიგარა  
სიცხე  
არავითარი ასოციაციები

## **რუმინეთი**

მეზობლები

## **რუსეთი**

სამშობლო  
რუსები  
ღიაობა  
გულუხვობა  
შესანიშნავი ქვეყანა მრავალი  
ადამიანით, რომლებიც  
ვერ ახერხებენ საღად მო-  
აზროვნე და ბრძენი მმარ-  
თველის მოძებნას  
დიდი და არაპროგნოზირებადი  
კომენტარების გარეშე  
რუსული ენა  
თოვლი  
ძმები  
„მზით დაქანცულები“  
ზამთარი  
არყის ხე  
რომანსი  
მატრიოშკა  
თაგვი

## **ზლაპარი**

არაყი  
ხიზილალა  
ძახველი  
ჰოკეი  
ბალეტი  
ქარვა  
ანდრეი რუბლიოვი  
ხელოვნების უბადლო ნიმუ-  
შები

## **საბერძნეთი**

მითები და ღმერთები  
ოლიმპიური თამაშები  
ანტიკურობა  
პარფენონი  
ზეთისხილი  
ანტიკური ნანგრევები  
ძველი საბერძნეთი  
ჩვენი ცივილიზაციის აკვანი  
ის, რაც ბავშვობიდან ვიცით  
დემოკრატია  
ზღვის პროდუქტები  
სირტაკი

## **საფრანგეთი**

მოდა  
ლვინო  
სუნამო  
რევოლუცია  
სიყვარული  
თავაზიანობა  
არისტოკრატია  
თავისუფლება  
თანასწორობა

სისხლზე დაფუძნებული ძმობა  
ხელოვნება  
სამზარეულო  
შამპანური  
შანელი №5  
ნახო და მოკვდე

### **სლოვაკეთი**

სლავები

### **უნგრეთი**

ნითელი წინაკა  
კალმანი  
ტოკაი  
შემწვარი ბატი  
უცნაური ენა

### **ფინეთი**

სანტა კლაუსი  
საუნა  
არაყი  
ბევრი ტბა  
სიჩუმე  
რუსეთის იმპერიის ყოფილი  
ნანილი  
ზამთარი  
ირმები  
ორაგული

### **შვედეთი**

აბბა  
კარლსონი  
„ელექტროლუქსი“  
„იუროპ“ – როკ-ჯგუფი

მშვიდობიანი  
ზღვების ყოფილი  
მბრძანებელი  
„ვოლვო“  
შვედური ოჯახი  
ჰოკეი  
ვიკინგები

### **შვეიცარია**

საათები  
ბანკები  
სათხილამურო კურორტები  
„ბინძური“ საბანკო ანგარიშები  
სიზუსტე  
კურორტები  
შოკოლადი

### **ჩეხეთი**

სლავები  
იან გუსი  
კაფკა  
ჭალები  
ბორცვები  
კოშკები  
სამკურნალო წყაროები

### **პოლანდია**

ტიტები  
სექსუალური თავისუფლება  
ნარკოტიკები  
XV-XVIII საუკუნეების ფერ-  
წერის სკოლა  
ციგურები  
ყველი  
გემები

ნისქვილი  
მარისუანა

**ყოფილი „სოციალისტური ბა-  
ნაკის“ ქვეყნები**

თითქმის რუსეთი  
ყოფილი მეგობრები  
თითქმის რუსები

საკუთარი გზის მაძიებლები  
ძმები – სლავები  
ძალიან მჭიდროდ არიან და-  
კავშირებული, თითქმის  
არაფრით განსხვავდებიან  
კარტოფილი  
ყურძენი  
ჭარხალი და სტაფილო

**სამყაროს ენობრივი სურათი** რეალობას სამყაროს კულტურული სურათის გზით ასახავს. „სამყაროს ნაციონალურ-სპეციფიკური ენობრივი სურათის არსებობის იდეა გერმანულ ფილოლოგიაში გაჩნდა XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში (მიხაელისი, ჰერდერი, ჰუმბოლდტი). საუბარია, პირველ რიგში, იმაზე, რომ ენა, როგორც იდეალური, ობიექტურად არსებული სტრუქტურა, ორგანიზებას უკეთებს მისი მატარებლების მიერ სამყაროს აღქმას; მეორე მხრივ, ენა – როგორც წმინდა მნიშვნელობების სისტემა – საკუთარ სამყაროს ქმნის, რომელიც თითქოს გადაკრულია რეალურ სამყაროს“ (2).

სამყაროს კულტურული (ცნებითი, კონცეპტუალური) და ენობრივი სურათების თანაფარდობის საკითხი საკმაოდ რთული და მრავალსპექტიანია. მისი არსი დაიყვანება ენასა და კულტურაში რეალობის გარდატეხვის განსხვავებებამდე.

ნიგნში „ადამიანური ფაქტორი ენაში“ ავტორი ამტკიცებს, რომ სამყაროს კონცეპტუალური და ენობრივი სურათები ერთმანეთთან ისეთივე თანაფარდობაშია, როგორც მთელი – ნაწილთან. სამყაროს ენობრივი სურათი არის კულტურული (კონცეპტუალური) სურათის ყველაზე არსებითი ნაწილი. თუმცა ენობრივი სურათი კულტურულზე უფრო ლარიბია, რადგანაც ამ უკანასკნელის შექმნაში, ენობრივთან ერთად, ინტელექტუალური აქტივობის სხვა სახეები მონაწილეობენ. გარდა ამისა, ნიშანი ყოველთვის არ არის ზუსტი და ერთ რომელიმე თვისებას ემყარება“ (3).

როგორც ჩანს, მართებული იქნება ვისაუბროთ არა ნაწილის – მთელთან, ენის – კულტურასთან თანაფარდობაზე, არამედ მათ ურთიერთგამსჭვალვაზე, ურთიერთკავშირსა და ურთიერთქმედებაზე. ენა კულტურის ნაწილია, მაგრამ კულტურაც მხოლოდ ენის ნაწილია. ეს იმას ნიშნავს, რომ სამყაროს ენობრივ სურათს კულტურული სურათი სრულად ვერ ფარავს, თუ ამ უკანასკნელში **ვიგულისხმებთ ადამიანის ცნობიერებაში გარდატეხილი სამყაროს ხატს. ადამიანის მსოფლმხედველობა მისი ფიზიკური გამოცდილებისა და სულიერი მოღვაწეობის შედეგად იქმნება.**

ნიგნში „ადამიანური ფაქტორი ენაში“ სამყაროს სურათის განმარტება არ ითვალისწინებს ადამიანის ფიზიკურ საქმიანობას და გარემომცველი სამყაროს ალქმის ფიზიკურ გამოცდილებას: „სამყაროს სურათის ყველაზე ადეკვატური გაგებაა მისი როგორც ადამიანის მსოფლმხედვის საფუძვლად არსებული სამყაროს საწყისი გლობალური სურათის განმარტება. ეს ახდენს სამყაროს არსებითი თვისებების რეპრეზენტირებას მისი მატარებლების ცნობიერებაში და წარმოადგენს ადამიანის მთელი სულიერი აქტივობის შედეგს“ (4). თუმცა ადამიანის სულიერი და ფიზიკური საქმიანობა ერთმანეთისგან განუყრელია და მათგან ერთ-ერთის გამოთიშვა, თუ საუბარია სამყაროს კულტურულ-კონცეპტუალურ სურათზე, მართებული არ არის.

ამრიგად, სამყაროს კულტურული და ენობრივი სურათები მჭიდრო ურთიერთკავშირშია, განუწყვეტლივ ურთიერთქმედებენ. მათი ამოსავალია სამყაროს რეალური სურათი, უფრო სწორად, უბრალოდ, ადამიანის გარემომცველი რეალური სამყარო.

სხვადასხვა ლინგვისტური სკოლის ყველა მცდელობა ენა მოენწყვიტათ რეალობისგან, წარუმატებელი აღმოჩნდა მარტივი და ნათელი მიზეზის გამო: მხედველობაში მისაღებია არა მხოლოდ ენობრივი ფორმა, არამედ შინაარსიც – ასეთია ნებისმიერი მოვლენის ყოველმხრივი კვლევის ერთადერთი შესაძლებელი გზა. შინაარსი, სემანტიკა, ენობრივი ერთეულები, პირველ რიგში, სიტყვის მნიშვნელობა, ეს არის რომელიღაც ბგერითი (ან გრაფიკული) კომპლექსის თანაფარდობა რეალუ-

რი სამყაროს საგანთან ან მოვლენასთან. ენობრივი სემანტიკა არის გზა ენის საკუთარი სამყაროდან რეალურ სამყაროში. ეს არის ორი სამყაროს შემაერთებელი ძაფი, რომელიც გახლართულია კულტურული სამყაროს საგნებსა და მოვლენებზე მოცემული მეტყველი კოლექტივისთვის მთლიანად და კონკრეტულად – ენის ინდივიდუალური მატარებლისთვის დამახასიათებელი კულტურული წარმოდგენებით.

გზა არაენობრივი რეალობიდან ცნებისკენ და შემდეგ – სიტყვიერ გამოხატულებამდე, სხვადასხვა ხალხში განსხვავებულია. ეს განპირობებულია ამ ხალხების განსხვავებული ისტორიით, ცხოვრების პირობებით და მათი საზოგადოებრივი შემეცნების განვითარების სპეციფიკით. შესაბამისად, სხვადასხვა ხალხში განსხვავებულია სამყაროს ენობრივი სურათიც. ეს ვლინდება სინამდვილის კატეგორიზაციის პრინციპებში, რომლებიც მატერიალიზდება ლექსიკაშიც და გრამატიკაშიც.

სამყაროს ნაციონალურ-კულტურული სურათი, ენობრივთან შედარებით, რა თქმა უნდა, პირველადია. ის უფრო სრულია, მდიდარი და ღრმა, ვიდრე შესაბამისი ენობრივი სურათი. მაგრამ სწორედ ენა ახდენს სამყაროს ნაციონალურ-კულტურული სურათის რეალიზებას, ვ ე რ ბ ა ლ ი ზ ე ბ ა ს, ინახავს მას და თაობიდან თაობას გადასცემს.

ენას არ ძალუძს სამყაროს ნაციონალურ ხედვაში არსებულის სრულად ფოკუსირება, მაგრამ შეუძლია სრულად აღწერა.

ყველაზე თვალსაჩინო ილუსტრაციაა სიტყვა, ენის ძირითადი და, ამავე დროს, მნიშვნელოვანი ერთეული ენის შესწავლისას. სიტყვა არ არის საგნის ან მოვლენის, ადამიანის გარემომცველი სამყაროს გარკვეული „ნატების“ მხოლოდ სახელწოდება. რეალობის ეს ნატები ადამიანმა გაატარა თავის ცნობიერებაში და ასახვის პროცესში შეიძინა მოცემული ნაციონალური საზოგადოებრივი ცნობიერებისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნები, განპირობებული მოცემული ხალხის კულტურით.

სიტყვა შეიძლება შევადაროთ მოზაიკის ნატებს. სხვადასხვა ენაში ეს ნატებები სხვადასხვა სურათად ლაგდება. ეს სურათე-

ბი განსხვავებული იქნება, მაგალითად, ფერებით: იქ, სადაც რუსული ენა თავის მატარებლებს აიძულებს ორი ფერი დაინახონ: *ცისფერი* და *ლურჯი*, ინგლისელი ხედავს მხოლოდ ერთს: *blue*. ამასთან, რუსულენოვანი და ინგლისურენოვანი ადამიანები რეალობის ერთსა და იმავე ობიექტს უყურებენ.

ენა ადამიანს თავს ახვევს სამყაროს გარკვეულ ხედვას. მშობლიური ენის ათვისების პროცესში ინგლისურენოვანი ბავშვი ორ საგანს ხედავს: *hand* და *arm* (*ხელი*), რუსულენოვანი კი მხოლოდ ერთს – *рука*.

ყოველ ადამიანს შესწევს უნარი აღადგინოს ის, რაც არის სინამდვილეში. მათ შორის, ინგლისელს შეუძლია დაინახოს ადამიანის თვალისთვის აღქმადი ყველა ფერი (და საჭიროების შემთხვევაში, შეუძლია ტერმინებით აღნიშნოს ან აღწეროს: *dark blue* [ლურჯი, მუქი ლურჯი], *navy blue* [მუქი ლურჯი], *sky-blue* [ცისფერი, ლაჟვარდოვანი], *pale-blue* [ღია ცისფერი]). ჯერ კიდევ ჩერნიშევსკი<sup>31</sup> ამბობდა: თუ ინგლისელებს აქვთ ერთი სიტყვა *сook*, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი ერთმანეთისგან ვერ ასხვავებენ მზარეულ კაცს და მზარეულ ქალს. ა.ნ. ლეონტიევის სიტყვებით, „ენა წარმოადგენს აუცილებელ პირობას, რომლითაც საგანი ადამიანის თავში ახალ სიცოცხლეს, თავის „არსებობას“ ინყებს“ (5).

უცხო სიტყვის შესწავლით ადამიანი თითქოს მოზაიკის ნატეხს იღებს სხვა, მისთვის ჯერ კიდევ ბოლომდე შეუცნობელი სურათიდან და ცდილობს მის შეთავსებას ცნობიერებაში უკვე არსებულ, მშობლიური ენით შექმნილ სამყაროს ენობრივ სურათთან. სწორედ ეს არის დამაბრკოლებელი გარემოება უცხოური ენების შესწავლისას და ბევრი მოსწავლისთვის მთავარ სირთულეს (ხშირად, დაუძლეველს) წარმოადგენს. ჩვენი გარემომცველი სამყაროს საგნის ან მოვლენის სახელდება მარტივი, მექანიკური, ფოტოგრაფიული აქტი რომ იყოს, რის შედეგადაც მივიღებდით არა ს ა მ ყ ა რ ო ს სურათს, არამედ, უბრალოდ,

---

<sup>31</sup> ნ. ჩერნიშევსკი (1828-1889) – რუსი ფილოსოფოსი, მეცნიერი, მწერალი, კრიტიკოსი და პუბლიცისტი – მთარგმნ. შენიშვნა.

ფოტოს, ერთნაირს სხვადასხვა ხალხში, ყოფიერებით განსაზღვრულს, მათი ცნობიერებისგან დამოუკიდებლად, ასეთ ფანტასტიკურ შემთხვევაში უცხოური ენების შესწავლა (და თარგმნა) ერთი კოდიდან მეორეზე გადასვლის უბრალო, მექანიკურ-მნიემონიკურ პროცესად გადაიქცეოდა.

სინამდვილეში, გზა რეალობიდან სიტყვამდე (ცნების გავლით) რთულია, მრავალმხრივი და ზიგზაგობრივი. სხვა, ახალი ენის შესწავლით ადამიანი სხვა, ახალ სამყაროსაც სწავლობს. მოსწავლე ახალი უცხოური სიტყვით თავის ცნობიერებაში, თავის სამყაროში თითქოს სხვა სამყაროს, სხვა კულტურის ცნების გადმოტანას ახდენს. ასე რომ, უცხოური ენის შესწავლას (განსაკუთრებით, სანყის, საკმარისად ხანგრძლივ ეტაპზე, რომლის იქითაც, სამწუხაროდ, უკეთესი შედეგი არ მიიღწევა) თან ახლავს პიროვნების თავისებური გაორება.

აზროვნების ეს აუცილებელი გარდაქმნა საკუთარი, ჩვეულებრივი, მშობლიური სამყაროს სურათის გადაკეთება სხვა, უჩვეულო ნიმუშის მიხედვით, უცხოური ენის ათვისებისას ერთ-ერთ სირთულეს (მათ შორის, ფსიქოლოგიურს) წარმოადგენს. ამასთან, ეს სირთულე არ არის აშკარა, არ დევს ზედაპირზე, ხშირად გაუცნობიერებელია მოსწავლეების მიერ (ზოგჯერ – მასწავლებლის მიერაც) და ალბათ, ამით აიხსნება ნაკლები ყურადღება ამ პრობლემისადმი.

უფრო დანვრილებით შევჩერდეთ აღნიშნული პრობლემის საკუთრივ ენობრივ ასპექტზე.

ერთსა და იმავე ცნებას, რეალობის ერთსა და იმავე ნაწილს სხვადასხვა ენაში ენობრივი გამოხატვის სხვადასხვა ფორმა აქვს – უფრო სრული ან ნაკლებად სრული. სხვადასხვა ენის სიტყვები, რომლებიც ერთსა და იმავე ცნებას გამოხატავენ, შეიძლება განსხვავდებოდნენ სემანტიკური ტევადობით და ფარავდნენ რეალობის სხვადასხვა ნაწილს. მოზაიკის ნატეხები (სამყაროს სურათის წარმომდგენნი) სხვადასხვა ენაში შეიძლება განსხვავდებოდნენ ზომებითაც. ეს დამოკიდებულია ადამიანის მიერ მისი გარემომცველი სამყაროს ასახვის შედეგად აღქმული მასალის მოცულობაზე. ასახვის საშუალებები და ფორ-

მები, ისევე როგორც ცნებათა ფორმირება, განპირობებულია, თავის მხრივ, მოცემული მეტყველი კოლექტივის ცხოვრების სოციოკულტურული და ბუნებრივი თავისებურებებით. განსხვავებები ენობრივ აზროვნებაში, უცხოური ენის შემსწავლელის მშობლიურ ენასთან შედარებით, ვლინდება ერთი და იმავე ცნების გამოხატვის ფორმების სიჭარბის ან არასაკმარისობის შეგრძნების შემთხვევაში.

სამყაროს ენობრივი და კულტურული სურათის ცნება მნიშვნელოვან როლს თამაშობს უცხოური ენების შესწავლისას. მართლაც, მშობლიური კულტურის ინტერფერენცია კომუნიკაციას ართულებს არანაკლებ მშობლიური ენის ინტერფერენციას. შესასწავლი უცხოური ენა იჭრება ამ ენის მატარებლის კულტურაში და განიცდის მასში ჩადებული კულტურის ზეგავლენას. მშობლიური ენისა და კულტურის სამყაროს პირვანდელ სურათს ზემოდან ედება შესასწავლი ენის სამყაროს მეორადი სურათი.

სამყაროს მეორადი სურათი, რომელიც უცხოური ენისა და კულტურის შესწავლისას წარმოიქმნება, არის არა იმდენად ენით ა ს ა ხ უ ლ ი, რამდენადაც ენით შ ე ქ მ ნ ი ლ ი სურათი.

სამყაროს პირველადი და მეორადი სურათების ურთიერთქმედება რთული ფსიქოლოგიური პროცესია. ის მოითხოვს საკუთარ „მე“-ზე გარკვეული დოზით უარის თქმას და სამყაროს განსხვავებული ხედვისადმი შეგუებას. სამყაროს მეორადი სურათის გავლენით ხდება პიროვნების შეცვლა. „ორ ენაზე მოლაპარაკე ადამიანი, ერთი ენიდან მეორეზე გადასვლისას, იცვლის ხასიათსა და აზროვნების მიმართულებას, ხოლო ამ უკანასკნელის შემდგომ მდინარებაზე კი უშუალოდ ზემოქმედებს. ეს ძალისხმევა შეიძლება შევადაროთ რკინიგზის მეისრის მოქმედებას მატარებლის ერთი რელსიდან მეორეზე გადაყვანისას“ (6). ენების მრავალფეროვნება სამყაროს მრავალფეროვნებას გამოხატავს, ახალი სურათი ახალ წახნაგებს წარმოაჩენს და ჩრდილავს ძველს. უცხოური ენების პედაგოგებზე 30 წლიანი დაკვირვების საფუძველზე შემიძლია ვამტკიცო, რომ ინგლისური, ფრანგული, გერმანული და სხვა ენების კათედრების რუსმა პედაგოგებმა, გარკვეულწილად, შეიძინეს იმ ენების

კულტურების ნაციონალური თვისებები, რომლებსაც ისინი ასწავლიან.

ცხადი ხდება ენათაშორისი სოციოკულტურული თანაფარდობის შესწავლის აუცილებლობა და ამ პრობლემის აქტუალობა კულტურათაშორისი ურთიერთობის ოპტიმიზაციისთვის, უცხოური ენების სწავლების მეთოდების სრულყოფისთვის, თარგმანისა და ლექსიკოგრაფიის თეორიისა და პრაქტიკისთვის.

უკიდურეს შემთხვევაში, როგორც ჩანს, ენობრივი უკმარობა იქნება ამა თუ იმ ცნების გამოსახატავად მისი ეკვივალენტის საერთოდ არარსებობა, რაც გამოწვეულია თვით ცნების არარსებობით. მათ მიეკუთვნება ე.წ. ეკვივალენტის არმქონე ლექსიკა, ანუ სიტყვები, რომელთა შინაარსობრივი მხარე შეუძლებელია შევადაროთ უცხოურ ლექსიკურ ცნებებს. ასეთი ლექსიკა უნიკალურია და დამახასიათებელია მხოლოდ მოცემული სამყაროსთვის და, შესაბამისად, ენისთვის.

საჭიროების შემთხვევაში, სხვა ენობრივი აზროვნებისთვის დამახასიათებელი ცნებების გამოსახატავად, ენა სესხულობს სიტყვებს სხვა ენობრივი სივრციდან. თუ რუსულენოვან სამყაროში არ არის ისეთი სასმისები, როგორებიცაა ვისკი და ელი, ხოლო ინგლისურენოვან სამყაროში კი ისეთი კერძები, როგორებიცაა ბლინი და ბორშჩი, მაშინ მოცემული ცნებები გამოიხატება შესაბამისი ენიდან ნასესხები სიტყვებით. ეს შეიძლება იყოს ნაციონალური კულტურის აღმნიშვნელი სიტყვები (*balalaika, matrioshka, blini, вуски, эль/ბალალაიკა, მატრიოშკა, ბლინი, ვისკი, ელი*), პოლიტიკური, ეკონომიკური ან სამეცნიერო ტერმინები (*perestroyka, импичмент, лизинг, дилер, файл, компьютер/პერესტროიკა, იმპიჩმენტი, ლიზინგი, დილერი, ფაილი, კომპიუტერი*).

ეკვივალენტის არმქონე ლექსიკა, უდავოდ, ნათლად და თვალსაჩინოდ ახდენს სინამდვილის ენობრივი ასახვის იდეის ილუსტრირებას; თუმცა მისი ხვედრითი წილი ენის ლექსიკურ შემადგენლობაში დიდი არ არის: რუსულ ენაში, ე.მ. ვერეშჩაგინისა და ვ.გ. კოსტომაროვის მონაცემებით, ის შეადგენს 6-7%-ს (7). ეკ-

ვივალენტის არმქონე ლექსიკა კარგადაა შესწავლილი თარგმანის თეორიასა და პრაქტიკაში და, თავის მხრივ, ენობრივი უკმარობის უკიდურეს შემთხვევას წარმოადგენს.

უფრო რთულია სიტუაცია, როდესაც ერთი და იგივე ცნება სიტყვიერად სხვადასხვანაირად – ჭარბად ან უკმარად – გამოიხატება სხვადასხვა ენაში.

განვიხილოთ, მაგალითად, ისეთი არაენობრივი ფაქტის გამოხატვის ხერხები, რომელიც რუსულად აღინიშნება სიტყვით *палец* (თითი). ინგლისურად ამ საგნის გამოსახატავად აუცილებელია დაზუსტდეს, რა არის მხედველობაში: ხელის თუ ფეხის თითი. თუ ხელის თითია, მაშინ რომელი? როგორც ცნობილია, ხელის თითები, დიდის გარდა, ინგლისურად აღინიშნება სიტყვით *ingers*, დიდი თითი კი – სიტყვით *thumb*, ხოლო ფეხის თითები – სიტყვით *toes*. რუსული სიტყვათშეთანხმების *десять пальцев* (ათი თითი) ეკვივალენტურია ინგლისური *eight fingers and two thumbs* (რვა თითი და ორი დიდი თითი), ხოლო *десять пальцев* (ოცი თითი) – ეს არის *eight fingers, two thumbs, and ten toes* [რვა თითი, ორი დიდი თითი (ხელებზე) და ფეხების ათი თითი]. რეალური სამყაროს ერთი და იმავე ნაწილის გამოხატვის ფორმა ინგლისური ენის შემსწავლელი რუსი ეროვნების ადამიანში სიჭარბის შეგრძნებას გამოიწვევს (რატომ უნდა დაიყოს თითები შემდეგ სახეებად – *fingers, thumbs, toes?*), ხოლო რუსულის შემსწავლელ ინგლისელში – უკმარობას (ინგლისურ ენობრივ აზროვნებაში სამი განსხვავებული ცნების გაერთიანება ერთში – *палец*).

ამა თუ იმ ენობრივი არსენალის ჭარბი ან უკმარი ფაქტები განსაკუთრებით სენსიტიურია მთარგმნელებისთვის. ეს საკითხი ყოველთვის იდგა თარგმანის თეორეტიკოსებისა და პრაქტიკოსების ყურადღების ცენტრში, მაგრამ ის სრულიად უსაფუძვლოდ არის იგნორირებული პედაგოგებისა და მეთოდისტების მხრიდან.

თუმცა ეკვივალენტის არქონა და არასრული ეკვივალენტურობა საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა სხვადასხვა ენაში, იგულისხმება, რომ სიტყვების უმეტესობა სხვადასხვა ენაში ეკვივალენტურია. მათი საფუძველია ენათაშორისი ცნებები, ანუ

ისინი შეიცავენ ცნებითი მასალის ერთნაირ რაოდენობას, გამოხატავენ სინამდვილის ერთსა და იმავე ნაწილს. მიიჩნევა, რომ ლექსიკის ეს პლასტი უფრო მარტივია ასათვისებლად და სათარგმნად. ეს ასეც იქნებოდა, უცხოური ენის შესწავლა ცნებების სისტემის ათვისებაზე რომ დაიყვანებოდა. მაგრამ ენა შედგება არა ცნებებისგან, არამედ სიტყვებისგან, ხოლო სიტყვის სემანტიკა არ ამოიწურება მხოლოდ ლექსიკური ცნებით. სიტყვის სემანტიკა მნიშვნელოვანწილად განპირობებულია მისი ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური თანაფარდობით და სხვადასხვა სახის სოციოლინგვისტური კონოტაციით. როგორც ჩანს, სიტყვების ეკვივალენტურობა მეტყველებაში მათი სემანტიკისა და რეალური ფუნქციონირების მთელი მოცულობით, საკმაოდ იშვიათია.

ენათაშორისი სინონიმების არსებობა დიდ ეჭვს იწვევს. ამიტომ ენათაშორისი თანაფარდობის პრობლემა ფაქიზ და ყოველმხრივ ანალიზს საჭიროებს. ძალიან ძნელია ისეთი სიტყვების პოვნა, რომლებიც სხვადასხვა ენას განეკუთვნებიან და გამოხატავენ „ერთსა და იმავე ცნებას, არ განსხვავდებიან ერთმანეთისგან ემოციურ-ექსპრესიული, სტილური ან მნიშვნელოვანი ინფორმაციის კონსტანტის რომელიმე სახით“ (8). სხვადასხვა მეტყველი კოლექტივის კულტურით, ადათებით, ტრადიციებით (რომ არაფერი ვთქვათ ადგილის, დროის დეტერმინაციაზე, მიზნებსა და კომუნიაციის სხვა გარემოებებზე) განპირობებულმა ლინგვისტურმა, საკუთრივ, ენობრივი ინფორმაციის აშკარა სხვაობამ, განსხვავებულმა ლექსიკო-ფრაზეოლოგიურმა თანაფარდობამ, სრულიად განსხვავებულმა სოციოლინგვისტურმა კონოტაციებმა, შეუძლებელია გავლენა არ მოახდინოს სიტყვის სემანტიკასა და მის გამოყენებაზე. სწორედ ამიტომაც, საკითხი ენათაშორისი სინონიმების არსებობის თაობაზე (მით უფრო, ენათაშორისი ეკვივალენტებზე) ძალიან პრობლემატურია (9). ცნებითი მნიშვნელობის ხელოვნურად გამოყოფას და ამის საფუძველზე ენობრივი თანაფარდობის დადგენას სურათის დამახინჯება შეუძლია და საბოლოო ჯამში, ის ცუდ სამსახურს გაუწევს უცხოური ენის შემსწავლელსა და მთარგმნელს.

## §2. ენობრივი და კულტურათაშორისი კომუნიკაციის სირთულეები

როგორც ცნობილია, ყოველი კომუნიკაციის საფუძველია ზოგადი ან კომუნიკაციური აქტის მონაწილეების მიერ გაზიარებული კოდი (shared code). ენობრივი კომუნიკაციის შემთხვევაში, ასეთი კოდია კომუნიკანტების მხრიდან ენობრივი ერთეულების ერთნაირი გაგება: ამის გარეშე ურთიერთობა შეუძლებელია. ამასთან დაკავშირებით, ეკვივალენტურობის საკითხი განსაკუთრებულ სიმწვავეს იძენს, რადგანაც სწორედ ეკვივალენტურობის გაგება ყველა ასპექტში (სემანტიკის და განსაკუთრებით, კონოტაციის სხვადასხვა შემთხვევაში) განაპირობებს გაგების ხარისხს.

ენათაშორისი კომუნიკაციის დროს წარმოქმნილი სირთულეები შეიძლება იყოს როგორც აშკარა (მნიშვნელობის მოცულობა, განსხვავება მეტყველებისას, სტილისტური კონოტაციები), ასევე ფარული და ამიტომ – უფრო საშიში.

განვიხილოთ ორი ძირითადი ფარული მიზეზი, რომლებიც ართულებენ კომუნიკაციას საერთოდ და განსაკუთრებით, ინგლისურ ენაზე.

**1. კოლოკაციური ან ლექსიკო-ფრაზეოლოგიური შეზღუდვები, რომლებიც ენის გამოყენებას არეგულირებენ.** ეს ნიშნავს, რომ ყოველი ენის ყოველ სიტყვას აქვს თავისი, მხოლოდ მოცემული ენისთვის დამახასიათებელი შესიტყვებების წრე ან რეზერვი. სხვა სიტყვებით – ის „მეგობრობს“ და შეეწყობა ცალკეულ სიტყვებს, „არ მეგობრობს“ და, შესაბამისად, არ ეწყობა სხვებს. რატომაა, რომ გამარჯვება შეიძლება მხოლოდ *მოიპოვო*, ხოლო დამარცხება – *იწვინო*, რატომაა, რომ რუსულში როლი შეიძლება *ითამაშო*, მნიშვნელობა – *ჰქონდეს*, ხოლო დასკვნები და კომპლიმენტები – *გააკეთო*? რატომაა, რომ ინგლისური ზმნა *to pay* (ნიშნავს *გადახდას*) ეწყობა რუსული ენის თვალსაწიერიდან ისეთ შეუწყობელ სიტყვებს, როგორებიცაა *attention* [ყურადღება], *visit* [ვიზიტი], *compliments* [კომპლიმენტები]? რატომაა, რომ რუსული სიტყვათშეთანხმებები *высокая*

*травы* (მაღალი ბალახი), *крепкий чай* (მაგარი ჩაი), *сильный дождь* (ძლიერი წვიმა) ინგლისურად უღერს როგორც „გრძელი ბალახი“ (*long grass*), „ძლიერი ჩაი“ (*strong tea*), „მძიმე წვიმა“ (*heavy rain*)?

პასუხი ერთია: ყოველ სიტყვას აქვს თავისი ლექსიკო-ფრაზეოლოგიური შესატყვისი ან ვალენტობა. ის ნაციონალურია (და არა უნივერსალური) იმ აზრით, რომ დამახასიათებელია მხოლოდ მოცემული კონკრეტული სიტყვისთვის მოცემულ კონკრეტულ ენაში. ეს სპეციფიკა ისევე ხდება ცხადი მხოლოდ ენათა შეპირისპირებისას, როგორც მშობლიური კულტურა ვლინდება უცხო კულტურასთან შეჯახებისას. ამიტომ ენის მატარებლები ვერ ხედავენ ამ მთავარ სირთულეს უცხოური ენის შემსწავლელთათვის: მათ თავში არც კი მოსდით, რომ რომელიღაც ენაში ჩაი შეიძლება იყოს ძლიერი, ხოლო კომპლიმენტი – გადახდილი.

აქედან გამომდინარე, უცხოური ენის ათვისებისას სიტყვები უნდა იქნეს შესწავლილი არა ცალ-ცალკე, მათი მნიშვნელობის მიხედვით, არამედ ბუნებრივ, მოცემული ენისთვის დამახასიათებელ უფრო მყარ სიტყვათშეთანხმებებში.

ლექსიკური შესიტყვებები ეკვივალენტურობის გაგებას ართულებენ და ძირს უთხრიან თარგმანის საფუძვლებს. ორენოვანი ლექსიკონები ამ მოვლენის დადასტურებაა. სიტყვების თარგმნა იმ ლექსიკონის დახმარებით, რომელიც იძლევა მოცემული სიტყვების „ეკვივალენტურ“ მნიშვნელობებს სხვა ენაში, მოსწავლეებს აბნევს და უბიძგებს მათ უცხოური სიტყვები გამოიყენონ ჩვეულ, მშობლიური ენისთვის დამახასიათებელ კონტექსტში [გამომცემლობაში «Русский язык» ასეთი ტიპის შეცდომებს ადრე *international furniture*-ს უწოდებდნენ. სწორედ ასე თარგმნა ინგლისურ ენაზე, რუსულ-ინგლისური ლექსიკონის დახმარებით, ბეჯითმა მოსწავლემ რუსული გამოთქმა *международная обстановка* (საერთაშორისო ვითარება)]. ასეთი კონტექსტები იშვიათად ემთხვევა.

ავიღოთ, მაგალითად, უმარტივესი (გავრცელებადობის თვალსაზრისით) სიტყვა *წიგნი* და მისი ეკვივალენტი – სიტყვა

*book*. ინგლისურ-რუსულ ლექსიკონში ეს სიტყვა მოყვანილია ყველაზე მეტად გამოყენებად შესიტყვეებებში. მხოლოდ ერთი მათგანი ითარგმნება სიტყვით *წიგნი*.

a ~ on/about birds – книга о жизни птиц – წიგნი ფრინველთა ცხოვრებაზე;

a reference book – справочник – ცნობარი;

a cheque book – чековая книжка – ჩეკების წიგნაკი;

ration books – карточки – ბარათები;

to do the books – вести счета – ანარმოო ანგარიში;

our order books are full – мы больше не принимаем заказов – ჩვენ შეკვეთებს უკვე არ ვღებულობთ;

I can read her like a book – я вижу ее насквозь – მე მას მოხარშულს ვიციცნობ;

We must stick to/go by the book – надо действовать по правилам – წესებით უნდა იმოქმედო;

I'll take a leaf out of your book – я последую твоему примеру – მე შენს მაგალითს მივბაძავ;

He was brought to book for that – за это его привлекли к ответу – ამისთვის მას პასუხი აგებინეს.

იგივე სიტუაციის – როდესაც ცალკეული სიტყვის თარგმანი არ ემთხვევა ამ სიტყვის თარგმანს შესიტყვეებაში – ილუსტრირება შეიძლება მაგალითებით რუსულ-ინგლისური ლექსიკონიდან:

записка – note – ჩანაწერი;

деловая записка – memorandum – საქმიანი ჩანაწერი;

докладная записка – report – მოხსენებითი ბარათი;

любовная записка – love letter, billet-doux – სასიყვარულო ბარათი;

закрытый – closed – დაკეტილი;

закрытое заседание – private meeting – დახურული სხდომა;

закрытое голасование – secret ballot – ფარული კენჭის-  
ყრა;

закрытое помещение – indoors (РАСС) – დახურული შე-  
ნობა.

სიტყვათშეთანხმების დონეზე ეს განსხვავებები კიდევ უფ-  
რო თვალსაჩინოა.

აუდიტორიის გაოცება შესაძლებელია იმის მტკიცებით,  
რომ ინგლისურ ენაზე მოსაუბრე ადამიანები, როგორც ამას მა-  
თი ენა გვიჩვენებს, თავს არ იბანენ. და ეს ნამდვილად ასეა –  
პირდაპირი მნიშვნელობით, ისინი წყლით და საპნით თავს არ  
იბანენ. ისინი – ეს უცნაური ადამიანები! – თმას იბანენ, რადგან  
რუსული სიტყვათშეთანხმების *мыть голову* (თავის დაბანვა)  
ეკვივალენტი ინგლისურში არის *to wash one's hair* (თმის და-  
ბანვა). ეს გამოთქმა არაკორექტულია მელოტებთან მიმართე-  
ბაში.

2. მეორე სირთულე, კიდევ უფრო ფარული, ვიდრე საიდუმ-  
ლოებებია და ლექსიკო-ფრაზეოლოგიური სიტყვათშეთანხმე-  
ბის არაპროგნოზირებადობა, არის სინამდვილის საგნებსა და  
მოვლენებზე სხვადასხვა ხალხის **კულტურულ წარმოდგენებს შორის კონფლიქტი**, რომელიც ამ ენათა „ეკვივალენტური“ სიტ-  
ყვებით აღინიშნება. ჩვეულებრივ, ეს კულტურული წარმოდგე-  
ნები განსაზღვრავენ სხვადასხვა ენის სიტყვების განსხვავებუ-  
ლი სტილისტური კონოტაციების გაჩენას.

საზოგადოდ მიღებული ცნების – მწვანე ფერის – აღნიშ-  
ვნაც კი დიდ ეჭვს იწვევს მისი აბსოლუტური ლექსიკური შესა-  
ბამისობის თვალსაზრისით, რადგანაც გარკვეული მეტაფორუ-  
ლი და სტილისტური კონოტაციები გავლენას ახდენენ სიტყვის  
მნიშვნელობაზე. ეს კონოტაციები კი სხვადასხვა ენაში განსხვა-  
ვებულია. *მწვანე თვალები (зеленые глаза)* რუსულად პოეტუ-  
რად, რომანტიკულად ჟღერს, ალის ჯადოსნური თვალების  
ასოციაციას იწვევს. ინგლისური სიტყვათშეთანხმება *green eyes*  
(*მწვანე თვალები*) კი შურის მეტაფორული გამოხატვაა და აშ-  
კარა ნეგატიურ კონოტაციებს შეიცავს. *Green eyes*-ით გამონ-  
ვეული უარყოფითი ასოციაციები შექსპირის „დამსახურება“,

რადგანაც ტრაგედიაში „ოტელო“ მან შურს, ეჭვიანობას (*jealousy*) მწვანეთვალებიანი ურჩხული – *a green-eyed monster* – უწოდა.

კიდევ ერთი მაგალითი: რუსული სიტყვათშეთანხმება *черная кошка* (შავი კატა) ისევე, როგორც ინგლისური *black cat* (შავი კატა), აღნიშნავს ერთი და იმავე ფერის (შავი) ერთსა და იმავე შინაურ ცხოველს – კატას. თუმცა რუსულ კულტურაში ტრადიციების, ცრურწმენის თანახმად, შავ კატას მოაქვს უბედურება, წარუმატებლობა. ამიტომაც ამ სიტყვათშეთანხმებას უარყოფითი კონოტაციები აქვს.

ინგლისურ კულტურაში შავი კატა წარმატების, მოულოდნელი ბედნიერების ნიშანია და ზოგიერთ მისალოც ბარათზე წარწერით „Good Luck“ („წარმატებები“), რუსების გასაოცრად, გამოხატულია სწორედ შავი კატები.

ლექსიკის ის ფენა, რომელიც „ეკვივალენტურ“ სიტყვებს აერთიანებს, უცხოური ენის შესწავლისას უფრო მეტ სირთულეს ქმნის, ვიდრე ეკვივალენტის არმქონე ან ნაწილობრივ ეკვივალენტური ნაწილი ლექსიკის. საქმე იმაშია, რომ მოჩვენებითი ცნებითი ეკვივალენტურობა, უფრო სწორად, რეალობის ეკვივალენტურობა, აბნევს მოსწავლეს და მას არ შეუძლია სიტყვის გამოყენება სხვის მეტყველებაში ამ სიტყვის ენობრივი ფუნქციონირების თავისებურების, მისი ლექსიკო-ფრაზეოლოგიური შესიტყვებისა და ლინგვისტილისტური კონოტაციების გათვალისწინების გარეშე. სხვანაირად რომ ვთქვათ, იმ თითქოსდა მარტივ შემთხვევებში, როდესაც სხვადასხვა ენის სიტყვები ცნებითი მასალის ერთნაირ რაოდენობას შეიცავენ, სინამდვილის ერთსა და იმავე ნაწილს ასახავენ, მეტყველებაში შეიძლება ისინი სხვადასხვანაირად იქნეს გამოყენებული, რადგანაც ის განსხვავებული ენობრივი აზროვნებითა და განსხვავებული სამეტყველო ფუნქციითაა განპირობებული.

ამრიგად, ენობრივი ეკვივალენტურობა – ეს არის მითი, რომელიც იმსხვრევა, თუ მხედველობაში ისეთ ფაქტორებს მივიღებთ, როგორებიცაა სემანტიკის მოცულობა, სტილისტური კონოტაციები, ლექსიკური შეთანხმება. ყველა ეს პრობლემა კარგადაა ნაცნობი როგორც ლინგვისტებისა და მთარგმნელების-

თვის, ასევე უცხოური ენის პედაგოგებისთვის. შედარებით ნაკლები ყურადღება მიიპყრო (ამიტომაც აღმოჩნდა ის უფრო დაფარული) სხვადასხვა ენის სიტყვების ეკვივალენტურობის კულტუროლოგიურმა ასპექტმა. სიტყვა როგორც ენის ერთეული რეალური სამყაროს რომელიღაც საგანს ან მოვლენას შეეფარდება (სიტყვის მნიშვნელობა). თუმცა სხვადასხვა კულტურაში არა მხოლოდ ეს საგნები და მოვლენები შეიძლება იყოს განსხვავებული (ესკიმოსის, ჩინელის, ყირგიზისა და ინგლისელის სახლი – ეს ძალიან განსხვავებული სახლებია), არამედ განსხვავებული იქნება კულტურული ცნებებიც ამ საგნებსა და მოვლენებზე, რადგანაც ისინი ცხოვრობენ და ფუნქციონირებენ სხვადასხვა – უცხო – სამყაროსა და კულტურაში. ენობრივი ეკვივალენტურობა გულისხმობს ცნებით ეკვივალენტურობას, კულტურული წარმოდგენების ეკვივალენტურობას (10).

### **§3. უცხოური სიტყვა – კულტურათა გზაჯვარედინი**

გავერკვეთ, რა დგას ცნებითი ეკვივალენტურობის, ცნებითი მასალის ერთნაირი რაოდენობის უკან. სოციოკულტურული კომპონენტის გათვალისწინებით რუსული და ინგლისური ენების შეპირისპირება სიღრმისეულად წარმოაჩენს იმ განსხვავებებს, რომლებიც ამ ენების სიტყვების, ანუ სინამდვილის რეალურ საგნებსა და მოვლენებზე კულტურული წარმოდგენებისა და თვით ამ საგნებისა და მოვლენების უკან დგას.

საკვლევად ავიღოთ იმ საგნებისა და მოვლენების აღმნიშვნელი ყველაზე მარტივი სიტყვები, რომლებიც ყველა ხალხსა და კულტურაში გვხვდება.

კონკრეტული მაგია, რომელიც ჩვენს ოთახში დგას, „რეალობის ნაწილია“. როდესაც ჩვენი გარემომცველი სამყაროს ამ საგანს წარმოვთქვამთ, ჩვენს აზროვნებაში არსებობს გარკვეული ცნება, წარმოდგენა მაგიდაზე, რომელიც განზოგადებულია განმარტებით ლექსიკონებში, მაგალითად, რუსულში:

**Стол** – предмет мебели в виде широкой горизонтальной доски на высоких опорах, ножках. *Обедать за столом. Письменный стол. Овальный стол. Сесть за стол. Встать из-за стола.*<sup>32/</sup>  
**მაგიდა** – ავეჯის საგანი, ფართო ჰორიზონტალური დაფის სახით, მაღალ საყრდენებზე, ფეხებზე. *სადილი მაგიდის გარშემო. სანერი მაგიდა. ოვალური მაგიდა. მაგიდასთან დაჯდომა. მაგიდიდან ადგომა.*

**Стол** – предмет домашней мебели, представляющий собою широкую поверхность из досок (деревянных, мраморных и др.), укрепленных на одной или нескольких ножках, и служащий для того, чтобы ставить или класть что-нибудь на него. *Круглый стол. Письменный стол. Обеденный стол. Ломберный стол. Кухонный стол. Туалетный стол.*<sup>33/</sup>  
**მაგიდა** – ოჯახის ავეჯის საგანი, რომელსაც აქვს დაფის ფართო ზედაპირი (ხის, მარმარილოსი და სხვ.), დამაგრებული ერთ ან რამდენიმე ფეხზე და გამოყენებული რამის დასადებად ან დასადგმელად. *მრგვალი მაგიდა. სანერი მაგიდა. სადილის მაგიდა. ლომბერის მაგიდა. სამზარეულოს მაგიდა. ტუალეტის მაგიდა.*

ან ინგლისურ ლექსიკონებში:

**Table** – article of furniture consisting of flat top of wood or marble, etc. and one or more usu. vertical supports esp. one on which meals are laid out, articles of use or ornament kept, work done, or games played.<sup>34</sup> **მაგიდა** – ავეჯის საგანი, რომელიც შედგება ხის, მარმარილოს ან სხვა ზედაპირისგან, ერთი ან რამდენიმე ვერტიკალური საყრდენით: საჭმლისთვის, სამკაულების შესანახად, სამუშაოს შესასრულებლად ან სათამაშოდ.

**Table** – a flat surface, usually supported by four legs, used for putting things on.<sup>35</sup>

---

<sup>32</sup> С. И. Ожегов. *Словарь русского языка*. М., 1972.

<sup>33</sup> Толковый словарь русского языка. Под редакцией Д. Н. Ушакова. Т. 1-4. Л., 1934-1940.

<sup>34</sup> *The Concise Oxford Dictionary*. Oxford University Press, 1964.

<sup>35</sup> *Cambridge International Dictionary of English*. Cambridge University Press, 1995.

**მაგიდა** – ბრტყელი ზედაპირი, ჩვეულებრივ, ოთხ ფეხზე, გამოიყენება ნივთების დასადაბად.<sup>36</sup>

სხვადასხვა კულტურაში ცნება იმ საგნის შესახებ, რომელიც სხვადასხვა ენაში სხვადასხვა სიტყვით აღინიშნება, როგორც განსხვავებული ბგერათა კომპლექსებით (*стол, der Tisch, a table, la table*), მაგრამ „მნიშვნელობით ეკვივალენტური“, განსხვავებული იქნება. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული კულტურების შეპირისპირებისას. მაგალითად, თურქმენეთში მაგიდა არის სუფრა ან მუშაშობის ნაგლეჯი იატაკზე და მხოლოდ „ევროპელი სტუმრებისთვის“, განსაკუთრებული პატივისცემის სადემონსტრაციოდ, შეიძლება შემოიტანონ და დადგან მაგიდა ჩვენიული გაგებით. მაგრამ საუბარი შეეხება არა ასეთ აშკარა კულტურულ განსხვავებებს. მონათესავე ევროპულ კულტურებში განსხვავებულობა იმაში, თუ რა დგას სხვადასხვა ენის, ერთი შეხედვით, თითქოს ეკვივალენტურ სიტყვებს შორის, ნათელი ხდება რუსი მსახიობის, ელენა საფონოვას საინტერესო მონაცოდან, რომელიც თავის შვეიცარელ მეუღლესთან ერთად პარიჟში დასახლდა:

*საქმე მხოლოდ სხვა ენას არ ეხება. საქმე იმაშია, რომ როცა მე ნებისმიერ ენაზე ვამბობ სიტყვას **მაგიდა**, ვხედავ ჩემ წინ მრგვალ, ხის მაგიდას ოთხ ფეხზე, ჩაის ფინჯნებით. როცა ფრანგები ამბობენ სიტყვას **მაგიდა**, ისინი ხედავენ მინის მაგიდას ერთ ფეხზე, მაგრამ ყვავილებით. მათ დადანაშაულებას აზრი არ აქვს. მათ ასეთივე წარმატებით შეუძლიათ დამადანაშაულონ მე. ისინი ჩვენზე უარესები არ არიან, უბრალოდ, ისინი სხვანაირები არიან (11).*

ეს ცოტა გულუბრყვილო, მაგრამ მახვილგონივრული და ზუსტი დაკვირვება საგნის, ცნებისა და სიტყვის ურთიერთობების აშკარა ილუსტრაციაა. ეს ურთიერთობები შეიძლება შემდეგნაირად განვაზოგადოთ: რეალურ საგანსა და ამ საგნის აღმნიშვნელ სიტყვას შორის დგას ცნება, მოცემული მეტყველი კოლექტივის კულტურითა და სამყაროს ხედვით განპირობებუ-

---

<sup>36</sup> ქართულ კულტურაში მაგიდა არის ხის, მარმარილოს და მისთ. დგამი სხვადასხვა დანიშნულების. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი ([www.ice.ge/liv/liv/ganmartebiti.php](http://www.ice.ge/liv/liv/ganmartebiti.php)) – მთარგმნ. შენიშვნა.

ლი. „სხვადასხვა ენა – ეს სრულებითაც არ არის ერთი და იმავე ნივთის სხვადასხვანაირი აღნიშვნა, არამედ მისი განსხვავებული ხედვა... ენები იეროგლიფებია, რომლებშიც ადამიანი აქცევს სამყაროსა და თავის წარმოდგენას“ (12).

რუსული სიტყვა *дом* (სახლი) მარტივად „ითარგმნება“ ნებისმიერ ენაზე. მაგალითად, ინგლისურად – *house*. თუმცა რუსული სიტყვა *дом* თავისი მნიშვნელობით უფრო ფართოა, ვიდრე სიტყვა *house*, რადგანაც ის შეიძლება იყოს ნებისმიერი შენობა, სადაც ცხოვრობს და მუშაობს ადამიანი: *наше министерство – это высокий серый дом на углу/ჩვენი სამინისტრო – ეს არის მაღალი, ნაცრისფერი შენობა კუთხეში; наш факультет переехал в новый дом, следующий за кинотеатром «Литва»/ჩვენი ფაკულტეტი გადავიდა ახალ, კინოთეატრ „ლიტვის“ მომდევნო სახლში და ა.შ.*; ამ კონტექსტებში სიტყვა *house* მიუღებელია: *house* არის სახლი, სადაც თქვენ ცხოვრობთ, მაგრამ არ მუშაობთ. ის სახლი, სადაც თქვენ მუშაობთ, არის *building* (შენობა). დიდი, მრავალსართულიანი სახლი, სადაც თქვენ ცხოვრობთ, ეს არ არის *house*, ეს არის *block of flats* (კორპუსი, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი) და ა.შ.<sup>37</sup>

განსხვავება ამ სიტყვების სემანტიკის მოცულობაში აღწერა ლ.ს. ბარხუდაროვიმ:<sup>38</sup> „რუსული სიტყვა *дом* ინგლისური *house*-ის ეკვივალენტად შეიძლება ჩავთვალოთ; თუმცა ეს სიტყვები მხოლოდ ორი მნიშვნელობით ემთხვევა ერთმანეთს:

---

<sup>37</sup> ქართულ კულტურაში **სახლი** არის: 1. ადამიანთა საცხოვრებელი შენობა. 2. გადატ. ერთ სახლში მცხოვრებნი, ოჯახი. 3. გადატ. ბინა, თავშესაფარი. 4. ზოგიერთი კულტურულ-საზოგადოებრივი დაწესებულების სახელწოდება. **შენობა** – რაიმე მასალის (აგურის, ხის, ქვის) საცხოვრებელი ან სხვა დანიშნულების ნაგებობა. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი ([www.ice.ge/liv/liv/ganmartebiti.php](http://www.ice.ge/liv/liv/ganmartebiti.php)) – მთარგმნ. შენიშვნა.

<sup>38</sup> ლ.ს. ბარხუდაროვი (1923–1985) – რუსი ენათმეცნიერი, თარგმანის თეორიის სპეციალისტი – მთარგმნ. შენიშვნა.

«здание, строение» [შენობა] (მაგალითად, *каменный дом* – *a stone house*) [ქვის სახლი] და «династия» [დინასტია] (მაგალითად, *дом Романовых* – *the House of Romanovs*) [რომანოვების სამეფო სახლი]. ყველა სხვა მნიშვნელობაში ეს სიტყვები ერთმანეთს არ ემთხვევა. რუსულ სიტყვას *дом* აქვს სხვა მნიშვნელობაც – «домашний очаг» [ოჯახური კერა], «место жительства человека» [ადამიანის საცხოვრებელი ადგილი]. ამ შემთხვევაში ის შესაბამისობაშია სხვა ინგლისურ სიტყვასთან, კონკრეტულად კი, სიტყვასთან *home*. რუსულ ენაში *дом*-ს, ასევე, აქვს მნიშვნელობა «учреждение» [დანესებულება], თანაც, ამ მნიშვნელობით ის ინგლისურ ენაზე ყოველთვის განსხვავებულად ითარგმნება. ეს თარგმანი დამოკიდებულია იმაზე, თუ კონკრეტულად რომელ დანესებულებაზეა საუბარი; შევადაროთ *детский дом* [ბავშვთა სახლი] – *children's home* [ბავშვთა სახლი] ან *orphanage* [თავშესაფარი]; *торговый дом* [სავაჭრო სახლი] – *commercial firm* [კომერციული ფირმა]; *сумасшедший дом* (разг.) [საგიჟეთი (სასაუბ.)] – *lunatic asylum* [საგიჟეთი]; *исправительный дом* [გამოსასწორებელი სახლი] – *reformatory* [გამოსასწორებელი სახლი] და სხვ. თავის მხრივ, ინგლისურ სიტყვას *house*, ასევე, აქვს რამდენიმე ისეთი მნიშვნელობა, რომლებიც არა აქვს სიტყვას *дом*: «палата парламента» [პარლამენტის პალატა] (მაგალითად, *the House of Commons*), «театр» [თეატრი] (მაგალითად, *opera house*), «зрители, аудитория» [მაყურებელი, აუდიტორია] (*appreciative house* – «отзывчивая публика» [გულისხმიერი პუბლიკა]), «сеанс» [სეანსი] (*the first house starts at five*), «гостиница» [სასტუმრო] და სხვ. ჩვენ ვხედავთ, რომ რუსული *дом* და ინგლისური *house* არ შეიძლება ჩავთვალოთ „ერთი და იმავე ნივთის ორ იარლიყად“; თითოეული ამ სიტყვათაგანი (ჩვენ ხომ შედარებით მარტივი შემთხვევა განვიხილეთ) თავის თავში მოიცავს მნიშვნელობათა მთელ სისტემას, რომელიც მხოლოდ ნაწილობრივ ემთხვევა სხვა ენაში სიტყვის მნიშვნელობის სისტემას“ (13).

*ბომ* და *house* განსხვავდებიან ერთმანეთისგან მეტყველებაში გამოყენების კუთხითაც. რუსულ ენაში სიტყვა *ბომ* ნებისმიერი მისამართის აუცილებელი კომპონენტია. ინგლისური ენის მოცემულ კონტექსტში მას საერთოდ არა აქვს ეკვივალენტი და, შესაბამისად – „თარგმანი“. თქვენ, უბრალოდ, წერთ ნომერს ქუჩის დასახელების წ ი ნ (10 Downing Street) და არა შემდეგ, როგორც რუსულ მისამართში.

ის, რომ სიტყვა *ბომ* თავისი მნიშვნელობითა და გამოყენების თვალსაზრისით უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე *house*, ანუ მათ შორის სხვაობა სემანტიკის მოცულობასა (მოზაიკის ნატეხების ზომა) და შეთავსებაშია (აუცილებელი *ბომ* რუსულ მისამართში და მისი არარსებობა ინგლისურში) – ყველაფერი ეს წარმოადგენს მნიშვნელოვან სირთულეებს უცხოური ენების შესწავლისას და სწავლებისას.

თუნდაც რომ განვიხილოთ ის სამეტყველო სიტუაციები, რომლებშიც *ბომ* და *house* სემანტიკურად ერთმანეთს ემთხვევა და გამოდის, რომ უნდა იყვნენ ეკვივალენტურები და ადვილად სათარგმნი, აუცილებლად გასათვალისწინებელია **კულტურათა განსხვავებულობა** რეალური საგნების დონეზე თუ არა, მათ შესახებ წარმოდგენებისა და ცნებების დონეზე მაინც. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ცნება, რომელიც გამოხატულია სიტყვით *ბომ* და ის, რაც დგას ინგლისური სიტყვის *house* უკან, სხვადასხვა საგანია, განსაზღვრული განსხვავებული კულტურებით.

იმისთვის, რომ გავიგოთ და, შესაბამისად, სწორად ვთარგმნოთ ინგლისური წინადადება *That morning she had a headache and stayed upstairs*, უნდა ვიცოდეთ, რას წარმოადგენს ინგლისური სიტყვა *house*. ამ წინადადების ინგლისური სიტყვების ეკვივალენტი რუსული სიტყვებია *то утро она имела головную боль и осталась наверху* (იმ დილით მას ჰქონდა თავის ტკივილი და დარჩა ზემოთ). წინადადების აზრის გამოხატველი სწორი თარგმანია – *В то утро у нее болела голова и она не вышла к завтраку* (იმ დილით მას თავი სტკიოდა და სასაუზმოდ არ ჩამოსულა).

საქმე იმაშია, რომ ტრადიციულ ინგლისურ სახლში საძინებლები მხოლოდ ზედა სართულზეა განლაგებული, ხოლო მისაღები ოთახი, სასადილო და სამზარეულო – პირველ სართულზე. ამიტომ ცნებებში *upstairs* (ზევით, კიბეზე ასვლით) და *downstairs* (ქვევით, კიბეზე ჩასვლით) იგულისხმება ცხოვრების წესი და სახლის განლაგება, ანუ ყველაფერი ის, რაც აღინიშნება სიტყვით *house* და, რიგ შემთხვევებში, განასხვავებს მას რუსული სიტყვა-ცნებისგან *дом*. ერთიც და მეორეც – *house* და *дом* – ყალიბდებოდა საუკუნეების განმავლობაში ცხოვრების წესის, კლიმატის, გეოგრაფიული პირობებისა და სხვადასხვა ფაქტორის გავლენით.

აი, მაგალითად, როგორ რეკლამას უკეთებს სამშენებლო ფირმა არქიტექტურულ პროექტს სახელწოდებით „რუსული სახლი მანსარდით“: „თავიდან ეს სახლი ჩაფიქრებული იყო როგორც **რუსული მენტალიტეტის, ცხოვრების წესის, ჩვევების, კლიმატის, ეკონომიკური შესაძლებლობების გამომხატველი საცხოვრებელი სახლი**, საბოლოო ჯამში, მივიღეთ თანამედროვე, მოხერხებული, კომფორტული, თბილი, მყუდრო და საშუალო სიძვირის სახლი რუსებისთვის. განსაკუთრებულ კოლორიტს ამ პროექტს სძენს სხვენის გამოყენება თბილ, ნათელ, სრულფასოვან საცხოვრისად. ჩვენ, მზის სხივებით არც ისე განებივრებულ რუსებს, პროექტი შესაძლებლობას გვაძლევს შევიგრძნოთ მზის შუქით გაჯერებული სივრცის მშვენიერება. სახლში თავისუფლად და კომფორტულად შეუძლია განთავსდეს 5-6 სულიან ოჯახს, რუსეთისთვის დამახასიათებელი დემოგრაფიული შემადგენლობით – ბებია, ბაბუა, მამა, დედა და ბავშვები (ხაზგასმა – ს.ტ.)“ (14).

ისეთი მარტივი, პირდაპირი გაგებით ჩ ვ ე უ ლ ე ბ რ ი ვ ი, ყოველდღიური ბუნებრივი მოვლენები *день-ночь, утро-вечер* (დღე-ღამე, დილა-სალამო) წარმოდგენილია როგორც ენათაშორისი ეკვივალენტური ცნებები. მაგრამ თუ მათ შევადარებთ ინგლისურ სიტყვებს *day-night, morning-evening* (დღე-ღამე, დილა-სალამო), ნათელი ხდება, თუ რაოდენ განსხვავდება სხვა-

დასხვა ხალხში კულტურული წარმოდგენები დღე-ღამის მონაკვეთების შესახებ.

ინგლისური *morning* გრძელდება 12 საათი, ზუსტად შუაღამიდან შუადღემდე. ამიტომ სეირნობით გატაცებული ინგლისელები სახლში ბრუნდებიან არა ღამის პირველ ან ორ საათზე, არამედ დილის პირველ ან ორ საათზე (*one/two o'clock in the morning*). შემდეგ იწყება დღე, მაგრამ არა *day*, როგორც ამას თარგმნიდა რუსულ-ინგლისური ლექსიკონი, არამედ *afternoon* – ნაშუადღევი. როგორც სიტყვის შინაგანი ფორმიდან ჩანს, *afternoon* გრძელდება შუადღიდან, დაახლოებით, ხუთ-ექვს საათამდე, როდესაც იწყება *evening* – თითქოსდა საღამო, რომელიც რვა საათზე იცვლება მოკლე ღამით – *night*. შუაღამე – უკვე არის *morning*.

ინგლისური ენის შემსწავლელ რუსებს შოკში აგდებს უწყინარი ინგლისური წინადადება: *he came to see her last night* [он навестил ее прошлой ночью/მან ის წუხელ ინახულა! ან: *tomorrow night we'll have dinner in a Chinese restaurant* [завтра ночью мы пойдем обедать в китайский ресторан/ხვალ ღამე ჩვენ სადილად ჩინურ რესტორანში წავალთ]. ამ წინადადებებში, რუსული კულტურის თვალსაზრისით, ყველაფერი არასწორადაა: ღამე არც რესტორანში დადიან და არც სადილობენ. რა თქმა უნდა, *last night* – ეს არის «*вчера вечером*»/გასულ საღამოს, წუხელ და არა «*вчера ночью*»/გასულ ღამეს, ხოლო *two o'clock in the morning* – ეს არის «*два часа ночи*»/ღამის ორი საათი. “*You are going late at night (in the West it would be early in the morning)*” [David Wansbrough, November, 2001]. «*Вы возвращаетесь домой поздно ночью (на Западе это было бы: рано утром)*»/„თქვენ სახლში გვიან ღამე ბრუნდებით (დასავლეთში ეს იქნებოდა: დილით ადრე)“.

სიტყვა *день* კიდევ უფრო მეტ სირთულეს ქმნის. რუსული ენობრივი მოზაიკის ნატეხს *день* შეესაბამება ორი ინგლისური სიტყვა – *day* და *afternoon*. *Good day* სრულებითაც არ არის *добрый день*/დღე მშვიდობისა, როგორც ეს შეიძლებოდა გვე-

გულისხმა ინგლისური *good morning*-ის ანალოგიით – *доброе утро/დილა მშვიდობისა ან good evening – добрый вечер/საღამო მშვიდობისა*. *Добрый день/დღე მშვიდობისა* არის *good afternoon*, ხოლო *good day* გამოიყენება მხოლოდ დამშვიდობებისას. თანაც, გამოითქმის მკვეთრად და გაღიზიანებულად, უხეშადაც კი და შეიძლება ითარგმნოს როგორც *разговор окончен, до свидания!*/საუბარი დასრულებულია, ნახვამდის!

თითქოს მარტივი და ცხადია ისეთი უნივერსალური საერთო საკაცობრიო მოვლენა, როგორიცაა კალენდარული წლის სეზონებად ან წელიწადის დროებად დაყოფა. რუსულენოვან ადამიანში ეჭვს არ იწვევს, რომ წელიწადის ოთხივე დრო – ზამთარი, გაზაფხული, შემოდგომა, ზაფხული – წარმოდგენილია სამ-სამი თვით. თორმეტი თვე, წელიწადის ოთხი დრო – ძალიან მარტივი არითმეტიკაა: ზამთრის სამი თვე, გაზაფხულის სამი თვე და ა.შ. ინგლისური წელიწადი, ე.ი. იგივე 365 დღე ინგლისურ კალენდარშიც იყოფა ოთხ დროდ, თუმცა ზამთარი და ზაფხული გრძელდება ოთხ-ოთხი თვე, შემოდგომა და გაზაფხული კი – ორ-ორი. რუსული გაზაფხულის თვე *მაისი*, ინგლისური კალენდრის მიხედვით, ზაფხულად ითვლება; რუსული *ნოემბერი* შემოდგომის თვეა, ხოლო ინგლისური *November* – ზამთრის.

ანალოგიურად, კულტურათა განსხვავებულობის გამო, ეჭვს იწვევს ინგლისურ ენაზე შემდეგი სიტყვების – *завтрак, обед, ужин/საუზმე, სადილი, ვახშამი* – თარგმანების ეკვივალენტურობა. *Breakfast/საუზმე* არსებობს ორი სახესხვაობით: კონტინენტალური და ინგლისური – რუსული ტრადიციის თვალსაწიერიდან, მკაცრად ჩამოყალიბებული, რეგულარული, ღარიბული მენიუთი. *რუსული საუზმე* – ეს არის სრულიად არალიმიტირებული მრავალფეროვნება კერძების, რომელიც ვარირებს სხვადასხვა სოციალურ და ტერიტორიულ ჯგუფში და, უბრალოდ, ოჯახიდან ოჯახისკენ.

*Обед* კიდევ უფრო მეტად გვაბნევს, რადგანაც ეს არის როგორც *lunch*, ასევე *dinner*, უფრო სწორად კი, არც *lunch* და არც *dinner*. ისინი ერთმანეთს არ ემთხვევა არც გასტრონომიულად,

არც კერძებით, არც დროით (*lunch* არის 12 საათზე – ძალიან ადრე სადილისთვის, ხოლო *dinner* – 20-21 საათზე, ძალიან გვიან). *Ужин* /ვახშამი არის როგორც *dinner*, ასევე *supper*.

გონებამახვილმა და დაკვირვებულმა ი. ილფმა და ე. პეტროვმა<sup>39</sup> თავიანთი გმირის, ასევე გონებამახვილი და ძალიან დაკვირვებული ოსტაპ ბენდერის, პირით აღნიშნეს: „ზოგიერთ ქვეყანაში ისე გვიან სადილობენ, რომ ძნელია გაიგო, სადილია ეს თუ ვახშამი“.

აი, როგორ გადაწყვიტეს აღნიშნული პრობლემა არტერიული წნევის იაპონური აპარატის ინსტრუქციის მთარგმნელებმა: *ნორმის ფარგლებში ცვლილებების გრაფიკი:*

*საუზმე (7-10 საათი).*

*ლანჩი (12-14 საათი).*

*საკვების მიღება საღამოს (18-20 საათი).*

კიდევ ერთი მაგალითი. ბებიის აღმნიშვნელი რუსული და ინგლისური სიტყვები – *бабушка* და *grandmother* – არის მშობლების დედის აღმნიშვნელი ტერმინები. თუმცა რა აქვს საერთო რუსულ *бабушка*-ს ინგლისურ *grandmother*-თან? ისინი სრულიად განსხვავებული სახეებია, განსხვავებულად გამოიყურებიან, განსხვავებულად იცვამენ, მათ სრულიად განსხვავებული ფუნქციები აქვთ ოჯახში, განსხვავებულია ქცევა და ცხოვრების წესი. რუსული სიტყვა *babushka* ინგლისურ ენაში არსებული, არცთუ ისე მრავალრიცხოვანი ნასესხები სიტყვიდან ერთ-ერთია, რომელიც აღნიშნავს თავშალს (“*a head scarf tied under the chin, worn by Russian peasant women*”<sup>40</sup> [თავშალი, რომელიც იკვრება ნიკაპის ქვეშ, როგორც ამას რუსი გლეხის ქალები აკეთებენ]). რუსი ბებია დღევანდელი სტატუსით უფრო დაკავებულია, ვიდრე ადრე: ის ზრდის შვილიშვილებს, უძღვება მეურნეობას, მშობლებს აძლევს მუშაობისა და ფულის შოვნის შესაძ-

---

<sup>39</sup> ი. ილფი და ე. პეტროვი – რუსი საბჭოთა სატირიკოსი მწერლები. მუშაობდნენ ერთად. მათი ყველაზე მნიშვნელოვანი რომანებია „თორმეტი სკამი“ (1928) და „ოქროს კერპი“ (1931) – მთარგმნ. შენიშვნა.

<sup>40</sup> *Collins Dictionary of the English Usage. London, Glasgow, 1985.*

ლებლობას. ინგლისურენოვანი grandmother „დამსახურებულად ისვენებს“: მოგზაურობს, ხასხასა ფერებში იმოსება, ერთობა და სასიამოვნოდ ატარებს დროს.

ნათქვამის თვალსაჩინო ილუსტრაციას იძლევა ისეთი სიტყვების შეპირისპირება, როგორებიცაა *vac* და *hour* (საათი). მათი ეკვივალენტურობა თითქოსდა აბსოლუტურია, რადგანაც ტერმინოლოგიურად მათი მნიშვნელობა არის – „დროის ერთეული, 60 წუთის ტოლი“. თუმცა თუ თქვენ საერთაშორისო კომპანიაში იტყვით „ერთ საათში შევხვდეთ“, სავსებით ბუნებრივი იქნება შეკითხვა: „რუსული საათი თუ ინგლისური საათი?“ ამასთან, ყველამ იცის, რომ საათი ნებისმიერ ენაში 60 წუთის ტოლია, მაგრამ საუბარია დროისადმი კულტურული დამოკიდებულების სხვადასხვაობაზე. განსხვავებით რუსებისგან, რომელთა კულტურაშიც ხაზგასმული არ არის პუნქტუალურობა და დაგვიანება არათუ შეიძლება, არამედ ხშირად კულტურულად აუცილებელია (სტუმრად მისვლისას, მიღებებზე და ა.შ.), ინგლისელები ცნობილი არიან თავიანთი სიზუსტით და დროისადმი მომჭირნეობითი დამოკიდებულებით. ჩვენი გამოცდილებით ვიცით, რომ რუსულ დაწესებულებებში შესვენებისთვის განკუთვნილი ერთი საათი შეიძლება გაურკვეველი დროით გაგრძელდეს.

აი, აღნიშნული თემის დამონმება რუსული პრესის მხრიდან: „დღეს, 20 ნოემბერს, 10.30-ზე „ზუსტად“ (როგორც ჩვეულებრივ წერენ აუქციონის კატალოგებში მეტისმეტად თავდაჭერილი ინგლისელები; სხვათა შორის, ისინი, თავიანთი რუსი კოლეგებისგან განსხვავებით, ყველა ღონისძიებას ნამდვილად იწყებენ „წუთი წუთზე“) – ასე რომ, ზუსტად 10.30-ზე ლონდონში, ქინგ სტრიტზე, კრისტის სახლის მთავარ ოფისში დაიწყება მორიგი ვაჭრობა – „საიმპერატორო და რევოლუციის შემდგომი ხელოვნება და ხატები“ (15).

ამრიგად, სამყაროს კულტურულ სურათში რუსებისა და ინგლისელებისთვის სიტყვების – *vac* და *hour* უკან სხვადასხვა ცნება იგულისხმება.

#### §4. კულტურათა კონფლიქტი მარტივი ანკეტის შევსებისას

უმარტივესი ანკეტის შევსებას თან ახლავს თითქმის გადაულახავი კულტურული სირთულეები.

დავინწყით თავიდან. **სახელი, გვარი.** მამის სახელი ინგლისურ ენაში არ არის. ეს ადვილია, ეს არის ეკვივალენტის არმქონე ლექსიკა, მაგრამ სახელი და გვარი არის. როგორც წესი, ანკეტებში, ბლანკებში და ა.შ. წერენ *first name* – *ИМЯ/სახელი*, *last name* – *Фамилия/გვარი*. მაგრამ იქ, სადაც რუსულად ორი სხვადასხვა სიტუაციაა, ინგლისურად არის ერთი და იგივე სიტუაცია – *name*, მხოლოდ სახელი – ეს „პირველია“, ხოლო გვარი – „ბოლო“. ინგლისელებისთვის მარტივია, მათ იციან, რა არის მათ ენაში, მათ კულტურაში პირველი და რა – უკანასკნელი, მათთან სიტყვების რიგი მკაცრი და ფიქსირებულია, ჯერ – სახელი, შემდეგ – გვარი. რუსულში კი სიტყვების რიგი თავისუფალია, ე.ი. ივან პეტროვი ისევე სწორად ჟღერს, როგორც პეტროვი ივანი. ამიტომ რუსი ადამიანი, ანკეტის ინგლისურად შევსებისას, ყველა სიტყვის მნიშვნელობის ცოდნის დროსაც კი, შეიძლება უცებ ვერ მიხვდეს, რომელია მისი სახელებიდან *first* (პირველი) და რომელი *last* (ბოლო). როგორც ჩანს, ეს რთულია უნგრელებისა და ჩინელებისთვისაც, რომლებთანაც სიტყვების რიგი ასევე ფიქსირებულია, მაგრამ ინგლისური ენის საპირისპიროდ – ჯერ გვარი, შემდეგ სახელი. აი, როგორ არის აღწერილი ფირმა „Berlitz“-ის მიერ მომზადებულ ბუდაპეშტის გზამკვლევაში ანდრაშ ჰესის<sup>41</sup> მოედნის სახელწოდება: „Hess Andras ter (like the Chinese, the Hungarians put the last name first, we would call the printer Andras Hess [ჩინელების მსგავსად, უნგრელები ჯერ წერენ გვარს, ჩვენ მხატვარს ვუწოდებდით ანდრაშ ჰესს])“.

<sup>41</sup> ანდრაშ ჰესი – მე-15 საუკუნის უნგრელი პირველმბეჭდავი – მთარგმნ. შენიშვნა.

გეოგრაფიულ დასახელებაში ჯერ სახელი იწერება, შემდეგ – გვარი (улица Алексея Толстого, площадь Индиры Ганди и т. п./ალექსეი ტოლსტოის ქუჩა, ინდირა განდის მოედანი და ა.შ.).

არა ლირიკული, მაგრამ კულტუროლოგიური გადახვევის სახით უნდა აღინიშნოს, რომ, მაგალითად, ჩინური ტრადიციის თანახმად, არ შეიძლება ბავშვს შეარქვა საყვარელი ადამიანის ან ოჯახში უფროსის სახელი, როგორც ეს რუსებთანაა მიღებული. ეს იმით აიხსნება, რომ ძველ ჩინეთში აკრძალული იყო არა მხოლოდ იმპერატორის სახელის, არამედ ამ სახელში მოცემული იეროგლიფების გამოყენება. მსგავსი აკრძალვა შევიდა უბრალო ადამიანების კულტურაშიც (16).

კიდევ ერთი გადახვევა გადახვევიდან. სულ ახლახან ავუხსენი მკითხველსაც და საკუთარ თავსაც ის განსხვავება, რომელიც არსებობს რუსულ ენაში სახელისა და გვარის შედარებით თავისუფალ განლაგებასა და ჩინურში მკაცრად ფიქსირებულ რიგს შორის (ჯერ გვარი, შემდეგ სახელი). მე კი სქოლიოში ბიბლიოგრაფიის მითითებისას ჩინელი, რომელმაც თავის თეზისებს ხელი მოაწერა როგორც *У Гоуха (უ გოხუა)*, დაწვრე *Гоухა* სრულად, რადგანაც მივიჩნიე, რომ ეს იყო გვარი. ეს კიდევ ერთხელ აჩვენებს, თუ როგორი რთულია, ერთი მხრივ, თეორიასა და პრაქტიკას შორის, მეორე მხრივ, სხვადასხვა კულტურას შორის არსებული განხეთქილების გადალახვა. თუ რედაქტირების საერთო წესებს დავიცავთ (ჯერ სახელის ინიციალები, შემდეგ გვარი სრულად), სქოლიო უნდა გაფორმებულიყო შემდეგნაირად (რუსული თვალთახედვით რამდენადაც უცნაური არ უნდა იყოს): *Г. У. (გ. უ.)*. „მაპრილის“<sup>42</sup> IX კონგრესზე ბრატისლავაში ჩინელი კოლეგა უ ნუხილით ამბობდა, რომ ყველა საერთაშორისო ღონისძიებაზე მას მიმართავენ არასწორად: გოხუა უ. (Гоуха У.).

---

<sup>42</sup> МАПРЯЛ – *Международная ассоциация преподавателей русского языка и литературы* (რუსული ენისა და ლიტერატურის პედაგოგების საერთაშორისო ასოციაცია) – მთარგმნ. შენიშვნა.

კიდევ ერთი შემთხვევა კულტურული სხვადასხვაობისა, დაკავშირებული რუსულ და ინგლისურ ენებში სახელის ფორმულირებასთან – ეს არის რუსული კულტურისთვის სრულიად მიუღებელი მანერა ცოლი მოიხსენიო ქმრის სახელითა და გვარით. ერთხელ ჩემმა მეგობარმა ამერიკიდან ამანათი გამომიგზავნა. მასზე ჩვენი მისამართი იყო დაწერილი და კიდევ – ჩვენთვის უცნაური სიტყვათშეთანხმება: *Mrs. Valentin Fatushenkov*. ფოსტაში ეს ამანათი, რა თქმა უნდა, არ მომცეს მიუხედავად ქორწინების მოწმობისა (მე ქალიშვილობის გვარი შევინარჩუნე) და ვრცელი განმარტებებისა კულტურათა სხვაობასა და „მათნეს-ჩვეულებებზე“. ჩვენთან მხოლოდ ჩვენი ნეს-ჩვეულებები მოქმედებენ, რაც სავსებით ლოგიკურია და ამანათის მოსატანად მეუღლეს მოუწია წასვლა, რომელიც უკმაყოფილო იყო არა იმდენად იმით, რომ შეანუხეს ფოსტაში წასვლით, რამდენადაც იმით, რომ ჩემმა უცნაურმა მეგობარმა მას უწოდა «МИССИС» (ქალბატონი). კულტურული შეცდომები, როგორც უკვე ითქვა, განსხვავებით ენობრივი შეცდომების უმეტესობისგან, გამაღიზიანებლად აღიქმება.

გარკვეული დროის შემდეგ მეუღლესთან ისევ მოხდა კონფლიქტი და ისევ სახელის გამო. კულტურულად შეილახა მისი მამაკაცური თავმოყვარეობა: მოსაწვევში დიდი ბრიტანეთის საელჩოს მიღებაზე ის, მართალია, იყო «МИСТЕР»/„ბატონი“, მაგრამ ახლა მას მიმართეს – ო, საშინელებაა! – ჩემი სახელით და გვარით «МИСТЕР Светлана Тер-Минасова»/„ბატონი სვეტლანა ტერ-მინასოვა“. ლოგიკის მიხედვით, ეს ნორმალურია: ინგლისურენოვან კულტურაში თუ შესაძლებელია ცოლს მიმართო მეუღლის სახელით, რატომ არ შეიძლება, რომ პირიქით მოხდეს? (მით უმეტეს, ფემინიზმის აყვავების ეპოქაში). რუსული კულტურისთვის ეს აბსოლუტურად მიუღებელია, მაგრამ მოსაწვევში ნათქვამი იყო:

*On the occasion of the Birthday of Her Majesty Queen Elisabeth II Her Majesty's Ambassador and Lady Wood request the pleasure of the company of Mr. and Mrs. Svetlana Ter-Minasova/მისი უდიდებულესობის დედოფალ ელისაბედ II-ის დაბადების დღესთან*

დაკავშირებით, მისი უდიდებულესობის ელჩსა და ლედი ვუდს აქვთ პატივი მოგინვიოთ მიღებაზე ბატონი და ქალბატონი სვეტლანა ტერ-მინასოვეები.

როდესაც მე მისი სახელი მიწოდეს, ამან მსუბუქი გაცემა (კულტურათა სხვაობა) გამოიწვია, როცა მას ჩემი სახელით მიმართეს, ამან გამოიწვია მძაფრი აღშფოთება (კულტურათა კონფლიქტი). არა მგონია, საჭირო იყოს იმის დამატება, რომ ჩემს განაწყენებულ მეუღლეს მიწვევა არასოდეს მიუღია. თუმცა ერთხელ მან გამონაკლისი მაინც გააკეთა. როდესაც დედოფალი ელისაბედ II მოსკოვში ჩამოვიდა და ჩვენ დიდი ბრიტანეთის საელჩოში მიღებაზე მიგვინვიეს, ჩემმა მეუღლემ მძიმედ ამოისუნთქა და აღნიშნა: „ნუ, კარგი, ნავალ, მერე შვილიშვილებს მოვუყვები, როგორ შევხვდი ინგლისის დედოფალს“. კულტურათა კონფლიქტი (მათ შორის, ოჯახური) არ ყოფილა...

დავუბრუნდეთ უმარტივესი ანკეტების, ბლანკების ინგლისურ ენაზე შევსების საკითხს. ზოგიერთ მათგანში (თვითმფრინავში ჩასაჯდომ ბარათებზე, საიმიგრაციო ბარათებზე საზღვრის გადალახვისას, ანკეტებში სამუშაოზე მონყობისას და სხვ.) სახელის შემდეგ – „პირველის“ და „ბოლოს“ – მოდის სიტყვა *nationality*, რომელსაც ძალიან მარტივად და სიხარულით ცნობენ რუსულ სიტყვა *национальность*-თან (ეროვნება) საერთო ძირის გამო. თუმცა ეს სიხარული ნაადრევია. საქმე იმაშია, რომ *nationality* გულისხმობს არა ეთნიკურ მიკუთვნებულობას, არამედ მოქალაქეობას. ამიტომაც რუსებმა, უკრაინელებმა, თათრებმა, ებრაელებმა, ჩეჩნებმა და ა.შ., თუ მათ რუსული პასპორტი აქვთ, აღნიშნულ გრაფაში უნდა ჩანერონ *Russian* (ე. ი. რუსეთის მოქალაქე). ინგლისურენოვან სამყაროს არ აინტერესებს ვინ ხართ თქვენ ეთნიკურად, სისხლისმიერად, აინტერესებს მხოლოდ თქვენი მოქალაქეობა. მოცემულ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს „მთარგმნელის ცრუ მეგობართან“, რადგანაც მომატყუებლად ნაცნობ *nationality*-ს აქვს ლექსიკონებში დაფიქსირებული – მოქალაქეობა. აი, რა ილუსტრირებას უკეთებს ინგლისური ენის კემბრიჯის საერთაშორისო ლექსიკონი სიტყვას *nationality*: *He's applied for British nationality [ის ით-*

ხოვს დიდი ბრიტანეთის მოქალაქეობას]. *What nationality are you?* (= *Which country do you officially belong to?*) [როგორი მოქალაქეობა გაქვთ? (= რომელი ქვეყნის მოქალაქე ხართ ოფიციალურად?)].

იაპონიის საელჩოს სავიზო ანკეტაში *nationality*-ს შემდეგ მოდის პუნქტი *former nationality* (*бывшее гражданство/ყოფილი მოქალაქეობა*), რაც ხაზს უსვამს რუსულ და ინგლისურ სიტყვებს შორის არსებულ განსხვავებას: *nationality* შეიძლება შეცვალო, ხოლო *национальность* (ეროვნება) – არა.

საბჭოთა კავშირის დროს სიტყვა *nationality*-ს ეს კულტურულ-სემანტიკური თავისებურებები კამათს, კონფლიქტებს იწვევდა. 1973 წელს, საბჭოთა სტაჟიორების დელეგაციაში ყოფნისას, დიდი ბრიტანეთის საზღვრის გადალახვის დროს საიმიგრაციო ბარათის შევსებამ დელეგაციის ლიტველი, ქართველი, სომეხი წევრების მძაფრი აღშფოთება გამოიწვია. საქმე ის იყო, რომ მესაზღვრეებმა ამოშალეს სიტყვები *Lithuanian/ლიტველი, Georgian/ქართველი, Armenian/სომეხი* და დაწერეს *Russian/რუსი*; თან, ეს გააკეთეს არა მოსალოდნელი სტერეოტიპული ბრიტანული გულგრილობით, არამედ დაუფარავი გაღიზიანებით. ვაი, რომ! სიტყვებით „There are no such countries as Lithuania, Georgia or Armenia on the map!“ [რუკაზე არ არის ასეთი ქვეყნები – ლიტვა, საქართველო, სომხეთი!] მათ გაჩუმება აიძულეს ამ რესპუბლიკების წარმომადგენლებს; თუმცა იმ დროს რუკაზე არც ქვეყანა რუსეთი იყო. მესაზღვრეებს რომ დაენერათ *Soviet/საბჭოთა*, კონფლიქტი ასეთი მწვავე არ იქნებოდა, რადგანაც საუბარი ეხებოდა მოქალაქეობას. მაგრამ მათ, უბრალოდ, ერთი ეთნიკური ეროვნება მეორეთი შეცვალეს.

ახლა, როცა მსოფლიოს რუკაზე არის ქვეყანა რუსეთი, ოფიციალურ ბლანკებზე გრაფა *nationality*-ს შევსება სკანდალებს არ იწვევს, მაგრამ გაუგებრობისა და კულტურული დისკომფორტის (რომ არ ვთქვათ კონფლიქტი) მიზეზი ხდება.

კულტურულ პრობლემებს ქმნის სიტყვა *адрес/მისამართი*, რომელიც რუსულმა ფრანგულიდან (*adresse*) ისესხა. ის ყველა

ევროპულ ენაში გვხვდება. ამ სიტყვის მნიშვნელობა, სტილის-ტური კონოტაციები, კოლოკაციური კავშირებიც კი ემთხვევა სხვადასხვა ენაში. ახლახან ჩემმა კოლეგამ, უცხოურ ფორმაში სამსახურში მოსაწყობად მისულმა, ვერ შეძლო უმარტივესი ანკეტის შევსება, სადაც მოცემული იყო შეკითხვები: სახელი, გვარი, მისამართი, შემდეგ კი, მისთვის მოულოდნელად – ქალაქი, ქვეყანა. „რომელი ქალაქი? რომელი ქვეყანა? – იმეორებდა ის დაბნეული, – მე ხომ უკვე დავწერე მისამართი“.

კომუნიკაცია ვერ შედგა „კულტურათა კონფლიქტის“ გამო, რაც გამონვეული იყო არა მხოლოდ ინგლისური სიტყვა *address-ის* მნიშვნელობის საცხოვრებლის კონკრეტულ ადგილმდებარეობამდე შევინროებით (ქუჩა, სახლის ნომერი, ბინის ნომერი), არამედ, ძირითადად, იმის გამო, რომ რუსულ რეალურ ცხოვრებაში მისამართი, ევროპულ ტრადიციებთან შედარებით, სანინალმდეგო რიგითობით იწერება – ზოგადიდან კერძომდე (ქვეყანა, ქალაქი, ქუჩა, სახლის ნომერი, ბინის ნომერი, ადრესატის სახელი). რუსული მისამართი თავის თავში ქვეყანასაც და ქალაქსაც მოიცავს, ამიტომაც ჩემი კოლეგა ჩიხში აღმოჩნდა.

სიტუაცია რუსულ მისამართთან მიმართებით მალევე შეიცვალა. დასავლური კულტურის გავლენით რუსულ კონვენტებზე დაბეჭდილია: მარჯვენა ზედა კუთხეში **ჯერ** – ვისგან, **შემდეგ** – საიდან; ცენტრში **ჯერ** – ვის, **შემდეგ** – სად.

სასტუმრო ოქტიაბრსკაიას (სანქტ-პეტერბურგში) „სტუმრის სარეგისტრაციო ბარათი“ შედგენილია (2002 წლის აპრილში) ინგლისური ენისა და კულტურის ყველა განსხვავების გათვალისწინებით: მოქალაქეობა თარგმნილია როგორც *nationality*, ხოლო პუნქტის *adpec/address/მისამართი* შემდეგ მოდის – *gorod, strana/city, state/ქალაქი, ქვეყანა*.

დასასრულ, **თარიღი**. ისე ჩანს, თითქოს რა უნდა იყოს თარიღზე ფორმალური? აქ სიტყვებიც კი არ არის, არამედ გვაქვს მათი შემცვლელი ციფრები, თუმცა ზოგჯერ თვის დასახელება იწერება სიტყვით. მაგრამ ამ „უმარტივეს“ შემთხვევაშიც კულტურათაშორისი კომუნიკაცია გართულებულია კულტურათა

განსხვავებულობით. ამერიკულ კულტურაში თვის აღმნიშვნელი ციფრი ინერება დღის აღმნიშვნელი ციფრის წინ. თუ თქვენ ფოტოსურათზე თქვენი უცხოური ფოტოაპარატი დაგინერთ რალაც ამის მაგვარს – 03.18.97 ან 10.30.98, არ შეგეშინდეთ, აპარატი ნორმალურად მუშაობს. უბრალოდ, პირველ შემთხვევაში ეს არის 1997 წლის 18 მარტი, მეორე შემთხვევაში კი – 1998 წლის 30 ოქტომბერი. ეს მართლაც მარტივია. უფრო რთულია, როცა ორივე ციფრი – **თორმეტამდეა, თვეების რიცხვების მიხედვით: 05.06.99** – შეიძლება იყოს 5 ივნისი რუსული ან ევროპული კულტურის მიხედვით და 6 მაისი ამერიკული კულტურის მიხედვით. ჩვეულებრივ, სხვების კულტურა გაცეხებას იწვევს. რატომ არ შეუძლიათ მათ გააკეთონ ისე, როგორც საჭიროა, ე.ი. ჩვენებურად, ჩ ვ ე ნ ი კულტურის მოთხოვნების მიხედვით?!

## **§5. სიტყვების, ცნებების, რეალიების ეკვივალენტურობა**

ზემოთ განხილულ ყველა შემთხვევაში საუბარი შეეხებოდა ორივე ენაში თითქოს სრულიად ეკვივალენტურ სიტყვებს. თუმცა, როგორც ნათქვამიდან ჩანს, ყბადაღებული ეკვივალენტურობა, ისიც სრული, შეიძლება არსებობდეს ზოგჯერ, მხოლოდ რეალური სამყაროს დონეზე. ცნებები კი სინამდვილის ერთსა და იმავე, ე.ი. ეკვივალენტურ საგნებსა და მოვლენებზე სხვადასხვა ენაში განსხვავებულია, რადგანაც იქმნება განსხვავებული წარმოდგენების მიხედვით, ნაციონალურად განსხვავებულ შემეცნებებში. სიტყვებიც სხვადასხვა ენაში თავიანთი განსხვავებული სიტყვიერი ცხოვრებით ცხოვრობენ, აქვთ სხვადასხვა შესიტყვება, განსხვავებული სტილისტური და სოციოკულტურული კონოტაციები.

სოციოკულტურული ფაქტორი, ე.ი. ის სოციოკულტურული სტრუქტურები, რომლებიც ენობრივი სტრუქტურების საფუძველში დევს, საბოლოოდ არყევს სხვადასხვა ენის იმ სიტყვების „ეკვივალენტურობის“ იდეას, რომლებიც ერთმანეთს ემთხვევიან მნიშვნელობით, ე.ი. გარემომცველი სამყაროს ეკვივალენტური საგნებისა და მოვლენების თანაფარდობით.

მართლაც, „ეკვივალენტური“ სიტყვები განსხვავებულია სემანტიკის მოცულობითაც (*ბომ/სახლი* მნიშვნელობით უფრო ფართოა, ვიდრე *house*, რადგანაც თავის თავში მოიცავს *home-ს, building-ს, block of flats-ს, condominium-ს, mansion-ს*), მეტყველებაში გამოყენებითაც (შდრ. *ბომ/სახლი* რუსულ მისამართში და მოცემული მნიშვნელობის სიტყვების არარსებობა ინგლისურ მისამართში), სტილისტური კონოტაციებით (შდრ. *зеленые глаза/მწვანე თვალები* და *green eyes*) და ლექსიკური შეთანხმებების შესაძლებლობებითაც (შდრ. *крепкий чай/მაგარი ჩაი* და *strong tea*). მაგრამ იმ იშვიათ შემთხვევებშიც კი, როცა ყველა ეს ენობრივი მომენტი სხვადასხვა ენაში ერთმანეთს ემთხვევა, არ უნდა დაგვაიწყდეს არა ენობრივი განსხვავებები, ე.ი. ისინი, რომლებიც განსხვავებული არიან როგორც თვით საგნები და მოვლენები, ისე წარმოდგენები და ცნებები მათზე. ეს სავსებით ბუნებრივი და კანონზომიერია, რადგანაც განსხვავებულია ჩვენი ცხოვრების წესი, მსოფლმხედველობა, ჩვევები, ტრადიციები, ის უსასრულო და მრავალგვარი პირობითობა, რომლებიც განსაზღვრავენ ნაციონალურ კულტურას, ამ სიტყვის ფართო გაგებით. *Дом* და *house* – ეს არის საცხოვრისის განსხვავებული სახეები, რომლებსაც განსხვავებული სოციალური და კულტურული სტრუქტურა აქვთ.

ამ თვალსაზრისით, დიდ ინტერესს იწვევენ ბილინგვები, ორი მშობლიური ენის მქონე ადამიანები, ასევე უცხოური ენების პედაგოგები და მთარგმნელები, რომლებიც პროფესიონალურად ფლობენ სხვა ენებს. ბილინგვებს ერთდროულად აქვთ სამყაროს ორი ენობრივი სურათი, ხოლო უცხოური ენის სპეციალისტებთან სამყაროს მეორადი ენობრივი სურათი ზევიდან დაედება მშობლიური ენით მოცემულ პირველად სურათს.

განსაკუთრებით საინტერესოა იმ ბილინგვების შეხედულებები, რომლებიც ერთ კულტურაში გაიზარდნენ, თუმცა ფლობენ ორ ენას. ამ სახის ღირებულ ინფორმაციას შეიცავს ანდრეი მაკინის წიგნი „*Le testament francais*“ („ფრანგული ანდერძი“).

რუსი ანდრეი მაკინი დაიბადა 1957 წელს, კრასნოიარსკში, სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტში, საფრანგეთში ემიგრ-

რირდა 1987 წელს, იქ დაიწყო რომანების წერა. მისმა მეოთხე ნიგნმა „ფრანგული ანდერძი“ (გამოიცა 1995 წელს), პირველად ფრანგული ლიტერატურის ისტორიაში, ერთდროულად მიიღო გონკურების უმაღლესი ლიტერატურული პრემია და მედიჩის პრემია. მაკინის ყველა რომანი დაწერილია ფრანგულად. მან ბავშვობიდან იცოდა ორი ენა, როგორც მშობლიური: რუსული და ფრანგი ბებიისგან – ფრანგული.

ავტობიოგრაფიულ რომანში „ფრანგული ანდერძი“ მაკინი წერს, რომ ფრანგულ ენას ის აღიქვამდა არა როგორც უცხოურს, არამედ ოჯახში სასაუბრო ენას, კოდს, რომელიც მათ ოჯახს სხვა რუსული ოჯახებისგან განასხვავებდა. ეს სიტუაცია იდეალურად ახდენს ენის, კულტურის, აზროვნებისა და რეალური სამყაროს ურთიერთობის შესახებ ყოველივე ზემოთქმულის ილუსტრირებას.

ამ ცნობილი ნაწარმოების შემდეგი ნაწყვეტებიდან თვალსაჩინოა წინააღმდეგობა რუსული სამყაროს რეალობასა და ფრანგულ ენას შორის:

თავისი დაბადების ადგილს (ნიუი-სიურ-სენს) მაკინის ბებია შარლოტა *სოფელს [деревня (village)]* უწოდებს. მისი შვილიშვილების კულტურულ აზროვნებაში რ უ ს უ ლ სოფელზე არის მხოლოდ ერთი წარმოდგენა: ხის ქოხები, ნახირი, მამალი, სოფლის კაცები და ქალები. განსხვავება რუსულ ცნება *деревня*-სა და შესაბამის ფრანგულ *village*-ს შორის მათში კულტურულ შოკს იწვევს: ბავშვები იბნევიან, როცა ხედავენ „ბებიის სოფელში“ მცხოვრებ ჩოგბურთის მოთამაშე (*სოფელში?!*) „ვილაც მარსელ პრუსტის“ ფოტოს, რომელიც გარეგნულად საერთოდ არ ჰგავს რუსული სოფლის მკვიდრს. აი, როგორ არის აღწერილი ეს ყოველივე ა. მაკინის რომანში:

Neuilly-sur-Seine etait composee d'une douzaine de maisons en rondins. De vraies isbas avec des toits recouverts de minces lattes argentees par les intemperies d'hiver, avec des fenetres dans des cadres en bois joliment ciseles, des haies sur lesquelles sechait le linge. Les jeunes femmes portaient sur une palanche des seaux pleins qui laissaient tomber quelques gouttes sur la poussie de la grand-rue. Les hommes chargeaient de lourds sacs de ble sur une telegue. Un troupeau, dans une lenteur paresseuse,

coulait vers l'étable. Nous entendions le son sourd des clochettes, le chant enroué d'un coq. La senteur agreable d'un feu de bois – l'odeur du diner tout proche – planait dans l'air.

Car notre grand-mere nous avait bien dit, un jour, en parlant de sa ville natale:

- Oh! Neuilly, a l'époque, etait un simple village...

Elle l'avait dit en francais, mais nous, nous ne connaissions que les villages russes. Et le village en Russie est necessairement un chapelet d'isbas – le mot meme *derevnia* vient de *derevo* – l'arbre, le bois. La confusion fut tenace malgre les eclaircissements que les recits de Charlotte apporteraient par la suite. Au nom de „Neuilly“, c'est le village avec ses maisons en bois, son troupeau et son coq qui surgissait tout de suite. Et quand, l'ete suivant, Charlotte nous parla pour la premiere fois d'un certain Marcel Proust, „a propos, on le voyait jouer au tennis a Neuilly, sur le boulevard Bineau“, nous imaginames ce dandy aux grands yeux langoureux (elle nous avait montre sa photo) – au milieu des isbas!

La realite russe transparaissait souvent sous la fragile patine de nos vocables francais. Le president de la Republique n'échappait pas a quelque chose de stalinien dans le portrait que brossait notre imagination. Neuilly se peuplait de kolkhoziens (17). ნიუი-სიურ-სენი შედგებოდა ძელის სახლების დუჟინისგან; ნამდვილი ქოხებისგან, რომლებიც ზამთრის უამინდობით გაცრეცილი ყავრით იყო გადახურული და რომლებსაც უცნაური, სხვადასხვა თამასის ჩარჩოში ჩასმული ფანჯრები და თეთრეულის გასაშრობი ნწულები ჰქონდა. ახალგაზრდა ქალებს მხარიხეებით<sup>43</sup> დაჰქონდათ სავსე ვედროები, საიდანაც მთავარ მტვრიან ქუჩაზე წყალი იღვრებოდა. მამაკაცები საზიდავზე ხორბლით სავსე ტომრებს ტვირთავდნენ. ბოსლისკენ ნელა და ზანტად მიიზღაზნებოდა ნახირი. ჩვენ გვესმოდა ზარების დახშული ჟღარუნი, მამლის ხრინჩიანი ხმა. ჰაერში ტრიალებდა დანთებული კერიის სურნელი – ვახშმის სურნელი.

ერთხელ, მშობლიურ ქალაქზე საუბრისას, ბებიამ გვითხრა:

– ო! ნიუი იმ დროს, უბრალოდ, სოფელი იყო...

ბებიამ ეს ფრანგულად თქვა, მაგრამ ჩვენ მხოლოდ რუსული სოფლები ვიცოდით. სოფელი რუსეთში – ეს აუცილებლად ქოხების მწკრივია. მიუხედავად იმისა, რომ შარლოტას შემდგომმა მონაყოლმა

---

<sup>43</sup> ვედროების საზიდი – მთარგმნ. შენიშვნა.

ამბებმა ბევრი რამ განმარტა, დაბნეულობამ დიდხანს გასტანა. სიტყვა „ნიუის“ გაგონებისთანავე, ჩვენ წინ წარმოგვიდგა სოფელი თავისი ძელის ქოხებით, ნახირითა და მამლით. და როდესაც შემდგომ ზაფხულს შარლოტამ პირველად ახსენა ვილაც მარსელ პრუსტი („სხვათა შორის, ის თამაშობდა ჩოგბურთს ბინოს ბულვარზე ნიუიში“), ჩვენ მაშინათვე წარმოვიდგინეთ დენდი, დიდი მუქი თვალებით (ბებიამ გვანახა მისი ფოტო) ქოხების გარემოცვაში!

რუსული სინამდვილე ხშირად აღწევდა ჩვენი ფრანგული ენობრივი ერთეულების მყიფე ნადებიდან. ჩვენს წარმოდგენაში შექმნილ რესპუბლიკის პრეზიდენტის პორტრეტში სტალინური თვისებები იკვეთებოდა. ნიუიში კოლმეურნეები ცხოვრობდნენ (ა. მაკინი, „ფრანგული ანდერძი“).

ასაკის მატებასთან ერთად რომანის გმირი სულ უფრო მეტ უხერხულობას გრძნობს სამყაროს ორგვარი ხედვის, პროვინციის გაორების, ერთი კულტურის შიგნით ენების მუდმივი თავისებური კონფლიქტის გამო.

ასე, მაგალითად, რუსული სიტყვა *царь*-ის (*მეფე*) და რუსული ენიდან ფრანგულის მიერ ნასესხები *tsar*-ის გამოყენებისას მის ცნობიერებაში ერთმანეთს ორი განსხვავებული სახე ეჯახება. ენობრივი თვალსაზრისით, ეს სიტყვები აბსოლუტურად ეკვივალენტურია, მაგრამ რუსული სიტყვის უკან დგას სისხლიანი ტირანი ნიკოლოზ მეორე რუსეთის ისტორიის საბჭოთა სახელმძღვანელოდან. ფრანგული სიტყვა კი ყმანვილში იწვევს ალექსანდრე III-ის ხიდის საფუძვლის ჩაყრაზე პარიზში ჩასული ელევანტური ახალგაზრდა მეფის – ნიკოლოზ II-ისა და მისი ლამაზი მეუღლის, მათ პატივსაცემად გამართული მეჯლისებისა და ბანკეტების, დღესასწაულის ასოციაციას, ე.ი. ფრანგი ბეზიის მიერ მონაყოლი ამბებით შექმნილი სახის ასოციაციას.

სწორედ ამ სიტყვით (*царь*) მაკინი აცნობიერებს თავის „განსაკუთრებულობას“, სხვებისგან, კერძოდ, აგრესიული და მისი მოძულე სკოლის ამხანაგებისგან, განსხვავებულობას.

Cette question, en apparence, était toute simple: „Oui, je sais, c’était un tyran sanguinaire, c’est écrit dans notre manuel. Mais que faut-il-faire alors de ce vent frais sentant la mer qui soufflait sur la Seine, de la sonorité de ces vers qui s’envolaient dans ce vent, du crissement de la truelle d’or sur le

granit – que faire de ce jour lointain? Car je ressens son atmosphere si intensément!“

Non, il ne s’agissait pas pour moi de rehabiliter ce Nocolas II. Je faisais confiance a mon manuel et a notre proffesseur. Mais ce jour lointain, ce vent, cet air ensoleille? Je m’embrouillais dans ces reflexions sans suite – mi-pensees, mi-images. En repoussant mes camarades rieurs qui m’agrippaient et m’assourdissaient de leurs moqueries, j’eprouvai soudain une terrible jalousie envers eux: „Comme c’est bien de ne pas porter en soi cette journee de grand vent, ce passe si dense et apparemment si inutile. Oui, n’avoir qu’un seul regard sur la vie. Ne pas voir comme je vois...“

Cette derniere pensee me parut tellement insolite que je cessai de repousser les attaques de mes persifleurs, me tournant vers la fenetre derriere laquelle s’etendait la ville enneigee. Donc, je voyais autrement! Etait-ce un avantage? Ou un handicap, une tare? Je n’en savais rien. Je crus pouvoir expliquer cette double vision par mes deux langues: en effet, quand je prononçais en russe «ЦАРЬ», un tyran cruel se dressait devant moi; tandis que le mot „tsar“ en francais s’emplissait de lumieres, de bruits, de vent, d’eclats de lustres, de reflets d’epaules feminines nues, de parfums melanges – de cet air inimitable de notre Atlantide. Je compris qu’il faudrait cacher ce deuxieme regard sur les choses, car il ne pourrait susciter que les moqueries de la part des autres (18). შეკითხვა, ერთი შეხედვით, ძალიან მარტივია: „დაახ, მე ვიცი, ის იყო სისხლიანი ტირანი, როგორც ნათქვამია ჩვენს სახელმძღვანელოში. მაშინ რა ვუყო მდინარე სენაზე მქროლავი ზღვის სურნელით გაჟღენთილ ქარს, რა ვუყო იმ შორეულ დღეს? მე ხომ ასე გამგმირავად ვგრძნობ მის ატმოსფეროს?“

არა, მე არ ვაპირებდი ნიკოლოზ II-ის რეაბილიტაციას. მე ვენდობოდი ჩემს სახელმძღვანელოსა და მასწავლებელს. მაგრამ ის შორეული დღე, ის ქარი, ის მზით გაჯერებული ჰაერი? მე მაბნევედა ერთმანეთთან დაუკავშირებელი ფიქრები, აზრები, სახეები. ვიგრძენი საშინელი შური ჩემი აგრესიული ამხანაგების მიმართ: „რა ბედნიერები არიან ისინი, ვინც თავის თავში არ ატარებს ამ ქარიან დღეს, ამ წარსულს, დატვირთულსა და ალბათ, უსარგებლოს. ნეტავი, ვუყურებდე ცხოვრებას ერთი თვალით, არ ვხედავდე ისე, როგორც ვხედავ მე...“

ეს ბოლო აზრი იმდენად ველური მეჩვენა, რომ შევწყვიტე აგრესიის მოგერიება და მივიხედე ფანჯრისკენ, საიდანაც დათოვლილი ქალაქი მოჩანდა. ე.ი. მე ვხედავ სხვანაირად? ეს რა არის – უპირატესობა? იქნებ, ზიანი, ნაკლი? ამაზე პასუხი არ მქონდა. მაგრამ გადავწყვი-

ტე, რომ ჩემი ორგვარი ხედვა შეიძლებოდა ჩემი ორენოვნებით ამეხსნა – სინამდვილეში, როცა მე წარმოვთქვამდი რუსულ სიტყვას «царь», ჩემ წინ წარმოსდგებოდა მკაცრი ტირანი; ფრანგული „tsar“ კი შუქის, ხმების, ქარის, ანთებული ჭაღების, მოტივტვლებული მხრების სიკაშკაშის – ჩვენი ატლანტიდის განუმეორებელი ჰაერის ასოციაციას იწვევდა. და მე მივხდი, რომ ეს მეორეგვარი ხედვა უნდა დავმალო, რადგან სხვებში მხოლოდ დაცივნას იწვევს (ა. მაკინი, „ფრანგული ანდერძი“).

უდიდეს, „უთარგმნელ“ განსხვავებას ამ ენებს შორის ხსნის შარლოტას მიერ XX საუკუნის დასაწყისის საფრანგეთის პრეზიდენტის ბედთან დაკავშირებული შეკითხვის საპასუხოდ გაკვირვით ნათქვამი ერთი ფრაზა (შესაბამისად, ფრანგულად): „Le Président est mort à l'Élysée, dans les bras de sa maîtresse, Marguerite Steinheil...“ [პრეზიდენტი გარდაიცვალა ელისეის სასახლეში, თავისი საყვარლის, მარგარიტა სტენელის მკლავებში...] (19). აღმოჩნდა, რომ შეუძლებელია ამ ფრაზის „თარგმნა“ რუსულ ენაზე, რადგანაც მის უკან დგას სრულიად სხვა – არ არუსული – კულტურა.

„Felix Faure... Le président de la République... Dans les bras de sa maîtresse...“ Plus que jamais l'Atlantide-France me paraissait une *terra incognita* ou nos notions russes n'avaient plus cours.

La mort de Felix Faure me fit prendre conscience de mon âge: j'avais treize ans, je devinais ce que voulait dire „mourir dans les bras d'une femme“, et l'on pouvait m'entretenir désormais sur des sujets pareils. D'ailleurs, le courage et l'absence totale d'hypocrisie dans le resit de Charlotte démontrèrent ce que je savais déjà: elle n'était pas une grand-mère comme les autres. Non, aucune babouchka russe ne se serait hasardée dans une telle discussion avec son petit-fils. Je pressentais dans cette liberté d'expression une vision insolite du corps, de l'amour, des rapports entre l'homme et la femme – un mystérieux „regard français“.

Le matin, je m'en allai dans la steppe pour rêver, seul, à la fabuleuse mutation apportée dans ma vie par la mort du Président. À ma très grande surprise, revue en russe, la scène n'était plus bonne à dire. Même impossible à dire! Censurée par une inexplicable pudeur des mots, raturée tout à coup par une étrange morale offusquée. Enfin dite, elle hésitait entre

l'obscenité morbide et les euphémismes qui transformaient ce couple d'amants en personnages d'un roman sentimental mal traduit.

„Non, me disais-je, étendu dans l'herbe ondoyant sous le vent chaud, ce n'est qu'en français qu'il pouvait mourir dans les bras de Marguerite Steinheil...“ (20). „ფელიქს ფორი... რესპუბლიკის პრეზიდენტი... საყვარლის მკლავებში“... ატლანტიდა – საფრანგეთი, მეტად, ვიდრე ოდესმე, ჩემ წინ წარმოდგებოდა როგორც terra incognita,<sup>44</sup> სადაც რუსულ წარმოდგენებს გასაგალი არ ჰქონდა.

ფელიქს ფორის სიკვდილმა მაიძულა ჩემი ასაკი გამეცნობიერებინა: მე უკვე ცამეტი წლის ვიყავი, ვხვდებოდი, თუ რას ნიშნავს „ქალის მკლავებში სიკვდილი“, ამიერიდან შეიძლებოდა ჩემთან ამ თემებზე საუბარი. სხვათა შორის, შარლოტას გამბედაობა და მის მონაყოლში ფარისევლობის არარსებობა, ამტკიცებდა იმას, რაც უკვე ვიცოდი: შარლოტა არ იყო ისეთი, როგორც სხვა ბებიები. ვერც ერთი რუსი ბებია ვერ გაბედავდა შვილიშვილებთან მსგავს საუბარს. გამოხატვის ამ თავისუფლებაში მე დავინახე უჩვეულო ხედვა სხეულზე, სიყვარულზე, მამაკაცისა და ქალის ურთიერთობაზე – გამოუცნობი „ფრანგული ხედვა“.

დღით ველზე გავედი, რათა მარტოობაში გამეაზრებინა ის უცნაური ცვლილება, რომელიც ჩემს ცხოვრებაში პრეზიდენტის სიკვდილმა გამოიწვია. ჩემდა გასაკვირად, ეს სცენა რუსულად რთულად ექვემდებარებოდა აღწერას. უბრალოდ, შეუძლებელი იყო მისი აღწერა! აუხსნელი სიტყვიერი მორცხვობა იყო მისი ცენზურა, უცნაური ველური მორალი ახდენდა მის შეურაცხმყოფელ რეტუშირებას. და ბოლოს, როცა სიტყვები გამოითქვა, ისინი აღმოჩნდნენ სადღაც შუაში დამახინჯებულ უხამსობასა და ევფემიზმს შორის, რაც ორ შეყვარებულს ცუდად თარგმნილი სენტიმენტალური რომანის პერსონაჟებად აქცევდა.

„არა, – ბალახზე მწოლიარე ვეუბნებოდი საკუთარ თავს, – მას მარგარიტა სტენელის მკლავებში სიკვდილი შეეძლო მხოლოდ ფრანგულად...“ (ა. მაკინი, „ფრანგული ანდერძი“).

ამრიგად, ენა არის რეალური და კულტურულ-ცნებითი სამყაროს სარკე (ე.ი. კულტურულად განპირობებული ცნებების სამყარო), რადგანაც ის ასახავს ერთსაც და მეორესაც. მართალია, ზემოთ ვთქვით, რომ ეს სარკე არის მრუდი, რადგანაც ის

---

<sup>44</sup> უცნობი მიწა – მთარგმნ. შენიშვნა.

ასახავს სამყაროს არა ობიექტურ-გულგრილ სურათს, არამედ სუბიექტურს, მოცემული ხალხისთვის დამახასიათებელს, გარდატეხილს მისი გონებისა და სულის პრიზმაში. მართებული იქნება, ენას ვუნოდოთ არა მრუდი, არამედ შემოქმედებითი ან ჯადოსნური სარკე. ეს დაგვეხმარება, თავი ავარიდოთ უარყოფით კონოტაციებს ენასთან მიმართებაში და ხაზი გავუსვათ მის შემოქმედებით, აღმშენებლობით როლს ენის მატარებლის პიროვნებაზე ზემოქმედებისას. ენა არამხოლოდ პასიურად ასახვს იმ ყველაფერს, რაც ადამიანს ეძლევა გრძნობადი, აღმშენებლობითი და კულტურული გამოცდილებით. ის (ენა) ერთდროულად (ე.ი. კულტურასა და აზროვნებასთან შეუწყვეტელი ურთიერთქმედებით) აყალიბებს ენის მატარებელს პიროვნებად, რომელიც მიეკუთვნება მოცემულ სოციოკულტურულ ერთობას და ამავე დროს, თავს ახვევს და უფითარებს ღირებულებათა სისტემას, მორალს, ქცევას, ადამიანებთან დამოკიდებულებას.

თუ გავაგრძელებთ მეტაფორას სურათით, მაშინ ყველა ხალხს სამყაროს საკუთარი კულტურული ხედვა აქვს, მსგავსად ფერწერის ყოველი მიმართულებისა. თივის ერთი და იგივე ზვინი, დახატული რეალისტის, იმპრესიონისტის, კუბისტის, აბსტრაქციონისტის და ა.შ. მიერ, განსხვავებული იქნება; თუმცა რეალურად ეს ერთი და იგივე ზვინია. ენა შეიძლება შევადაროთ მხატვრის ფუნჯს, რომელიც სამყაროს ნატურიდან ხატავს, მაგრამ მას თავისი მხატვრული შემეცნების პრიზმაში ატარებს.

სამყაროს ასახვა ენაში არის ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხის კოლექტიური შემოქმედება და ყოველი ახალი თაობა მშობლიურ ენასთან ერთად კულტურის სრულ კომპლექტს იღებს, რომელშიც უკვე ჩადებულია ნაციონალური ხასიათის თვისებები, მსოფლმხედველობა (დაუფიქრდით ამ შესანიშნავი სიტყვის შინაგან ფორმულას: შეხედულება სამყაროზე, სამყაროს ხედვა), მორალი და ა.შ.

ამგვარად, ენა ასახვს სამყაროს და კულტურას და აყალიბებს თავის მატარებელს. ის ერთდროულად კულტურის სარ-

კეც არის და ინსტრუმენტიც, ასრულებს ასახვის პასიურ და ქმნადობის აქტიურ ფუნქციებს.

ეს ფუნქციები რეალიზდება ურთიერთობის, კომუნიკაციის პროცესში, რომლის ძირითადი საშუალებაც არის ენა. ამიტომაც ყოველი დაყოფა ფუნქციებად არის პირობითი, ევრისტიკული ხერხი. შესაბამისად, ამ წიგნის ნაწილების სახელწოდებები – „ენა როგორც კულტურის სარკე“ და „ენა როგორც კულტურის იარაღი“ – პირობითია და ამახინჯებენ საქმის რეალურ ვითარებას, კერძოდ, ენის ორივე როლისა და ფუნქციის თანაარსებულ ურთიერთქმედებას.

თავის გასამართლებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ნებისმიერი საგნის ან მოვლენის მეცნიერული შესწავლა არის მათზე ძალადობა, წინასწარ განზრახული დამახინჯება მრავალმხრივი და სიღრმისეული კვლევის კეთილშობილური მიზნებისთვის. შესაბამისად, ყოველი მეცნიერი არის მის მიერ შესასწავლი სინამდვილის მოძალადე, მისი მკვლელი, მისი მდგომარეობის, კომპონენტების, ზომების და ა.შ. შემცველი; თუმცა ყველაფერი ეს იმავე კეთილშობილური მიზნებისთვის კეთდება: მეცნიერების, შემეცნების, პროგრესისა და კაცობრიობის მომავლის სახელით.

სრულიად არალირიკული, უფრო მეტად სამეცნიერო, მეტოდოლოგიური გადახვევის და წარმოდგენილი კვლევის გარკვეული პირობითობის გაცნობიერების შემდეგ, დავუბრუნდეთ ენის, როგორც გარემომცველი სამყაროს სარკის, როლის განხილვას.

## **§6. ცნებების ლექსიკური დეტალიზაცია**

ენობრივი მოვლენები მოლაპარაკე კოლექტივის საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებას ასახავენ. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა გავარკვიოთ, ზოგიერთი ცნება როგორ აისახება ენაში და ამ ცნებების ლექსიკური დეტალიზაცია რამდენადაა განპირობებული სოციალური ფაქტორებით.

პრობლემის გააზრებამ თანამედროვე ინგლისურენოვანი მხატვრული ლიტერატურის ფონზე გვიჩვენა შემდეგი. ცნებების «ВКУСНЫЙ» – «НЕВКУСНЫЙ» („გემრიელი“ – „უგემური“) ლექსიკური გამოხატვის ხერხების შესწავლამ ცხადყო, რომ თანამედროვე ინგლისურ ენაში საკვების უარყოფითი შეფასების ცნება (რუსული *невкусный/უგემური*) თითქმის არ არის დეტალიზებული და ლექსიკურად მწირადაა წარმოდგენილი. მოცემული ცნების გამოხატვის ძირითადი საშუალებაა სიტყვათშეთანხმება *not good* [нехороший/არ არის კარგი], ამასთან, სწორედ ამ ფორმის და არა ემოციურ-შეფასებით კონოტაციებში უფრო მკვეთრი მონოლექსემური გამოთქმის – *bad* [плохой/ცუდი] – გამოყენება, როგორც ჩანს, შემთხვევითი არ არის. თანამედროვე ინგლისურ საზოგადოებაში, როგორც წესი, საკვებზე უარყოფით კონტექსტში არ საუბრობენ. ეს შესაბამისობაში არ მოდის მათ კულტურულ-ეთიკურ მოთხოვნებთან, ამიტომ მოცემული ცნება დარჩა ლექსიკურად განუვითარებელი, არადეტალიზებული. ისიც აღსანიშნავია, რომ საკვლევ მასალაში არ აღმოჩნდა სასაუბრო მეტყველებაში ცნების *невкусный* გამოხატვის თუნდაც ერთი შემთხვევა.

ცნება «ВКУСНЫЙ», რომელიც საკვების დადებით შეფასებას იძლევა, თანამედროვე ინგლისური და ამერიკული ლიტერატურის ენაში უფრო ნათლადაა წარმოდგენილი, ის უფრო დეტალიზებულია და ლექსიკურად მრავალფეროვანი. ცნების «ВКУСНЫЙ» გამოსახატავად ხშირად ხმარებადი სიტყვის *good* [хороший/კარგი] გარდა გამოიყენება სიტყვათშეთანხმებები: *delicious* [вкусный/გემრიელი], *nice* [милый/საყვარელი], *excellent* [отличный/შესანიშნავი], *perfect* [совершенный/სრულყოფილი], *fine* [прекрасный/მშვენიერი], *splendid* [превосходный/ჩინებულის], *appetizing* [аппетитный/მადის აღმძვრელი], *beautiful* [великолепный/დიდებული], *savoury* [пикантный/პიკანტური]. კერძის შექება (თუნდაც, ის ამას არ იმსახურებდეს) თანამედროვე ცივილიზებულ საზოგადოებაში კულტურული ქცევის ერთ-ერთი ნორმაა, ხოლო გამასპინძლების აუგად მოხსენიება – ამ ნორმის აშკარა დარღვევა. მოცემული ეთიკური მოთხოვნა

უშუალოდ აისახა თანამედროვე ინგლისურ ენაში: საკვების დადებითი შეფასების გამომხატველი ცნება ლექსიკურად უფრო მრავალფეროვანი და მდიდარია, ვიდრე მისი ანტონიმური ცნება. შეგროვებული მასალა, დამუშავებული სიმპტომატური სტატისტიკის მეთოდით, ადასტურებს ზემოთ ნათქვამს: მაგალითების 94% დადებით შეფასებას შეიცავს.

საინტერესო დასკვნები გაკეთდა გამოთქმის სოციალური ფონისა და სიტუაციის კონტექსტის კვლევისას. საკვების შეფასების გამომხატველი სიტყვები, ძირითადად, დამახასიათებელია შეძლებული ადამიანებისთვის, საზოგადოების მაღალი და საშუალო ფენების წარმომადგენლებისთვის, რომლებიც მოცემულ საკითხში „გადაჭარბებული შეფასებისკენ“ (overstatement) არიან მიდრეკილი. ღარიბები, საზოგადოების დაბალი ფენების წარმომადგენლები უფრო იშვიათად გამოხატავენ თავიანთ დამოკიდებულებას საკვებისადმი და მიდრეკილი არიან მისი „დაუფასებლობისკენ“ (understatement). ორივე ეს მოვლენა მარტივად აიხსნება: საზოგადოების შეძლებული ფენის წარმომადგენლებისთვის საკვების მიღება არ არის მხოლოდ სიცოცხლისთვის აუცილებელი ბუნებრივი ფუნქცია, არამედ გარკვეული სოციოკულტურული რიტუალი, საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენაა, რისთვისაც საკვების ხარისხს არსებითი მნიშვნელობა აქვს (საკმარისია გავიხსენოთ ცნობილი «седло барашка»/„ცხვრის უნაგირი“ ფორსაიტების ოჯახის საზეიმო შეკრებებზე).

საკვების (ან საკვების მიღების) შეფასება საზოგადოების შეძლებულ ფენებში ლექსიკური მრავალფეროვნებით გამოირჩევა:

The feature of the feast was unquestionably the red mullet. This delectable fish, brought from a considerable distance in a state of almost perfect preservation, was first fried, then boned, then served in ice...according to a recipe known to a few men of the world (J. Galsworthy) [დღესასწაულზე პროგრამის მშვენება, ეჭვგარეშე, გახდა წითელი კეფალი. შესანიშნავი თევზი, შორიდან ჩამოტანილი, კარგად შენახული, თავდაპირველად შეინვა, შემდგომ ძვლებისგან გასუფთავდა და ყი-

ნულზე იქნა მორთმეული, რეცეპტის თანახმად, რომელიც მხოლოდ რამდენიმე ადამიანმა იცოდა (ჯ. გოლზუორთი<sup>45</sup>).

“Delicious!” he said. “Exquisite! Who but a Frenchman could make poetry of fish, I ask you?” (Ch. Gorham) [„დიდებულია!“ – თქვა მან. „ნატიფია! მითხარით, ვის, თუ არა ფრანგს, შეეძლო თევზისგან პოემის შექმნა!“ (ჩ. გორჰემი)].

ღარიბების საკვების აღწერისას სხვა კრიტერიუმები და ლექსიკური რესურსები გამოიყენება, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში შემოიფარგლება სიტყვებით – *good* [хороший/კარგი], *tasty* [вкусный/გემრიელი], *nourishing* [питательный/ნოციერი]:

“There’s no bloody head room”, agreed Slogger, chewing pie with the noisy relish of a man whose missus usually gave him cut bread and dripping. But this was a bloody good pie! (A. J. Cronin) [„აქ არანაირი წინა ოთახი არ არის“, – დაეთანხმა სლოგერი, რომელიც ხმაურთანად შთანთქავდა ღვეზელს იმ ადამიანის სახით, რომელსაც მეუღლე, ჩვეულებრივ, ძროხის ხორცის ცხიმთან პურის ნაჭერს აძლევდა. ეს კი საშინლად კარგი ღვეზელი იყო (ა. ჯ. კრონინი<sup>46</sup>)].

Any working-class wife who has thin times will have a fine knowledge of those cuts which are inexpensive and nourishing and also tasty (R. Hoggart) [ნებისმიერი ქალი მუშათა წრიდან მუდმივად შეზღუდულია რესურსებში და მან შესანიშნავად იცის ასეთი იაფი, ნოციერი და, ამავე დროს, გემრიელი ხორცის ნაჭრების არსებობის შესახებ (რ. ჰოგარტი<sup>47</sup>)].

Poor pensioners used sometimes to simulate a tasty meal by dissolving a penny Oxo in warm water, and having it with bread (R. Hoggart) [ღარიბ პენსიონრებს ზოგჯერ თავად უწევდათ გემრიელი სადილის მსგავსის მომზადება – ბულიონის ნატეხ „ოქსოს“ მდულარე წყალში ხსნიდნენ და შემდგომ პურის ნაჭერთან ერთად მიირთმევდნენ (რ. ჰოგარტი)].

---

<sup>45</sup> ჯონ გოლზუორთი (1867-1933) – ინგლისელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი – მთარგმნ. შენიშვნა.

<sup>46</sup> არჩიბალდ ჯოზეფ კრონინი (1896-1981) – შოტლანდიელი მწერალი – მთარგმნ. შენიშვნა.

<sup>47</sup> რიჩარდ ჰოგარტი (1918-2014) – ლიტერატურისა და კულტურის ინგლისელი სოციოლოგი – მთარგმნ. შენიშვნა.

ღარიბების საკვების მთავარი ღირსება არის მისი ნოყიერება, „სოლიდურობა“, „არსებითობა“, ე.ი. ყველაფერი ის, რაც გადმოიცემა სიტყვებით *nourishing* [питательный/ნოყიერი] და *tasty* [вкусный/გემრიელი]. ძნელი წარმოსადგენია ღარიბების საკვების შეფასება ისეთი სიტყვებით, როგორებიცაა *exquisite* [изысканный/ნატიფი], *delectable* [восхитительный/თვალწარმტაცია], *delicious* [очень вкусный/ძალიან გემრიელი].

საკვების დადებითი ან უარყოფითი შეფასების გამოხატვის მეთოდები შეიძლება ისეთი ფაქტორებით იყოს განპირობებული, როგორებიცაა მოსაუბრის ასაკი, სქესი, განათლების დონე. ახალგაზრდებისთვის დამახასიათებელი გადაჭარბებულად შეფასების ტენდენცია შესანიშნავად ვლინდება შემდეგ დიალოგებში:

**1. ბებია და შვილიშვილი.** “Is it a good cake?” she asked intensely. “Yes, mam”, he said, wiring into it. “It’s fair champion” (A. J. Cronin) [„ღვეზელი კარგია?“ – დაძაბულად იკითხა ბებია, – „დიახ, მემ, – ღვეზელის ხრამუნით უპასუხა შვილიშვილმა, – ნამდვილად ღვეზელი ჩემპიონია!“ (ა. ჯ. კრონინი) ].

**2. ბაბუა და შვილიშვილი.** Seated at a little marble topped table in the old-established confectioner’s, the Rector watched his grandson eat strawberry ice. “Good?” – “Awfully” (A. J. Cronin) [ძველ საკონდიტროში, მარმარილოს პატარა მაგიდასთან მჯდომი რექტორი უყურებდა, თუ როგორ მიირთმევდა მისი შვილიშვილი მარწყვის ნაყინს: „გემრიელია?“ – „გასაშტერებელია!“ (ა. ჯ. კრონინი)].

თანამედროვე ინგლისურ ენაში ცნებების «здоровый» – «дильной»/„ჯანმრთელი“ – „ავადმყოფი“ ლინგვისტური გამოხატვის შედეგად გაირკვა, რომ ცნება «здоровый» გამოიხატება სიტყვებით *healthy* [здоровый/ჯანმრთელი], *safe* [безопасный/უსაფრთხო] და სიტყვათშეთანხმებებით *to do well* [(у кого-либо) все хорошо/ (ვიღაცას) ყველაფერი კარგად აქვს], *to be all right* [(у кого-либо) все в порядке/(ვიღაცას) ყველაფერი წესრიგში აქვს], *to be in good health* [быть в добром здравии/ჯანმრთელად ყოფნა], *to be in (good) shape* [быть в (хорошей) форме/იყო (კარგ) ფორმაში]. იმავე ნაწარმოებებში ცნება «диль-

ной»/„ავადმყოფი“, როგორც წესი, წარმოდგენილია ზმნური სიტყვათშეთანხმებებით: *to have a heart attack* [перенести сердечный приступ/გულის შეტევის გადატანა], *to have an eye infection* [(უ კოგო-ლიბო) глазная инфекция/(ვილაცას) თვალის ინფექცია აქვს], *to catch a cold* [схватить простуду/გაცივდე], *to suffer from a disease* [болеть какой-либо болезнью/დაავადდე რომელიღაც ავადმყოფობით], *to feel the ache* [испытывать боль/განიცადო ტკივილი], *to feel the pains* [испытывать боли/განიცადო ტკივილები], *to feel weak* [ощущать слабость/განიცადო სისუსტე], *to feel lousy* [чувствовать себя отвратительно/საზიზღრად იგრძნო თავი], *to feel light-headed* [испытывать головокружение/განიცადო თავბრუსხვევა], *to be ill* [быть больным/იყო ავად], *to be bad* [чувствовать себя плохо/თავს ცუდად გრძნობდე], *to be unwell* [чувствовать себя неважно/თავს უხეიროდ გრძნობდე], *to look peaky* [плохо выглядеть, осунуться/ცუდად გამოყურება, ჩამოჭკნობა].

ცნებების «здоровый» – «больной»/„ჯანმრთელი“ – „ავადმყოფი“ ენობრივი გამოხატვის მეთოდების უბრალოდ ჩამოთვლაც კი ნათელს ხდის, რომ უკანასკნელი ცნება, ლექსიკური თვალსაზრისით, მრავალფეროვნად, უფრო დეტალიზებულია და წარმოდგენილი.

ცნებების «здоровый» – «больной»/„ჯანმრთელი“ – „ავადმყოფი“ ასეთი თანაფარდობის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ ჯანმრთელობა ადამიანის ნორმალური მდგომარეობაა, ხოლო ავადმყოფობა – ნორმიდან გადახრა, უფრო მრავალფეროვანი მდგომარეობა, რამდენადაც ნორმიდან გადახრა შეიძლება მრავალი სახის იყოს. თუმცა ეს ახსნა არ არის ძირითადი და არც ერთადერთი. ცნება «больной»/„ავადმყოფის“ გამოხატვის ხერხების დიდი ნაწილი იმით აიხსნება, რომ თანამედროვე ინგლისურ საზოგადოებაში, როგორც ჩანს, მიღებულია ავადმყოფობის განხილვა, ფიზიკურ და სულიერ სისუსტეზე საუბარი. აუცილებელია კვლევას დაემატოს დიაქრონული ანალიზი: XIX და XX საუკუნეების ინგლისურენოვან საზოგადოებაში ცნებე-

ბის «здоровый» – «больной»/„ჯანმრთელი“ – „ავადმყოფი“ ენობრივი გამოხატვის თანაფარდობის შედარებამ შეიძლება საინტერესო შედეგები მოგვცეს. საქმე იმაშია, რომ არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმადაც, ავადმყოფობაზე, ზოგადად, და კერძოდ, საკუთარ სწეულებაზე საუბარი დამახასიათებელია სწორედ თანამედროვე ადამიანებისთვის იმ დროს, როცა XIX საუკუნეში მსგავსი საუბრები ეთიკურ ნორმებს ეწინააღმდეგებოდა და ცნება „ავადმყოფი“ ენაში ნაკლებ დეტალიზებულად გამოიხატებოდა.

საინტერესო შედეგები მოგვცა იმ სიტყვათშეთანხმების საფუძვლის კონცეპტუალურმა გამოკვლევამ, რომელიც გამოხატავს ცნებებს «грязный» – «чистый»/„ბინძური“ – „სუფთა“. თანამედროვე მხატვრულ ლიტერატურულ ნაწარმოებებში ცნება «чистый»/„სუფთა“ წარმოდგენილი იყო შვიდი ზედსართავი სახელით (*clean* [чистый/სუფთა], *spotless* [незапятнанный/ლაქის გარეშე], *antiseptic* [антисептический/ანტისეპტიკური], *neat* [опрятный, аккуратный/ფაქიზი, აკურატული], *immaculate* [безупречно чистый/უმნიკვლოდ სუფთა], *pure* [чистый/სუფთა], *clear* [чистый, ясный/სუფთა, ნათელი]), ხოლო ცნება «грязный»/„ბინძური“ – 21 ზედსართავი სახელით (*dirty* [грязный/ბინძური], *greasy* [жирный, грязный, немытый (о волосах)/ცხიმოანი, ჭუჭყიანი, დაუბანელი (ითქმის თმებზე)], *muddy* [грязный (о дороге)/დასვრილი (ითქმის ქუჩაზე)], *coarse* [необделанный (о материале), грубый, шероховатый/დაუმუშავებელი (ითქმის მასალაზე), უხეში, დაუხვეწავი], *soiled* [испачканный/დასვრილი], *dusty* [пыльный/მტვრიანი], *foul* [грязный до отвращения и дурно пахнувший/გულის არევაზე ბინძური და საშინელი სუნის მქონე], *befouled* [запачканный/გათხუპნული], *unsanitary* [антисанитарный/ანტისანიტარიული], *grubby* [неряшливый, неопрятный/უსუფთაო, ფეთხეში], *plastered* [испачканный известкой/კირით დასვრილი], *filthy* [грязный, немытый/ბინძური, დაუბანელი], *stale* [несвежий, затасканный/არცთუ ახალი, გაცვეთილი], *sooty* [покрытый сажей/ჭვარტლით დაფარული], *unclean*

[нечистый/უსუფთაო], *stained* [запятнанный/დალაქავებული], *grimed* [испачканный/დასვრილი], *sordid* [грязный, гнойный, отталкивающий/დასვრილი, ჩირქიანი, საზიზლარი], *impure* [нечистый/უსუფთაო], *non pure* [нечистый/უსუფთაო], *mucky* [грязный (навозный)/ბინძური, ნეხვიანი]).

ამ ორი სიის უბრალო რაოდენობრივი შედარებაც კი უკვე ბევრ რამეზე მეტყველებს. თანამედროვე ინგლისურ ენაში ცნება «ГРЯЗНЫЙ»/„ბინძური“ გაცილებით უფრო დეტალიზებულია, დანაწევრებული და მრავალმხრივია წარმოდგენილი, ვიდრე ცნება «ЧИСТЫЙ»/„სუფთა“. ეს შეიძლება იმავე მიზეზებით აიხსნას, როგორც მოხდა ცნებების «ЗДОРОВЫЙ» – «БОЛЬНОЙ»/„ჯანმრთელი – ავადმყოფი“ შემთხვევაში: თანამედროვე ინგლისურ კულტურაში «ЧИСТЫЙ»/„სუფთა“ ერთგვარი ნორმაა, ცივილიზებული ადამიანის სავარაუდო ბუნებრივი მდგომარეობაა, ხოლო «ГРЯЗНЫЙ»/ „ბინძური“ – ნორმისგან მრავალმხრივი გადახრა და სწორედ ეს იწვევს ლექსიკურ რეაქციას. თუმცა თავად ფაქტი ცნებების დეტალიზებისა და დანაწევრებისა ცნობიერებაში და, აქედან გამომდინარე, ენაში, სათანადოდ არ ხსნის თანამედროვე მხატვრულ ლიტერატურაში ზედსართავსახელიანი სიტყვათშეთანხმებების გამოყენების სიხშირეს. აქ განსხვავებული სოციოკულტურული ფაქტორების რთული კომპლექსის გავლენა ვლინდება. მართლაც, თანამედროვე საზოგადოებაში, წინა საუკუნესთან შედარებით, მაგალითად, მნიშვნელოვნად გაიზარდა სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნები მედიცინის პროგრესის გამო, ჰიგიენის კულტურის ამაღლებასთან დაკავშირებით. ეს თითქოს ეწინააღმდეგება თანამედროვე ინგლისურენოვანი მხატვრული ლიტერატურის ანალიზის შედეგად აღმოჩენილ ლინგვისტურ ფაქტებს. თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თანამედროვე ინგლისურ ენაში ცნებების «ГРЯЗНЫЙ» – «ЧИСТЫЙ»/„ბინძური“ – „სუფთა“ გამომხატველი სიტყვები გამოიყენება არ მხოლოდ პირდაპირი, არამედ გადატანითი მნიშვნელობითაც, როცა საუბარი ეხება არა ფიზიკური, კონრეტული საგნების სისუფთავეს, არამედ სულიერ სისუფთავეს, ურთიერთობების, განზრახვების, გულისთქმების სისუფთავეს. ცნება

«ГРЯЗНЫЙ»/„ბინძური“ ხშირად გამოიყენება გადატანითი მნიშვნელობით:

I met him at the Con ball at Leddersford. He made a pass within the first five minutes and invited me to a dirty week-end within another five (J. Braine) [ის მე კონსერვატორების მეჯლისზე, ლედდერსფორდში, გავიცანი. პირველი ხუთი წუთის განმავლობაში ამეკიდა, მომდევნო ხუთი წუთის შემდეგ კი საეჭვო (სიტყვასიტყვით – ბინძური) უქმეების გატარება შემომთავაზა (ჯ. ბრეინი<sup>48</sup>)].

His motives were far from pure (R. Bradbury) [მისი განზრახვები არ იყო სუფთა (რ. ბრედბერი<sup>49</sup>)].

I called him every foul name I could lay my tongue to (A. Hailey) [მე ის ყველა იმ ბინძური სიტყვით მოვიხსენიე, რომლებიც პირზე მომადგა (ა. ჰეილი<sup>50</sup>)].

And Soames was alone again. The spidery, dirty, ridiculous business! (J. Galsworthy) [და სოამსი ისევ მარტო დარჩა. ეს ობობასებრი, ბინძური, უაზრო ბიზნესი! (ჯ. გოლზუორთი)].

Have you anything really shocking, Reggie? I adore mucky books, and you never have any in stock (J. Braine) [რეგი, გაქვს შენ რამე რეალურად ღირებული? მე ვგიჟდები ბინძურ ისტორიებზე, შენ ასეთები გაყიდვაში არასოდეს გაქვს! (ჯ. ბრეინი)].

კიდევ ერთი გარემოება – ლიტერატურულ ჟანრებში, მიმართულებებში, სტილში მომხდარი ძირეული ცვლილებები. ძალიან ბევრი თანამედროვე დასავლელი მწერლისთვის დამახასიათებელია მისწრაფება ცხოვრება ასახოს ისეთი, როგორც ის არის – ყოველგვარი შელამაზების გარეშე; და პირიქითაც, ხშირად რეალობის ყველაზე ბნელი მხარეების წინ წამოწევით.

---

<sup>48</sup> ჯონ ბრეინი (1922-1986) – ინგლისელი რომანისტი – მთარგმნ. შენიშვნა.

<sup>49</sup> რეი ბრედბერი (1920-2012) – ამერიკელი მწერალი – მთარგმნ. შენიშვნა.

<sup>50</sup> არტურ ჰეილი (1920-2004) – ბრიტანული წარმოშობის კანადელი პროზაიკოსი – მთარგმნ. შენიშვნა.

ამ ასპექტით ენის თანმიმდევრული დიაქრონული შესწავლა თანამედროვე ლინგვისტიკის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს და მან შეიძლება საინტერესო შედეგები მოგვცეს.

ინგლისურ ენაში ცნებების «богатый» – «бедный»/„მდიდარი“ – „ღარიბი“ ენობრივი გამოხატვის დიაქრონული კვლევისას გაირკვა, რომ როგორც XIX საუკუნის დასაწყისის (ჯეინ ოსტინის ნაწარმოებები), ისე XX საუკუნის შუა წლების რომანებში (აირის მერდოკის რომანები) ცნება «богатый»/„მდიდარი“ უფრო მეტი რაოდენობის სიტყვითა და სიტყვათშეთანხმებითაა წარმოდგენილი, ვიდრე ცნება «бедный»/„ღარიბი“. ცნების «богатый»/„მდიდარი“ დეტალიზაციის სიჭარბე და სიცხადე შეიძლება გარკვეული სოციალური ფაქტორებით აიხსნას: მდიდრებად და ღარიბებად მკვეთრად დაყოფილ ინგლისურ საზოგადოებაში მატერიალური კეთილდღეობის ცნება უდიდეს როლს თამაშობს. ეს სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია. თითოეულის სწრაფვა და სურვილია გახდეს მდიდარი, ეს მორალურ-ეთიკური ნორმაა, რომელიც სოციალურად ნახალისებადია; ხოლო იყო ღარიბი – ძალიან ცუდია და წინააღმდეგობაშია საზოგადოებრივ ეთიკასთან. სწორედ ამიტომაა სიმდიდრის ენობრივი გამოხატულება მკაფიო და მრავალგვარი (მოცემულ შემთხვევაში საერთო სიტუაციას დრო არ ცვლის: ჩვენს ეპოქაში იყო მდიდარი ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ორასი წლის წინ). კაპიტალისტურ ინგლისში მიღებულია, რომ ამ ცხოვრებისეულად მნიშვნელოვან, სასიამოვნო და ამაღლვებელ თემას წვრილმანებადმდე გაუსინჯო გემო: *a rich man* [богатый человек/მდიდარი ადამიანი], *to be rich* [быть богатым/იყო მდიდარი], *a man of large fortune* [человек с большим состоянием/ადამიანი დიდი ქონებით], *a man with fortune* [человек с состоянием/შეძლებული ადამიანი], *to make a tolerable fortune* [сколотить приличное состояние/საკმაო ქონების დაგროვება], *to give fortune* [дать богатство/სიმდიდრის მიცემა], *splendid property* [роскошная собственность/მდიდრული საკუთრება], *in easy circumstances* [в незатрудненных обстоятельствах/მარტივ გარემოებებში], *to*

*have a comfortable income* [иметь достойный доход/ღირსეული შემოსავლის ქონა], *to have money* [иметь деньги/ფულის ქონა], *to get money* [располагать деньгами/ფულის განკარგვა], *to save money* [копить деньги/ფულის შეგროვება], *to be well-off* [быть обеспеченным/იყო უზრუნველყოფილი] და მრავალი სხვა. ამისგან განსხვავებით, ცნება «бедный» მხოლოდ რამდენიმე სიტყვითა და სიტყვათშეთანხმებით გამოიხატება: *a poor man* [бедный человек/ლარიბი ადამიანი], *to be poor* [быть бедным/ იყო ლარიბი], *to have no money* [не иметь денег/ფულის არქონა], *to be in financial difficulties* [финансовые затруднения/ფინანსური სირთულეები], *want of money* [нуждаться в деньгах/ფულის საჭიროება], *a man without money* [человек без денег/ადამიანი უფულოდ].

მიუხედავად იმისა, რომ სიტყვებისა და სიტყვათშეთანხმებების საერთო რაოდენობის მხრივ ცნებების «богатый» – «бедный»/„მდიდარი“ – „ლარიბი“ ენობრივი გამოთქმების თანაფარდობა XIX და XX საუკუნეებში ერთნაირია, სიტყვების შერჩევის თვალსაზრისით, განსხვავება არსებობს. XIX საუკუნეში სიმდიდრის გამომხატველი ყველაზე გავრცელებული სიტყვა იყო *fortune*<sup>51</sup> სხვადასხვაგვარ შეთანხმებაში (*a man of fortune* [зажиточный человек/შეძლებული ადამიანი], *good fortune* [хорошее состояние/კარგი ქონება], *large fortune* [большое состояние/დიდი ქონება], *tolerable fortune* [приличное состояние/საკმაო სიმდიდრე], *to give fortune* [дать богатство/მისცე ქონება]). ჩემ მიერ გამოკვლეულ XX საუკუნის რომანებში პერსონაჟების მატერიალური მდგომარეობის აღწერისას სიტყვა *fortune* არსად არ გვხვდება. XIX საუკუნეში სიმდიდრის, მდგომარეობის ცნება (*fortune*) აღნიშნავდა, უპირველეს ყოვლისა, მინების, მამულების, დიდი ფულის ქონას. ცნობილია, რომ მოლაპარაკე სიტყვათშეთანხმებებს ქმნის (ან იყენებს) თავისი სოციოკულ-

<sup>51</sup> *Fortune* – მდგომარეობა, ბედი, სიმდიდრე, ქონება, წარმატება, ფორტუნა, შანსი – მთარგმნ. შენიშვნა.

ტურული გამოცდილების შესაბამისად. როგორც ჩანს, სიტყვათშეთანხმება სიტყვით *fortune* თანამედროვე ინგლისურ ენაში ასე იშვიათად იმიტომ იხმარება, რომ ის არ ასახავს ენის მატარებლის სოციოკულტურულ გამოცდილებას.

სიტყვათშეთანხმებები ზედსართავი სახელით *rich* [богатый/მდიდარი], რომლებსაც XIX საუკუნეში გამოყენების სიხშირით მეორე ადგილი ეკავა (*fortune*-ს [состояние/მდგომარეობა, ქონება] შემდეგ), XX საუკუნეში ყველაზე გამოყენებადი გახდა.

ზუსტად ასევე, XIX საუკუნის რომანებში ხშირად გამოყენებული სიტყვათშეთანხმებები სიტყვით *income*<sup>52</sup> ჩვენს დროში განდევნეს სიტყვათშეთანხმებებმა სიტყვით *means* [доход, средства/შემოსავალი, საშუალება]. XX საუკუნეში შინაარსობრივად შეიცვალა სიმდიდრის ცნება: ის, პირველ რიგში, საბანკო ანგარიშს გულისხმობს და არა მამულებსა და მიწათმფლობელობას; ამიტომ თანამედროვე რომანებში, პერსონაჟების მატერიალური მდგომარეობის აღწერისას, ისეთ სიტყვათშეთანხმებებს იყენებენ, როგორებიცაა – *joint account* [общий счет в банке/საერთო ანგარიში ბანკში], *good investment* [хороший вклад/კარგი ანაბარი], *modest annuity* [скромный ежегодный доход/მოკრძალებული ყოველწლიური შემოსავალი]. შეიცვალა ცნებების შინაარსი, შეიცვალა საზოგადოებრივი ცნობიერება, ხოლო ამის შედეგად – აღნიშნული ცნების გამოხატვა ენაში. გამოჩნდა აუცილებელი ცვლილებების კონტურები სიმდიდრისადმი ადამიანების დამოკიდებულებაში. თუ XIX საუკუნეში შეძლებულ ადამიანად ყოფნა უპირობო ღირსებად ითვლებოდა, რასაც ავტომატურად მოჰქონდა პატივისცემა, დიდება, შური და გარშემომყოფების ფარისევლური დამოკიდებულება, XX საუკუნეში, როდესაც ნებისმიერი სიმდიდრის ქვშმარიტი საფუძვლები გამოამკარავებულობდა, როდესაც ყველასთვის ნათელია, რომ უმცირესობის სიმდიდრე უმრავლესობის სიღარიბესა და საჭიროებაზეა დაფუძნებული, თვით კაპიტალისტურ ინგლისშიც კი, სადაც, რა თქმა უნდა, ადრინდელივით ბანკში ან-

---

<sup>52</sup> *Income* – შემოსავალი, გასამრჯელო – მთარგმნ. შენიშვნა.

გარიშის მიხედვით ხვდებიან და აცილებენ, მდიდარი ადამიანები იძულებული არიან თავი იმართლონ: Anyway, what's wrong with being rich? It's a quality, it's attractive. Rich people are nicer, they're less nervy (I. Murdoch) [რაც არ უნდა იყოს, რა არის ცუდი იმაში, რომ იყო მდიდარი? ეს ღირსებაა, ეს მიმზიდველია. მდიდარი ადამიანები უფრო სასიამოვნოები და ნაკლებად ნერვიულები არიან (ა. მერდოკი<sup>53</sup>)].

## §7. ფერთა აღნიშვნის სოციოკულტურული ასპექტი

სპექტრის ფერების დასახელება ენათმეცნიერების გაძლიერებული ყურადღების საგანია. ამ კუთხით მას შეიძლება მხოლოდ მოძრაობის გამომხატველი ზმნები და ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინები შევადაროთ.

ფერთა აღნიშვნის სოციოკულტურულ მეტაფორიკაზე განსაკუთრებით ბევრია დაწერილი. ცნობილია, რომ ერთი და იმავე ფერის სიმბოლიკა სხვადასხვა კულტურაში განსხვავებულია. გ.ა. ანტიპოვის, ო.ა. დონსკიხის, ი.ი. მარკოვინას, ი.ა. სოროკინის წიგნში «Текст как явление культуры» („ტექსტი როგორც კულტურის მოვლენა“) ეს დეტალურადაა აღწერილი თეთრი და შავი ფერების მაგალითზე. სწორედ ეს ფერები გახდა საილუსტრაციო მასალა ჩვენს ნაშრომშიც.

სანამ აღნიშნულ საკითხზე ჩვენს დაკვირვებებს გაგაცნობთ, მოგვყავს ნაწყვეტი ზემონახსენები წიგნიდან: „თეთრი ფერი სხვადასხვა კულტურაში აღიქმება როგორც იმედის, სიკეთის, სისუფთავის, სიყვარულისა და მათთან მიახლოებული ცნებების სიმბოლო. ქართულ სუბკულტურაში თეთრი ფერი – ეს არის სიკეთის, გულმონყალების, სიყვარულის სიმბოლო [„ქვეყნიერების თავზე თოვლივით თეთრი ბაირალი ფრიალებდა როგორც სიკეთის, სათნოებისა და სიყვარულის სიმბოლო“

---

<sup>53</sup> აირის მერდოკი (1919-1999) – ინგლისელი მწერალი და ფილოსოფოსი – მთარგმნ. შენიშვნა.

(21)]. ყირგიზულ სუბკულტურაში მასთან დაკავშირებულია შემდეგი კონოტაციები: „თეთრ ფერზე დიდი ხანია შეყვარებულია აიტმატოვი – ეს არის სინატიფის, დაუცველობის, სიკეთისა და იმედის, სინაზისა და სიყვარულის, გაზაფხულის ყვავილობის ფერი“ (22). ისიც აღსანიშნავია, რომ ზანგური კინოს ერთ-ერთი ფილმის სახელწოდებაა „დიდი თეთრი იმედი“. სრულიად საწინააღმდეგოა თეთრი ფერის აღქმა აღმოსავლეთის ქვეყნებში – თეთრი არის სიკვდილის, გლოვის ფერი (ამით არის განპირობებული, კერძოდ, ის, რომ სამხრეთ კორეაში ციხის ტანსაცმელი თეთრი ფერისაა). თეთრი ფერის სიკვდილთან დაკავშირება გვხვდება რუსულ კულტურაშიც: «Весь в белом, как на смерть одетый старик...» (23) (თეთრებშია, როგორც სასიკვდილოდ ჩაცმული მოხუცი...). ...შავი ფერი ბევრ კულტურაში აღიქმება როგორც სიკვდილის, გლოვის ფერი, ასევე – როგორც რაღაც ამბის ზეიმურობის სიმბოლო: „... გლოვისა და მწუხარების შავი თავშალი“ (24) – რუსულ და ყირგიზულ სუბკულტურებში; „ტუალეტების ფერი მხოლოდ შავია: გლოვის ფერი – ალკესტიდა ახლახან გარდაიცვალა – და საზეიმო საღამოს ფერი – მისი მეუღლის სახლში სტუმრები შეიკრიბნენ“ (25) – დასავლეთ ევროპული სუბკულტურა. უკანასკნელ შემთხვევაში შავი ფერის სიმბოლიკა ლაკუნიზირებულია დიაქრონიის თვალსაზრისით; XIX ს-ის დასაწყისში შავი ფერი ევროპელისთვის მხოლოდ სიკვდილისა და გლოვის ფერი იყო: «Вестник Европы» („ევროპის ვესტნიკი“) 1802 წელს წერდა მეჯლისზე, რომელზეც „მამაკაცები, თითქოსდა ყველანი დაკრძალვიდან მოსულიყვნენ... შავ ხიფთანებში იყვნენ“; დ.ნ. სვერბეევის მოწმობით, „შავი ფერი როგორც კაცებისთვის, ასევე ქალებისთვის ცუდის მომასწავებელი იყო, ფრაკები ეცვათ ყავისფერი ან მწვანე და ლურჯი“. ა. მიუსე „საუკუნის ვაჟის აღსარებაში“ წერდა: „შავი პიჯაკი, რომელსაც ჩვენს დროში მამაკაცები ატარებენ – ეს საშინელი სიმბოლოა“ (26)“ (27).

ინგლისური ენის მიერ შექმნილი (და მუდმივად წარმოქმნილი) სამყაროს კულტურული და ენობრივი (ან ლინგვოკულტურ-

რული) სურათის ფერთა გამაში თეთრი და შავი ფერები ძალიან მნიშვნელოვან როლს თამაშობენ. მათში პოვა ასახვა ინგლისურენოვანი სამყაროს რეალურმა და კულტურულმა სურათმა.

სიტყვა თეთრის ნომინატიური მნიშვნელობა – ეს არის თოვლის ან ცარცის ფერი;<sup>54</sup> white – of the colour of fresh snow or common salt or the common swan’s plumage... [თეთრი – ახალი თოვლის, ჩვეულებრივი მარილის ან ჩვეულებრივი გედის ბუმბულის ფერი].<sup>55</sup>

სიტყვა შავის ნომინატიური მნიშვნელობა – ქვარტლის, ნახშირის, თეთრის საწინააღმდეგო ფერი;<sup>56</sup> black – opposite to white, – colourless from the absence or complete absorption of all light [შავი – თეთრის საწინააღმდეგო – უფერული სინათლის უქონლობის ან სრულიად შთანთქმის გამო].<sup>57</sup>

ორივე ფერი რეალური სამყაროს გარკვეულ ფიზიკურ მოვლენას წარმოადგენს. მაგალითად, მათ შეუძლიათ დაახასიათონ კაბა: *a black dress*, *черное платье*/შავი კაბა აღნიშნავს შავი ფერის კაბას, ხოლო *a white dress*, *белое платье*/თეთრი კაბა განსაზღვრავს კაბის ფერს როგორც თოვლის, მარილის, გედის, ბუმბულის ფერს.

რადგან ორივე კულტურაში შავი ფერი გლოვის ფერთან ასოცირდება (თუმცა ცნობილია, რომ აღმოსავლეთის ბევრ ქვეყანაში გლოვის ფერი არის თეთრი), ამიტომ შავი კაბა შეიძლება იყოს ან გლოვის, ან საღამოს ოფიციალური მორთულობა. თუ მხატვრულ ნაწარმოებში შეგვხვდება ბავშვი შავებში, ე.ი. მის ოჯახში ვიღაც გარდაიცვალა, რადგანაც შავ ტანსაცმელს ჩვენს კულტურებში ბავშვები არ ატარებენ. და პირიქით, ცნობილი საბავშვო რომანის „პოლიანას“ გმირი, რომელიც მამის სიკვდილიდან ცოტა ხანში ახალ ოჯახში წითელ კაბაში მივიდა, ისწრაფვის ახსნას, თუ რატომ არ არის შავებში:

---

<sup>54</sup> *С. И. Ожегов. Словарь русского языка. М., 1972.*

<sup>55</sup> *The Concise Oxford Dictionary. Oxford University Press, 1964.*

<sup>56</sup> *С. И. Ожегов. Словарь русского языка. М., 1972.*

<sup>57</sup> *The Concise Oxford Dictionary. Oxford University Press, 1964.*

*I ought to have explained before. Mrs. Gray told me to, at once – about this red gingham dress, you know, and why I am not in black. She said you'd think t'was queer. But there weren't any black things in the last missionary barrel... Part of the Ladies' Aid wanted to buy me a black dress and hat, but the other part thought the money ought to go towards the red carpet...for the church (E. H. Porter, Pollyanna) [მე ეს ადრეც უნდა ამეხსნა. ერთხელ მისის გრეიმ იმ სელის წითელ კაბაზე მიმანიშნა, თითქოს რატომ არ ვიყავი შავებში. მან თქვა, რომ ეს შეიძლება უცნაურად წარმოჩნდეს, მაგრამ მისიონერების მიერ ბოლოს გამოგ ზავნილ ამანათში შავი ფერის არაფერი იყო... ქალთა საზოგადოების ნაწილს ჩემთვის შავი კაბის და ქუდის ყიდვა უნდოდა, მაგრამ მეორე ნაწილი თვლიდა, რომ ფული ეკლესიის წითელ ხალიჩაზე უნდა დახარჯულიყო (ე. პორტერი, „პოლიანა“)].<sup>58</sup>*

თეთრ კაბას ორივე კულტურაში, ჩვეულებრივ, ახალგაზრდა გოგონები ატარებენ. ეს უმანკოების სიმბოლოა, საქორწინლო მორთულობა. ფუშფუშა თეთრი კაბა „გასცემს“ პატარძალს – ეს დაქორწინების კულტურული ნიშანია.

იმისთვის, რომ გავაცნობიეროთ ყველა კულტურული ელფერი სიტყვების ისეთი მარტივი შეთანხმებისა, როგორიცაა თეთრი სუფრა, *белая скатерть*, *white tablecloth*, უნდა წარმოვიდგინოთ შავი სუფრა, *черная скатерть*, *black tablecloth*, რაც საკმაოდ რთული გასაკეთებელია, რადგანაც ორივე კულტურისთვის ეს არის ხელოვნური, მიუღებელი სიტყვათშეთანხმება. თეთრი სუფრა, *белая скатерть*, *white tablecloth* კი საზეიმო, სადღესასწაულო მოვლენის ნიშანია. სხვათა შორის, თანამედროვე ინგლისის კულტურაში თეთრი სუფრა თითქმის გავიდა ხმარებიდან. რუსულ კულტურაში ის თავის კულტურულ ნიშნურობას ინარჩუნებს და განსაკუთრებული შემთხვევის გამო გამართულ სადღესასწაულო სუფრასთან ასოცირდება.

---

<sup>58</sup> „პოლიანა“ – ამერიკელი მწერლის ელინორ პორტერის რომანი, გამოიცა 1913 წელს – მთარგმნ. შენიშვნა.

სიტყვების *black* (შავი) და *white* (თეთრი) შეთანხმება სიტყვასთან ადამიანი/*man/человек* სპეციალურ განხილვას იმსახურებს. სიტყვათშეთანხმების *white man* სოციოკულტურული განპირობებულობა მის სპეციფიკურ სემანტიკაში ვლინდება. *White man* – ეს არ არის მხოლოდ „ადამიანი თეთრი კანით, თეთრი რასის წარმომადგენელი“. მომდევნო კონტექსტში *white man*, როგორც ჩანს, მხოლოდ ამერიკელებს გულისხმობს, თუმცა ანთროპოლოგიური თვალსაზრისით, ესპანელებიც და მექსიკელებიც „თეთრების“ წარმომადგენლები არიან:

And sometimes her husband brought visitors, Spaniards or Mexicans or occasionally white men (D. H. Lawrence) [ზოგჯერ მის ქმარს სტუმრები მოჰყავდა, ესპანელები ან მექსიკელები, ზოგჯერ კი – თეთრებიც (დ. ჰ. ლოურენსი)].<sup>59</sup>

შემთხვევითი არ არის, რომ თეთრების საზოგადოებაში, რომლებიც სხვებზე თავიანთი რასის უპირატესობას აცხადებენ, მოცემულმა სიტყვათშეთანხმებამ „ნესიერი, ზრდილობიანი, კეთილალზრდილი ადამიანის“ მნიშვნელობა შეიძინა მაშინ, როდესაც სიტყვათშეთანხმებას *black man* გარკვეული უარყოფითი ელფერი აქვს და სინონიმურია შემდეგი მნიშვნელობის სიტყვების – „ეშმაკი“, „ბოროტი სული“, „სატანა“. შევადაროთ ერთმანეთს ქვემოთ მოყვანილი ნაწყვეტები:

The whitest man that ever lived, a man with a cultured mind and with all the courage in the world (T. Hardy) [ყველაზე თეთრი იმ ადამიანებს შორის, რომლებსაც ოდესმე უცხოვრიათ დედამიწაზე, ყველაზე განათლებული და ყველაზე გაბედული (თ. ჰარდი<sup>60</sup>)].

Sit down, and tell me all about your sister and Jon. Is it a marriage of true minds? It certainly is. Young Jon is a pretty white man... (J. Galsworthy) [დაჯექი და მომიყევი ყველაფერი შენს დასა და ჯონიზე. ეს ერთგული გულების კავშირია? რა თქმა

---

<sup>59</sup> დევიდ ჰერბერტ ლოურენსი (1885-1930) – ინგლისელი მწერალი – მთარგმნ. შენიშვნა.

<sup>60</sup> თომას ჰარდი (1840-1928) – ინგლისელი მწერალი – მთარგმნ. შენიშვნა.

უნდა. ახალგაზრდა ჯონი სასიამოვნო თეთრი ადამიანია... (ჯ. გოლზუორთი)].

Rich as Croesus and as wicked as the black man below (G. Meredith) [მდიდარია როგორც კრეზი, ბოროტი – როგორც შავი ადამიანი ქვევით (ჯ. მერედიტი<sup>61</sup>)].

ინგლისური ენისთვის (რომელიც მასზე მოსაუბრე კოლექტივის კულტურასა და საზოგადოებრივ ცხოვრებას ასახავს) ზოგადად დამახასიათებელია ტრადიციული შეფარდება შავი ფერის რალაც ცუდთან, ხოლო თეთრის – კარგთან. ამასთან, ინგლისური ენის ამერიკული ვარიანტის გავლენით, მან ბრიტანულში დამატებითი აქტუალიზაცია შეიძინა. ამიტომაც *black* ზედსართავ სახელიან შედგენილ ნომინატიურ ჯგუფებს ნეგატიური კონოტაცია აქვს, ხოლო ზედსართავი სახელი *white*, როგორც წესი, დადებითი მნიშვნელობის ელფერის მქონე ნომინატიური ჯგუფების შემადგენლობაში შედის.

მართლაც, *black sheep* [черная овца/შავი ცხვარი], *black market* [черный рынок/შავი ბაზარი], *blackmail* [шантаж (букв. черная почта)/მანტაჟი (სიტყვასიტყვით – შავი ფოსტა)], *black soul* [черная душа/შავი სული] – ყველა ამ შემთხვევაში *black*/შავი ბოროტებასთან ასოცირდება; ამასთან, ეს არის გლოვის, სიკვდილის ფერი: *black dress* [черное платье/შავი კაბა], *black armband* [черная нарукавная повязка/შავი სამკლაური]. და პირიქით, *white*/თეთრი – მშვიდობის ფერი (*white dove*/белый голубь/თეთრი მტრედი – მშვიდობის სიმბოლო), პატარძლის საქორწილო კაბის ფერი – ასოცირდება ყველაფერ კარგთან და სუფთა ფერთან. შდრ. უ. ბლეიკის ლექსი „The Little Black Boy“ [„პატარა შავი ბიჭი“]:

And I am black, but O! my soul is white [მე შავი ვარ, მაგრამ ჩემი სული თეთრია].

---

<sup>61</sup> ჯორჯ მერედიტი (1828-1909) – ვიქტორიანული ეპოქის ინგლისელი მწერალი – მთარგმნ. შენიშვნა.

მაშინაც კი, როცა *white/თეთრი* რაღაც ცუდის აღმნიშვნელ არსებით სახელთან არის შეწყობილი, ის არბილებს, აკეთილშობილებს არსებითი სახელის უარყოფით მნიშვნელობას: *white lie* – სასარგებლო ტყუილი, ტყუილი გადასარჩენად, მორალურად გამართლებული ტყუილი (მდრ. რუსული *черная зависть/შავი შური* – *белая зависть/თეთრი შური*).

საერთოდ, თეთრი და შავი ფერების მეტაფორები რუსულ და ინგლისურ ენებში<sup>62</sup> ერთმანეთს ემთხვევა: *черная душа* (შავი სული), *черная весть* (შავი ამბავი), *черный день* (შავი დღე), *черный глаз* (შავი თვალი), *черный враг* (შავი მტერი). შეინიშნება საინტერესო კულტურული განსხვავება, განპირობებული, როგორც ჩანს, კლიმატით: რუსები შავი დღისთვის (*на черный день*) გადაინახავენ, უფრთხილდებიან რამე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანს, ხოლო ინგლისელები – წვიმიანი დღისთვის (*against a rainy day*).

სიტყვათშეთანხმებების *white man* და *black man* გამოყენების სპეციფიკამ ჩვენს დროში მოულოდნელად მწვავე ყღერადობა შეიძინა. ინგლისურის, როგორც საერთაშორისო ენის-მუამავლის, როლის ზრდასთან დაკავშირებით, ასევე აფრიკის ხალხების კოლონიალიზმიდან გათავისუფლებისა და მათი თვითშეგნების ამაღლების გამო შავ-თეთრი მნიშვნელობის სპეციფიკურმა მეტაფორიკამ აფრიკელების ყურადღება მიიპყრო. როგორც მიუთითებს ალი მაზრუი,<sup>63</sup> ავტორი ნაშრომისა „ინგლისური ენის პოლიტიკური სოციოლოგია“ («*Политическая социология английского языка*»), აფრიკული საზოგადოება შენუხებულია „რასიზმის გადმონაშთით თანამედროვე ინგლისურ ენაში“ – იმით, რომ იყენებს რა სიტყვა *black*-ს უარყოფითი, ხოლო *white*-ს – დადებითი კონოტაციით, მოსაუბრე ვერ აცნობიე-

---

<sup>62</sup> ანალოგიური ვითარებაა ქართულშიც – მთარგმნ. შენიშვნა.

<sup>63</sup> ალი მაზრუი – აფრიკელი მეცნიერი, მსოფლიო მასშტაბის პოლიტიკური მოღვაწე – მთარგმნ. შენიშვნა.

რებს „ნარსულის რასისტულ ტრადიციას, რომლითაც შავი ცუდთან ასოცირდება, თეთრი კი – კარგთან“ (28).

ალი მაზრუი ამ ტრადიციას ქრისტიანობის გავრცელებას უკავშირებს, რომელმაც ეშმაკი შავად გამოსახა, ხოლო ანგელოზები – თეთრად. მას ბიბლიიდან და ინგლისური კლასიკური ლიტერატურიდან მოჰყავს შავკანიანთა ღირსების შემლახავი მრავალი მაგალითი, რის გამოც მათი თარგმნა აფრიკულ ენებზე განსაკუთრებით რთულია. ასე, მაგალითად, პორცია „ვენეციელ ვაჭარში“, განიხილავს რა მისი ხელის მთხოვნელებს, რომელთა შორის ინგლისელი ბარონის, გერმანელი ჰერცოგის, ფრანგი დიდებულის გარდა იყო მაროკოელი პრინციც, კატეგორიულად აცხადებს: “If he have the condition of a saint and the complexion of a devil, I had rather he would shrive me than wive me” [Будь у него нрав святого, а лицо дьявола, так лучше бы он меня взял в духовные дочери, чем в жены (გ. შჩეპკინა-კუპერნიკის თარგმანი)/სული თუ წმინდანისა ექნა, ხოლო სახე ეშმაკისა – მაშინ ცოლად მითხოვებას ის მიჩვენია, სულიერ შვილად ამიყვანოს<sup>64</sup>]. „ვენეციელ ვაჭარში“ აფრიკელი მთარგმნელი იძულებული გახდა, complexion/„სახის ფერი“ შეეცვალა „სახით“, რათა თავიდან აეცილებინა შეურაცხმყოფელი მინიშნება კანის ფერზე.

კვლევის ავტორის შეხედულებით, აუცილებელია სასწრაფო ზომების მიღება თანამედროვე ინგლისურ ენაში ფერთა აღნიშვნის მეტაფორიკასთან მიმართებით, რადგანაც ის არის უნივერსალური გამოყენების ყველაზე კანონიერი და მოსალოდნელი კანდიდატი. ინგლისურ ენაში რასიზმის გადმონაშთებისადმი შეგნებული დამოკიდებულება, ახალი ალტერნატიული მეტაფორების შექმნა ინგლისური ენის თუნდაც მხოლოდ აფრიკული ვარიანტებისთვის, ხელს შეუწყობდა მისი პოზიციის განმტკიცებასა და პოპულარობას. ალი მაზრუი მოუწოდებს აფრიკელებს ინგლისური ენის კრიტიკული და აქტიური აღქმისკენ, მასში რასიზმის აღმოფხვრისკენ (“deracialization of English”).

---

<sup>64</sup> თარგმანი ვახტანგ ჭელიძისა – მთარგმნ. შენიშვნა.

ცხოვრების შეცვლილი პირობების გავლენით ენობრივი მოვლენის სოციოკულტურული განპირობებულობა მწვავე პოლიტიკურ პრობლემად იქცა. სწორედ აქედან დაიწყო ძლიერი იდეოლოგიური და კულტურული მოძრაობა სახელწოდებით “political correctness”<sup>65</sup>.

დამატებით მოვიყვანოთ სოციოკულტურულად განპირობებული სიტყვათშეთანხმებების მაგალითები:

He really loved to have white men staying on the place...

And she was fascinated by the young gentlemen, mining engineers, who were his guests at times.

He, too, was fascinated by a real gentleman. But he was an oldtime miner with a wife, and if a gentleman looked at his wife, he felt as if his mine were being looted, the secrets of it pryed out (D. H. Lawrence). ძალიან მოსწონდა, როცა მასთან თეთრი ადამიანები ჩერდებოდნენ...

მას კი ახალგაზრდა ჯენტლმენები, მთის ინჟინრები აჯადოებდნენ, რომლებიც ზოგჯერ მასთან ჩერდებოდნენ.

ისიც მოხიბლა ნამდვილმა ჯენტლმენმა. მაგრამ ის უკვე დიდი ხანია მალაროელი იყო, დიდი ხანია ცოლიანი იყო და როცა ჯენტლმენი მის ცოლს უყურებდა, ეჩვენებოდა, რომ მის მალაროს ძარცვავდნენ, საიდუმლოებებს ათქმევინებდნენ (დ. ჰ. ლოურენსი).

ამ ნაწყვეტში ყველა ატრიბუტული სიტყვათშეთანხმება სოციოკულტურულადაა განპირობებული. ერთმანეთთან თანაფარდობაში მყოფი რეალური სამყაროს საგნები და ცნებები ბუნებრივად ეწყობიან ერთმანეთს მოსაუბრის ცნობიერებაში და ასახავენ მის სოციალურ გამოცდილებას. Real gentleman-ის ენობრივი სტრუქტურის საფუძველში დევს ინგლისურად მოსაუბრე ერთობებში ტრადიციულად დამკვიდრებული სოციალური სტრუქტურა, მორალურ-ეთიკური კოდექსი. ანალოგიურად, სიტყვათშეთანხმება oldtime miner გულისხმობს სოციალური ფაქტორების არსებობას, რომელთა ცოდნის გარეშე შეუძლებელია მოცემული სიტყვათშეთანხმების შექმნაც და გაგებაც.

---

<sup>65</sup> პოლიტიკური კორექტულობა – მთარგმნ. შენიშვნა.

სწორედ ამიტომ, კომუნიკაციის ძირითადი პირობაა ფონური ცოდნა, ე.ი. მოსაუბრისა და მსმენელის რეალიებისა და კულტურის ცოდნა.

## §8. ენა როგორც კულტურის მცველი

Every language is a temple in which the  
soul of those who speak it is enshrined.

*Oliver Wendell Holmes*

ყოველი ენა – ეს არის ტაძარი, სადაც სათუთად  
ინახება ამ ენაზე მოლაპარაკეთა სულები.

*ოლივერ ვენდელ ჰოლმსი*<sup>66</sup>

ენა არამხოლოდ ადამიანის სამყაროსა და მის კულტურას ასახავს. ენის უმთავრესი ფუნქცია კულტურის დაცვა და თაობიდან თაობისთვის გადაცემაა. სწორედ ამიტომაც, ენა მნიშვნელოვან, რომ არ ვთქვათ გადამწყვეტ, როლს თამაშობს პიროვნების, ნაციონალური ხასიათის, ეთნიკური ერთობის, ხალხის, ნაციის ფორმირებაში.

ენის იდიომატიკაში, ე.ი. იმ ფენაში, რომელიც, განმარტების თანახმად, ნაციონალურად სპეციფიკურია, ინახება ღირებულებათა სისტემა, საზოგადოებრივი მორალი, დამოკიდებულება სამყაროსადმი, ადამიანებისადმი, სხვა ხალხებისადმი. ფრაზეოლოგიზმები, ანდაზები ყველაზე ნათლად ახდენენ ერთი კულტურით გაერთიანებული ამა თუ იმ ერთობის ცხოვრების წესის, გეოგრაფიული მდებარეობის, ისტორიისა და ტრადიციების ილუსტრირებას.

ამ თემაზე მრავალი სამეცნიერო ნაშრომია შექმნილი. სწორედ თავისი აშკარა კულტურის მატარებლობის, ნაციონალური და სტილისტური ელფერის გამო, იდიომატიკა ყოველთვის იქცევა როგორც მეცნიერ-ლინგვისტების, ასევე უცხოური ენე-

---

<sup>66</sup> *ოლივერ ვენდელ ჰოლმსი (1809-1894) – ამერიკელი ექიმი და მწერალი – მთარგმნ. შენიშვნა.*

ბის შემსწავლელთა გაძლიერებულ ყურადღებას. ეს ინტერესი არ არის იმ რეალური როლის პროპორციული, რომელსაც ფრაზეოლოგიზმები მეტყველების წარმოქმნაში ასრულებენ. ეს როლი ძალიან შეზღუდულია, იდიომები შეიძლება მივამსგავსოთ სანელებლებს, რომლებსაც საჭმელში ამატებენ ფრთხილად, დანის წვერით, მნიკვს, ხოლო თვით კერძი, ე.ი. მეტყველება, შედგება სრულიად სხვა, ნაკლებად ცხარე და ნეიტრალური კომპონენტებისგან – არაიდომატური ხასიათის სიტყვებისა და სიტყვათშეთანხმებებისგან.

ენობრივ ერთეულსა და კულტურას, ცხოვრების წესს, ნაციონალურ ხასიათსა და ა.შ. შორის უშუალო კავშირი (იდიომის საფუძველში არსებული სახის, მეტაფორის მეშვეობით) აშკარაა და არაერთგზის გამოკვლეული. ინგლისური ენის „ზღვის“ იდიომები კუნძულებრივი აზროვნებიდან, წარსული ცხოვრებიდან გამომდინარეობენ და მთლიანად დამოკიდებულია კუნძულ დიდი ბრიტანეთის გარემომცველი ზღვის სივრცეზე, მეზღვაურებზე – ნაციის ყველაზე გავრცელებულ პროფესიაზე.

ენა იცავს ხალხის კულტურას და შემდგომ თაობებს გადასცემს. კონკრეტული თემის (მონარქია და მისდამი ხალხის დამოკიდებულება) საფუძველზე განვიხილოთ ენის უნარი ასახოს და, რაც მთავარია, დაიცვას თავისი მეტყველი კოლექტივის რეალური და კულტურული სამყარო. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ვნახოთ რუსული და ინგლისური ენებით დახატული სურათი ან უფრო სწორად, მისი ის ნაწილი, სადაც შექმნილია მონარქის, სახელმწიფოს მმართველის და მისი მმართველობის სახე.

რუსეთშიც და ინგლისშიც საუკუნეების განმავლობაში სწორედ მონარქია იყო მმართველობის მთავარი და ერთადერთი ფორმა. განსაკუთრებით საინტერესოა ის, რომ იქაც და იქაც მონარქია, როგორც სახელმწიფოს მართვის საშუალება, პრაქტიკულად აღარ არსებობს. რუსეთში ეს მოხდა 1917 წელს, უეცრად და ძალადობრივად, ხოლო ინგლისში მონარქია ჯერ კიდევ შენარჩუნებულია, მაგრამ, ფაქტობრივად, ეს უკვე დეკორატიული ანაქრონიზმია, სუვენირი, ე.ი. წარსული წლების გახ-

სენება, რადგანაც მონარქს დღევანდელ დღეს არანაირი პოლიტიკური ძალა არ აქვს.

ენამ როგორც სარკემ, რა თქმა უნდა, ასახა საზოგადოების სოციალური და კულტურული მონყობის ეს უმნიშვნელოვანესი მხარე და დაიცვა ის როგორც ყულაბამ და საგანძურმა. ვნახოთ, როგორ შეასრულა ეს ფუნქციები ორივე ენამ, აღბეჭდა რა ყველა სახე სიტყვებში, სიტყვათშეთანხმებებსა და ანდაზებში.

თემასთან (სემანტიკურ ველთან) „მონარქი და მონარქია“ (სიტყვები *царь, царица, царский, king, queen, royal*/მეფე, დედოფალი, სამეფო) დაკავშირებული ენობრივი მასალის შესწავლისას, თვალში გვხვდება ენობრივი ერთეულების პოზიტიური კონოტაციები და დადებითი ელფერი. ინგლისური და რუსული ენები (მიუხედავად რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში საბჭოთა რუსეთის ანტიმონარქიული პროპაგანდისა) ერთხმად მონმობენ (სიტყვების სარკეში ა ს ა ხ ა ვ ე ნ) მონარქის განდიდებას, მის ძალაუფლებას, სამეფოს განუყოფლობას.

### **ინგლისური ენა**

*The King can do no wrong* [Король не может быть не прав/მეფე ყოველთვის მართალია].

*The King's word is more than another man's oath* [Слово короля больше, чем клятва простого человека/მეფის სიტყვა უფრო მეტია, ვიდრე ჩვეულებრივი ადამიანის ფიცია].

*God save the King* [Боже, храни короля/ღმერთო, დაიცავი მეფე].

*The Faith's Defender* [Защитник веры (король)/რწმენის დამცველი (მეფე)].

*Kingdoms divided soon fall* [Царства, разделенные на части, скоро падут/ნაწილებად დაყოფილი სამეფოები მალე დაეცემა].

### **რუსული ენა**

*Государь, батюшка, надежда, православный/ხელმწიფე, მამილო, იმედი, მართლმადიდებელი.*

*Боже, царя храни/ღმერთო, მეფე დაიცავი.*

*Без царя народ сирота/მეფის გარეშე ხალხი ობოლია.*

*Где царь, там и правда/სადაც მეფეა, იქ სიმართლეა.*

*Без бога свет не стоит, без царя земля не правится/ღმერთის გარეშე სამყარო, მეფის გარეშე დედამინა არ იმართება.*

ინგლისური და რუსული ენები მონარქს უმაღლესი ღირსე-ბებით ამკობენ: ის ყველაზე დიდებულია, ყოვლისშემძლე, კეთილშობილი, ძლიერი, ყველასგან გამორჩეული და ყველაზე აღმატებული.

### **ინგლისური ენა**

*King Arthur did never violate the refuge of a woman* [король Артур никогда не переступал порога убежища женщины/მეფე არტურს არასოდეს გადაულახავს ქალის თავშესაფრის ზღუდე].

*The King of Heaven (Jesus Christ)* [Царь Небесный (Иисус Христос)/ზეციური მეფე (იესო ქრისტე)].

*King of Kings (Jesus Christ)* [Царь Царей (Иисус Христос)/მეფეთ მეფე (იესო ქრისტე)].

*King of the Jews (Jesus Christ)* [Царь Иудейский (Иисус Христос)/იუდეველთა მეფე (იესო ქრისტე)].

*King of beasts (the lion)* [царь зверей (лев)/ცხოველთა მეფე (ლომი)].

*King of birds (the eagle)* [царь птиц (орел)/ფრინველთა მეფე (არწივი)].

*King cobra (the world's largest venomous snake)* [королевская кобра (самая большая в мире ядовитая змея)/სამეფო კობრა (მსოფლიოში ყველაზე დიდი მხამიანი გველი)].

*King prawns/crab* [королевские креветки, крабы/სამეფო კრევეტები, კიბორჩხალები].

*Oil/cotton king* [нефтяной, хлопковый король/ნავთობის, ბამბის მეფე].

*King size* [королевский размер/სამეფო ზომა].

## რუსული ენა

*Царь небесный* (Иисус Христос)/ზეციური მეფე (იესო ქრისტე).

*Царь царей* (Иисус Христос)/მეფეთ მეფე (იესო ქრისტე).

*Царь зверей* (лев)/ცხოველთა მეფე (ლომი).

*Царь птиц* (орел)/ფრინველთა მეფე (არწივი).

*Человек – царь природы/ადამიანი – ბუნების მეფე.*

*Дуб – царь лесов/მუხა – ტყეების მეფე.*

*Царь-колокол/მეფე-ზარი.*

*Царь-пушка/მეფე-ზარბაზანი.*

შესაბამისად, ნაცვალსახელი *royal/царский/სამეფო*, ასევე აღიდეგს მონარქიას იმდენად, რამდენადაც აღნიშნავს „მეფის ღირსს“, „მდიდრულს, დიდებულს“.

## ინგლისური ენა

*A king's ransom*=*a lot of money* [королевский выкуп=большая сумма денег/სამეფო გამოსასყიდი=დიდი რაოდენობის თანხა].

*King's English* [королевский английский язык/სამეფო ინგლისური ენა].

*A royal pardon* [амнистия (букв. королевское прощение)/ამნისტია (სიტყვასიტყვით – მეფური მიტევება)].

*Royal eagle/leopard/stag/python* [королевский (благородный) орел, леопард, олень, питон/სამეფო (კეთილშობილი) არწივი, ლეოპარდი, ირემი, პითონი].

*Kingly feast* [царское угощение/მეფური გამასპინძლება].

*Royal we* [Наше Высочество (Мы)/ჩვენო აღმატებულებაგ (ჩვენ)].

*Royal visit, Royal yacht* [королевский визит, королевская яхта/სამეფო ვიზიტი, სამეფო იახტა].

*Royal fish* (the fish in which the crown has special rights: sturgeon, whale) [королевская рыба (рыба, особые права на которую принадлежат Короне: осетр, кит)/სამეფო თევზი (თევზი, რო-

მელზეც განსაკუთრებული უფლებები ეკუთვნის სამეფო ოჯახს: ზუთხი, ვეშაპი].

*Royal oak* (a spring of oak worn, to commemorate the resloration of Charles II in 1660. Hence Royal Oak Day - 29 May) [королевский дуб (дубовая веточка, которую прикрепляют к одежде в память о провозглашении Чарльза II королем в 1660 году. С тех пор 29 мая - День королевского дуба/სამეფო მუხა (მუხის ტოტი, რომელსაც იმაგრებენ ტანსაცმელზე 1660 წელს ჩარლზ II-ის მეფედ კურთხევის პატივსაცემად. იმ დროიდან 29 მაისი არის სამეფო მუხის დღე)].

*Royal fern* [королевский папоротник/სამეფო გვიმრა].

*Royal antelope* (the smallest known - king of hares) [королевская антилопа (самый маленький из известных видов антилоп, «король зайцев»)/სამეფო ანტილოპა (ანტილოპის ცნობილი სახეობებიდან ყველაზე პატარა, „კურდღლების მეფე“].

## რუსული ენა

*Царская милость/მეფური მონყალება.*

*Царская роскошь/მეფური ფუფუნება.*

*Царский подарок/მეფური საჩუქარი.*

*Царский ужин, царский пир/სამეფო ვახშამი, სამეფო ნადიმი.*

*Царские врата/სამეფო კარი.*

*Царское угощение/მეფური გამასპინძლება.*

*Царский глаз далеко видит/მეფის თვალი შორსმხედველია.*

*Царский гнев и милость в руке божьей/მეფის რისხვა და წყალობა ღვთის ხელშია.*

*На все святая царская воля/ყველაფერზე მეფის წმინდა ნებაა.*

*Царский чертог/სამეფო დარბაზი.*

*Царская водка/სამეფო არაყი.*

*Принять по-царски/მეფურად მიღება.*

*Наградить по-царски/მეფურად დაჯილდოება.*

*(Не) царское дело/(არა) სამეფო საქმე.*

*Царские кудри* (красная лилия)/სამეფო კულულები (წითელი ლილია).

ყოველივე აქ თქმული მეფეზე შეეხება დედოფალსაც: ისიც თავისი ღირსებებით ყველაზე აღმატებულია.

### ინგლისური ენა

*Queen of glory/grace/paradise/women* [Королева славы, милосердия, рая, женщин (Дева Мария)/დიდების, გულმონყალების, სამოთხის, ქალების დედოფალი (ქალწული მარიამი)].

*Queen of heaven/the night/of tides* [царица неба, ночи, приливов (луна)/ცის, ღამის, მოქცევების დედოფალი (მთვარე)].

*Queen of all hearts/all society* [букв. королева сердец, общества (покорительница сердец)/სიტყვასიტყვით – გულების, საზოგადოების დედოფალი (გულთამპყრობელი)].

*Beauty queen* [королева красоты, богиня красоты/სილამაზის დედოფალი, სილამაზის ქალღმერთი].

*The queen of crime writers* [королева писателей-криминалистов/მწერალ-კრიმინალისტების დედოფალი].

*London is the queen of British cities* [Лондон – королева английских городов/ლონდონი – ინგლისის ქალაქების დედოფალი].

*Venice, the queen of the Adriatic* [Венеция, королева Адриатики/ვენეცია, ადრიატიკის დედოფალი].

*The Latin, queen of tongues* (Ben Jonson, 1573-1637) [латынь, королева языков (Бен Джонсон, 1573-1637)/ლათინური, ენების დედოფალი (ბენ ჯონსონი,<sup>67</sup> 1573-1637)].

*Queen of pleasure* [королева наслаждения/განცხრომის დედოფალი].

---

<sup>67</sup> ბენ ჯონსონი – ინგლისელი მწერალი, მსახიობი, დრამის თეორეტიკოსი – მთარგმნ. შენიშვნა.

## რუსული ენა

*Царица Небесная* (Богоматерь)/ზეციური დედოფალი (ლვთისმშობელი).

*Царица ночи*/ღამის დედოფალი.

*Царица общества*/საზოგადოების დედოფალი.

*Царица моды*/მოდის დედოფალი.

*Царица бала*/მეჯლისის დედოფალი.

*Царица цветов*/ყვავილების დედოფალი.

*Царица полей*/ველების დედოფალი.<sup>68</sup>

მონარქიის თემასთან დაკავშირებით, განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენს რუსული ენა, რომელიც დიდი ხანი ინახავდა იმას, რაც უკვე არ „აისახებოდა“. მონარქია რუსეთში დაემხო, მთელი იდეოლოგია, აღზრდა მკვეთრად ანტიმონარქიული იყო, მაგრამ ენაზე ვერ მბრძანებლობენ ვერც რეჟიმები, ვერც მთავრობები, ვერც იდეოლოგიები. ენამ შემოინახა მოკრძალებული და პატივსაცემი დამოკიდებულება მეფისა და მისი ძალაუფლებისადმი. ადამიანი *нез царя в золото* – ეს არის სულელი, უვარგისი ადამიანი. მხოლოდ ეს გამოთქმაც კი სავსებით საკმარისია მეფისადმი კარგი დამოკიდებულების შესანარჩუნებლად. ხოლო ყველა ეს სიტყვა – *სამეფო საჩუქრები, მეფური გამასპინძლება, გულმონყალება* მეფის გულუხვობისა და ყოვლისშემძლეობის დემონსტრირებას ახდენს. თუ ოდესმე რუსეთში მონარქია აღდგება, შეიძლება ჩაითვალოს, რომ ენამ ამაში უკვე შეასრულა თავისი დადებითი როლი.

ამასთან, ორივე ენამ შემოინახა მონარქისადმი ხალხის კრიტიკული დამოკიდებულება. ქვემოთ მოყვანილ კონტექსტებში საუბარია მონარქის ნაკლოვანებებზე, მისი მხრიდან შეუფერებელი ქცევის შესაძლებლობაზე, მის მიმართ უნდობლობასა და შიშზე:

---

<sup>68</sup> მონარქის განდიდების, მისი ძალაუფლების, სამეფოს განუყოფლობის გამომხატველი სიტყვები უცხო არ არის ქართული ენისთვის – მთარგმნ. შენიშვნა.

### ინგლისური ენა

*King Harry robbed the church and died a beggar* [Король Гарри ограбил церковь, да умер нищим/მეფე ჰარიმ ეკლესია გაძარცვა და სიღარიბეში გარდაიცვალა].

*King loves the treason but hates the traitor* [Король любит предательство, но ненавидит предателя/მეფეს უყვარს ღალატი, მაგრამ ვერ იტანს მოღალატეს].

*Kings and bears often worry their keepers* [Короли и медведи часто беспокоят своих сторожей/მეფეები და დათვები თავიანთ მცველებს ხშირად ანუხებენ].

*Kings have long arms (hands), many ears and many eyes* [У королей длинные руки, много ушей и глаз/მეფეებს გრძელი ხელები, ბევრი ყური და თვალი აქვთ].

### რუსული ენა

*Где царь, там и страх/სადაც მეფეა, იქ შიშია.*

*Близ короля, близ смерти/მეფესთან ახლოს, სიკვდილთან ახლოს.*

*Царь да нищий без товарищей/მეფე, მაგრამ ღარიბი მეგობრების გარეშე.*

უარყოფითი კონოტაციები აქვს ქვემოთ მოყვანილ კონტექსტებსაც. მათში ნათქვამია, რომ მონარქის ძალაუფლება შეზღუდულია, რომ ის შორს არის ხალხისგან და არაფრით არის ხალხის წარმომადგენელზე უკეთესი.

### ინგლისური ენა

*King can (may) make a knight, but not a gentleman* [Из короля получается рыцарь, но не джентльмен/მეფე შეიძლება რაინდი გახდეს, მაგრამ ჯენტლმენი არა].

*Heaven is above all yet; there sits a judge*

*That no king can corrupt* (Shakespeare. King Henry VIII)

*[Над миром небо есть. Там судия,*

*Он неподкупен и для королей (У. Шекспир. Генрих VIII. Пер. Б. Томашевского)/მოსამართლე ცაშია, მას მეფეც ვერ მოისყიდის (უ. შექსპირი, ჰენრი VIII)].*

*I think the king is but a man, as I am: the violet smells to him as it doth to me (Shakespeare. King Henry V)[Король такой же человек, как я. Фиалка пахнет для него так же, как и для меня (У. Шекспир. Генрих V. Пер. Е. Бируковой)/მეფე ისეთივე ადამიანია, როგორც მე. მისთვის იას ისეთივე სურნელი აქვს, როგორც ჩემთვის (უ. შექსპირი, ჰენრი V)].*

*Now the king drinks to Hamlet [Король пьет здравье Гамлета (У. Шекспир. Гамлет. Пер. М. Лозинского)/ხელმწიფე დაღევს ჰამლეტის სადღეგრძელოს (უ. შექსპირი, ჰამლეტი)]<sup>69</sup> – ეს ციტატა „ჰამლეტიდან“ ფარისევლობის გამომხატველ ფრთიან გამონათქვამად იქცა.*

## **რუსული ენა**

*До бога высоко, до царя далеко/ღმერთი მაღლაა, მეფე შორს.*

*He ведает царь, что делает псарь/მეფემ არ უწყის, რას აკეთებს მეძაღლე.*

*Жалует царь, да не жалует псарь/რაც მეფეს ანუხებს, არ ანუხებს მეძაღლეს.*

რუსული სიტყვის *царь/მეფე* კულტურული ფონით გამონვეულ სიძნელეებზე საინტერესო მონაცემები მოჰყავს ო. დ. მიტროფანოვას. ორენოვანი აზერბაიჯანელი მწერლის ჩინგიზ ჰუსეინოვის ისტორიული რომანი „ფატალური ფატალი“ თავიდან რუსულ ენაზე დაიწერა, ხოლო შემდეგ თვით ავტორის მიერ ითარგმნა აზერბაიჯანულად, მაგრამ თარგმანი არ გამოვიდა „რუსულენოვანი ტექსტის წინააღმდეგობის“ გამო. აღმოჩნდა, რომ რომანის გმირი, მირზა ფატალი ახუნდოვი და ავტორი ჩინგიზ ჰუსეინოვი თითქოს ორი კულტურის – რუსულის და აზერბაიჯანულის – შეპირისპირებით ჩამოყალიბდნენ.

---

<sup>69</sup> ივანე მაჩაბლის თარგმანი – მთარგმნ. შენიშვნა.

ჩ. ჰუსეინოვი იძულებული გახდა თარგმნაზე უარი ეთქვა. ეს უარი კი შემდეგნაირად ახსნა: „შემეძლო დამეშვა, რომ აზერბაიჯანელი ხალხისა და აზერბაიჯანელი მკითხველისთვის განკუთვნილი ნაწარმოები აჟღერებულებოდა როგორც რუსულიდან თარგმნილი? გამოსავალი იყო ახალი ორიგინალის შექმნა უკვე დაწერილის მიხედვით... როდესაც სიუჟეტურ-კომპოზიციურად ორგანიზებული და კონცეპტუალურად მთლიანი თავდაპირველი ორიგინალი ხელახლა იქმნებოდა აზერბაიჯანულად, თავი იჩინა ენის დიქტატმა: რუსულმა ენამ, რომელზეც თავდაპირველად იწერებოდა ტექსტი, რომანის სტრუქტურასა და შინაარსში ბუნებრივად, „სტიქიურად“ ჩართო რუსულ-ევროპული რეალიები, მასალები, ფიგურები და პერსონაჟების ბედი. ამასთან, რუსული ენით შეფუთული აღმოსავლური მასალაც კი ინტერპრეტირდა და ემოციურად შეფერადდა ისევ და ისევ ევროპული სულითა და ტრადიციებით“.<sup>70</sup>

მაგალითის სახით მოყვანილია რუსული სიტყვა *царь*. აღმოჩნდა, რომ როდესაც რუსულ ტექსტში „რუსული ენისთვის ბუნებრივი ფორმით გაჩნდა რუსი მეფისადმი კრიტიკულ-ირონიული დამოკიდებულების ინტონაცია, ფრაზა მთლიანობაში ძლიერ შინაგან წინააღმდეგობას უწევდა ტექსტს. ის არ იღებდა სიტყვას *царь*, რადგან წინააღმდეგი იყო სხვა ენობრივი სტიქია. მაგრამ საკმარისი აღმოჩნდა სიტყვა *царь* შეგვეცვალა სამეფო პირის აღმნიშვნელი უფრო ზოგადი სიტყვით (მაგ., *государь*/ხელმწიფე), ენამ წინააღმდეგობა შეწყვიტა და კრიტიკული დამოკიდებულება ბუნებრივად ჩაჯდა ტექსტში. რა მოხდა? აღმოჩნდა, რომ აზერბაიჯანულ ენას, უბრალოდ, არ აქვს თეთრი მეფე-თვითმპყრობლის (*царь-самодержец*) ნეგატიურად გამოხატვის ტრადიცია. ეს მისთვის უჩვეულოა, არაბუნებრივი“.<sup>71</sup>

---

<sup>70</sup> ციტატა წიგნიდან: *О. Д. Митрофанова. Лингводидактические уроки и прогнозы конца XX века//Материалы IX Конгресса МАПРЯЛ, Братислава, 1999 г. Доклады и сообщения российских ученых. Москва, 1999, გვ. 352-353.*

<sup>71</sup> იქვე, გვ. 356.

გამოდის, რომ აზერბაიჯანულმა ენამ უფრო უერთგულა რუსულ *чарх*-ს, ვიდრე რუსულმა ენამ.

საუნივერსიტეტო მმართველობის ტერმინები აშკარა მაგალითია იმისა, თუ როგორ ინახება ენაში კულტურული ინფორმაცია. უნივერსიტეტის მართვის უმაღლესი თანამდებობების – *რექტორი, დეკანი* – რუსული და ინგლისური სახელები ინახავენ ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ ბევრ ევროპულ ქვეყანაში განათლება, როგორც სოციალური ინსტიტუტი, მონასტრებში ჩაისახა და მას თავდაპირველად წმინდა საეკლესიო ხასიათი ჰქონდა. შემდგომ განათლება გაიყო სასულიეროდ და საეროდ და ეს უკანასკნელი უფრო გავრცელდა. საბჭოთა რუსეთში საეკლესიო განათლება თითქმის არ არსებობდა და ძნელად თუ ვინმეს ახსოვდა, რომ მრავალი ასეული წლის წინ განათლება მხოლოდ სასულიერო ხასიათის იყო.

ინგლისში ამას გვახსენებს არქიტექტურა. უძველესი უნივერსიტეტები კვლავინდებურად XIII, XIV, XV და შემდგომი საუკუნეების მონასტრებშია (თავისი კელიებით, სასეინო, მედიტაციისა და ლოცვის ცნობილი გალერეებით) განთავსებული. უფრო გვიანდელი უნივერსიტეტების „წითელაგურებიანი“ შენობები ხშირად შენდებოდა მონასტრული არქიტექტურის ელემენტებით.

ინგლისურ და განსაკუთრებით, რუსულ ენაში დაცულია კულტურული ფენა, რომელიც საუნივერსიტეტო განათლების ისტორიულ ფესვებს ააშკარავებს:

**Декан** – «руководитель факультета». Вероятно, через нем. Dekan из лат. decanus, первонач. «настоятель соборного капитула», а также «старший над десятью монахами». <sup>72</sup> **დეკანი** – „ფაკულტეტის ხელმძღვანელი“. სავარაუდოდ, გერმანული სიტყვიდან Dekan, ლათინური სიტყვიდან decanus, თავდაპირ. „ტაძრის კაპიტულის წინამძღვარი“, ასევე, „ათი ბერის უფროსი“. **Dean** – 1. A head, a chief, or commander of a division of ten. 1483. 3. Head of ten monks in a monastery 1643. 4. Hence, the heart of the chapter in a collegiate or cathedral church. ME.

---

<sup>72</sup> М. Фасмер. *Этимологический словарь русского языка. Пер. с нем. и доп. О. Н. Трубачева. Т. 1-4. М., 1986-1987.*

5. A presbyter invested with jurisdiction or precedence (under the bishop or archdeacon) over a division of archdeanconry. 6. In other eccl. uses 1647. 7. The officer or officers in the college of Oxford and Cambridge appointed to supervise the conduct and discipline of junior members 1577. 8. The president of a faculty or department of study in a University; in U.S. the registrar or secretary of the faculty 1524. 9. The president, chief or senior member of any body (The Shorter Oxford). **Декан** – 1. Глава, начальник или командир отделения из десяти человек. 1483. 3. Глава десяти монахов в монастыре. 1643. 4. С этих пор – глава собрания капитула в университете или в кафедральной церкви. Ср.-англ. 5. Пресвитер, облеченный властью или превосходством (подчиняющийся епископу - в англиканской церкви его наместник - или архидиакону) над частью епископства. 6. В другом церковном употреблении. 1647. 7. Чиновник или чиновники в Оксфордских или Кембриджских колледжах, назначенные следить за поведением младших. 1577. 8. Президент (руководитель) факультета или учебного отделения в университете; в США - архивариус или секретарь факультета. 1524. 9. Президент, начальник, или старший любого заведения. **დეკანი** – 1. ათკაციანი განყოფილების მეთაური, უფროსი. 1483. 3. ათი ბერის ხელმძღვანელი მონასტერში. 1643. 4. ამ დროიდან – უნივერსიტეტის ან კათედრალური ეკლესიის კაპიტულის კრების ხელმძღვანელი. შდრ.-ინგ. 5. პრესვიტერი, აღჭურვილი ძალაუფლებით (დაქვემდებარებული ეპისკოპოსს ან არქიდიაკონს) საეპისკოპოსოების ნაწილზე. 6. სხვა საეკლესიო გამოყენებით. 1647. 7. ჩინოვნიკი ან ჩინოვნიკები ოქსფორდის ან კემბრიჯის კოლეჯებში, მათი მოვალეობა იყო უმცროსებისთვის თვალყურის დევნება. 1577. 8. უნივერსიტეტის ფაკულტეტის ან სასწავლო განყოფილების პრეზიდენტი (ხელმძღვანელი); აშშ-ში – ფაკულტეტის არქივარიუსი ან მდივანი. 1524. 9. ნებისმიერი დაწესებულების პრეზიდენტი ან უფროსი.

**Ректор** – впервые в 1643 г. Через польск. rektor из лат. rector «правитель, управитель».<sup>73</sup>

**რექტორი** – პირველად 1643 წ. პოლონური სიტყვიდან rektor, ლათინური სიტყვიდან rector – „მმართველი, გამგებელი“.

<sup>73</sup> იქვე.

**Rector** – 1. The ruler or governor of a country, city, state, or people. 1685. b. Applied to God as the ruler of the world, of mankind, etc. 2. One who, or that which, exercises supreme or directive control in any sphere. Now rare. 1482. 3. A person or incumbent of a parish whose tithes are not impropriety. (Cf. Vicar). In Roman Catholic use, head priest of a parish. late ME. 4. In scholastic use: a. The permanent head or master of a university, college, school, or religious institution (esp. a Jesuit college or seminary). In Eng. use now applied only to the heads of Exeter and Lincoln Colleges, Oxford. 1464. b. In Scottish universities: the holder of one of the higher offices. 1522. c. The acting head, and president of the administrative body, in continental universities. 1548 (The Shorter Oxford). **Ректор** – 1. *устар.* Правитель или губернатор, управляющий страной, городом, штатом или людьми. 1685. б. *устар.* Употребляется по отношению к Богу как правителю мира, человечества и т. д. 2. Тот, кто осуществляет высший контроль в любой сфере. Сейчас неупотребительно. 1482. 3. Человек или приходской священник, чей титул не ошибочен. (Ср. Викарий). В римско-католической церкви – главный священник в приходе. Поздний ср.-англ. 4. В сфере образования: а. Постоянный глава университета, колледжа, школы или религиозной организации (особенно иезуитского колледжа или семинарии). В английском употреблении применяется ныне лишь к главам Эксетерского и Линкольского колледжей в Оксфорде. 1464. б. В шотландских университетах: руководитель одного из самых главных офисов. 1522. в. Действующий глава, президент административной организации в континентальных университетах. 1548. **რექტორი** – 1. *მოძვ.* მმართველი ან გუბერნატორი, რომელიც მართავს ქვეყანას, ქალაქს, შტატს ან ხალხს. 1645. ბ. *მოძვ.* გამოიყენება ღმერთის როგორც სამყაროს, კაცობრიობის და ა.შ. მბრძანებლის მიმართ. 2. ის, ვინც ახორციელებს უმაღლეს კონტროლს ნებისმიერ სფეროში. ახლა არ გამოიყენება. 1482. 3. ადამიანი ან მრევლის მღვდელი, ვისი ტიტულიც უშეცდომოა (მდრ. ვიკარი<sup>74</sup>). რომაულ-კათოლიკურ ეკლესიაში

<sup>74</sup> ვიკარი – 1. მართლმადიდებლურ ეკლესიაში: არქიელის (ეპისკოპოსის, არქიეპისკოპოსის ან მიტროპოლიტის) თანაშემწე ეპარქიის მართვის საქმეში; 2. კათოლიკურ ეკლესიაში: ადრე – ეპისკოპოსის თანაშემწე, შემდგომში – მღვდლის თანაშემწე – მთარგმნ. შენიშვნა.

მრევლის მთავარი მღვდელი. გვიანი შდრ.-ინგლ. 4. განათლების სფეროში: ა) უნივერსიტეტის, კოლეჯის, სკოლის ან რელიგიური ორგანიზაციის (განსაკუთრებით, იეზიტური კოლეჯის ან სემინარიის) მუდმივი მეთაური. ინგლისში ამჟამად გამოიყენება მხოლოდ ოქსფორდში ექსტერისა და ლინკოლნის კოლეჯების ხელმძღვანელების მიმართ. 1464. ბ) შოტლანდიის უნივერსიტეტებში: ერთ-ერთი მთავარი ოფისის ხელმძღვანელი. 1522. გ) კონტინენტალურ უნივერსიტეტებში ადმინისტრაციული ორგანიზაციის მოქმედი ხელმძღვანელი, პრეზიდენტი. 1548.

კიდევ ერთი მაგალითი რუსული ენიდან – უშუალოდ მოსკოვის უნივერსიტეტის<sup>75</sup> ცხოვრებიდან. მსუ-ის მთავარი შენობა, დიდებული და მონუმენტალური, ნაწილებად იყოფა, რომლებსაც ყველა *ზონებს (зона)* უწოდებს. შენობის ცენტრალური ნაწილი, სადაც რექტორატი და რამდენიმე ფაკულტეტი განთავსებულია, ეს არის *ზონა ა*, პოლიკლინიკა მდებარეობს *ზონაში ე*, ბინები პედაგოგებისთვის – *ზონებში ი, კ, ლ, ნ*, საერთო საცხოვრებელი – *ზონებში ბ, ვ, გ* და სხვ. ყველა მცდელობა *ზონა შეცვლილიყო სექტორით*, ნარუმატებელი აღმოჩნდა: სიტყვა *ზონა (зона)* მყარად დამკვიდრდა ენაში. ამ სიტყვის უკან არის რუსეთის ისტორიის ერთი ფურცელი: მსუ-ის შენობა შენდებოდა 1948-1953 წლებში, მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებიდან მალევე და ომის შემდგომი რეპრესიების დროს. როგორც იმ დროის მსხვილი ობიექტების უმრავლესობას, უნივერსიტეტსაც აშენებდნენ *ზონებში* მცხოვრები პატიმრები. *ზონა* – ეს არის ტერმინი საკონცენტრაციო ბანაკების ცხოვრებიდან, რომელიც არცთუ ისე შორეული, მაგრამ უკვე დავიწყებული წარსულის მონმეა.

ამრიგად, ენა ასახავს არა მხოლოდ ხალხის კულტურას, მის სოციალურ წყობას, მენტალიტეტს, მსოფლმხედველობას და მრავალ სხვას, არამედ იცავს მის მიერ დაგროვებულ სოციოკულტურულ ფენას, რომელიც მნიშვნელოვანი და ეფექტური საშუალებაა შემდგომი თაობების ფორმირებისთვის.

---

<sup>75</sup> შემდგომში – მსუ – მთარგმნ. შენიშვნა.

თუმცა ენა არ არის მხოლოდ ყულაბა ან სათავსო, სადაც ხმარებიდან გასული სიტყვა-ცნებები ინახება. იდიომატურ გამოთქმებში, მართლაც, „მკვდარი“, ხმარებიდან დიდი ხნის წინ გასული სიტყვები ინახება, მაგრამ ეს ის გამონაკლისებია, რომლებიც წესების არსებობას ადასტურებენ.

ენა ცოცხალი, მუდმივად ფუნქციონირებადი და მუდმივად ცვალებადი ორგანიზმია. მეტაფორა „ცოცხალი და მკვდარი ენები“ შემთხვევითი სრულებითაც არ არის. ყველა ენა ოდესღაც დაიბადა, ზოგიერთი მათგანი დიდი ხნის წინ მოკვდა, ზოგიერთი – არცთუ ისე დიდი ხნის წინ, ხოლო ზოგიერთი ახლა კვდება. ენები კვდება, როცა მათზე მოლაპარაკე ხალხი ქრება. ხალხთან ერთად ქრება მისი კულტურა, ხოლო კულტურის გარეშე, მისი მოძრაობისა და განვითარების გარეშე, ენა წყვეტს სიცოცხლეს, კვდება და მხოლოდ წერილობით ძეგლებში ინახება.

საინტერესოა, რომ კულტურა ენის სიცოცხლისთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი მატარებელი ხალხი. რომის იმპერიის დაცემასთან ერთად შეწყდა რომაული კულტურის განვითარება, ლათინური ენა გახდა მკვდარი ენა, მიუხედავად იმისა, რომ რომაელების მემკვიდრეები დღესაც ცხოვრობენ რომში. მაგრამ ეს უკვე სხვა კულტურაა, სხვა ენაა. იგივე შეიძლება ითქვას ძველ ბერძნულ და ძველ რუსულ ენებთან მიმართებაში: ამ ენებზე მოსაუბრე ხალხების შთამომავლები ცოცხლები არიან, მაგრამ არც თანამედროვე ბერძნებს და არც თანამედროვე რუსებს, სპეციალური შესწავლის გარეშე, არ შეუძლიათ გაიგონ არც ძველი ბერძნული და არც ძველი რუსული ენა.

ენაში კულტურის ასახვის საკითხებს ქვემოთ დინამიკაში განვიხილავთ, უფრო კონკრეტულად კი: როგორ რეაგირებს ენა საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებზე, როგორ მიმდინარეობს კულტურის, მასთან ერთად ენის, როგორც მისი სარკის, განვითარების პროცესი.

## შენიშვნები

1. И. Глушкова. Коллекционер - коллекция - музей//Коллекция НГ, 1998, №18.
2. Г. А. Антипов, О. А. Донских, И. Ю. Марковина, Ю. А. Сорокин. Текст как явление культуры. Новосибирск, 1989, с. 75.
3. იბ.: Человеческий фактор в языке. Отв. ред. Е. С. Кубрякова. М., 1988, с. 107.
4. იქვე, გვ. 21.
5. А. Н. Леонтьев. Лекции по общей психологии. М., 2000, с. 94.
6. А. А. Потебня. Эстетика и поэтика. М., 1976, с. 260.
7. Е. М. Верещагин, В. Г. Костомаров. Язык и культура. М., 1990, с. 51.
8. В. С. Виноградов. Лексические вопросы перевода художественной прозы. М., 1978, с. 56.
9. როგორც ჩანს, ასეთი სახის ეკვივალენტები უნდა მოიძებნოს ტერმინოლოგიის სფეროში.
10. ამაზე დანვრილებით, საინტერესოდ და საფუძვლიანად წერდნენ: ე.მ. ვერეშაგინი და ვ.გ. კოსტომაროვი. იბ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 38-110.
11. Аргументы и факты, 1996, №16 (146).
12. В. фон Гумбольдт. Язык и философия культуры. М., 1985, с. 349.
13. Л. С. Бархударов. Двенадцать названий и двенадцать вещей//Русский язык за рубежом, 1969, №4, с.79-80.
14. Центр plus (Запад), 1997, №12.
15. Независимая газета, 20.11.1997.
16. У Гохуа. Письмо как объект лингвокультурологического исследования//IX Международный Конгресс МАПРЯЛ. Русский язык, литература и культура на рубеже веков. Т. 2. Братислава, 1999, с. 184-185.
17. А. Makine. Le testament francais. [Paris], Mercure de France, 1997, p. 43-44.
18. იქვე, გვ. 65-66.

19. იქვე, გვ. 112.
20. იქვე, გვ. 113-114.
21. Н. Думбадзе. Белые флаги. Тбилиси, 1974, с. 212.
22. М. Ваняшова. И вечностью заполнен миг//Театр, 1981, №6, с. 45.
23. К. Симонов. Лирика. М., 1956, с.6.
24. М. Ваняшова. Указ. соч., с. 45-46.
25. И. Василина. Сюрпризы БИТЕФа//Театр, 1981, №6, с. 140.
26. Ю. М. Лотман. Роман А. С. Пушкина «Евгений Онегин». Комментарий. Л., 1980, с. 158-159.
27. Г. А. Антипов, О. А. Донских, И. Ю. Марковина, Ю. А. Сорокин. Указ. соч., с. 140-141.
28. А. А. Mazrui. The Political Sociology of the English Language. Mouton - the Hague, 1975, p. 81.

## თავი 2. საზოგადოებრივი კულტურის ცვლილებებისა და განვითარების ასახვა ენაში

### §1. საკითხის დასმისთვის

ცოცხალი თანამედროვე ენა მუდმივად ვითარდება. მშობ-  
ლიურ ენაზე მოლაპარაკე და დამწერი ყოველი ადამიანი, ამ  
ენის მილიონობით მატარებლის მსგავსად (თუ ეს დიდი ხალხის  
განვითარებული ენაა), უკვე მზა სტრუქტურებს **იმეორებს**,  
ენის საგანძურიდან იღებს უთვალავი რაოდენობის სამეტყვე-  
ლო აქტში აპრობირებულ, აღიარებულ და რეგულარულად გა-  
მოყენებულ სიტყვათშეთანხმებებს და, ამავდროულად, **ქმნის**  
ენას. ეს შემოქმედება ორი, აბსოლუტურად ურთიერთსაწინა-  
აღმდეგო, გზით მიდის: სტიმული შეიძლება იყოს როგორც სიტ-  
ყვის ოსტატის ნიჭი, ასევე – შეცდომები, წამოცდენები, შემ-  
თხვევითობები. ენის შემსწავლელი უცხოელების შეცდომებიც კი  
შეიძლება ენობრივი შემოქმედების სტიმული გახდეს. ამის შესა-  
ხებ კარგად აღნიშნა მარინა ცვეტაევა:<sup>76</sup> „მიყვარს, როცა უც-  
ხოელები სხვის ენას ამახინჯებენ, როგორც, მაგალითად, ემილ  
ლუდვიგი:<sup>77</sup> ის ახლახან რადიოთი გამოდიოდა. მისი ფრანგული  
დამტვრეულია. მით უკეთესი! აქ ახალი შესაძლებლობები იხსნე-  
ბა. რა თქმა უნდა, ასე საუბარი არ შეიძლება, მაგრამ რატომ არ  
უნდა ვცადოთ: ეს თითქოს გამოცდილებაა. ადრე ადამიანები  
გრამატიკის გარეშე საუბრობდნენ და ახალი დიალექტები იქმნე-  
ბოდა: უფრო მეტი მრავალფეროვნება იყო“ (1).

ცხადია, რომ ენა როგორც კულტურის სარკე ხალხის ცხოვ-  
რების წესსა და მენტალიტეტში მომხდარ ყველა მნიშვნელოვან  
და მყარ **ცვლილებას** ასახავს. „ენა მჭიდროდაა გადახლართუ-

<sup>76</sup> მარინა ცვეტაევა (1892-1941) – XX საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი  
რუსი პოეტი – მთარგმნ. შენიშვნა.

<sup>77</sup> ემილ ლუდვიგი (1881-1948) – გერმანელი მწერალი – მთარგმნ. შე-  
ნიშვნა.

ლი კაცობრიობის სულიერ განვითარებასთან, თან ახლავს მას ლოკალური პროგრესის თუ რეგრესის ყოველ საფეხურზე და თავის თავში ასახავს განვითარების ყოველ სტადიას“ (2).

ცვლილებები ცხოვრებაში და, შესაბამისად, ენაშიც, ყველაზე უფრო ნათლად რეალიზების, ე.ი. არაენობრივი, რეალური სამყაროს სხვადასხვა სახის ფაქტის მაგალითზე ჩანს.

„ევგენი ონეგინის“ ვარიანტებში ა. პუშკინს აქვს შემდეგი სტრიქონები: „დაქორწინდი!“ „ვისზე?“ „...ლიდინაზე“. „ეს რა ოჯახია! ისინი თხილით გიმასპინძლებიან, ისინი თეატრში ლუდს სვამენ“. თანამედროვე მკითხველს უკვირს: რომელი აშკარად ნეგატიური სოციოკულტურული კონოტაციები არ იძლევა ღარიბ ლიდინაზე დაქორწინების უფლებას? პუშკინის ეპოქის კულტურაში რატომ ეწინააღმდეგება თხილით გამასპინძლება და თეატრში ლუდის დაღვევა მაღალი წრის წარმომადგენელი სასიძოების ნორმებს, რა უშლიდა ხელს დაქორწინებას? საკუთრივ სიტყვების – თხილი და ლუდი – მნიშვნელობა კონტექსტთან, რა თქმა უნდა, არანაირ მიმართებაში არ არის და კულტუროლოგიური ასპექტით არაფერს გვეუბნება. ერთი რამ ნათელია: საზოგადოებრივი ცხოვრება (სწორედ საზოგადოებრივი, რადგანაც თხილს მთავრად სტუმრებს, ხოლო ლუდს სვამენ ან არ სვამენ თეატრში) იმდენად შეიცვალა, რომ თანამედროვეობასთან ყოველგვარი კავშირი დაიკარგა, მასთან ერთად კი დაიკარგა ამ სიტყვების კულტურული კონოტაციები. სპეციალური გამოკვლევისა და კომენტარების გარეშე ეს კონტექსტი თანამედროვე რუსი ადამიანისთვის გაუგებარია.

## **§2. მხატვრული ლიტერატურის გაგებისთვის. სოციოკულტურული კომენტარები როგორც კულტურათა კონფლიქტის დაძლევის საშუალება**

კლასიკური მხატვრული ლიტერატურის კითხვა და გაგება კომენტარის გარეშე შეუძლებელია. სიმართლე რომ ვთქვათ, კომენტარს ხშირად საჭიროებს თანამედროვე ლიტერატურული ნაწარმოებიც. და ის, უბრალოდ, აუცილებელია უცხოელი

მკითხველებისთვის. კლასიკური ლიტერატურისთვის კომენტარი ყოველთვის საჭიროა, რადგანაც, განმარტების თანახმად, ლიტერატურა კლასიკური ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ის დროის გამოცდას უძლებს და, შესაბამისად, ენაც დაძველებულია – მეტ-ნაკლებად, „კლასიკურობის“ ხარისხისა და ასაკის შესაბამისად. ენა ხომ ცხოვრებისა და კულტურის ცვლილებების გამო და მათთან ერთად დაძველდა.

ამრიგად, კულტურათა შორის განხეთქილება, მათი კონფლიქტი, შესაძლებელია არა მხოლოდ მშობლიური და სხვა კულტურის შეჯახებისას, არამედ მშობლიური კულტურის შიგნით, როდესაც ცვლილებები საზოგადოების ცხოვრებაში იმ დონეს აღწევს, როცა მომავალ თაობას არ ახსოვს, არ ესმის, არ იცის წინაპართა კულტურა და მსოფლშეგრძნება. თანამედროვეობას დაშორებული კლასიკური ლიტერატურული ნაწარმოების კომენტარი „ჩვენი“ და „იმ“ დროის გამყოფი უფსკრულის ხიდის როლს ასრულებს, ან იმ სათვალეების როლს, რომლებიც თანამედროვე მკითხველს წარსული ეპოქის დეტალების დანახვაში დაეხმარება.

ჯერ კიდევ 1959 წელს ჟურნალში «Вопросы литературы» („ლიტერატურის საკითხები“) ფილოლოგმა იური ფედოსიუკმა გამოაქვეყნა წერილი, სადაც საუბრობს იმის თაობაზე, რომ რევოლუციამდელი რუსეთის ყოფის თავისებურებების ამსახველი ასობით გამოთქმა, რომლებიც გვხვდება რუსი კლასიკოსების ნაწარმოებებში, თანამედროვე მკითხველთა ფართო წრისთვის ხდება „ლოდი შებრკობისა“ – სრულიად გაუგებარი ან უკუღმართად გაგებული. „ჩემთვის, რომლისთვისაც მხოლოდ მეტრული სისტემაა ნაცნობი, – წერდა ის, – გაუგებარია, მდიდარია თუ ღარიბი მემამულე, რომელიც ორას დესეტიანა მიწას ფლობს, გაღეშილია თუ არა ვაჭარი, რომელმაც „ნახევარი შტოფი“ არაყი დალია, გულუხვია თუ არა ჩინოვნიკი, რომელიც წვრილმან გასამრჯელოდ ტოვებს „ლურჯს“, „წითელს“ ან „სემიგს“ (3). მის მიერ დაწერილი ეს დამხმარე სახელმძღვანელო – «Что непонятно у классиков, или Энциклопедия русского быта XIX века» („რა არის გაუგებარი კლასიკოსებთან ან XIX საუკუნის რუსული ყოფის ენციკლოპედია“) – გამოიცა მხო-

ლოდ 1998 წელს, მისი ვაჟიშვილის, მსუ-ის უცხოური ენების ფაკულტეტის პროფესორის მ.ი. ფედოსიუკის მიერ.

ამ დამხმარე სახელმძღვანელოში ავტორი კლასიკური ნაწარმოებების სოციოკულტურული ფონის განმარტების აუცილებლობას ასაბუთებს: „დიახ, ადამიანები ყოველთვის ადამიანები იყვნენ, ისინი მეგობრობდნენ და მტრობდნენ ერთმანეთს, შრომობდნენ და ერთობოდნენ, თავიანთი ცხოვრებისეული იდეალების დასაცავად იბრძოდნენ ან უკან იხევდნენ, – ამ საერთო თვისებების გარეშე აზრს იყო მოკლებული შორეულ წარსულზე ნაწარმოებების კითხვა. მაგრამ ისტორიული პირობები, მათი ცხოვრება ბევრ რამეში განსხვავდებოდა თანამედროვეობისგან“. კლასიკურ ლიტერატურაში აღწერილი რუსული ყოფის ისტორიის ცოდნა საჭიროა „წარსულის ნისლის გასაფანტავად და რუსული კლასიკური ლიტერატურის აღქმის გასაადვილებლად“ (4).

სხვა კულტურის წარმომადგენლებისთვის განკუთვნილი სოციოკულტურული კომენტარები მშობლიურ კულტურასა და ენაში მომხდარ ცვლილებებს ავლენს როგორც კულტურის სარკეში. უცხოელებზე ორიენტირებული სოციოკულტურული კომენტირება წარმოაჩენს და, ამავდროულად, აგვარებს კულტურათა კონფლიქტს. ამასთან, ხაზს ვუსვამთ, რომ ეს უმეტესად არის კონფლიქტი არა მხოლოდ მშობლიურ კულტურასა და უცხოურს შორის, არამედ კლასიკურ ნაწარმოებებში ასახული წარსულის კულტურასა და იმავე ხალხის თანამედროვე კულტურას შორის.

საკვლევ მასალად გამოყენებული იყო ა. პუშკინის ნაწარმოებების უცხოური გამოცემები (ძირითადად, ინგლისური) სასწავლო კომენტარებით ინგლისურ ენაზე.

სოციოკულტურული კომენტარები, რომლებიც მიზნად ისახავს ტექსტის მეტ-ნაკლებად სრული გაგების უზრუნველყოფას, მკითხველის ფონური ცოდნის ნაკლებობის შევსებას, კულტურათა კონფლიქტის მოგვარებასა და მის დიალოგის რეჟიმში გადაყვანას, აუცილებელია როგორც უცხოელი მკითხველისთვის რუსული ენის შესწავლისას, ასევე თანამედროვე რუსი მკითხველისთვის. მნიშვნელოვანია ის, რომ კომენტარი არა

მხოლოდ ასახავს მკითხველის მიერ მწერლის აღქმას, არამედ აყალიბებს მას.

სოციოკულტურულ კომენტარს რეალურ კომენტარსაც უწოდებენ და ამით ხაზს უსვამენ რეალიების ენობრივ ფაქტებთან დაპირისპირებას. ენობრივი კომენტარები, გასაგები მიზეზების გამო, მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან იმის მიხედვით, თუ ვისთვისაა დაწერილი – რუსი თუ უცხოელი მკითხველისთვის.

სოციოკულტურული კომენტარები რუსი და უცხოელი მკითხველებისთვის, ძირითადად, ემთხვევა ერთმანეთს, რადგანაც მზარდი განსხვავება პუშკინის დროისა და თანამედროვე კულტურებს შორის სულ უფრო მეტად გადაიკვეთება რუსულ და სხვა კულტურებს შორის განსხვავებით.

სასწავლო სოციოკულტურულ კომენტარში შედის:

1. ისტორიზმები – წარსულის საგნებისა და მოვლენების აღმნიშვნელი სიტყვები, რომლებიც დღეს ხმარებიდან გასულია ამ სიტყვებისა და მოვლენების ხალხის ცხოვრებაში არარსებობის გამო. მაგალითად: *воевода/ვოევოდა, διοпрство/ბოიარობა, бунчук/თული, вече/ვეჩე, дьяк/მდივანი ძველ რუსეთში, плаха/საჯალათო კუნძი, приказный/უნყეებისა, разрядная книга/თანრიგის წიგნი, синклит/სინკლიტი*.<sup>78</sup>

2. არქაიზმები – ხმარებიდან გასული ძველი სიტყვები და მეტყველების კონსტრუქციები: *свейский* (шведский/შვედური), *лях* (поляк/პოლონელი), *земь* (земля/მინა), *завтра* (завтра утром/ხვალ დილით), *вечор* (вчера вечером/გუშინ საღამოს), *дотоле* (до тех пор/მანამდე), *быстрый* (სწრაფი).<sup>79</sup>

3. სიტყვები, რომლებმაც თანამედროვე რუსულ ენაში მნიშვნელობა შეიცვალეს: *мамка* (кормилица, няня/გამდელი, ძიძა), *мошонка* (кисет, кошелек/ქისა, საფულე), *зость* (купец, ино-

---

<sup>78</sup> ქართულ ენაში ისტორიზმებს მიეკუთვნება, მაგალითად, სიტყვები: მეჭურჭლეთუხუცესი, ვასალი, ბოქაული, შინაყმა და ა.შ. – მთარგმნ. შენიშვნა.

<sup>79</sup> ქართულში არქაიზმებია: ხამლი (ფეხსაცმელი), სიყმილი (შიმშილი), ერგასი (ორმოცდაათი) და ა.შ. – მთარგმნ. შენიშვნა.

странец/ვაჭარი, უცხოელი), *деньга* (медная монета/სპილენძის მონეტა), *ток* (струя, жидкость/ნაკადი, სითხე).<sup>80</sup>

ყველა ამ შემთხვევაში (საკმაოდ გავრცელებულში) სიტყვა შენარჩუნდა, მაგრამ მის მიერ აღნიშნული ცნების მნიშვნელობა შეიცვალა რეალური ცხოვრებისეული ფაქტის სოციალური როლის შემცირების ან სრულიად გაქრობის გამო. ასე, მაგალითად, *мамка* დღეს არსებობს როგორც სიტყვა დედის მნიშვნელობის გამომხატველი სასაუბრო გამოთქმა, მაგრამ პუშკინი „ბორის გოდუნოვში“ ამ სიტყვას *გამდელის*, *ძიძის* (*кормилица, няня*) მნიშვნელობით იყენებს:

*Царские палаты. Царевич, чертит географическую карту. Царевна, мамка царевны.*

მეფის დარბაზი. ბატონიშვილი, ხაზავს გეოგრაფიულ რუკას. მეფის ასული და მისი გამდელი.<sup>81</sup>

4. რეალიები, დამონმებები, ალუზიები, რომლებიც ფონურ სოციოკულტურულ ცოდნას ითხოვენ; ცოდნას, რომელიც უცხოელ მკითხველს არ აქვს, ხოლო თანამედროვე რუსმა მკითხველმა კი დაკარგა.

ასეთი კომენტარი აუცილებელია იმავე კულტურის წარმომადგენლებისთვის, რომელ კულტურასაც ავტორი და ლიტერატურული გმირები მიეკუთვნებიან. მიზეზი: სოციოკულტურული ცვლილებები იმდენად დიდია, რომ თანამედროვე მკითხველს არ აქვს ფონური ცოდნა როგორც ორმხრივი კოდი (shared code), რომელსაც კომუნიკაცია ეფუძნება. ასეთი ტიპის კომენტარი მოძველებულ სიტყვას თანამედროვე ენაზე უბრალოდ კი არ „თარგმნის“ და უბრალოდ კი არ ხსნის ხალხის ცხოვრებიდან გამქრალ ცნებას – ის კონტექსტუალურად ორი-

---

<sup>80</sup> „ზოგი – ძვ. ქართულში ნახევრის მნიშვნელობით დასტურდება, ახლა ამ სიტყვას ეს მნიშვნელობა არ აქვს... მეცნიერი ძვ. ქართულში „მცოდნესა“ და „ნაცნობს“ ნიშნავდა“ (არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი) – მთარგმნ. შენიშვნა.

<sup>81</sup> აქ და შემდგომშიც ქართული ტექსტი დამონმებულია „ბორის გოდუნოვის“ ს. შანშიაშვილისეული თარგმანიდან – მთარგმნ. შენიშვნა.

ენტირებულია, მკითხველს ავტორის ჩანაფიქრის გააზრებაში, პერსონაჟის დახასიათებაში ეხმარება; ასევე, ეხმარება მოვლენა ან მოქმედი პირი აღწერილი დროის პრიზმაში დაინახოს, ტექსტის მიღმა, სტრიქონებს შორის წაიკითხოოს ის, რაც ცნობილი და გასაგები იყო ავტორის თანამედროვეებისთვის.

მოვიყვანოთ მაგალითები:

**Воротынский**

Ведь Шуйский, Воротынский...  
Легко сказать, природные князья.

**Шуйский**

Природные, и Рюриковой крови.

**Воротынский**

А слушай, князь, ведь мы б имели  
право Наследовать Феодору.

**Шуйский**

Да, боле, Чем Годунов.

**ვოროტინსკი**

ან შუისკი, ან ვოროტინსკი...  
განა ადვილი სათქმელი არის?  
ჩამომავლობით ბუნებრივი  
თავადები ვართ.

**შუისკი**

თვით რიურისკის სისხლისანი.

**ვოროტინსკი**

მაშ გამიგონე, თავადო ჩემო!  
ჩვენ ხომ შეგვეძლო, უფლება  
გვექონდა, ვყოფილიყავით  
ფეოდორის მემკვიდრეები.

**შუისკი**

გვექონდა უფრო, ვიდრე გოდუნოვს.

პუშკინის დრამის „ბორის გოდუნოვის“ ამ ნაწყვეტის საკვანძო ცნება არის *рюрикова кровь/რიურისკის სისხლი*. „ბორის გოდუნოვის“ ინგლისური გამოცემის კომენტარი მკითხველს ძალიან მნიშვნელოვან მომენტს უხსნის: ყოველ რუს თავადს, განსხვავებით არათავადი გოდუნოვისგან, მემკვიდრეობით აქვს უფლება რუსი ხალხის მმართველი გახდეს, რადგანაც თავადის ტიტული რუსეთის პირველი ლეგენდარული მმართველის რიურისკის გვარისადმი მიკუთვნებულობაზე მიუთითებს (5). ამ ფაქტის ცოდნა მკითხველისთვის გასაგებს ხდის დრამის კოლიზიებს, „რიურისკის სისხლის“ თავადების წყენას, თვითმარქვიას წარმატებას და გოდუნოვის შემდეგდროინდელი რუსეთის ისტორიას შუისკით<sup>82</sup> ტახტზე.

<sup>82</sup> რუსეთის მეფე 1606-1610 წწ. – მთარგმნ. შენიშვნა.

გოდუნოვი „იღებს ძალაუფლებას“. ის „ძლევამოსილი იოანეების“ (ივანე III და ივანე IV მრისხანე) და „მეფე-ანგელოზის“ მემკვიდრე ხდება. თანამედროვე მკითხველს, რომელიც ნაკლებადაა ჩახედული ოთხასი წლის უკანდელ ისტორიაში, არა აქვს მკაფიო კულტურული წარმოდგენები იმაზე, რომ „მეფე-ანგელოზი“ – ეს არის მეფე თედორე, ივანე მრისხანეს სუსტი, მშვიდი ვაჟი, რომლისთვისაც, მამის ფონზე, როგორც ჩანს, რთული არ იყო ანგელოზის ზედწოდების დამსახურება.

ქვემოთ მოყვანილი ნაწყვეტები მკითხველისთვის გასაგები ხდება, როცა კომენტარებიდან გაიგებს ბორის გოდუნოვის ნათესაური კავშირების შესახებ: მისი და არის ქვრივი დედოფალი, ბორის გოდუნოვის წინამორბედის, ივანე მრისხანის შვილის, მეფე თედორეს მეუღლე; ხოლო მისი ცოლი არის ცნობილი ოპრიჩნიკების<sup>83</sup> წინამძღოლის – მალიუტა სკურატოვის ქალიშვილი (6).

Но месяц уж протек,	მაგრამ თვემ განვლო, რაც უკვე
Как, затворясь в монастыре с сестрою,	ის თვის დასთან ერთად
Он кажется покинул всё мирское.	მონასტერშია ჩაკეტილი და თითქოს დასთმო
.....	.....
Его сестру напрасно умоляли	ამქვეყნიური ყველაფერი და განკერძოვდა.
Благословить Бориса на державу;	.....
Печальная монахиня-царица,	ამაო იქმნა თხოვნა დასთან, რათა ბორისი
Как он тверда, как он неумолима.	სამეფო ტახტზე დაელოცა ქვეყნის მფლობელად;
	დამწუსრებული დედოფალი, მონოზნად მყოფი,
	ეგრევე მტკიცეა, უღმობელი, როგორც თვით იგი.

<sup>83</sup> ოპრიჩნინა, ანუ საგანგებო საიდუმლო პოლიცია რუსეთის მეფე ივანე IV მრისხანემ შექმნა 1565 წელს. იგი მიზნად ისახავდა დაუმორჩილებელი ბოიარებისა და სასულიერო პირების წინააღმდეგ ბრძოლას – მთარგმნ. შენიშვნა.

და შემდგომ:

Какая честь для нас, для всей  
Руси!

Вчерашний раб, татарин, зять  
Малюты,

Зять палача и сам в душе палач,

Возьмет венец и бармы Моно-  
маха...

რა პატივია ჩვენთვის, მთელი რუ-  
სეთისათვის!

მალუტას სიძე, გუშინდელი მონა,  
თათარი,

სიძე ჯალათის, და თვითონაც  
სულში ჯალათი

გვირგვინს დაიდგამს და გახდება  
უზენაესი.

გოდუნოვის სიკვდილის შემდეგ „კანონიერი მეფის“ – ცრუ დიმიტრის ტახტზე ასვლისას ხალხი მისი წინამორბედის წინა-აღმდეგ უნდა განეწყოს:

Московские граждане!

Мир ведает, сколь много вы тер-  
пели

Под властью жестокого при-  
шельца:

Опалу, казнь, бесчестие, налоги,

И труд, и глад - всё испытали вы.

მოსკოვის ხალხო!

ქვეყანამ უწყის, რა ტანჯვებიც  
გამოგივლიათ,

როცა ის უცხო მოდგმის კაცი  
გაგვიბატონდა.

შიში, დასჯები, უტიფრობა, გადა-  
სახადი

სასტიკი შრომა და მიმშილი აუ-  
ტანელი.

კომენტატორი განმარტავს, რომ „უცხო მოდგმის“ – ეს არის მითითება გოდუნოვის თათრულ წარმოშობაზე (7). გასაგები ხდება ხალხის მყისიერი რეაქცია, რომელიც ასეულობით წელი იტანჯებოდა თათრების უღლის ქვეშ:

Вязать! Топить! Да здравствует  
Димитрий!

Да гибнет род Бориса Годунова!

შეჰკარ! დაახრჩე! გაუმარჯოს მე-  
ფე დიმიტრის!

და განადგურდეს მოდგმა ბორის  
გოდუნოვისა.

ასეთი სახის ყველაზე გავრცელებული კომენტირება – ეს არის ჰუმკინის თანამედროვეებისთვის კარგად ნაცნობი, მაგრამ მათი შთამომავლებისთვის დავინყებულის, ცხოვრების წესის, ყოფის მოძველებული დეტალების განმარტება. ეს დეტა-

ლები ძალიან არსებითია გმირების შინაგანი და გარე სამყაროს, მათდამი ავტორის დამოკიდებულების და თანამედროვე მკითხველების შეფასების გასაგებად.

კომენტარის „სათვალისწინებელი“ განვიხილოთ, მაგალითად, პუშკინისეული სადგურის ზედამხედველის (станционный смотритель) ისტორიის დასაწყისი:

*Находился я в мелком чине, ехал на перекладных и платил прогоны за две лошади.*

*მქონდა დაბალი ხარისხის ჩინი, ვმოგ ზაურობდი ფოსტის პო-  
ვოზით და ვიხდიდი ორი ცხენის ფასს.<sup>84</sup>*

„ბელკინის მოთხრობების“ სასწავლო გამოცემის ბევრი კომენტატორი მხოლოდ ინგლისურ ენაზე თარგმნით იფარგლება ან საერთოდ არ უკეთებს კომენტარს ამ ფრაზას. მაგრამ თანამედროვე მკითხველს პუშკინის პერიოდის გადაადგილების სისტემაზე განმარტება სჭირდება. მგზავრობა საფოსტო ცხენებით (*на перекладных*) შესაძლებელი იყო მხოლოდ ფოსტის გზაზე, რომლითაც რეგულარულად დაჰქონდათ ფოსტა. ისინი სადგურებზე ჩერდებოდნენ და ზედამხედველს წარუდგენდნენ სამგზავრო მოწმობას (*подорожную*) ჩინზე, რომელიც ცხენების დასაშვებ რაოდენობას განსაზღვრავდა. სამგზავრო ქირა (*прогоны*) – ეს იყო ხაზინის მიერ მგზავრობისათვის გამოყოფილი თანხა. დასასრულს, მთავარი: ორი ცხენი ყველაზე დაბალი ნოდების მოსამსახურეებისთვის იყო განკუთვნილი (8). ყველა ეს მონაცემი ახასიათებს როგორც მოთხრობელს, ასევე მისდამი ზედამხედველის დამოკიდებულებას, რომელმაც თავისი ისტორია სწორედ დაბალი ფენის, ანუ მასთან სტატუსით ახლოს მყოფ ადამიანს ანდო.

მსგავსი მაგალითები შეიძლება დაუსრულებლად მოვიყვანოთ, მაგრამ ძირითადი აზრი ნათელია: იცვლება ცხოვრება, იცვლება მისი გამომხატველი ენაც და რაც უფრო განსაკვიფრებელია ცვლილებები, მით უფრო საჭიროა სპეციალური განმარტებები (რათა აღდგეს „დროთა კავშირი“) და სპეციალური კომენტარები, რომლებიც კულტურული ცოდნის დანაკლისს შეავსებენ.

---

<sup>84</sup> „სადგურის ზედამხედველი“. ვ. გორგაძის თარგმანი – მთარგმნ. შენიშვნა.

5. დაფარული, როგორც წესი, მკითხველის მიერ გაუცნობიერებელი „გაუგებარი ადგილები“, აშკარა ალუზიებისგან, ისტორიულ ფაქტებზე, მოვლენებზე, ყოფით დეტალებსა და ცხოვრების წესზე მითითებისგან განსხვავებით.

„ბელკინის მოთხრობების“ კალიფორნიულ გამოცემაში „სადგურის ზედამხედველის“ გმირის, სამსონ ვირინის სახელის კომენტარი მკითხველს აუწყებს, რომ „მოთხრობების“ პირველ გამოცემაში ვირინი შეცდომით მოხსენიებული იყო როგორც სიმეონი, მაგრამ შეცდომა მაშინათვე გასწორდა შეცდომების თანდართულ სიაში. კომენტატორის აზრით, პუშკინისთვის მნიშვნელოვანი იყო სახელი სამსონი, რადგანაც თანამოსახელე ბიბლიური გმირიც ქალმა დაღუპა (9).

მოთხრობაში „გასროლა“ («Выстрел») დუელის სცენაში სილვიოს მონინალმდეგემ მოსალოდნელი სიკვდილის წინ მშვიდი ქცევით მასში გაღიზიანება გამოიწვია: „ის იდგა დამინებული რევოლვერის წინ, ქუდიდან მნიფე ბალს იღებდა და აფურთხებდა კურკებს, რომლებიც ჩემამდე აღწევდა“. „ბელკინის მოთხრობების“ ოქსფორდული გამოცემის კომენტარის ავტორი მკითხველს უხსნის, რომ ეს სცენა ავტობიოგრაფიულია: პუშკინიც მიირთმევა და ბალს კიშინიოვში ოფიცერ ზუბოვთან დუელის დროს (10).

კიდევ ერთი მაგალითი: „მე დიდხანს ვერ ვეგუებოდი იმას, რომ გუბერნატორთან სადილისას ყმამ კერძის ჩამორიგებისას გვერდი ამიარა“. „ბელკინის მოთხრობების“ ოქსფორდული გამოცემა ამას უმნიშვნელოვანეს და ღირებულ განმარტებას აძლევს: “This sentence obviously refers to a personal recollection: the unpleasant experience had happened to Pushkin himself at a dinner given by Strekalov, the military governor of Tiflis, during a journey made by the poet to the Caucasus in 1829, therefore a year before he wrote “The Stationmaster”. The incident is mentioned in «Путешествие в Арзрум», Ch. 2” [ამ ფრაზას აშკარად კავშირი აქვს პუშკინის პირად მოგონებებთან: არასასიამოვნო შემთხვევას ადგილი ჰქონდა თბილისის სამხედრო გუბერნატორ სტრეკალოვთან სადილზე, პოეტის კავკასიაში მოგზაურობის დროს, 1829 წელს და, შესაბამისად, ერთი წლით ადრე „სადგურის ზე-

დამხედველის“ დაწერამდე. ეს ინციდენტი ნახსენებია „მოგზაურობა არზრუმში“. თავი 2]“ (11).

6. ფაქტები, რომლებიც ახსნას არ ექვემდებარება, რადგანაც „დროთა კავშირი განწყდა“.

ზოგიერთ შემთხვევაში განსხვავება პუშკინის დროის კულტურასა და თანამედროვე კულტურას შორის იმდენად დიდია, რომ რეალობის ესა თუ ის ფაქტი განმარტებას უკვე აღარ ექვემდებარება.

ზევით მოვიყვანეთ მაგალითი „ევგენი ონეგინის“ შავი ვარიანტებიდან: გოგონაზე არ შეიძლება დაქორწინება, რადგანაც „ისინი თხილით უმასპინძლდებიან და თეატრში ლუდს სვამენ“. ეს კულტურული გამოცანა ამოუხსნელი დარჩა, რადგანაც ჩვენს დროში არც სტუმრებისთვის მირთმეულ თხილს და არც თეატრში დალეულ ლუდს უარყოფითი კონოტაციები არ აქვს.

კიდევ ერთი მაგალითი „ბორის გოდუნოვიდან“. მამა ვარლამი გრიშკა ოტრეტევეზე ამბობს:

*Сам же к нам навязался в товарищи, неведомо кто, неведомо откуда - да еще спасивитя; может быть кобылу нюхал...*

თვითონ მოგვეტმასნა ამხანაგად, არ ვიცით ვინ არის, არ ვიცით სადაურია და თანაც მედიდურობს, ვითომდა რაო, კობილასათვის ხომ არ უყნოსია?

ამ გამოთქმის კომენტარი მხოლოდ ენის ვულგარულობას აღნიშნავს, რაც პუშკინის ადრეული კრიტიკოსების (12) აღშფოთებას იწვევს, რადგანაც გამოთქმის მნიშვნელობა განმარტებული არ არის. ეს მნიშვნელობა „იკარგება საუკუნეების წყვილიადში“: სასამართლოს გადანყვეტილებით, გამოლტვა ხდებოდა მათრახით დასასჯელთათვის სპეციალურად მომზადებულ დაფაზე<sup>85</sup> (13).

---

<sup>85</sup> კობილა – ადამიანის სიმაღლეზე უფრო გრძელი დაფა ძველ რუსეთში, სამი დიუმის სისქის და ნახევარი არშინის სიგანის. დაფის ერთ ბოლოში ამოჭრილი იყო ადგილი ყელისთვის, ხოლო გვერდებში – ხელებისთვის. ასე რომ, როცა დამნაშავეს ამ დაფაზე აწვენდნენ, ის მას ხელებს შემოხვევდა და მეორე მხარეს ხელებს უკრავდნენ ღვედით, ღვედივე მოსწევდნენ ყელსაც და ფეხებსაც. Л. А. Серяков, *Из воспоминаний, 1875* (цитата из Национального корпуса русского языка) – მთარგმნ. შენიშვნა.

### §3. სოციოკულტურული კომენტარის სახეები

ქვემოთ მოცემული შედარებითი კვლევა და რეალიების კომენტირება ნათლად და მკაფიოდ ასახავს ენისა და კულტურის ცვლილებას, სამყაროს ენობრივ სურათში რეალური და კულტურული სურათების ცვლილებების გამოხატულებას.

გამოვიყენებთ „ბელკინის მოთხრობების“ კომენტარებს, რომლებიც რუსული ენის შემსწავლელი ინგლისურენოვანი მოსწავლეებისთვის გამოიცა:

1. ლონდონში (Three Tales by Pushkin. Translated by R.T. Currel. London, 1945);

2. ოქსფორდში (A.S. Pushkin. Tales of the Late Ivan Petrovich Belkin. Oxford, 1947);

3. მოსკოვში, გამომცემლობა „რუსული ენა“ (А.С. Пушкин. Повести Белкина. М., 1975);

4. კალიფორნიაში (A. Pushkin. Complete Prose Fiction. Translated by P. Debreczeny. California, 1983).

რუსული ენის შემსწავლებლებს განუმარტავენ როგორც ენობრივ სირთულეებს, ასევე არაენობრივ ფაქტორებს: კულტურის, ყოფის, ისტორიის, სოციალური ცხოვრების და ა.შ. რეალიებს. ამ შემთხვევაში ჩვენ შევჩრდებით მხოლოდ „რეალურ კომენტარზე“, უფრო სწორად, არაენობრივი ფაქტორების – გეოგრაფიული სახელწოდებების, საკუთარი სახელების, რუსეთის სოციალური და კულტურული ცხოვრების მოვლენების – კომენტარებზე. ივარაუდება, რომ არაენობრივი ფაქტების ახსნა უფრო მარტივია, ვიდრე თვით ენობრივი კომენტარების (14).

საინტერესოა იმის ჩვენება, თუ რამდენად განსხვავებული შეიძლება იყოს თუნდაც ისეთი აშკარა, ისეთი „მსუბუქი“ მასალის კომენტირების საშუალებები, რომელიც კომენტატორისგან დამოუკიდებელ შემოქმედებით ძალისხმევას თითქოს არ მოითხოვს.

მართლაც, ეს აზრი იმ შემთხვევაში მართლდება, როდესაც ცნობარებიდან გადმოტანილი ენციკლოპედიური ხასიათის მონაცემები განმარტების სახით მოჰყავთ. ე.ი. საქმე გვაქვს კო-

მენტორების ისეთ სახესთან, რომელსაც შეგვიძლია პირობითად ენციკლოპედიური ვუწოდოთ. სწორედ ასე ხდება ისეთი რეალიების კომენტირება, როგორებიცაა: „სენატის უწყებანი“, ბოროდინო, არტემიზია, ნიკიტას კარიბჭე, „უასაკო“, ფონვიზინი, „ჯოკონდა“ და სხვა.

ამ შემთხვევებში ყველა კომენტარი შემოიფარგლება ნახსენებ რეალურ ფაქტებზე, მოვლენებსა და პირებზე პოპულარული ენციკლოპედიური ცნობების მოყვანით მხატვრული ნაწარმოების ტექსტთან ამ ცნობების დაკავშირების ყოველგვარი მცდელობის გარეშე. კომენტატორისადმი ძირითადი მოთხოვნაა ზუსტი ინფორმაციის მიწოდება – მკითხველი არ უნდა დაიბნეს. მაგალითად, ბოროდინოს ხსენება „ქარბუქში“ მოყვანილი მონაცემების სისრულის სხვადასხვა ხარისხით აიხსნება, მაგრამ თვითონ კომენტირებისადმი მიდგომა ენციკლოპედიური რჩება იმ მხრივ, რომ ყველა მონაცემს ობიექტური ხასიათი აქვს, არ ხსნის არც ლინგვოქვეყანათმცოდნეობით, არც კონტექსტუალურად განპირობებულ კონოტაციებს.

London, 1945:

The battle which was fought at Borodino on August 24-26, 1812. The Russian lost 50 thousand killed and wounded, but the engagement was not fought to a finish, and Napoleon understood that the war with Russia was only beginning [ბრძოლა მიმდინარეობდა ბოროდინოსთან 1812 წლის 24-26 აგვისტოს. რუსებმა დაკარგეს 50 ათასი მოკლულის და დაჭრილის სახით, მაგრამ არ დამარცხებულან და ნაპოლეონი მიხვდა, რომ რუსეთთან ომი მხოლოდ ახლა იწყებოდა].

Oxford, 1947:

The Battle of Borodino was fought on 7-th September, 1812 (according to the Russian calendar, 26-th August) [ბოროდინოსთან ბრძოლა მოხდა 1812 წლის 7 სექტემბერს (რუსული კალენდრის მიხედვით – 26 აგვისტოს)].

Moscow, 1975:

On the 26-th of August, 1812, a most important battle of the Patriotic War was fought between the Russian and the French armies

at the village of Borodino (approx. 69 mi. from Moscow) [1812 წლის 26 აგვისტოს, დაბა ბოროდინოს მახლობლად (მოსკოვიდან დაახლოებით 69 მილში), ადგილი ჰქონდა სამამულო ომის ყველაზე მნიშვნელოვან ბრძოლას რუსულ და ფრანგულ ჯარებს შორის].

ასეთია ენციკლოპედიური მიდგომა. თუმცა შესაძლებელია და უფრო დიდ ინტერესს იწვევს რეალიების კომენტირებისადმი სხვა, შემოქმედებითი მიდგომა. ასეთ შემთხვევაში კომენტარს საერთო ფილოლოგიური და სოციოკულტურული ხასიათი აქვს და კონკრეტულ ინფორმაციასთან ერთად დამატებით ცნობებს შეიცავს, რომლებიც, ერთი მხრივ, სპეციფიკურ ეროვნულ, პოლიტიკურ, კულტურულ-ყოფით და სხვა კონოტაციებს განმარტავენ და, მეორე მხრივ, ადგენენ კავშირს მოცემულ ფაქტთან, პირთან, სახელწოდებასთან და ა.შ. და თვით ნაწარმოებთან, მის პერსონაჟთან და ავტორთან.

ასეთი სახის კომენტარს არაშემოქმედებითს ვერ ვუნოდებთ, მისი ავტორის ამოცანას ცნობარიდან მონაცემების მექანიკური გადატანა არ წარმოადგენს. რეალიების კომენტარების ეს სახეობა შეიძლება კვლევით ან შემოქმედებით კომენტარად მივიჩნიოთ, რადგან ამა თუ იმ არაენობრივი ფაქტის ახსნისას კომენტატორისგან შემოქმედებით, კვლევით მიდგომას ითხოვს. რეალიების კვლევით კომენტარს, რომელიც ენციკლოპედიური კომენტარების კონკრეტულ მონაცემებს მოიცავს, უნდა ჰქონდეს:

1. ლინგვოქვეყანათმცოდნეობითი ხასიათი (ე.ი. უნდა ავლენდეს არაენობრივი ფაქტების აღქმის ეროვნულ თავისებურებებს);

2. კონტექსტუალურად ორიენტირებული ხასიათი (ე.ი. იმ როლზე მიმანიშნებელი, რომელსაც აღნიშნული არაენობრივი ფაქტორი მოცემულ მხატვრულ ნაწარმოებში ასრულებს).

ლინგვოქვეყანათმცოდნეობითი კომენტარის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ტულის სახელწოდების განმარტებები („ორივე წერილი ტულის ბეჭდით დალუქა“ – „ქარბუქში“), რომელიც რუსებისთვის სამოვართან, განაფულ მეიარაღებთან

და ჩამოსხმის, ლითონისა და ვერცხლის საუკეთესო ოსტატებთან ასოცირდება.

London, 1945:

Tula is the capital of the government of the same name in Central Russia. It is famous for the manufacture of hardware (iron and silver) [ტულა – ცენტრალური რუსეთის იმავე სახელწოდების მქონე გუბერნიის მთავარი ქალაქი. ცნობილია ლითონის (კერძოდ, რკინისა და ვერცხლის) ნაკეთობებით].

Oxford, 1947:

So called because of the town of Tula famous for its metal-work [ასე ეწოდება ტულასთან დაკავშირებით, რომელიც ცნობილია ლითონის ნაკეთობებით].

Moscow, 1975:

A seal made in the town of Tula, which was famous for its hardware (iron and silver) [ბეჭედი დამზადებულია ლითონის (რკინის და ვერცხლის) ნაკეთობებით ცნობილ ტულაში].

ვნახოთ არტემიზიას კომენტარი, რომელიც „ქარბუქში“ შემდეგ კონტექსტშია ნახსენები: „ყველაფრის გაგების შემდეგ მეზობლებს უკვირდათ მისი ურყევობა და ცნობისმოყვარეობით ელოდნენ გმირს, რომელიც საბოლოოდ გაიმარჯვებდა უბინო არტემიზიას სევდიან ერთგულებაზე“.

London, 1945:

Artemisia. Queen of the city of Halicarnassus in Caria renowned in history for extraordinary grief of the death of the husband (fourth century B. C.) [არტემიზია, კარიის ქალაქ ჰალიკარნასის დედოფალი, რომელიც ისტორიაში შევიდა როგორც გარდაცვლილი მეუღლის უნუგეშო ქვრივი (IV საუკუნე ჩვ.წ.აღ.-მდე)].

Oxford, 1947:

Artemisia 2 (4-th century B.C.), queen of Halicarnassus in Asia Minor who erected in memory of her husband Mausolus a magnificent monument therefore called Mausoleum, which was considered one of the seven wonders of the world [არტემიზია მეორემ (IV საუკუნე ჩვ.წ.აღ.-მდე), ჰალიკარნასის დედოფალმა მცირე აზიაში, თავისი

მიცვალებული ქმრის, მავსოლეს, სახსოვრად დიდებული ძეგლი აღმართა, რომელსაც სახელად მავზოლეუმი ეწოდა. ის მსოფლიოს შვიდი საოცრებიდან ერთ-ერთი იყო].

Moscow, 1975:

Artemisia (4-th cent. B. C.), a legendary queen of Halicarnassus, Asia Minor, known for her boundless devotion to her husband, King Mausolus. After the King's death she had a magnificent tomb (the Mausoleum) built in his memory. One of the wonders of the World [არტემიზია (IV საუკუნე ქრისტეს შობამდე), ჰალიკარნასის ლეგენდარული დედოფალი მცირე აზიაში, ცნობილი თავისი ქმრის, მეფე მავსოლეს, უსაზღვრო ერთგულებით. მეფის გარდაცვალების შემდეგ მან მის პატივსაცემად დიდებული აკლდამა (მავზოლეუმი) ააშენებინა. მსოფლიოს საოცრებათაგან ერთ-ერთი].

California, 1983:

Artemisia (350 d. ca. B. C.) bereft widow of Mausolus, King of Caria (d. ca. 353 B. C.) erected a tomb (Mausoleum) in his memory in Halicarnassus [არტემიზიამ (350 წ. ჩვ.წ.აღ.-მდე), კარიის მეფის, მავსოლეს (გარდაიცვალა 353 წ. ჩვ.წ.აღ.-მდე) უნუგეშო ქვრივმა, მეუღლის პატივსაცემად ჰალიკარნასში აკლდამა (მავზოლეუმი) ააგო].

მოყვანილი ოთხი კომენტარიდან ყველაზე ენციკლოპედიურია ოქსფორდის: გვანვდის ინფორმაციას დროზე, ადგილზე, მოვლენაზე, არტემიზიას მდგომარეობაზე, მავზოლეუმზე როგორც მსოფლიოს ერთ-ერთ საოცრებაზე (რასაც დიდი მნიშვნელობა არ აქვს ნაწარმოების კონტექსტთან მიმართებაში), მაგრამ არ ახსენებს მთავარს „ქარბუქის“ კონტექსტში: არტემიზია არის გარდაცვლილი მეუღლის გამო გაუქარვებელი მწუხარების სიმბოლო. ეს დამატებითი კონტექსტუალურ-საორიენტაციო მომენტი ხაზგასმულია ლონდონისა და მოსკოვის გამოცემების კომენტარებში და მოცემულია კალიფორნიის გამოცემის ვარიანტშიც. ამასთან, ლონდონის კომენტარში ძალიან მწირად არის მოყვანილი ენციკლოპედიური მონაცემები (არც მავსოლეა ნახსენები, არც მავზოლეუმი). როგორც ჩანს, ყველაზე წარმატებულად შეიძლება მოსკოვის კომენტარი ჩაითვალოს,

რომელიც მოიცავს როგორც ენციკლოპედიური, ასევე კონტექსტუალური-საორიენტაციო ხასიათის მონაცემებს.

განმარტება სახელწოდებასთან Разгуляй/რაზგულიაი (მოთხრობა „მეკუბოვე“) მოსკოვის კომენტარში წმინდა ენციკლოპედიური ხასიათისაა: “the name of square in Moscow” [მოედნის სახელწოდება მოსკოვში]. ოქსფორდის კომენტარი კი იმავე, მაგრამ უფრო დაზუსტებულ მონაცემებთან მიმართებაში (არა მოედანი, როგორც თანამედროვე მოსკოვში, არამედ კვარტალი პუშკინის დროინდელ მოსკოვში) – “a quarter in Moscow”, კონტექსტუალურ-საორიენტაციო მონაცემს ამატებს: “close to the Basmannaya where Adrian used to live” [ბასმანის მახლობლად, სადაც ადრე ადრიანი ცხოვრობდა].

იმ ფრაზის რეალური ფაქტების განმარტებებში, რომლითაც იწყება „მეკუბოვე“ („მეკუბოვე ადრიან პროხოროვის უკანასკნელი ბარგი-ბარხანა სამგლოვიარო ჯაგვზე გადაკიდეს და გაძვალტყავებული ცხენები მეოთხედ გაუდგნენ გზას ბასმანიდან ნიკიტსკაიამდე“), მკითხველისთვის მთავარია გაიგოს არა ის, რომ ბასმანი და ნიკიტსკაია ქუჩებია (შემდეგ გერცენის ქუჩა მოდის, ამჟამინდელი დიდი ნიკიტსკაიას ქუჩა), რომელთა შორის მანძილი 3 მილს შეადგენს (მოსკოვის კომენტარი), არამედ ის, რომ იმდროინდელ მოსკოვში ეს ორი ქუჩა მოსკოვის განაპირა ქუჩები იყო – ერთი ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს, მეორე კი – სამხრეთ-დასავლეთით. ე.ი. ჯაგვი მოსკოვის ერთი ბოლოდან მეორე ბოლოში მიღოლავდა (ოქსფორდის კომენტარი). თანამედროვე მოსკოვში ეს იქნებოდა იგივე, რაც ბუსინოვოდან ბუტოვომდე მანძილი.

დარაჯ იურკოს („მეკუბოვე“) ხასიათის სრული გააზრებისთვის, რომელსაც ავტორი „პოგორელსკის ფოსტალიონს“ ადარებს, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ არა მხოლოდ ის, რომ ის არის ანტონი პოგორელსკის (ალექსეი პეროვსკის ფსევდონიმი, 1787-1836) მოთხრობის «Ладфертовская маковница» (1824) გმირი – ამ ენციკლოპედიური ხასიათის მონაცემებს ყველა კომენტარი მოიცავს – არამედ ის, რომ დარაჯი იურკო არის ერთგული მსახურის სახე (მოსკოვის კომენტარი).

სიტყვა ბრიგადირის განმარტებები ემთხვევა ყველა კომენტარის კონკრეტულ ენციკლოპედიურ მონაცემებში: სამხედრო ნოდება პოლკოვნიკსა და გენერალ-მაიორს შორის, რომელიც აიკრძალა პავლე პირველის მმართველობის დროს (1796-1801); თუმცა მნიშვნელოვანი და აუცილებელია მოსკოვის კომენტარებში არსებულ მონაცემებზე დამატება, რამდენადაც ის კომენტარს მხატვრული ნაწარმოების ტექსტთან აკავშირებს: „შესაბამისად, იმ დროს, როდესაც აღნიშნული მოთხრობის მოქმედება ხდება, მხოლოდ გადამდგარი ბრიგადირები იყვნენ“.

რეალების კომენტირების ორი შესაძლებელი მიდგომის – აბსტრაქტულ-ენციკლოპედიურის და კონტექსტუალურ-საორიენტაციოს – უკიდურესობის საინტერესო გამოვლინებად გვევლინება შემდეგი ფრაზის განმარტება მოთხრობიდან „ქალბატონი-გლეხის გოგო“: „ახალგაზრდობაში ის გვარდიაში მსახურობდა, სამსახურიდან გადადგა 1797 წლის დასაწყისში, დაბრუნდა თავის სოფელში და მას შემდეგ ის არ დაუტოვებია“.

მოსკოვის კომენტარი მკითხველს რიგ ენციკლოპედიურ მონაცემებს აცნობს 1797 წლის ისტორიული მოვლენების შესახებ, მაგრამ ამ მონაცემებს მოთხრობის კონტექსტთან არანაირად არ აკავშირებს: “resigned his commission in early 1797, i. e. after the death of Catherine II and the accession of Paul I, who took a hostile attitude to Catherine’s Guard and started reorganising the Russian army in the Prussian manner” [სამსახურიდან გადადგა 1797 წლის დასაწყისში, ე.ი. ეკატერინე მეორის გარდაცვალებისა და პავლე პირველის ტახტზე ასვლის შემდეგ, რომელიც მტრულად განეწყო ეკატერინეს გვარდიელების მიმართ და რუსული ჯარის პრუსიულ ყაიდაზე რეორგანიზაცია დაიწყო].

ოქსფორდის კომენტარი, პირიქით, ყურადღებას ამახვილებს ივან პეტროვიჩ ბერესტოვის ქცევისა და ხასიათის განმარტებაზე და სათანადოდ არ ახდენს მკითხველის ინფორმირებას რეალური ისტორიული ფონის შესახებ: “Berestov, therefore, belonged to those officers, fairly large number, who did not hold with the reorganisation of the army undertaken by Paul I and had left the service in 1797“ [ბერესტოვი ამიტომ მიეკუთვნებოდა

იმ მრავალრიცხოვან ოფიცრებს, რომლებიც არ ეთანხმებოდნენ პავლე პირველის მიერ წამოწყებულ ჯარის რეორგანიზაციას და 1797 წელს სამსახური დატოვა].

თუ ოქსფორდის კომენტარის მიხედვით ივან პეტროვიჩ ბერესტოვი არის პრინციპული ადამიანი, რომელმაც რუსული ჯარის რეორგანიზაციაში მონაწილეობა არ ისურვა (როგორც ჩვენთვის მოსკოვის კომენტარიდან არის ცნობილი – „პრუსიულ ყაიდაზე“), პატრიოტი, რომელმაც თავისი კარიერა განირა, კალიფორნიული კომენტარი ბერესტოვის სულ სხვა სახეს გვიხატავს: “After the death of Catherine II in November, 1796, her successor Paul I dismissed many of the people, especially officers of the Guards who had surrounded her” [1796 წლის ნოემბერში, ეკატერინე მეორის გარდაცვალების შემდეგ, მისმა მემკვიდრემ პავლე პირველმა სამსახურიდან ბევრი ადამიანი გაათავისუფლა, განსაკუთრებით, გვარდიის ოფიცრები მისი გარემოცვიდან]. კალიფორნიულ კომენტარში ბერესტოვმა პროტესტის ნიშნად თვითონ კი არ დატოვა თანამდებობა, არამედ ის პავლე პირველმა და ი თ ხ ო ვ ა ჯარიდან, რადგანაც თავიდან იშორებდა ეკატერინეს მომხრეებს.

აღნიშნული სამი კომენტარი ცხადად გვიჩვენებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ორივე მეთოდის შეთავსება: კერძოდ, ენციკლოპედიურის, რომელიც ადგილის, დროის, მოვლენის ხასიათისა და სახელწოდების შესახებ ობიექტურ მონაცემებს იძლევა და კონტექსტუალურ-საორიენტაციოსი, რომელიც უფრო ღრმა სახეს გვიხატავს და ავლენს კავშირს რეალებსა და ავტორის იდეურ-მხატვრული ჩანაფიქრს შორის.

ამგვარად, კლასიკური ნაწარმოების კომენტატორი უაღრესად განათლებული ადამიანი უნდა იყოს, უნდა იცოდეს რაც შეიძლება მეტი აღსანერი ეპოქის, მისი კულტურის, ყოფის, ცრურწმენების, ჩვევების, წეს-ჩვეულებების შესახებ; ზედმინევნიტ უნდა იცნობდეს ავტორის ბიოგრაფიას, კრიტიკულ ლიტერატურას მის შესახებ, მის წერილებს, დღიურებს, შავად ნაწერებს და ა.შ. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება ის „სტრიქონებს შორის“ მინიშნებების, ალუზიების, რემინისცენციების დანახვას;

შედლებს მათ დანახვას და მკითხველამდე მიტანას.

რეალური ფაქტების კომენტირება, რომლებიც მხატვრული ნაწარმოების ქსოვილში არ არის მოცემული, განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენს და ხაზს უსვამს კომენტატორის ერუდიციასა და ღირსებას.

#### **§4. თანამედროვე რუსეთი ენისა და კულტურის გადმოცემით**

მე-20 საუკუნის რუსეთის ისტორია, რომლის დასაწყისი და დასასრული ორი რევოლუციით, ანუ წყობის, პოლიტიკის, ეკონომიკის, ცხოვრების სტილის, იდეოლოგიის, მსოფლმხედველობის და ა.შ. გადატრიალებებით აღინიშნა, უნიკალური მასალაა ენაში, კულტურასა და საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების განვითარებით დაინტერესებული ლინგვისტებისთვის, ისტორიკოსებისთვის, ანთროპოლოგებისა და კულტუროლოგებისთვის. მართლაც, უმოკლეს ვადებში რადიკალური ცვლილებები უზარმაზარი ქვეყნის მასშტაბით – ეს უნიკალური ექსპერიმენტები ნებისმიერ მეცნიერს გააბედნიერებდა, თუ ეს მეცნიერი თვითონ არ იქნებოდა იმ საზოგადოების ნაწილი, იმ ენის მატარებელი და იმ კულტურის პროდუქტი.

1917 წლის რევოლუციის შემდეგ რუსული ენის ძირფესვიანი ცვლილებები არაერთგზის იყო შესწავლილი და აღწერილი, ამიტომ წარმოდგენილ ნაშრომში მათ მხოლოდ გზადაგზა მოვიხსენიებთ, როგორც ფონს ან შედარებით მასალას პოსტსაბჭოურ რუსულ ენასთან, დღევანდელ რუსულთან მიმართებაში. საბჭოური რუსული ენა დეტალურადაა გაანალიზებული ანდრეი სინიავსკის ნაშრომში „საბჭოური ცივილიზაცია. კულტურის ისტორია“ (15). ქვემოთ მოცემულია პოსტსაბჭოურ რუსეთში რუსული ენის განვითარების თანამედროვე ტენდენციების მოკლე მიმოხილვა.

უცარი და რადიკალური ცვლილებები რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მყისიერად აისახა ენის მეშვეობით. ადამიანები საზოგადოებრივი ცვლილებების შესახებ ხშირად უშუ-

ალოდ ენის მეშვეობით იგებდნენ. არასდროს დამავინწყდება ჩემი რეაქცია ტაქსის მძღოლის სიტყვებზე 90-იანი წლების დასაწყისში იმის შესახებ, რომ ტაქსოპარკში ტრანსპარანტი დაკიდეს წარწერით:

*„ბატონო ტაქსის მძღოლებო! წარმატებულ მუშაობას გისურვებთ!“*

მიმართვა „ბატონო ტაქსის მძღოლებო“ ყურს ჭრიდა; ისე ჟღერდა, როგორც ოქსიუმორონი. ტაქსის მძღოლიც სკეპტიკურად იყო განწყობილი და ამბობდა, რომ ტაქსის მძღოლებს სასაცილოდ არ ყოფნიდათ ეგ მისალმება.

ამრიგად, ცვლილება პირველი – მიმართვა. პოსტსაბჭოური პერიოდის დასაწყისში ეს იყო ყველაზე მკვეთრი და ყველაზე მგრძნობიარე ცვლილება: ხმარებიდან გადიოდა ჩვეული «товарищ» (ამხანაგო), სანაცვლოდ ბრუნდებოდა ძველი «Господин, Госпожа» (ბატონო, ქალბატონო).<sup>86</sup>

**ტენდენცია პირველი – ძველი სიტყვების დაბრუნება.** ღირებულებების კარდინალურმა გადაფასებამ, ყველაფერ იმის თაყვანისცემამ, რასაც ვწვავდით და ყველაფერ იმის დანვამ, რასაც ვეთაყვანებოდით, რეაქციის, ცნებებისა და სიტყვების მასიური დაბრუნება გამოიწვია: гимназия, лицей, губернатор, голова, глава администрации, войсковой атаман, благотворительные вечера (концерты, мероприятия, общества), меценат, меценатство, милосердие (16) [გიმნაზია, ლიცეუმი, გუბერნატორი, უფროსი, ადმინისტრაციის უფროსი, ჯარის ატამანი, საქველმოქმედო საღამოები (კონცერტები, ღონისძიებები, საზოგადოებები), მეცენატი, მეცენატობა, გულმონყალება]. ამ სიტყვების უმეტესობას საბჭოურ ლექსიკონებში ჰქონდა შენიშვნა: „მოძვ“. ან „ისტ“.

ეს ტენდენცია პირდაპირ ეწინააღმდეგება ძალიან ბევრი ცნებისთვის სახელის გადარქმევას საბჭოთა დროში, განსაკუთრებით, ადრეულ 20-იან წლებში, როდესაც ახალი სამყარო და ახალი ეპოქა ახალი სიტყვების გარეშე წარმოუდგენელი იყო. იმ დროის ტენდენცია იყო ძველი რეაქციის თავიდან მოცილება, ძველი

---

<sup>86</sup> ანალოგიური ვითარება იყო საქართველოში – მთარგმნ. შენიშვნა.

სამყაროს უარყოფა და განყრა მტვერისა (სიტყვებისა) ფერხთა-გან თვისთა (რუსული ენიდან). Нарком-ებმა (народный комиссар/სახალხო კომისარი) ჩაანაცვლეს საძულველი министры (მინისტრები), милиция-მ (მილიცია) ჩაანაცვლა полиция (პოლიცია), товарищи-მ (მეგობრებო) – господа (ბატონებო) და ა.შ.

Министры (მინისტრები) ხმარებაში 50-იან წლებში, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, დაბრუნდა. ნელ-ნელა ბრუნდება Полиция (პოლიცია) – налоговая полиция (საგადასახადო პოლიცია) უფრო შემაშინებლად ჟღერს, ვიდრე налоговая милиция (საგადასახადო მილიცია). ბოლო ათი წლის განმავლობაში სიტყვამ господа (ბატონებო) თითქმის სრულიად განდევნა товарищи (ამხანაგებო). თუმცა პოლიტიკურად და ეკონომიკურად გახლეჩილ თანამედროვე რუსულ საზოგადოებაში მიმართვის ორივე ფორმა გამოიყენება. მასობრივი ინფორმაციის ოფიციალურ საშუალებებში – გაზეთებში, რადიოში, ტელევიზიაში – არსებობს მიმართვისა და ტიტულის მხოლოდ ერთი ფორმა – Господа (რა თქმა უნდა, არ იგულისხმება ოპოზიციური პრესა – გაზეთები «Советская Россия», «Правда», «Дуэль», «Завтра», მაგრამ მათი კურთი წონა ტირაჟის თვალსაზრისით, დიდი არ არის). იგივე მდგომარეობაა საქმიან და ოფიციალურ წრეებში.

ბოლო ათი წლის განმავლობაში რუსეთის მოსახლეობა სიტყვების товарищ და господин (госпожа, господа) სტილისტური კონოტაციების, გამოყენების სფეროებისა და გამოყენების სიხშირის ცვლილებების მონმე და მონაწილე გახდა. სიტყვას господин (ბატონი) მთელი წარსული ცხოვრების განმავლობაში უარყოფითი კონოტაციები ჰქონდა და გამოიყენებოდა მხოლოდ უცხოელებთან მიმართებაში კაპიტალისტური (ე.ი. უცხო და მტრული) ქვეყნებიდან მათი უცხოობისა და მტრული განწყობის ხაზგასასმელად.

მახსენდება ეპიზოდი ან უკვე შორეული წარსულიდან. 1977 წელს, ლოს-ანჯელესში ვიზიტის დროს, ჩვენი დელეგაცია მიპატიჟებული იყო საღამოზე რუსი ემიგრანტების, ე.წ. ძველი ემიგრაციის წარმომადგენლების (ან პირველი ტალღის ემიგრა-

ციის) ოჯახში, რომლებმაც 1917 წლის რევოლუციის შემდეგ დატოვეს რუსეთი. ოჯახის მასპინძლები ჩვენ მოგვმართავდნენ სიტყვით господа (ბატონებო). სასტუმროში დაბრუნებისას ერთ-ერთმა ჩვენგანმა, სავსებით მართლმორწმუნე (როგორც ყველა ჩვენგანი) საბჭოთა ადამიანმა თქვა: „იცით, მე მომეწონა მომართვა господин პეტროვ! რალაც განგადიდებს და სასიამოვნოდ ჟღერს“. მასსოვს ჩემი რეაქცია მის სიტყვებზე: ფარულად მეც ვეთანხმებოდი მას, მაგრამ მისი გამბედაობა მაოცებდა, რაც კარგი ვახშმის შემდგომ მოდუნებას მივანერე...

ახლა, 21-ე საუკუნის დასაწყისში, მიმართვა господин ჩვეულებრივი ოფიციალური მიმართვა გახდა და სიმამაცე სიტყვა товарищ-ის გამოყენებისთვის უფროა საჭირო.

რეალურად მიმართვის ორივე ფორმა ჯერ კიდევ თანაარსებობს, მაგრამ ერთის ან მეორის გამოყენება სოციალურად განმასხვავებელი ნიშანი გახდა. Господин – ოფიციალურად მიღებული მიმართვაა და ამიტომ არსებული რეჟიმის მხარდაჭერას და მასთან თანხმობას აღნიშნავს. Товарищ შეიძლება აღნიშნავდეს როგორც პოლიტიკურ ოპოზიციას, კომუნისტური პარტიის წევრობას ან ძველი რეჟიმის ერთგულებას, ასევე საბჭოთა დროში გაზრდილი ძველი თაობის ადამიანების ჩვევას.

ასაკოვანი ადამიანები და ბევრი იმათგანი, ვისაც „უბრალო ხალხად“ მოიხსენიებენ, ჩვეულებრივ, იყენებენ მიმართვას товарищ როგორც ზეპირი მეტყველებისას, ასევე წერის დროს. განცხადებები „უბრალო“ სახალხო დანესებულებებში (მაღაზიებში, პოლიკლინიკებში, საავადმყოფოებში და ა.შ.) დღემდე ხშირად იწყება მიმართვით товарищи. განსაკუთრებით გავრცელებულია ეს მიმართვა პროვინციაში და პროვინცია – ეს მთელი რუსეთია მოსკოვისა და პეტერბურგის გამოკლებით.

ინტელიგენცია ცდილობს თავი აარიდოს მიმართვის როგორც „წითელ“, ისე „თეთრ“ ფორმებს. ოფიციალურ სიტუაციებში ძალიან გავრცელდა მიმართვა „კოლეგებო!“.

საქმიან წრეებში მიღებულია მიმართვა «господин/госпожа/господа» და ის სავსებით ბუნებრივად ჟღერს.

ასევე გამოიყენება – უსათუოდ, ირონიულად – კომპრომი-  
სული ჰიბრიდი «Господа-товарищи». სტატიას „ამა ქვეყნის  
ძლიერების“ ზნე-ჩვეულებების შესახებ ეწოდებოდა «Привычки  
господ и товарищей» [ბატონების და ამხანაგების ჩვევები] (17).

ძველი სახელწოდებების, ტოპონიმების დაბრუნება თანამედ-  
როვე რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრებისა და კულტურის შე-  
სამჩნევ ნიშანს წარმოადგენს. საბჭოთა ეპოქის სახელების გადარ-  
ქმევის სანაცვლოდ მივიღეთ სახელების გადა-გადარქმევები: ლე-  
ნინგრადის ნაცვლად პეტერბურგი, სვერდლოვსკის ნაცვლად ეკა-  
ტერინბურგი, მეტროსტროევსკის ნაცვლად ვოზდვიჟენკა, ძერ-  
ჟინსკის მოედნის ნაცვლად ლუბიანკა. თავდაპირველად სახელის  
გადარქმევა სავსებით დემოკრატიულად მიმდინარეობდა: ხმის მი-  
ცემით და ეროვნული რეფერენდუმების შედეგად წყდებოდა სა-  
კითხი. ამიტომ, მაგალითად, მივიღეთ ის, რომ ქალაქი პეტერბურ-  
გი არის ლენინგრადის ოლქის ცენტრში: ჩრდილოეთ დედაქალა-  
ქის მცხოვრებლებმა ქალაქისთვის ძველი, ისტორიული სახელწო-  
დების დაბრუნება მოისურვეს, ოლქის მცხოვრებლები კი ლენინ-  
გრადის ერთგულნი დარჩნენ.<sup>87</sup>

მოსკოვში, რატომღაც, ერთ-ერთ პირველს სახელწოდება  
მეტროსადგურ „ლერმონტოვსკაიას“ შეუცვალეს და „კრასნიე  
ვოროტა“-თი ჩაანაცვლეს. ხალხი გაცოცხლებული იყო: ლერმონ-  
ტოვს რატომღა აწყენინესო? დღესდღეობით ძველი და ახალი  
სახელები თანაარსებობენ. ჩვენი მშობლების თაობას ახალი სა-  
ხელწოდებების შესწავლა უწევდა – წვლობდნენ ძველი (ჩვეუ-  
ლი) და ახალი სახელწოდებებით. ახლა იმავე გზის გავლა გვი-  
წევს ჩვენ. ენა კულტურის სარკეა.

**ტენდენცია მეორე – სიტყვების სესხება უცხოური ენები-  
დან, განსაკუთრებით, ინგლისურიდან.** თავისი მასშტაბებით,  
საზოგადოებრივი აზრის შეშფოთების, რუსული ენისა და რუ-  
სული კულტურისთვის საფრთხის თვალსაზრისით ეს ტენდენ-  
ცია უნდა იყოს პირველი და არა მეორე.

---

<sup>87</sup> ძველი სახელწოდებები დაუბრუნდა ქალაქებს საქართველოში, მაგალითად, მარტვილი – გეგეჭკორს, სენაკი – ცხაკაიას, ოზურგეთი – მახარაძეს და ა.შ. – მთარგმნ. შენიშვნა.

რუსეთის გახსნა მსოფლიოსთვის და მსოფლის მიერ, პირველ რიგში, უცხოური, უმეტესად, ინგლისური სიტყვების ნაკადით აღინიშნა. რუსულ ენასა და რუსულ ცხოვრებაში ეს სიტყვები მასიურად შემოვიდა დასავლური ცხოვრების რეალებთან ერთად (ზოგჯერ მათ შემდეგ, ზოგჯერ – მათზე ადრე), ბიზნესთან, კომპიუტერებთან, ინტერნეტთან, ფილმებთან, სატელევიზიო სერიალებთან, სიმღერებთან, ვიდეონაწარმთან ერთად. გამოიცემა „ახალი სიტყვების ლექსიკონები“, „პერესტროიკის ლექსიკონები“, ნასესხები სიტყვების ლექსიკონები; ამასთან, იზრდება სევდიანი, შეშფოთებული, მავედრებელი მოწოდებები დაიცვან რუსული ენა წყალდიდობისგან, ხანძრისგან, დაწვისგან, ზვავისგან (შეარჩიეთ შესაბამისი სიტყვა).

ბარტერი, დაიჯესტი, დენს-ჰიტი, დიჯეი, ექსკლუზივი, მონიტორინგი, დილერი, თრილერი, პლეიერი, ფრუსტრაცია, არმრესთლინგი, ლიზინგი, რეკეტი, ანდერგრაუნდი, შეიპინგი, თინეიჯერი, ჰეპენინგი, პოპსა, პოპი (მოსკოვში ლენინგრადის პროსპექტზე დიდი აფიშა «Королева попа»<sup>88</sup> და პოპულარული მომღერლის ფოტო. უფროსი ასაკის ადამიანები, მათ შორის, ამ ნიგნის ავტორიც, განცვიფრებულები იდგნენ და ფიქრობდნენ: „ნეტავ, ეს რას უნდა ნიშნავდეს?!“ და ეს კი მხოლოდ რუსული სიტყვა „ПОП“-ის ნათესაობითი ბრუნვაა), სკეიტბორდი და ა.შ. – ლექსიკონისთვის საკმარისია.

ამონაწერი პრესიდან.

ტატიანა მირონოვა, ამ შემთხვევისთვის შესაფერისი სახელწოდების მქონე სტატიის – «Плач по русскому языку» („გოდება რუსული ენის გამო“) – ავტორი წერდა («Литературная Россия», 19.02.1993):

*უცხოური სიტყვები, რომლებიც აქამდე დამცირებულად დაყალობდნენ რუსული ენის მიდამოებში, დღეს თავხედურად შემოდგრნენ რუსული ენის სიღრმეებში, უფრო საჩინო*

---

<sup>88</sup> პოპის დედოფალი. რუსულში სიტყვა *поп* მამაოს ნიშნავს. *поп-а* არის ნათესაობითი ბრუნვის ფორმა და *Королева попа* პირდაპირ ითარგმნება როგორც „მამაოს დედოფალი“ – მთარგმნ. შენიშვნა.

და უკეთესი ადგილების დასაკავებლად. დაიკავეს, დამკვდრდნენ და შეავსეს ჩვენი მეტყველება. საშიში ის კი არ არის, რომ მათი რიცხვი დიდია, არამედ ის, რომ მათი შემოსევის შედეგად მშობლიური, ძველისძველი სიტყვები ქრებიან. დიახ, ქრებიან სიტყვები, რომლებიც „სულიერების იმ უჩინარ ელფერს“ გადმოსცემენ, რომელიც ყველა რუსულ სულს ათბობს.

რა საჭიროა ფიქრი, თავის შენუხება ზუსტი, გამომსახველობითი გამოთქმის საძიებლად, როდესაც ენის ნვერზე გვაქვს „სუბერი“, „ლუქსი“, „პროცესი“, „ადეკვატურად“... ერთი შეხედვით სოლიდური სიტყვები სულისთვის ცივი და ცარიელია როგორც საპნის ბუშტები. ცოცხალი მეტყველებიდან ისინი რიტორიკასა და ლიტერატურაში გადადიან, ძირეულ სიტყვებს ავინროებენ, რითაც გვაიძულებენ საჭირო სიტყვები ფრანგულ, გერმანულ ან ინგლისურ ლექსიკონებში მოვიძიოთ.

რუსული ინტონაციაც კი უცხოური მუშტრის მსხვერპლი გახდა. ბგერითი მრავალფეროვნება გამქრალია, რუსული ენის მრავალსიმიანობა ილუპება. ინგლისური ენის დაზუთხული მწირი ინტონაციური მოდელების შესაბამისად არაკრაკებენ რადიოსა და ტელევიზიის კომენტატორები თავიანთ ხმოვან ტექსტებს და მათ კვალდაკვალ – მაგალითს დიდი ძალა აქვს – მრავალმილიონიანი მსმენელიც, პირველ რიგში, ბავშვები. „ელექტრონული“ მეტყველების, თითქოს რობოტის მიერ წარმოთქმული სიტყვების, მოსმენა საზიზღრობა და საშინელებაა. ხანდახან ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, რომ რადიოსა და ტელევიზიის თანამშრომლები უცხო ქვეყნების ქვეშევრდომები არიან, რომელთა გადმოყვანა ინგლისური ენიდან რუსულ ენაზე ნაჩქარევად მოხდა. შესაძლოა, არც გვეჩვენება, შესაძლოა, მართლაც ასეა? დღევანდელი რადიო და ტელეგადაცემების სახელწოდებების გაგება ხომ ყველას როდი ძალუძს. რომელმა უცხოელმა მოიგონა სიტყვები: „ტელემიქსთი“, „ბომონდი“, „სამხედრო რევიუ“, „თინქო“, „ევრომიქსი“, „ტელეთაიფი“, „პოპ-მალაზია“.

აი, კიდევ ერთი მოწმობა იმ დღეებისა, როდესაც ნასესხები სიტყვების მოზღვაება ახალი დაწყებული იყო. გაზეთი «Третье сословие» (1993, N1, ავტორის გარეშე) მოსკოვის შესახებ წერდა:

მაიმუნებისთვის დამახასიათებელი მიბაძვის სინდრომი დედაქალაქის ქუჩებში გადმოიღვარა. სულელის გულახდილობით „ახალი მემარცხენეები“ თავიანთი „განათლებულობის“ დემონსტრირებას ახდენენ. უხეიროდ მოხატული „შოპები“, „ნონსტოპები“, „ლითლ ბარები“, მარტივად რომ ვთქვათ – ფარდულები და სასადილოები ჭრელ ქვედაბოლოებში შემოსილ ვაჭრებს დაემსგავსნენ, რომლებსაც თავი ინგლისის დედოფლად მოაქვთ.

და მანდვე სერგეი კრაიუხინი პეტერბურგზე წერს:

ბოლო დროს ნევის პროსპექტს ვერ ვცნობ, მიუხედავად იმისა, რომ იქ არაერთი ათეული წელი ვიცხოვრე. გავლით ჩამოსულ გასტროლიორებს, უცხოელებს დაემსგავსა სახლები ორი-სამი წლის წინ მათზე გაჩენილი აბრებით: „ლანკომი“, „ალივექტი“, „ბაბილონი“, „დოქტორ ეთკერი“... ინგლისური მაღაზიის დასახელებაც კი წარმოდგენილია უცხოური არანყირებით: „არტ-შოპი St. Petersburg“.

1998 წლის ნოემბერში ვ. პშენიჩნიხი ქ. კურსკიდან თავის სტატიამი «Рашен-инглиш» («Советская Россия», 1998, №139) იმავე თემაზე აღნიშნავს:

მაგრამ გადაშალეთ გაზეთები და ჟურნალები. მათი გვერდები აჭრელებულია სტატიებით „კონფრონტაციები პარლამენტში“, „რეკეტი მარკეტინგში“, „მენეჯმენტი ბიზნესში“... ხედავთ, რა ჭკვიანები ვართო... მართალია, პრესაში, როგორც წესი, საქმე არ მიდის „ლადაობამდე“, რომელიც იდიოტიზმს ესაზღვრება, მსგავსად აბრისა მაღაზიაზე «шоп намру ван»/„შოპ ნამბუ ვან“. წარწერა რუსულად მხოლოდ და მხოლოდ „მაღაზია N1“-ს ნიშნავს, მაგრამ სალიტერატურო რუსული ენისგან სულ უფრო და უფრო ცოტა რჩება.

მართლაც, ნასესხები სიტყვებს შორის ბევრია „დამახინჯებული ინგლისური“ (იმავე ვ. პშენიჩნიხის გამოთქმა).

ხშირ შემთხვევაში, დაუმახინჯებელი ფორმის ნასესხები სიტყვები შინაარსობრივად და მახინჯებულნი.

ქალაქ სერპუხოვის გარეუბანში დანგრეულ ციციქნა ჯიხურზე წარწერაა: «Супермаркет» (სუპერმარკეტი). ეს იუმორი არ არის, ეს სიტყვის მნიშვნელობის არცოდნაა. ენა ხომ სხვისია...

კალუგის ოლქის ქალაქ ბოროვსკთან ცარიელ მინდორზე დგას შეუღლებავი რკინის ფარდული ამაყი წარწერით: «Европейский сервис. Шиномонтаж» (ევროპული სერვისი. საბურავების მონტაჟი).

ენა კულტურის სარკეა.

თუმცა დროს ცვლილებები მოაქვს და აღნიშნულ სტატიაშიც კი («Рашен-инглиш») ავტორი უეცრად თავის მართლებას იწყებს: მე წინააღმდეგი არ ვარ, მე ხომ უკიდურესობა არ მახასიათებს:

მრავალი უცხოური სიტყვა რუსულ ენაში ისეთი დიდი ხნის წინ შემოვიდა და ისეთი მყარი ადგილი დაიმკვიდრა, რომ უკვე აღარც აღიქმება უცხოდ. პირიქით, უცნაურად ჩათვლიან მას, ვინც ტელეფონს «дальнеговорник»-ით (შორსმოსაუბრე) მოიხსენიებს და მიკროსკოპს კიდევ «мелкосмотритель»-ით (წვრილმხედველი)! ენა თითქოს გაზონზე გარდიგარდმო გათელილი ბილიკია: გადალობეთ. ისე ივლიან, როგორც უფრო მოსახერხებელია და არა ისე, როგორც ნაბრძანებია. „ჰელიქოფტერებმა“ ხომ არ დაიმკვიდრეს ვერტმფრენების ადგილი, მაგრამ აი, „დელტაპლანებმა“ „კრილოლიოტებს“ აჯობეს, პარიკმახერებმა კი – დალაქებს. და მოტელები მშვიდად თანაარსებობენ სასტუმროებთან ისევე, როგორც ბარები – სასადილოებთან... მე არ დავინწყებ დაჟინებით იმის მტკიცებას, რომ «магазин» (მაღაზია) [სხვათა შორის, ასევე ნასესხები სიტყვაა, მაგრამ ისეთი ძველი, რომ უკვე რუსულ სიტყვად იქცა], რამით შოფზე ან ბუტიკზე უკეთესია. საუბარი სხვა რამეზეა: ვილაცამ ხომ უნდა დაიცვას სალიტერატურო რუსული ენის სიწმინდე! სულ რაღაც ორი საუკუნის წინ ის თითქმის არ არსებობდა: რუსული ენა ითვლებოდა უბრალო ხალხის ენად, „თეთრი ადამიანები“ ერთმანეთს უცხოურ კი-

ლოზე ესაუბრებოდნენ, წერდნენ და კითხულობდნენ სხვა ხალხების ენაზე. საჭირო გახდნენ ლომონოსოვი, დერჟავინი, პუშკინი, სხვა გაბედული გენიოსები, რომ შეგვექმნა და შეგვენახა ჩვენი განძი – ეროვნული ლიტერატურა!

წლები გადის, მაგრამ ნასესხები სიტყვების ნაკადის ინტენსიურობა, ძირითადად, ამერიკანიზმების, არათუ კლებულობს, პირიქით, იზრდება.

ინტერნეტის საყოველთაო გავრცელებამ ამ პროცესში თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. ინტერნეტს არ ჩამორჩება ისეთი სფეროები, როგორებიცაა ბიზნესი და მენეჯმენტი.

ნასესხებმა სიტყვებმა არა მხოლოდ ლექსიკასა და ფრაზეოლოგიაში შეაღწიეს, არამედ ფონეტიკას, მორფოლოგიასა და სინტაქსსაც შეეხნენ.

მაგრამ არ დავნალვლიანდეთ. ჩვენი გადარჩენა მხოლოდ ოპტიმიზმს და იუმორის გრძნობას შეუძლია. რუსულმა ენამ გაუძლო გერმანული ენის თავდასხმას მე-18 საუკუნეში, ფრანგული ენის მოზღვავენას – მე-19 საუკუნეში, ყველაფერი გადახარშა და გამდიდრებული და განახლებული გამოვიდა. რა თქმა უნდა, მაშინ არ იყო ინტერნეტი, ტელეფონი, ტელევიზორი, რადიოც კი არ იყო. სწორედ ამ დროს არის საჭირო ოპტიმიზმი. იუმორის გრძნობაც არ გვანწყენდა.

**ტენდენცია მესამე – ჟარგონიზმების, ვულგარიზმების, სალანძღავი სიტყვების შემოღინება.**

აღნიშნული ტენდენცია იმ ცვლილებებს ემთხვევა, რომლებიც რუსულმა ენამ 1917 წლის შემდეგ განიცადა (18). იმ დღეებში უხეში, ვულგარული „ქუჩის ენა“ სწორი, „რევოლუციური“ კლასის კუთვნილების აღმნიშვნელი იყო და სალიტერატურო ენა კი „დამპალ ინტელიგენციასა“ და „წყველ ბურჟუაზიას“ ამხელდა. იმ დროს გამართლება, ასე ვთქვათ, „იდეოლოგიური საფუძვლები“ მაინც იყო.

დღეისთვის ჟარგონიზმების, უცენზურო, ბინძური და უხეში სიტყვების შემოღინება, რომლებმაც გაზეთების, ჟურნალებისა და მხატვრული (!) ნაწარმოებების გვერდები შეავსეს, უფრო რთული ასახსნელია. უდავოა, რომ ეს რუსულ საზოგადოებაში მიმდინარე სოციალკულტურული ცვლილებების ასახვაა. რო-

გორც ჩანს, ახსნა-განმარტებად შეიძლება ვივარაუდოთ ზოგადად არასწორად გაგებული თავისუფლება და, განსაკუთრებით, სიტყვის თავისუფლება, როგორც ტოტალიტარიზმის აკრძალვების წინააღმდეგ პროტესტის სახეობა, ერთი მხრივ. მეორე მხრივ, ეს შეიძლება იყოს „ახალი რუსების“ გავლენა ან მათი მიბაძვა. რუსული საზოგადოების ეს ახალი კლასი, რომელსაც არც ისე განათლებული, მაგრამ ქარის მოტანილი ფულით ზღაპრულად გამდიდრებული ადამიანები შეადგენენ, არც ისე მრავალრიცხოვანია, თუმცა უკიდურესად აქტიური და გავლენიანია. მათი წარსულიდან (და აწმყოდანაც) მომდინარეობს ქურდული ჟარგონის მოდა.

სტატიაში «Мат как зеркало нашей жизни» („გინება როგორც ჩვენი ცხოვრების სარკე“) ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ანატოლი ჟურავლიოვი წერს: „ბილნსიტყვაობა, რომელიც გვესმის არა მხოლოდ ქუჩაში, არამედ ტელე- და კინო-ეკრანებიდან, თეატრალური სცენიდან, რომელიც მრავლად იბეჭდება გამომცემლობების მიერ, როგორი სამწუხაროც არ უნდა იყოს, პირდაპირ არის დაკავშირებული საზოგადოების იდეოლოგიური ბორკილებისგან გათავისუფლებასთან“ (19).

## **§5. რუსი სტუდენტები ამერიკასა და რუსეთზე: კულტურული და ენობრივი სამყაროს სურათის ცვლილებები 1992-1999 წლებში**

სამყაროს კულტურული და, შესაბამისად, ენობრივი სურათის ის ნაწილი, რომელზეც სხვა ქვეყნები და სხვა ხალხებია „ასახული“, სტერეოტიპების ძლიერი ზემოქმედებით იქმნება, რომელთა ფორმირებაშიც სხვადასხვა ფაქტორი მონაწილეობს. როგორც ცნობილია, სტერეოტიპებს მაღალი დონის გამძლეობა გააჩნია, თუმცა მე-20 საუკუნის 90-იან წლებში რუსეთის სოციალურ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები იმდენად რადიკალური იყო, რომ მათ შეარყიეს და გადაატრიალეს ჩვეული წარმოდგენები.

ამ მხრივ, საკმაოდ თვალსაჩინოა მარტივი ლინგვოკულტუროლოგიური ექსპერიმენტის შედეგები, რომელიც 1992 წლიდან რეგულარულად ტარდება ამ ნაშრომის ავტორის მიერ. ექსპერიმენტის არსი შემდეგში მდგომარეობს: მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის უცხოურ ენათა ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტები წერენ პირველ ხუთ სიტყვას, რომლებიც მათ თავში მოსდით, როდესაც საუბარია: 1) ამერიკასა და ამერიკელებზე, 2) რუსეთსა და რუსებზე.

პირველ ექსპერიმენტში 16-23 წლის ასაკის დაახლოებით 200 ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. ამ ახალგაზრდების ფორმირება უკვე „პერესტროიკის“ პერიოდში ხდებოდა. ეს იმას ნიშნავს, რომ თავიანთი წინამორბედებისგან განსხვავებით, რომლებსაც ამერიკელებზე, როგორც „პოტენციურ მოწინააღმდეგეზე“, მხოლოდ ცუდი ესმოდათ და ცუდს კითხულობდნენ (შესაბამისად, ინგლისური ენა ისწავლებოდა როგორც „პოტენციური მოწინააღმდეგის ენა“) და თავიანთი ქვეყნის – საბჭოთა კავშირის – შესახებ მხოლოდ კარგს ისმენდნენ და კითხულობდნენ, ეს სტუდენტები, პირიქით, იზრდებოდნენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ თავს მოხვეული მოსაზრებით, რომლის შეჯამება ასე შეიძლება: ამერიკაში ყველაფერი ბრწყინვალედ არის, ჩვენთან კი ყველაფერი – საშინლად.

პირველი გამოკითხვის (1992 წ.) შედეგები რალაც მიმართებაში განმაცვიფრებელი იყო. მაგალითად, აბსოლუტური ჩემპიონი გამოყენების სიხშირით აღმოჩნდა სიტყვა smile (ღიმილი). სწორედ მომღიმარი (და, შესაბამისად, ბედნიერი) წარმოედგინათ ახალგაზრდა რუსებს ამერიკელები 1992 წელს, როდესაც რუსეთი, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მსოფლიო თანამეგობრობას ახალი სტატუსით, ახალი პირობებით შეუერთდა.

**ამერიკის** კულტურული და ენობრივი სურათი ინგლისური ენის შემსწავლელი რუსი სტუდენტების გამოცდილებაში შემდეგი სახით იყო წარმოდგენილი:

ა) **პირველი ათი ადგილი** დაიკავეს სიტყვებმა, რომლებიც ქვემოთ მოცემულია გამოყენების სიხშირის შემცირების მიხედ-

ვით (ერთი და იმავე ნომრის მქონე სიტყვებს ერთნაირი სიხშირე აქვთ):

1. Smile [ლიმილი] (27%);
2. Freedom [თავისუფლება] (20%);
3. Rich [მდიდარი], money [ფული] (13%);
4. Skyscraper [ცათამბჯენი] (12%);
5. Business [ბიზნესი], Hollywood [ჰოლივუდი], Statue of Liberty [თავისუფლების ქანდაკება] (11%);
6. Cars [მანქანები], pragmatism [პრაგმატიზმი] (10%);
7. Dollar [დოლარი], President [პრეზიდენტი], friendly [მეგობრული], cheerful [მხიარული] (9%);
8. New York [ნიუ იორკი], uninhibited [აკრძალვებით შეუზღუდავი], great/large [უზარმაზარი/დიდი], loud [ხმამალალი] (8%);
9. Kind [კეთილი], domineering [გაბატონებული] (7%);
10. White House [თეთრი სახლი], independence [დამოუკიდებლობა], comfort [კომფორტი], supermarket [სუპერმარკეტი], health [ჯანმრთელობა], hospitable [სტუმართმოყვარე] (6%).

მიღებული შედეგები შემდეგ თემატურ ჯგუფებად გავანაწილეთ:

**ბ) ამერიკელების დამახასიათებელი თვისებები:**

1. Smiling [მომღიმარი];
2. Pragmatic [პრაგმატული], business-like [საქმიანი];
3. Friendly [მეგობრული], cheerful [მხიარული], joyful [სასიხარულო];
4. Uninhibited [თავისუფალი], loud [ხმამალალი];
5. Kind [კეთილი], domineering [გაბატონებული];
6. Hospitable [სტუმართმოყვარე], gregarious [გულზიარი], sociable [კომუნიკაბელური];

7. Unceremonious [უცერემონიო], unintellectual [უინტელექტო], uneducated [გაუნათლებელი], wonderful [შესანიშნავი], nice [საყვარელი];
8. Superficial [ზუედაპირული], self-confident [თავდაჯერებული], boastful [ტრაბახა], energetic [ენერგიული], interesting [საინტერესო];
9. Strange [უცნაური], different [განსხვავებული], crazy [გიჟი], like Russians [რუსების მსგავსი], hard-working [შრომისმოყვარე], patriotic [პატრიოტული], family-loving [ოჯახის მოყვარული], naive [გულუბრყვილო], childish [ბავშვური];
